



2015/11

ყველთვიური ლიტერატურული –  
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბალთერ არაბული**  
**სოსო გოლიაძე**

რედაქტორთა ჯგუფი  
**ანდრო ბუაჩიძე**  
**თამარ გელიტაშვილი**  
**ელზა მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
**ქეთევან მერკვილაძე**  
**ნანა ყანდაშვილი**  
გრაფიკული ილუსტრაციები  
**მარიამ გოგილიძისა**

გარეკანის პირველ გვერდზე –  
**ალბერტ დილბარიანი** –  
ავტობიოგრაფი

გარეკანის მეოთხე გვერდზე –  
**არმენ ჰოვანესიანის** თოჯინები.

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>

სარედაქციო საბჭო

**ანდრო ბედუკაძე**  
თავმჯდომარე

**ვანო ამირხანაშვილი**  
**ნაირა ბუბიევი**  
**ლევან ბრეგაძე**  
**დავით თედორაძე**  
**ზვიად კვარაცხელია**  
**ესმა კოკოსკერია**  
**გიორგი ლობჯანიძე**  
**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**  
**ნინო სადღობელაშვილი**  
**თამაზ ტყემალაძე**  
**თემურ ჭკუასელი**  
**ბესიკ ხარანაული**

ჟურნალი გამოდის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
ფინანსური მხატვრობით



# სარჩევი

<b>კონსტანტინე კაპანელი</b> იდეა და ფორმა	<b>3</b>	<b>ემზარ კვიციანიშვილი</b> შეიცნო ბუნების ენა (ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების მე-100 წლისთავის გამო)	<b>99</b>
<b>პოეზია • პროზა</b> <b>ბალათერ არაბული</b> ლექსები	<b>7</b>	<b>თამაზ ტყემალაძე</b> გრიგოლ ორბელიანის უიღბლო სიყვარულის ამბავი	<b>111</b>
<b>მურმან ჯგუბურია</b> ცოლ-ქმარი იყვნენ ვინიცობა... დები ან ძმები. მოთხრობა	<b>17</b>	<b>უცხოობაში ჩანაწერები</b> <b>მაია ციციშვილი</b> ეპიკურეს ბაღები	<b>118</b>
<b>დალილა ბედიანიძე</b> ლექსები	<b>38</b>	<b>ახალი თარგმანები</b> <b>ბოგუმირ ჰრაბალი</b> სალუდემი შეთხზული მოთხრობები. თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ	<b>124</b>
<b>ლია მოლარიშვილი</b> ასკილის ყვავილი. მოთხრობა	<b>46</b>	<b>ქართული მხარული</b> <b>აფხაზურ ენაზე</b> <b>გელა დუმბაძე</b> მარადონა. თარგმნა ირმა ოსიამ	<b>130</b>
<b>ნინო სიხარულიძე</b> ლექსები	<b>52</b>	<b>არტრევიუ</b> <b>მარიკა კახაძე</b> თოჯინების ოსტატი	<b>135</b>
<b>ბესიკ კეკელიძე</b> შენთვის სულერთი არ არის?! მოთხრობა	<b>58</b>	<b>ალინა ქადაგიშვილი</b> ფესტივალი „საჩუქარი“ – 2015 GIFT-ის დღიური	<b>138</b>
<b>ეპოქის მატინაე</b> <b>აკაკი ბაქრაძე</b> ჩანაწერები	<b>67</b>		
<b>ინტერვიუ</b> ქართული საქმის ქომაგი <b>მარიკა ლაფაურ-ბურკს</b> ესაუბრება თამარ გელიტაშვილი	<b>79</b>		
<b>პრიბიჟა • ასეისტიჟა</b> <b>ლევან ბრეგაძე</b> ზღაპარი ზღაპრებზე, თანაც – წინასწარმეტყველური	<b>90</b>		

ხელმოწერების გასაფორმებლად  
დაგვიკავშირდით ტელეფონის  
ნომრებზე:  
598 21 00 36  
591 20 25 40;  
599 56 56 44;

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

# ქონსტანტინე ქაჯანაძე



## იდეა და ფორმა

იდეა ნიშნავს აზრს, შინაარსს, შინაგან ლტოლვათა და ხილვათა ლოგიკურ სახეობას.

ფორმა არის მოკვეთილობა ნაკვეთებისა, მეტყველება გარეგნობისა.

იდეა ჩვენი შეცნაურების შინაგანი რაობაა.

ფორმა ჩვენი ერთდროული შთაბეჭდილების ეფემერული მოკვეთილობაა.

იდეა თეორიულ-ლოგიკური პრინციპია შემოქმედებისა; ფორმა ჩვენი შემოქმედებითი ჭვრეტის ილუზიური განსახეობაა.

იდეა და ფორმა ორი დიდი ელემენტია ყოველი შემოქმედების, ისტორიისა და ცივილიზაციის ყოველი სახის.

მეტყველებისა და ლიტერატურის ისტორიაში არაერთხელ დასმულა საკითხი: რა უფრო მნიშვნელოვანია ცხოვრებასა და შემოქმედებაში – იდეა თუ ფორმა? აზრი თუ გარეგანი სახეობა?

რა არის უფრო დიადი და მეტყველი: შინაგანი რაობა თუ გარეგანი სახეობა?

ცივილიზაციისა და კულტურის გრანდიოზული სახეები რაში უფრო გამოიხატება: ნაკვეთა სიმეტრიასა თუ ლოგიკურ სახეობაში?

განსაკუთრებით მწვავედ წამოაყენა ეს საკითხი მხატვრულმა ლიტერატურამ: გამოჩნდნენ მწერლები, რომლებიც თამამად ლაპარაკობენ ფორმის უპირა-

ტესობაზე, ნაკვეთა სახეობის სიდიადეზე. ამტკიცებენ, ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ იდეა შემოქმედებისა ბოლოს და ბოლოს ფორმის რითმულსა და რიტმულ წყობაში გამოიხატება, რომ ფორმა არის ყველაფერი და აზრი კი – მეორეხარისხოვანი ელემენტი.

მართალია თუ არა ეს?

შემოქმედება – იქნება მხატვრული თუ თეორიულ-მეცნიერული – სულ ერთია, არის ერთგვარი ესთეტიკური განსხეულება ადამიანის სულიერი მღელვარებისა; ყოველი ადამიანის სულიერი მღელვარება, ყოველი ადამიანის გრძობებისა და ცნებების შემოქმედებითი მოძრაობა არის ერთგვარი ენერჯის დახარჯვა, ერთგვარი ლოგიკურ-ესთეტიკურად ჩამოყალიბება ნებისყოფის ცხადყოფისა. ყოველი ნებისყოფის ცხადყოფა გამოიხატება ნერვულ შერხევაში, შემოქმედებით განცდაში; მხატვარმა, მეცნიერმა, მწერალმა ჯერ თვითონ უნდა დაინახოს სახე, ჯერ თვითონ უნდა შეიგრძნოს და შეიცნაუროს და მხოლოდ ინდივიდუალური სახეშეგრძობის შემდეგ შეიძლება გაობიექტივება, გარეთ გამოტანა.

შემოქმედს შეუძლია კვეთოს ცხოვრების სახე მხოლოდ განცდის დაზგაზე.

განცდა არის ესთეტიკური სახეობის საფუძველი. განცდაში გამოიხატება ში-

ნაგანი ხილვა შემოქმედებითი გრძნეულებისა.

ამ შინაგანი ხილვის გაობიექტივება შემოქმედებითი პროცესის განსხეულებაა; ყოველი განსხეულება ფორმის ჩამოყალიბებაა. შემოქმედი ჯერ ათამაშებულია: მან არ იცის, რა ხდება მასში: ის მხოლოდ ამოძრავებულია გამოუთქმელი სიხარულით, მწვავე სიტკობებით; ის ეძებს თიხას, მარმარილოს, ტილოს, ქალღმერთს: ინსტიტუტურად გრძნობს მისტიკურ ორსულობას; გრძნობა გადადის განცდაში და იწყება ღვთიური ატალღება ნებისყოფისა, იწყება შინაგანი ხილვა იდეალური სახისა, ფსიქოლოგიურად მოძრავდება ესთეტიკური ნაკვთების ლოგიკური აყოვლადება: სხეულებრივი ოცნება სინამდვილისკენ მიიწევა, თვით სინამდვილე ადამიანის სურვილებში ილესება, იჩალებს და ესთეტიკურ სახეცვლილებას განიცდის. შემოქმედებით დაზგაზე იკვებება იდეალური სახე.

დიადი და ღვთაებრივია აქ იდეა, სხეულებრივი ოცნება; ფორმა, ფერები, ნაკვთები, ხაზები მხოლოდ ტანისამოსია შემოქმედებითი სულიერობისა, მხოლოდ დროისა და გემოვნების შესაფერი გემოვნებაა. მარადიულობა მხოლოდ იდეაში გამოიხატება, მხოლოდ იდეა არის გამომსახველი მარადობის მგოსნურ-ფილოსოფიური შეგრძნობისა, სამყაროს დაუსრულებლობის შეცნაურებისა, ზოგადი, საკაცობრიო სევდის ღვთაებრივი განზოგადებისა, ყოველი შემოქმედება მსოფლიო სევდის გამოსახულებაა, შეგრძნობა ამ სევდის პოეტურად და ფილოსოფიურად სულის აწყობაა.

მშვენიერია წუთისოფლად მხოლოდ ის სახე, რომელშიც და რომლის საშუალებით ადამიანი გამოსახავს მარადობის წყურვილს და არსებობის სევდას. ტარიელის ცრემლები რუს პირად, ავთანდილის სიმღერა მულღაზანზარის ველზე, დანტეს დაუსრულებელი ხეტიალი, შექსპირის გრანდიოზული ოცნებები ჩვენი სულის მარადიული სევდიანობის სახეებია.

სამყაროს თვალგადაუნვდენელ სივრცეში წუთისოფლის წარმავლობის შეცნაურება პოეზიას აერთებს ფილოსოფიასთან: საღამოს ჟამს, როდესაც სული ჩვენი ითვალისწინებს და კიდევაც გრძნობს სიცოცხლის არარაობას, როდესაც ჩვენში იღვიძებს მარადობის წყურვილი და ჩვენ ვეტრფით დაუსრულებლობის სიჩუმეს, როგორც შეყვარებულნი, ჩვენს აზროვნებაში ცხოვრების შინაარსი ღვთაებრივი სევდის შეგრძნობაში გადადის. მაშინ ადამიანი გრძნობს ერთსა და იმავე დროს წარმავლობის სიმწარეს და მარადობის სიყვარულს. რა თქმა უნდა, ყველა ამას ვერ გრძნობს, მაგრამ დიდი პოეტები და მეცნიერები, მოღვაწეები და პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები და მორალისტები აქ ერთდებიან. ცხოვრების სახეების სიმშვენიერე და ამ სიმშვენიერის წარმავლობა – ხრწნადობის იდეა ადამიანის სულიერ მღელვარებაში ერთად ისახება.

მართალია რუსთაველი, როდესაც ამბობს: შაირობა სიბძნისაა ერთი დარგიო. მართლაც, შეუძლებელია პოეტობა თუ არ არის ერთგვარი სულიერი და შემოქმედებითი სილაღე, ერთგვარი ესთეტიკურ-ეროტიკული სისავსე შეგრძნობა-შეცნაურების სფეროში.

პოეზია მეტყველების უმშვენიერესი სახეა და, რაც უნდა წყობილი იყოს გარეგნობა, შინაარსის სიდიადე მაინც აუცილებელია: შინაარსი აძლევს ფორმას დინამიკურ ხასიათს, ფორმის სახეობა შინაარსის სიმკვეთრეზეა დამყარებული. **ფორმა მხოლოდ ტექნიკური და მატერიალური მხარეა შემოქმედებისა; შინაგანი, სულიერი მხარე აზრია, ის აზრი, რომელიც აძლევს სახეს მთელს ცივილიზაციას კაცობრიობისას, მთელს დაუსრულებელს მიმდინარეობას და ცვალებადობას ისტორიისას, საერთო შემოქმედებისას. ფორმის პატივისცემა და აზრის უარყოფა სულისა და სულიერობის უარყოფაა:**

– ეს ერთგვარი სილატაკვა.

გოეთე „ფაუსტში“ ამბობს: „როდესაც

ადამიანს თავში აზრი აკლია, საგანგებოდ გამონახული სიტყვებით ცდილობს თავისი უაზრობა დაფაროს“. **საქმე ისაა, რომ ხშირად თავში აზრი აკლია არა მარტო ცალკე ადამიანს, არამედ მთელს საზოგადოებასა და ეპოქას. ამ დროს უაზრო თავებში იბადება სიტყვებისადმი უსაზღვრო „პატივისცემა“; იწყება თავხედური, უზნეო და უზრდელური გამოსვლები აზრისა, ლოგიკისა და წარსულის სანინაღმდეგოდ. ქუჩური ხასიათი ეძლევა საზოგადოებისა და ერის ესთეტიკას: ლანძღვენ და აგინებენ ავტორიტეტებს, ებრძვიან ტრადიციას, საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული ცხოვრებისა და ისტორიის ფორმებს, სახეებს. ეს არის დრო ისტორიული და კულტურული დეგენერაციისა, რომელიც ამახინჯებს ცივილიზაციას.**

ტრადიციისა და ისტორიის უარყოფა ჩვენ კიდევ გვესმის იქ, სადაც ერი კარგად იცნობს თავის ტრადიციას და ისტორიას: იტალიაში წარსულის უარყოფა იყო ერთგვარი ისტორიოლოგიური ანარქიზმი, ეს იყო ერთგვარი ბუნტი, ერთგვარი აჯანყება წარსულის შეგრძნობილი გრანდიოზობის წინააღმდეგ. **საქართველოში ქართველი უარყოფს იმ წარსულს, რომლის შესახებ მას არა აქვს არავითარი წარმოდგენა. საქართველოში ქართველი ამბობს, მე წარსული მეზიზღებაო და თან არც კი იცის, რა ეზიზღება მას.**

სურვილი შემოქმედების „ახალი“ ფორმის შემოღებისა საქართველოში იმ დროს, როდესაც ჩვენ არა გვაქვს შესწავლილი კლასიკური ფორმები ჩვენი ეროვნული სულიერი მიმდინარეობისა, მიუღებელია თავისთავად: **ილია ჭავჭავაძე რა მწერალია – ამბობს ქართველი ინტელიგენტი და თან არც კი იცის, რა დანერა ილია ჭავჭავაძემ, თითქოს აქ მართლდება პარადოქსი ოსკარ უაილდისა: კლასიკოსი ისეთი მწერალია, – ამბობს უაილდი, – რომელზეც ყველა ლაპარაკობს და რომლის ნაწარმებს აღარავინ კითხულობსო.**

საზოგადო, საკაცობრიო თვალთახედვითაც მიუღებელია წარსულის უარყოფა

და მარტო წარმავალი ფორმის პატივისცემა: რა არის ის, რაც ჩვენ გვხიბლავს დანტესა და გოეთეს ნაწარმებში – ფორმა თუ იდეა? რას აქვს ამ ნაწარმებში მაღალი, ზოგადი, საკაცობრიო ღირებულება – ფორმას თუ იდეას? ფორმა დანტეს ნაწარმების – ჩვეულებრივი იტალიური ტერციები დღეს ვერავის ხიბლავს. მშრალი, დიდაქტიკური წყობა სიტყვებისა, ცივი, ერთსახიანი თხრობა ამბისა მოკლებულია ესთეტიკურ მიმზიდველობას. დღეს ევროპელი ინტელიგენტი დანტეს პოემაში გრძნობს საშუალო საუკუნეების თვითმპყრობელ კათოლიკობას; წარსული მკითხველის ოცნებაში იღებს სხეულებრივ სახეს და თანდათანობით იშლება სიმბოლურად რელიგიურ-ესთეტიკური ჭვრეტის დაუსრულებლობაში, აქ ლაპარაკობს იდეა, აზრი, აქ არის განცდა კოლოსალური ნებისყოფისა და არა უშნო პრანჭიაობა აკრობატისა და ჟონგლიორისა.


ფაუსტის ტრაგედია კაცობრიობის სულიერი განცდის ეპოპეაა: ფორმა, ლექსთა წყობა, ტექნიკური დრამატიზაცია ამ საკაცობრიო ტრაგედიისა კი არ იზიდავს ჩვენს ყურადღებას, არამედ მაძიებელი სულის ტრაგედიული განცდის სიდიადე; რომელ ენაზეც უნდა წაიკითხოთ, ლექსად იქნება თუ პროზით, სულ ერთია, „არსებობის ტალღებში“, „მოქმედებათა ქარიშხალში“ ადამიანის სულის მღელვარებაა აზარმაცი ჩვენი სიმპათიისა და ყურადღების, ჩვენი აღტაცებისა და ღრმა პატივისცემის.

**საზოგადოდ, საკაცობრიო ღირებულებას შემოქმედებას აძლევს ყოველთვის აზრი – იდეა, ლოგოსი, ფორმა შემოქმედებისა ყოველთვის დროულია, იგი, ასე ვთქვათ, ბრბოს გემოვნებაზეა დამყარებული; მხოლოდ აზრი არის გამომხატველი იმ ღვთაებრივი სევდისა, რომელიც ისახება მარადობისადმი ტრფიალებაში და რომელსაც აქვს რელიგიურ-ესთეტიკური ღირებულება ამ უსწორმასწორო წუთისოფელში.**

ის, ვინც ვერ გრძნობს მარადობისადმი ტრფიალებას; ის, ვინც კმაყოფილია

თავისი სიტყვებით; ის, ვისაც სჯერა, რომ ცხოვრების დაუსრულებლობის გამოსახვა შეიძლება განსაზღვრულ ფორმულაში, სულით ღარიბია და ვერასოდეს ვერ ეტყვის ვერც თავის ერს და ვერც კაცობრიობას ახალსა და უჩვეულო სიტყვას.

ახალ სიტყვას უნდა ძლიერი განცდა: მარგალიტებს ისვრის მხოლოდ ატალღებული ზღვა. ვისაც უნდა გამოსახოს ლამაზი ფორმა, უნდა ატაროს თავის სულში განცდათა ქაოსი.



## ბალათაი ახაბუცი



### ქსნის ხეობაში

ქსნის ხეობაში ხავსად ჩაფენილ  
და ჩამოჩქერილ ნისლთა სურნელით  
როცა სავსეა სუყველაფერი,  
შენს შესახვედრად მოვეშურები...  
ო, ზეციერის ნილხვედრო, ქართლო,  
ფრთამოტეხილი შენ ხარ ფენიქსი  
და გულში დაჭრილს ახლაც შენ გმადლობ  
ჩემი წარსულის გადარჩენისთვის...  
დღეს სევდიანი შუქით ივსები,  
უსპეტაკესი ცათა ფერივით,  
და დროშებია შენი ნისლები  
კვლავ საბრძოლველად გადმოფენილი...

### ღაბრუნება

თოვლის ცრემლებით ტიროდა მარტი,  
გაბეზრებული ქარებით ცივით  
და ღრუბელივით დაბინდულ შატილს  
კოშკებში ეჯდა ვარსკვლავთა სხივი...

ჩვენ კი ვიდექით, ვით შორეული  
და შეუცნობი ქვეყნის მგზავრები,  
მონუსხულები მისი სხეულით  
და დარეკილი მწუხრის ზარებით...

ჩვენი ცხოვრებით, იმედით, დარდით  
იმ კოშკებისთვის ვიყავით უცხო;  
თოვლის ცრემლებით ტიროდა მარტი  
და მთვარესავით ელავდა მუცო.

## ბოროლას მთაო

ბოროლას მთაო,  
შენკენ ვილტვი ხელის ცეცებით,  
მოვდივარ და სლიპ ყინულებზე  
ვდგები, ვეცემი...

რომ მოგიჩრდილეს მაღალ შუბლზე ნისლი ქარებმა,  
ვერც ბოროტება, ვერც ლალატი ვერ გეკარება...

დგახარ უბინოდ  
ცათა მკვიდრი, ცათა მპყრობელი,  
განრიდებული ლირნს და ტალახს ამა სოფელის...

ჩამჭიდე ხელი  
და მახილე შენი საუფლო,  
ჩემს სატკივარზე და ნუხილზე რომ გესაუბრო!

## თალას ციხე

... კვლავ ხავსისფერი ელო ხახაბოს –  
ხევებს, მწვერვალებს, ტყეებს, ტყისპირებს,  
სად ხეობიდან, როგორც ხობები,  
ციხე-კოშკები ამოგვიფრინდნენ...

არც მეციხოვნე, აღარც ამგები,  
მხოლოდლა ქარის მოთქმა ისმოდა  
და კლდეზე თალას ციხის ნანგრევი  
მოჩანდა, როგორც მარადისობა...

## ხევისურეთი

... ტყის ფოთლებზელა სუნთქავდა წვიმა,  
ტბებივით ჩანდნენ სახლის ბანები  
და ფერმკრთალ ზეცის იდუმალ ბრწყინვას  
ვუმზერდით შიშით და მწუხარებით...

იქ შორეული ღრუბლის ჩანჩქერი  
კვლავ მოგვიხმობდა ელვიან მზერით;  
მოკვდავი იყო სხვა დანარჩენი:  
ეზოც და კარიც,  
ფუძეც და ჭერიც,



შუბიც და მშვილდიც,  
ხმალიც და ფარიც  
და უცნობ გმირთა გულის ძახილიც;  
დაშლივინობდა ჭერხოში ქარი  
მოშიებული სოფლის ძაღლივით...

## წუხილი: დაცლილი სოფელი

უკვე ჩამქრალა სიცოცხლის სხივი,  
დახავსებულა ქვეები სამარის  
და, მონატრული ღობეზე ყივილს,  
მაღალ შამბნარში ყივის მამალი...

ალარც არვე და ალარც ნახირი,  
ალარც რაიმე ხმის ნატამალი  
და დაღეული სოფლის სახელით  
კვლავ ერთადერთი ყივის მამალი.



თქვენ ვერ გაიგებთ ამ მწარე ტკივილს,  
რაც დამიტოვეთ,  
ვერც დაფლეთილი გულის ფეთქვას –  
დარდსა და ნაღველს,  
ვერც დაკარგული სიყვარულის უსაზღვრო სევდას,  
ვიდრე ამგვარი ნაღვერდლებით  
გულს არ აივსებთ...

## მუცო

გადაიარეს მთებზე ქარებმა  
და დააფეთეს მძინარე ღამე,  
სად აკლდამების დგას მდუმარება  
და აწევს სევდა ღამის აკლდამებს...

დაშვებულია ძირს ნისლის კალთა,  
თვალი კრთის ბნელში ეშმა-უფერის  
და მუცო მოჩანს ცის გასაყართან,  
ამაღლებული, როგორც ღრუბელი...

და თავზე გვადგას სივრცე მაღალი,  
ავსებს დუმილი ზეციურ თალებს,  
მხოლოდ არღუნი, როგორც არღანი,  
ამ დახავსებულ სიჩუმეს ამღვრევს...

...

გადაიარეს მთებზე ქარებმა  
და დააფეთეს მძინარე ღამე,  
სად აკლდამების დგას მდუმარება  
და აწევს სევდა ღამის აკლდამებს...

## ახლობლებს

(ეს არც სიცოცხლის ტრფიალია,  
არც ახირება!)  
ვერ ჩამოვყევი სულეთის გზას თქვენ სახილველად...

რომ კვლავ მენახეთ სიცოცხლისგან შერისხულები,  
ვერ შემოვბედე შავ შესასვლელს –  
შარას სულეთის...

ვერ ჩამოვყევი ბნელ მოაჯირს –  
შავად შეღებილს,  
კუპრის მდინარის შრიალებზე სადაც მხეფები...

ვერ გამოვიხმე გაღმა მხრიდან ნავი ქარონის,  
ჰადესის ბჭენიც ვერ ვიხილე ავსაქარონი...

...

(ეს არც სიცოცხლის ტრფიალია,  
არც ახირება!)  
ვერ ჩამოვყევი სულეთის გზას თქვენ სახილველად...

●

იყავი ბრძენი, ჩემო ტკივილო,  
და უფრო მშვიდად გეჭიროს თავი,  
უკვე ჩავლილზე არ იჩივილო  
ანდა შენს ბედზე არ დაგცდეს ავი...

შენ სხვა ნალველიც, ალბათ, გექნება  
და სიხარულის ჟამიც – უცვლელი!  
დღეები – სავსე მხოლოდ ეკლებით,  
დღეები – სავსე ვარდის ფურცლებით...

ხელის მოცარვის გელის დილეგიც  
და შთაგონების წამიც – ფერადი!  
დღეები – სავსე მხოლოდ ჩრდილებით,  
დღეები – სავსე სხივთა კელაპტრით...

...

იყავი ბრძენი, ჩემო ტკივილო,  
და უფრო მშვიდად გეჭიროს თავი,  
უკვე ჩავლილზე არ იჩივილო  
ანდა შენს ბედზე არ დაგცდეს ავი...



ვინ გაგიყვანათ, მინდვრებო, ქარში?  
ვინ დაგათოვათ თრთვილის ქვირითი?  
შემოდით ჩემთან, ლოგინს გაგიშლით  
გაზაფხულამდე ტკბილი ძილისთვის...

თქვენაც, ხეებო, რომ განევთ სევდა  
და სუსტი ტანი გიჩანთ შიშველი,  
შემოდით ჩემთან, შემოდით ჩემთან,  
ყველას უკლებლივ გეპატიჟებით!



ო, შადრევანო, რას შეგადარო,  
შენ – სევდიანი ბალების მკვიდრო...  
ოდეს ციური გერქვა ავდარი,  
უკვე წასულა ის ჟამი, ის დრო...

დღეს კი გედივით ყელანეული  
და მონკრიალე, როგორც ეფვანი,  
დგახარ და მზეზე გითრთის სხეული –  
სავსე ნუხილით და კაემანით...

## თაიას

*ჩემს შვილიშვილს*

... უფლის მოვლინებულო  
 ყვავილად, თაიგულად,  
 პატარა ქალბატონო,  
 თაია-თაიკუნა...  
 ჩემო დიდო იმედო,  
 სიცოცხლევ და ნათელო,  
 თითქოს შენი ღიმილით  
 გაბრწყინდა საქართველო...

თითქოს შენტვის მოირთო  
 ზეცაც ლამაზ ფერებად,  
 შენ ხარ მარადიული  
 ჩემი ბედნიერება...

შენი თავი უფალმა  
 უბეში დაიგულა,  
 პატარა ანგელოზო,  
 თაია-თაიკუნა!..



აყვავებული ტყემლების ნისლო –  
 საგაზაფხულო დედოფალო ამ ველ-მინდვრების,  
 საცდუნებულად რად მიხმობ ისევ,  
 ან ქალწულებრივ რისთვის ირთვები?..

ოდეს კვლავ გახსოვს უკვე ჩავლილი –  
 გაბრუებული მზისგან ალერსით –  
 ქარს გაყოლილი შენი ყვავილი,  
 შენი განძარცვა შესაბრალისი...



ვინ რთავს ამ ღამეს ვარსკვლავებით  
 ან ვინ რთავს მთვარით?  
 რომ ყველას ცისკენ გაგვირბის თვალი...

ვინ აფერადებს ამ სივრცეებს ფერით უღვევით  
 ანდა ზეცისკენ რად ილტვიან ჩვენი სულები?..

იქ ვინ მიგველის? ვინ მოგვიხმობს?  
 ან რა გვიზიდავს?  
 რად გვეჩქარება დაღლილ მგზავრებს  
 გასვლა მიწიდან?..  
 ...  
 ვინ რთავს ამ ღამეს ვარსკვლავებით  
 ან ვინ რთავს მთვარით?  
 რომ ყველას ცისკენ გაგვირბის თვალი...



კვლავ გავეჩქევი დღეებს უნათლესს,  
 ავსილს ამქვეყნის ჯგლეთით, ხმაურით,  
 და ბნელ ღამეებს მივაყურადებ,  
 სად ხმები მესმის არაქაური...

იქ, იმ უხილავ სამყაროს მიღმა,  
 როს ვარსკვლავები კრთიან წვეთებად  
 სხივის კიბეზე მილოდავს ვილაც  
 და აღსავლისკენ მიეხეტება...

თან მიაქვს სული, როგორც სასჯელი,  
 სული, რომელიც მტვერში ახვეტა,  
 და აღებს მთვარეს – ზეცის ფანჯარას,  
 სხვა სივრცეებში გადასახედად...

## გემი ბერძულის სამკუთხედში

ტალღების შრეზე შრიალებს ბინდი  
 და ქარში გემი ირწევა კენტად,  
 ამ ყიამეთში საითკენ მიდის?  
 ანდა ღამიდან ვის უხმობს, ნეტავ?

ცა კი კრიალებს, როგორც ყინული,  
 სავსე სხივების ცივი სავსავით,  
 გზააბნეული და განწირული  
 მიემართება, მიდის დასავლით...

არგაგონილი ზათქით, ხმაურით  
 ზღვამ იგუგუნა და იწიაქა,  
 არც მგზავრი ვინმე, არც მეზღვაური,  
 ყველანი შთანთქა ბნელმა წიაღმა...

და გემბანს შავი ჩრდილი ებურვის,  
 სადღაც შორიდან ისმის ზარის ხმა, –  
 ის, დაცლილი და მიტოვებული,  
 დასალუპავად მისდევს ქარიშხალს!..

### სად მიხვალ, ქარო...

სად მიხვალ, ქარო,  
 ამ ნისლიან მთების გადავლით?  
 საითკენ გიხმობს ელვის შოლტით ღამის ავდარი?

იქ ვინ მიგელის, იმ შორეულ ცაათა გადაღმა?  
 ან ვინ დაგხვდება, იმ სივრცეში როცა გადახვალ?..

სად თოვლიანი მწვერვალები წამომართულან,  
 ვინ გელოდება?  
 ვინ გაგიშლის ბინდის სასთუმალს?

ან სად ტრამალთა იდუმალი ელავს სინათლე,  
 ვინ შეგიფარებს უკვე დაღლილს?  
 ვინ მოგინატრებს?..

ვინ დაგიაძებს სულს და სხეულს, ქვებზე  
 დაფლეთილს?  
 თქვი, ვის მოუხმობ მაგ ბუკებით და დაფდაფებით?..

...

სად მიხვალ, ქარო,  
 ამ ნისლიან მთების გადავლით?  
 საითკენ გიხმობს ელვის შოლტით ღამის ავდარი?..

### ქარის ქარიზმა

ფოთლების შრიალს  
 კვლავ მოაქვს ქარის ხმა,  
 ქარის ხმა – ქარის ღამაში ქარიზმა...

ქარი ქარია და  
 არ იცვლის ქარი ზნეს,  
 არა სდევს ჟამთასვლას  
 და უცხო ქარიზმებს...

და კვლავ ქრის  
ქარი ხმელეთის და ქარი ზღვის,  
ის – მარად ერთგული  
საკუთარ ქარიზმის...

...  
ფოთლების შრიალს  
კვლავ მოაქვს ქარის ხმა,  
ქარის ხმა – ქარის ლამაზი ქარიზმა...

## პარსკვლავები

*მეგობრის ხსოვნას*

*მოვა სიკვდილი უჩინო,  
ერთ ნამში აგვყრის იარაღს...*

**ხალხური**

...ვტოვებთ სხეულებს და თანდათან... ჩვენც ცისკენ ვიხვეთ,  
სადაც გველიან სივრცეები შავი ფერებით  
და სადაც ზეცას, ლურჯ სხივებით ნაშენებ ციხეს,  
აბჯარაყრილნი სამუდამოდ შევეფარებით...

ჩვენ იქ ვიცხოვრებთ, იმ ციერში უხმლოდ, უფაროდ,  
სადაც არავინ აღარ დრტვინავს, აღარ ხმაურობს,  
ყოველ საღამოს ჩამოგვივლის ჩვენი უფალი  
და ვარსკვლავებზე გაგვიძღვება სამოგზაუროდ...

დავანთებთ მთვარეს ღამისა და დღის გასაყარზე,  
მოვრთავთ ცისქვეშეთს იდუმალი შუქის ჩქერებით  
და ამ სანუთროს, ამ ცოდვებით ავსილ სამყაროს  
ჩვენ მოციმციმე ვარსკვლავებად მოვეჩვენებით...

## ბანშორება

*დათა გულუას*

...შენთვის ჯერ კიდევ შორია ცამდე  
და გამგზავრება გადადე, გიჯობს;  
გემუდარები, ჯერ არ აჩქარდე,  
დაბრძენებულო პატარა ბიჭო...

შავად მოსილი ჩანს ნარიყალა,  
შესუდრულია კოჯრის ქედებიც;  
სადაც გასურს, ნადი, ოლონდ იქ არა –  
მაგ მგზავრობისთვის არ მემეტები...

სხვა სამყაროსთვის ვერაფრით ვერ გთმობ  
და განშორება ძალიან მიჭირს;  
შენ დაიფარე, მაღალო ღმერთო,  
ცის კიბეებზე შემდგარი ბიჭი...

## რიკლიდან „ეტიუდები“

●  
ჩვენ კვლავ ვბრუნდებით ღამის დერეფნით  
ქალაქში, სადაც მკრთალად დაფენილ  
სინათლეს ისევ მოუჩანს ტერფი  
და მდუმარეა სუყველაფერი...

სდუმან ვარდები და ზამბახები,  
სადაც მოუცავს ღამე იდუმალ  
დუმილს და სდუმან ირგვლივ სახლები  
და ჩათვლემილი ქუჩებიც სდუმან...

და ჩვენ ვბრუნდებით – თითქოს უხილავ,  
ჯერაც გაუვალ გზებით ვბრუნდებით  
და უძოს თავზე უცხო წუხილად  
ჩამოძენილი ჩანან ღრუბლები...

## ქართლი

ნისლის ბურუსის მკრთალ სამოსელით  
და მოხასხასე ციურ ფერივით  
ჩანან მინდვრები – ქართლის დროშები,  
დასასვენებლად ძირს დაფენილი...

ირწევა მტკვარი და მთათა გასწვრივ  
გადაჭიმულა, ვით სხივი მთვარის,  
ანვიმს მთების ჩრდილს  
და მტკვარსაც ანვიმს,  
მთვარის სხივივით ცახცახებს მტკვარი...


შორს ფრინველივით ისვენებს ჯვარი,  
გარემოცული ნისლით და ქარით,  
და ცაზე წვიმით ამღვრეულ ღრუბელს  
უელავს ელვის კლაკნილი ბზარი...

...

ნისლის ბურუსის მკრთალ სამოსელით  
და მოხასხასე ციურ ფერივით  
ჩანან მინდვრები – ქართლის დროშები,  
დასასვენებლად ძირს დაფენილი...



# მუხმან ჯბუბუხია



## ცოლ-ჭმარი იყვნენ, პინიტოზა... ღუბი ან ძმები

### მოთხრობა

●  
სოფელი ჯუმი. მეგრული ეზო-კარი. ფიცრული ოდა, დაბალ ბოკონებზე შემოდგმული. სამზადი. ჭა. ონინარი. ეზოს შემოვლებული ტრიფოლიატის ლობე. ჭიშკარი. ჭიშკართან იქით-აქეთ, ორი ძირი მსხლის ხე – ერთნაირი. ერთი ასაკისანი. ხეები ისე დგანან, სანახევროდ ეზოს რომ ეკუთვნიან და სანახევროდ – შოკას.

ანუ, მათი ნაყოფის ნახევარი ოჯახზე მოდის, სხვა ნახევარი – გამვლელ-გამომვლელეებზე.

ოქტომბრის პირველი რიცხვებია, წყლიან მსხლებს აქა-იქ შემორჩენილ ნაყოფი. წყლიანი მსხალი (წყარამ სხული) ადრე მწიფდება. ოდნავ მოგრძო ნაყოფი გამოაქვს. ადრევე იცის ჩაყვითლება-ჩაგუნდავება. წყარამი სხული იმითომ ეწოდება, რომ,



ჩაკბერ თუ არა, პირი გემრიელი წვენიტ გევესება.

მრავალნაირი მსხალი ხარობს დარანდიების ეზო-კარში, მაქირე მსხალი სხვა ჯიშის მსხალზე ადრე შემოდის. ყველას ასწრებს დამწიფებას. მაქირე მსხალს მოჰყვება წყლიანი მსხალი, წყლიან მსხალს – საზამთრო მსხალი, რაც ყველაზე გვიან მწიფდება. და ყველა სხვა ჯიშის მსხალზე გემრიელია. მაქირე მსხალი ყმანვილია, სწრაფია; წყლიანი მსხალი არც ნამეტანი სწრაფია და არც ნამეტანი ნელი; საზამთრო მსხალი დინჯია და ფიქრიანი, არსად არ ეჩქარება, ავდრის არ ეშინია. ადამიანებზე რომ გადმოვიტანოთ, მაქირე მსხალი მიხა დარანდია იქნება, წყლიანი მსხალი – ალე დარანდია, საზამთრო მსხალი კი სვიმო დარანდია, მათი ასაკისა და ზნე-ხასიათიდან გამომდინარე.

●  
ლუცა დარანდია: ცოდოა, სვიმო, ასეთი ტაროსის გაშვება, ბარემ დაგვეწყოს ამ სამზადის შეკეთება.

სვიმო დარანდია: დალპა ეს ჯარგვალღი, ახალი უნდა წამოვდგათ.

ლუცა: რუსეთის იმედი წყლის ნაყვანა, როგორც ამბობენ და მეტი არაფერი. ქალღლის კომბინატი ციმბირიდან ხე-ტყეს არ იღებს. ცალხაზიანი რვეული უნდა შეეძინა ნუნუს ბავშვისთვის, მაგრამ ვერ იშოვა.

სვიმო: კაცების საქმეში ჩარევას, გირჩენია, ბოსტანს მიხედო.

ლუცა: უი, ნანა, გამიჩანაგეს ბოსტანი ფენიას ქათმებმა...

●  
ჯარგვალში (სამზადში) შუაღვეცხლი ანთია, ლარჭაზე ღომის ქვაბი ჰკიდია. კოტოს ლობიო ცეცხლთან მიუფიცხებიათ; დარანდიების რძალი ჯარგვალში ფუსფუსებს. სვიმო და ლუცა სამზადის წინ ხის გრძელ ფიცარზე სხედან.

ლუცა: ალე იძახის, აგურის შოვნა არ გაგვიჭირდებაო.

სვიმო: ვიშოვით, გუშინ გაუვლია ალეს აგურის ქარხანაში, მაგრამ დირექტორი არ დახვედრია... ახლაც, მგონი, იქაა ნასული.

●  
ზუგდიდის განაპირა ადგილი. სოფელი ჭითანყარი. აგურის ქარხნის შენობა. ოთხი თუ ხუთი ოთახი. ერთ-ერთ ოთახს აწერია: დირექტორი. ალე დარანდია დირექტორის კაბინეტის მოსაცდელში ქარხნის მუშებს ელაპარაკება.

ქარხნის მუშა: მოვა, აბა, არ მოვა? რა დღეა ახლა?

ალე: ობიშხა.

ქარხნის მუშა: ჰოდა, იმას გეუბნები, ქორწილში ყოფილა ნუხელ ჩვენი დირექტორი. გუშინაც ხომ იყავი შენ აქ? მოვა უეჭველად, ასეა ეს. „დათა თუთაშხია“ ხომ გაქვს ნაკითხული?

ალე: „დათა თუთაშხია“ ვის არა აქვს ნაკითხული.

ქარხნის მუშა: მოვა, ასეა ეს, როგორც გეუბნები. ისე, დრო გვაქვს და, მუშნი ზარანდია გინდოდა ყოფილიყავი, წიგნს რომ კითხულობდი თუ დათა თუთაშხია?

ალე: არც ერთი მათგანი არ მინდა ვიყო. აგური მინდა, ხომ გითხარი, ჯარგვალღი დაგვილპა და აგურის სამზადი უნდა წამოვდგა.

ქარხნის მუშა: ძვირი დაგიჯდება მაგი.

ალე: სხვა რა გზა მაქვს, ხე-ტყე არ იშოვება.

ქარხნის მუშა: ქალღლის კომბინატი თითქმის გაუქმებულიაო. რაც ეს ახალი მთავრობა დავისვით თავზე, ერთიმეორის მიყოლებით უქმდება და ქრება ფაბრიკა-ქარხნები და საწარმოები.

ალე: ვიცი, რაც ხდება. ციმბირიდან ხე-ტყე არ ჩამოდის. რუსეთი გაგვინაწყენდა.

ქარხნის მუშა: ვისი ბრალია მაგი?

ალე: მაგი რომ ვიცოდე, ონარიის ტაფობში ხომ არ დავიღვრებოდი ოფლად.

ქარხნის მუშა: სად მიაქვთ ამდენი ტორფი. მგონი, გეშველა და ეგ არის – აგერ, დირექტორიც გამოჩნდა... კარგა ხანია, ეს კაცი რომ გელოდებათ, პატენი.

დირექტორმა ჯიბეები მოიჩხრიკა, გასაღები მოიმარჯვა და მუშას მოუბრუნდა: ვენერა სად არის?

ქარხნის მუშა: ნავიდა ვენერა, პატენი, ალბათ, იფიქრა, რომ შეგაგვიანდებოდათ.

დირექტორმა კაბინეტის კარი გააღო.

დირექტორი: მოდი, აბა, შენ, დავილაპარაკოთ.

ალე დარანდიას არ მოეწონა დირექტორის ნათქვამი ეს შინაურული „დავილაპარაკოთ“, რაზედაც რაღაც საკუთარი ჯიბის შესახებაც გაიფიქრა. კუთხეში მიდგა. დირექტორი წინ გაუშვა და მალე მაგიდას მიუსხდნენ.

ალე: დაგვილპა ჩვენი ცხონებული პეპის-პეპის აშენებული ჯარგვალი. მაშინ ხე-ტყე იშოვებოდა, მაგრამ ჯარ-

გვალი ყვავი ხომ არაა, სამას წელიწადს რომ გასძლოს – ლპობა შეეპარა, ჩრჩილი ჭამს. შუაცეცხლი რომ გვინთია და კერი-ას ვუზივართ, ხელისგულივით ჩანს ღრი-ჭოებიდან, ვინ ვართ და რამდენი ვართ და რას ვაკეთებთ. ასეა, დათასი არ იყოს.

დირექტორი: არ ეყურებათ აშენებუ-ლებს. რა გინდა ახლა შენ, ოქროს ზოდე-ბი მე არ გამაჩნია, აგური გენდომება და თქვი, რამდენი გჭირდება?

ალე: რამდენი დამჭირდება, ალბათ, ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, პატენი.

დირექტორი: ასე არ გამოვა, დაუჯექი ეგერ ჩემს საქონელმცოდნეს, იანგარი-შეთ, რამდენი დამჭირდება და მერე ვი-ლაპარაკოთ.

ისევ არ დაუჯდა ჭკუაში ალეს დი-რექტორის ეს „ვილაპარაკოთ“, მაგრამ თქმით ასე თქვა:

ალე: ვიანგარიშებთ, პატენი, მაგრამ შენი იმედით ვიქნები, ჩემს გარდა ახლა ოჯახს მარჩენალი არ მოეპოვება. მა-მა და ყანის მოვლას ვერ აუდის, მეც-ხრე ათეულშია გადამდგარი; დედა და ბოსტანი და მისი ჯანი; ბიჭი გვეზრდე-ბა, მაგრამ ჯერ ბალანაა, მეთორმეტეში გადადგა მიხა. ფასი კი ვიცი მე, მაგრამ შელავათი უნდა გამიწიო.

დირექტორი: შელავათს გაგინევ, არ დაგამადლი. საგანგებოდ გამომწვარ აგ-ურს გაგატან. ფასის დადგენა კი მე არ მეხება. სახელმწიფოს ხელშია. უჭირს სახელმწიფოს. მოკლე ხანში, შეიძლება, ეს ქარხანა სულაც დაიხუროს. რაკი გა-დაგინყვეტია, საქმეს ნუ გააჯანჯლებ. ხვალვე მოაყენე მანქანა და ჰაიდა.

დირექტორი წამოდგა, ესე იგი, საუ-ბარი დამთავრებულიაო და ალეს ხელი გაუწოდა.



საქონელმცოდნეს სამუშაო ოთახ-ში, ბუღალტრის თანამდებობასაც რომ ითავსებდა, ალემ მეტი ხანი დაჰყო, ვიდ-რე დირექტორის კაბინეტში.

საქონელმცოდნე: სატვირთო მანქანა

დაიტევს, დიდი სატვირთო, „მაზი“, ერ-თი გზობა დაგჭირდებათ, მეტი არა, ამა-ზე მეტი რა ვიცი მე. დავბერდი ქალი ამ ქარხანაში.

ალე: რა დროის თქვენი დაბერებაა, მშვენივრად გამოიყურებით.

საქონელმცოდნე: ვიშო, ვიშო...

ალემ ციფრებითა და რიცხვებით და-სერილი ქალადი გამოართვა ბუღალ-ტერს, ორად გაკეცა, ეცოტავა, კიდევ გაკეცა ორად და გულის ჯიბეში ჩაიდო. ქარხნის ეზოდან გამოვიდა და ქვეითად დაუყვა შინისაკენ მიმავალ გზას.



ალე თითქმის კარგა დაღამებულზე დაბრუნდა შინ.

ნუნუ: არ გისადილია. ახლავე ღომს გავაცხელებ.

ალე: მიხამ დაიძინა?

ნუნუ: ვახშამი მოითავა და ოდამო ავიდა. ალბათ, უკვე სძინავს ან წევს და წიგნს კითხულობს. ძალიან კი აინტერე-სებდა, რა ამბავს მოიტანდი აგურის ქარ-ხნიდან.

სვიმო: რა ქენი, ბოში, არ გვეტყვი?

ლუცა: აცალე სულის მოთქმა. პატარა საქმე კი არ არი აგურის შოვნა.

სვიმო: აგურის შოვნა ერთია, ახლა ისაა საკითხავი, ლევა სადანიას თუ ეც-ლება.

ნუნუ: იქნება, თავად ჩვენ მოგვეგ-ვარებინა ყველაფერი. რა ასეთი რთუ-ლი სახელსაქმოა, მამა-პატენი, აგურის აგურზე დანყობა. კალატოზი ქირას მო-ითხოვს. ესეც არ იყოს, ჭამა უნდა, პა-ტენი. და კიდევ სმა. ლევა სადანიას, როგორც გამიგონია, ნახევარი ლავინი ღვინოც ვერ ერევა.

სვიმო: კარგ მშრომელს კარგი ჭამა-სმა უნდა, ცხადია. ეს რა სალაპარაკოა. თქვი, ბოში, როგორ მორიგდით?

ალე: რა გითხრა, მამა, დირექტორს ველაპარაკე. მთელი დღე ველოდებოდი. გამოჩნდა, როგორც იქნა. საგანგებოდ გამომწვარ აგურს გაგატანო, დამპირდა.

ლუცა: რა ფასად, ნანა...

ალე: ფასზე შევთანხმდით. ვენერა ალანია მუშაობს იქ. საქონელმცოდნეც მაგია და ბულალტერიც. ათას სამასი ლარი გვიჯდება ამ სამზადის სამყოფი აგური.

ლუცა: დიდუ, დიდუ, საიდან უნდა გავისტუმროთ ასეთი თანხა?

ალე: რვაასი ლარი შენახული მაქვს, ასე არაა, ნუნუ?

ნუნუ: ასეა.

ლუცა: საზამთრო ტანისამოსია ბავშვისთვის შესაძენი. ზაფხული კი არ იქნება მუდამ. ან კიდევ ასეთი შემოდგომა. თანაც ახლა შედარებით იაფია საზამთრო ბარგის შეძენა.

სვიმო: დღეს რა უნდა ვიღონოთ, ისა ვთქვათ. სად გინდა, ბაბა, დანარჩენი თანხა იშოვო?

ალე: ტერე შონავას იმედი მაქვს. რატომღაც მგონია, უარს არ მეტყვის.

ლუცა: მევახშის უარი გამაღეა, ნანა. ჩემს მტერს საპროცენტო ვალი.

ნუნუ: ახია ჩვენზე, ბალშენიკების ლანძღვა-გინებას რომ გადაყვა მთელი სოფელი.

სვიმო: მთავრობას თავისი საქმე აქვს მოსაგვარებელი. რაიონის ცენტრში რომ მიტინგზე ითქვა, ვაცალოთო, ბატონო, ხომ შეიძლება, სიმართლეს მოიცავდეს.

ნუნუმ დაბალი ტაბაკი გაუნყო ქმარს: ღომი, ღობიო, ყველი, მჟავე, წინაკა და თიხის დოქიდან ფიალა ღვინით გაუვსო. და, ის იყო, ჯარგვალში მიხა შემოვიდა.

ნუნუ: ჩვენ გვეგონა, რომ გეძინა, დედა, სკოლაში რომ ხარ წასასვლელი, ხომ არ დაგავიწყდა?

მიხა: რამდენჯერ უნდა შეგეშალოს, დედა, ხვალე შაბათია.

სვიმო: მოდი, ბაბუ, აგერ ჩამომიჯექი. კაცია უკვე, აინტერესებს ოჯახის ამბავი.

მიხა: შენს ბაბუას რა ერქვა, ბაბუ?

სვიმო: ესტატე ერქვა, ბაბუ.

მიხა: ესტატეს ბაბუას რა ერქვა, ბაბუ?

სვიმო: კონდრატე ერქვა ცხონებულს.

მიხა: კონდრატესაც ხომ ეყოლებოდა ბაბუა?

სვიმო: ეყოლებოდა, აბა, არ ეყოლებოდა?

მიხა: და რა ერქვა კონდრატეს ბაბუას?

სვიმო: კონდრატეს ბაბუასაც ერქვა, აბა, არ ერქვა?

მიხა: კი ერქვა თავისი სახელი, მაგრამ რომ არ ვიცით?

ნუნუ: ღამის ბრალია, ალბათ.

ალე: რა არის ღამის ბრალი?

ნუნუ: ღამის ბრალია, ალბათ, ბავშვი რომ ასეთ შეკითხვებს იძლევა.

ოჯახის თავი თითებზე ანგარიშობდა რალაცას. დაილოცოს შენი სახელიო, ჩაილაპარაკა. მერე ადგა, ფარფარა ქუდი ხელში დაიჭირა და ჯარგვლიდან გავიდა. ბერიკაცს თავისი დედაბერი მიჰყვა. მოკლე ხანში კი, სამივენი: ალე, ნუნუ და მიხა ოდაში ავიდნენ.

მთვარე დანათის დარანდიების კარმიდამოს. შინაური მთვარე. მთვარიანში ჩანს ოდა-სახლი, სამზადი, ოწინარზე გამობმული თეთრი ვედრო. ეზოს ძალღი უყეფს ძალზე ახლო მოსულ მთვარეს, ქათქათა ღრუბლები რომ ახვევია. შინაური ვარსკვლავებით მოიჭიქა დარანდიების კარ-მიდამოზე წამომდგარი ცარგვალნი.

ალე და ნუნუ ლოგინში წვანან და ისმის მათი ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი.

ნუნუ: ათ პროცენტს იღებს ტერე შონავა. ათასი ლარი თუ მოგასესხა, ასი ლარი მისია.

ალე: ტელევიზორი აქვს ჩართული ბავშვს, არ გეყურება?

ნუნუ: ახლავე გამოვრთავ. მიხას უკვე ჩაეძინა.

ალე: ხუთას ლარზე ორმოცდაათი ლარი უწევს პროცენტი, მაგრამ არ ვიცი, ერთ თვეში როგორ უნდა გავისტუმროთ.

ნუნუ: ამიტომაც საპროცენტო ვალი წასაგებელი.

● დილის ხანია. მზე ჯერ კიდევ არაა ამონვერილი. ოჯახში ყველაზე ადრე სვიმო იღვიძებს. ოდის უკანა აივანზე გამოდის. ხის კიბეზე ჩავა, სამზადის კარს შეაღებს და ცეცხლს ანთებს. ცეცხლს კოტოს ლობიოს მიუფიცხებს, სამფეხაზე ღომის ნაჭრებს ალაგებს. ნაკვერჩხლებს მიუმარჯვებს. გააცხელებს, ისაუზმებს. ჯარგვლიდან გავა და სამზადის უკანა ორღობეს მიუყვება.

მოკლე ხანში ლუცა ჩამოდის ხის კიბეზე. ოდის წინა კიბე ქვისაა. სასტუმროა. ახალი დროის და გარემოს შესაბამისად.

იღვიძებს ნუნუ, ალე, მიხა.

მიხა საუზმობს და სკოლაში მიდის.

● ნუნუ: ტერე შონავა როდის უნდა ნახო?

ალე: დღეს უნდა შეეუარო. კარგი იყო, ჯაკუ შარაშია გამეფრთხილებინა ნუნულის. შოფერს რას გაუგებ, ვინ იცის, როდის მოიცლის საჩვენოდ.

ნუნუ: დღესვე უნდა შეეუარო, როცა შინ იქნება. შარაშია უარს არ გვეტყვის.

ალე: უარს არ გვეტყვის, მაგრამ პატივისცემა მაგასაც უნდა. „მაზის“ მოცდენა არ იქნება. ჯაკუ გვაცლის, როცა მექნება, მაშინ გავისტუმრებ. ჰა, დიდი-დიდი, 5 თუმანი მოგვთხოვოს.

ნასაუზმევზე ალე ეზოდან გადის, ქიშკართან შეხანდება. რატომღაც მსხლის ხეებს აკვირდება. გასისმარებულია ჯერ კიდევ მსხლის შტოები. ჯერაც ძილში არიან. არ ირხევინან. ფოთლები არ ფაჩუნობენ. ალე აღებს კუტიკარს, კოჭს მოატრიალებს, დაკეტავს და მიდის. ნუნუ და ლუცა (რძალ-დედამთილი) რალაცაზე საუბრობენ.

● ტერე შონავამ, შუახანს გადაცილებულმა კაფანდარა კაცმა, ალეს თხოვნაზე, როგორც სჩვეოდა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ამჯერად თავისუფალი თანხა

არ გამაჩნიაო. ვისაც ჩავასესხე, ვერ მიბრუნებსო. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ბოლო-ბოლო, ფული გამოაჩინა.

ტერე შონავა: ალე, გოლუა, აგერ ესაა ჩემი ქონება, ათასი ლარი შემომრჩა, ერთ კაცს დავპირდი და პირის ამბავი ხომ იცი შენ – შევუნახე, მოვუგროვე. საცაა უნდა გამოჩნდეს. მაგრამ, აგერ, შენი ამბავი რომ გავიგე, გადავწყვიტე, ის კაცი დავალალო, ოლონდაც, ალე, გოლუა, ამ თანხის გაყოფა არ იქნება. ათასი ლარია აქ. შენ ხუთასი გჭირდება. სხვა ხუთასი ლარი მე რაში გამომადგება, შემომეხარჯება, ხომ გამიგე. ამიტომ ეს თანხა მთლიანად უნდა გაგატანო. კი მითხარი, რომ ხუთასი ლარი გჭირდება და მეტი არა, მაგრამ ჩემიც ხომ უნდა გაიგო.

ასე-ამრიგად, ისესხა ალე დარანდამ ხუთასის ნაცვლად ათასი ლარი ტერე შონავასგან და დაემშვიდობა.

ტერე შონავა: არ დამიგვიანო, ალე, გოლუა, თორემ იმ კაცის სახელი გამივარდება, პროცენტის პროცენტს რომ იღებსო, ისეთი ხელმომწვარი და ხარბიაო.

● ალე დარანდია ონარიის ტაფობში მიმავალ გზას გაუყვა. გარიგებულ იყო ბრიგადირთან და დღიურ ჯამაგირს იღებდა. ანუ, 20 ლარს. დღეს თუ გამოტოვებდა, ჯამაგირი არ მიეცემოდა, ცხადია. რეზინის ჩექმები ეცვა, შავი კომბინეზონი ემოსა და ნიჩაბს ატრიალებდა. ოთხი რეისი, ოთხი გზობა უნდა ეღვარა ოფლი. ხოლო, თუ სატვირთო მანქანა რალაც შემთხვევის გამო სამი გზობის მეტს ვერ მოასწრებდა, ჯამაგირი უმცირდებოდა. ოცი ლარის ნაცვლად 15 ლარი გამოუდიოდა.

● ონარიის ტაფობიდან რომ დაბრუნდა, ალე დარანდიამ ხემსი გატეხა, ზეზეულად ივანშმა, ხელში მჭადის ნატეხი და ყველის ნაჭერი დაიჭირა და ჯაკუ შარაშიას სახლისკენ გაემართა. შარაშია დაახ-



ლოებით, ასე, ნახევარი ვერსის მანძილზე ესახლა. ახალი შეღამებული იყო, დარანდიამ რომ შარაშიას ეზოს კარი შეაღო. დიასახლისი გამოეგება.

ჯაკუს ცოლი: მობრძანდი, ალე-პატენი, ჯაკუ შინ არ არის, იგვიანებს.

ალე: ვხედავ, ქალბატონო ნინა. რაკი მანქანა ეზოში არ დგას, ჯაკუც არ იქნება-მეთქი, ვიფიქრე.

ნინა: მანქანას შინ მეტად ვერ აყენებს, აუკრძალეს. ეს ორი კვირაა, გარაჟში უდგას მანქანა.

ამ საუბარში ჯაკუ შარაშიაც გამოჩნდა. კაცები ერთმანეთს მიესალმნენ.

ალე: მანქანა მჭირდება, აგური უნდა გამოვიტანო ხვალე.

ჯაკუ: ესე იგი, უფროსობას უნდა შეუთანხმდე.

ალე: ამაგი არ დაგეკარგება, ჯიმა.

ჯაკუ: რაზეა საუბარი, მოგვარდება ეს საქმე. 9 საათზე გარაჟში ვიქნები. ნახევარ საათში კი ზეზე დამხვდი. მორჩა და გათავდა. უარი როდის მითქვამს. ახლა თითო ჭიქაც დავლიოთ და ის იქნება.

ალე: ჭიქა მაშინ ავაგსოთ, საქმეს რომ გავასრულებთ. ნავედი, აბა, მე. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ.



დღლით ჯაკუ შარაშიას გარაჟის შლაგბაუმთან დაანია დირექტორმა ახალგაზრდა ზეინკალი. ასანევად გამზადებული შლაგბაუმი ჩაირაზა.

ჯაკუ: ხომ არ დაყრუვდი, რომ გეძახი. გააღე კარი!

კარის დარაჯი: აგერ, დირექტორმა გამოგზავნა კაცი, შარაშიას ნუ გაატარებო.

„მაზი“ თუხთუხებს, შარაშიას კაბინიდან თავი აქვს გამოყოფილი და ხმამალლა ილანძღება.

ალე: გააღე-მეთქი, რომ გეუბნები.

კარის დარაჯი: მე რას მემართლები, ჯიმა, დირექტორი გეძახის, საქმეც მასთან გაარჩიე.

შარაშია მანქანიდან ჩამოხტა, ბლუზა-შარვალი გაიფერთხა, რატომღაც წიხლი

ჩასცხო „მაზის“ ვეებერთელა ბორბალს და დირექტორის კაბინეტისკენ გასწია. დირექტორის მოსაცდელში შარაშიას ნაცნობი მეგობარი შოფრები ირევიან. ზოგ მათგანს ხელში დღიური განრიგი უჭირავს. ზოგი განრიგს ელოდება. აქ ნაწილდება დღიური სამუშაო, ვინ რომელ უბანს უნდა მოემსახუროს.

დირექტორი: ჯაკუ შარაშია შემოვიდეს.

მდივანი გოგონა: ახლავე, ბატონო.

შარაშია შედის დირექტორის კაბინეტში, ქუდი ხელში უჭირავს და იცდის.

დირექტორი: ცემენტით დაზურგული ვაგონებია სადგურში ჩამომდგარი. ვიცი, გარაჟის გამგეს რომ მოელაპარაკე, მეც თანახმა ვიყავი, გითხარი. მაგრამ ეს ნუთია, ქალაქკომიდან დამირეკეს, რამდენიმე საათში უნდა დაიცალოს ვაგონები. ამხელა მანქანის გაცდენა არ იქნება. განრიგი გამონერილია.

ჯაკუ: არ მეგონა, თუ გამომაბრუნებდით.

დირექტორი: ქალაქკომს რა პასუხი გავცე. ახლა დაგვეხმარე და მერე მე ვიცი შენი პატივისცემა. შეიძლება, სულაც ორი დღით გაგიშვა.

შარაშია მიხვდა, ცხადია, რომ საუბრის გაგრძელება-თხოვნა-მუდარას აზრი არა ჰქონდა და კაბინეტიდან გამოვიდა. „რას იფიქრებს ალე დარანდია, საორჩანიო სიტყვა მაინც მიმეცა“, – გაივლო გულში და განრიგის ასაღებად პატარა ფანჯარას მიადგა.



ალე დარანდიამ ტკეპნა ეზოს ჭიშკართან მიწა, გასისმარებულ მსხლის ხეებს შეავლო თვალი. მათი სიჩუმე უარად ჩათვალა, ანუ შარაშიას გამოჩენას, როგორც ჩანს, საშველი არ დაადგებაო და, იმის ნაცვლად, რომ აგურის ქარხნისკენ აელო გეზი, რათა დირექტორი გაეფრთხილებინა, ანუ ეთქვა, აგურს ხვალ გავიტანო, დაადო თავი და ონარიის ტაფობისკენ გაემურა.

●  
ონარიის ტაფობში ოთხი მამაკაცი ტვირთავს ავტოს.

იქნევენ ფართო ნიჩბებს და გამალე-ბით ხვნიშთან.

რაც უფრო გამალეებით ხვნიშთან ისინი, მით უფრო დუნედ იქნევენ ნიჩბებს.

აცვიათ ტორფით დასვრილი კომბინეზონები, ტორფში ამოგანგლული გრძელყელიანი რეზინის ჩექმები.

თავზე ქუდები არ ახურავთ.

ათასში ერთხელ გამოიქროლებს სუსტი ნიავი და გაოფლილ ქორებს ელამუნება.

შავია ტორფნარი, შავია კომბინეზონები, შავია ჩექმები.

შავია ნიჩბები, შავია გაზ-51.

ხოლო გაზ-51-ის პატრონი მანქანის ფრთაზე ზის, აბოლებს სიგარეტს და უმზერს მტვირთავებს.

ტორფის მუშები სიტყვებს ხანდახან ცვლიან შოფერთან.

ეკითხებიან რალაც-რალაცებს.

მანქანის პატრონი ცალყბად პასუხობს.

ათასგზის შესწრებია მსგავს სურათს ალექ დარანდია, მაგრამ მხოლოდ ახლა ჩაულრმავდა ვითარებას და საკუთარ თავს დაუსვა კითხვა, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, როგორ გადაწყვეტდა: შოფრობას ისურვებდა თუ ისევ მტვირთავი დარჩებოდა?

პირველი მტვირთავი: ესეც ასე. ახლა დავსხდეთ და ერთი მაღიანად გავაბოლოთ.

მეორე მტვირთავი: ბრიგადირმა გამოგვიარა, ალექ, გიკითხა.

მესამე მტვირთავი: მალე გამოჩნდებათქო, ვუთხარით და წავიდა.

შოფერი თუ მტვირთავი? თითქოს ჰაერს ეკითხებაო, ჩაილაპარაკა ალექ დარანდიამ და დასძინა: ალბათ, მაინც მტვირთავი.

მეორე მტვირთავი: რა თქვი?

ალექ: კაცს თუ ძარღვები მოეშალა, ხდება ხოლმე, იმას ამბობს, რასაც ფიქრობს.

პირველი მტვირთავის ნიჩბის პირზე

საიდანლაც კარგა მოზრდილი შავი ხოჭო ახობდა, შედგა, ფართობი მიათვალ-მოათვალა, როგორც ჩანდა, ეუცხოვა ტერიტორია და გადაწყვიტა უკანვე გაეხობდებო. მაგრამ მტვირთავმა ხელი დაავლო ნიჩბის ტარს და წამში გადააბრუნა, ხოჭო რომ გაესრისა, მაგრამ ვერ გასრისა, ხოჭო გადაურჩა კატასტროფას და, მტვირთავს მეორედ რომ უნდა მოექნია ნიჩაბი, ალექ დარანდიამ თვალი შეასწრო.

ალექ: გაუშვი, რას ერჩი, იქნება, რა საქმეზე მიდის.

ალექ დარანდიას ნათქვამს არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

მესამე მტვირთავი: გამოჩნდა ჩვენი მახარობელი.

შოფერმა სატვირთო ავტო შემოატრიალა და უკუსვლით იმ ალაგს მიაყენა, მტვირთავები რომ ისვენებდნენ.

●  
ონარიის ტორფნარიდან გამოსულმა ალექ დარანდიამ შარაშიებს გამოუარა.

ჯაკუ: დაგალაღატე, ალექ, ჯიმა, მაგრამ ხომ ხედავ, მანქანა აგერ მიდგას. ჩემი ბრალი არ იყო, დამიფიცნია. ქვეყნის ცემენტი იყო გადმოსატვირთი ვაგონებიდან და რა მელონა.

ალექ: რაც არის, არის. დილაუთენია გამოგივლი, ჯიმა.

ჭიშკარში რომ შემოდიოდა, ალექ შეხანდა, თითქოს ყურს უგდებო მსხლის ხეების შრიალ-ფაჩუნს. კუტიკარი გამოიარა და სინათლიანი სამზადისკენ წავიდა.

ჭიშკრიდან სამზადამდე, ასე, დაახლოებით ერთი სტადიონი მანძილი იქნება. ეზოს ძალლი მიელაქუცა დარანდიას, წრე შემოუარა და ისევ ოდა-სახლის ბოკონებქვეშ დაყუნცდა.

ალექ: ხვალ უეჭველად შემოვიტან აგურს, შარაშიას გავუარე, მანქანა შინ უყენია.

ლუცა: შენ იცი, ნანა, საქმეს როგორ მოაგვარებ.

სვიმო: მეც ხომ არ წამოგყვე, ბოში, აგურის ქარხანაში?



ალე: ქარხნის მუშები შევიპირე, და-მეხმარებთან.

ნუნუ: მათემატიკის მასწავლებელს გამოუძახია მიხა და თუ იცი, რა ნიშანი ჩაუნერია დღიურში?

ალე: მაჩვენე დღიური (მიხას მიუბრუნდება).

ნუნუ: ფრიადი უნერია. გაიქეცი, მიხა, დღიური გვანახე.

ის დროა, დიდვანშობას რომ ეძახიან. შუკიდან დარანდიების კარის მეზობლის ხმამალალი სიმღერა ისმის მთვარიან ღამეში:

*ოკარეშე ბულუარს*

*რკინაშ შარა ულუანს.*

*ჩქიმ ყოროფილ თაქ ვარე დო*

*მა მუ დუმურულუანს.*

ნუნუ: შეყვარებულია დარანდიების ბიჭი.

ალე: ალბათ, მალე ქორწილის ქამაც მოგვინვეს.

სვიმო: ცემენტი რომ ახსენე, ბოში, რამდენიმე შეკვრა ხომ მაინც დაგვჭირდება.

ალე: ჯაკუს მაგას ვერ დავავალე.



დილაბნელზე ჯაკუ შარაშიამ თავისი „მაზი“ დარანდიების ჭიშკარს მოაყენა.

ჯაკუ: აბა, ჰე, დავცალოთ. სანამ მზემ დაგვხედა.

ხუთი შეკვრა ცემენტის ტომარა კაცებმა საბარგულიდან გადმოზიდეს.

ალე: ვალში ჩამაგდე, ჯაკუ, ჯიმაგე.



ოთხი ტომარა ცემენტი რომ ჯარგელის კედელს მიაყუდეს, ალემ მეხუთე ტომარა აიკიდა ზურგზე. ჯაკუ ჭიშკარს გაღმა, ბალახებში ჩამოვარდნილ ჩაყვითლებულ-ჩაგუნდავებულ მსხალს დასწვდა, ხელისგული გადაუსვა და ჩაკბიჩა. ვიდრე ალე მობრუნდებოდა, კიდევ აიღო მინიდან მნიფე მსხალი, ბალახის ყუნწი მოაშორა, მოასუფთავა, სამზადიდან მობრუნებულ ალეს დაანახვა და თქვა:

ჯაკუ: მუშა მსხალია ეს წყლიანი მსხალი, ბლომად ისხამს. საზამთრო მსხალთან ვერ მოვა გემოთი, მაგრამ მადლიანია, დღე-ღამეს ასწორებს, რომ ხვავრიელი ნაყოფი მოისხას.

ალე: ვერ ვერევიტ. ბაბა გასაყიდად ვერ იმეტებს, მიხა პატარაა და ამ მსხალს ბაზარში ვერ წაიღებს. მე კიდევ არა მცალია, იცი და, ონარიის ტაფობში ვაგდივარ დღენიადაგ. ქალების ამარა რჩება ეს ჩვენი წყლიანი მსხლები. და კიდევ გამვლელ-გამომვლელის. როგორ გაიშალნენ, არადა, ბუნდოვნად მახსოვს, ბაბამ რომ ორად-ორი წკირი ჩაასო ამ ორი ათეული წლის წინათ. მაშინ ჭიშკარი არ გვქონდა გამართული.

შარაშიამ მანქანა დაძრა და ალეს კვალობაზე განაგრძო საუბარი:

ჯაკუ: ორი წკირი ჩაასოო, რომ თქვი, ახლა ჩვენი სიმინდის მარცვალი ნახე: გალივდება, ამოვა, გაიზრდება, ტანს აიყრის, ტაროს გაიკეთებს, სიმინდს ცალკე მოგვცემს, ჩალას ცალკე. ღერი რომ მოიჭრება, ჩაფარია გამოიწვინება აბრეშუმის ჭიისათვის. კაცსაც ემსახურება, პირუტყვსაც და აბრეშუმის ჭიასაც. „ჩვენ ვამბობთ, კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“.

ალე: ვაჟას გამონათქვამია.

ჯაკუ: ნეტა, იმის ბედი მქონოდა, ვაჟას ცოცხალს მოვსწრებოდი და მასთან ერთი ღერი სიტყვა მაინც გამეცვალა, ჩემზე ბედნიერი კაცი დედამინაზე არ იქნებოდა.



ძერამ ნარაზენის ფერდობი ჩამოათავა და მთელი სისწრაფით გამოექანა დაბლა, ჯუმისკენ. დარანდიების კარმიდამოს დაადგა თავზე და ჰაერში გაიყინა. მერე ნელ-ნელა აატლამუნა ფრთები და დარანდიების ეზო-კარს ირგვლივ შემოუარა. კრუხმა წინილები, მოსალოდნელი ფათერაკი რომ იგუმანა, წინ გაირეკა, რათა ისინი სადმე მოფარებულში შეეყუყუებინა. მაგრამ ძერა შურდულივით გა-



მოექანა და დააცხრა ერთ-ერთ წინილას, დაავლო კლანჭები და ზე აიტაცა.

ნუნუ: ისევ ნაგვართვა წინილა ამ ნა-საგებელმა.

ლუცა: მესამეა ეს, რაც აგვწაპნა (და-იჩივლა და ხელები გაასავსავა).

ოჯახის თავი გამოვიდა ვენახიდან. განიწმატებული ქალები რომ დაინახა, ცაში აიხედა.

ძერა რატომღაც არ შორდება დარან-დიების ეზო-კარს, ცაში დაბოინობს და დაანრიალებს წინილას. ძერას ხომ სხვა დროსაც გაუტაცნია წინილა, მაგრამ ასე არ გარჯილა.

სვიმო დარანდია ოდა-სახლში ავიდა, ფილთათოფი გამოიტანა, დაჯდა სამ-ზადის წინ კველაზე და დაიწყო თოფის განყოფა. ძერა არ შორდება დარანდიების ეზო-კარს. თოფიანი კაცი ნახა, ცხადია, მაგრამ მაინც არ შეეშვა კარ-მიდამოს თავზე ბოინს. აცალა სვიმო დარანდიას თოფის დატენა, დამიზნება და გასრო-ლაც. გავარდა ფილთათოფი და ძერა თავის მსხვერპლთან ერთად სამზადის წინა მინდორში დაენარცხა. წინილა გადარჩა რალაც სასწაულად, ძერამ კი სული გა-აფრთხო. ოჯახის თავმა ფილთათოფს ხელები მიუსვ-მოუსვა, მიეფერა, აკოცა...

ძერამ იმ დღეს იცოდა, რომ ალუ დარანდია შინ არ იყო, ისიც დაინახა, რომ ბერიკაცი ჯერ კიდევ ვენახში ფუსფუსებდა, რამაც შეაგულიანა კიდევ, წინი-ლა რომ წაელო, მაგრამ რატომ არ მო-შორდა დარანდიების ეზო-კარს, რატომ მიეჯაჭვა საბედისწეროდ დარანდიების კარ-მიდამოს? დაახლოებით ამგვარ ფიქ-რებში იყო პატარა მიხა დარანდია, კე-რასთან რომ იჯდა და სახლულის გამო-ნათქვამებს რომ აყურადებდა.

●  
ათის რალაც წუთებზე მიადგნენ აგუ-რის ქარხანას ალუ და ჯაკუ შარაშია.

ალუ: დირექტორი ადგილზეა?

ქარხნის მუშა: აქ არის.

ალუ: შევიდე? ეკითხება კუთხეში მიმ-ჯდარ მდივან-მემანქანე გოგონას.

გოგონა წამოდგა და უსიტყვოდ შეა-ლო კაბინეტის კარი; მალევე გამოვიდა.

მდივანი-გოგონა: შემოვიდესო, დი-რექტორმა.

ალუ დარანდია დირექტორის კაბინეტ-ში შევიდა.

ალუ: აგერ, მოვედი, მანქანაც მოვიყ-ვანე.

დირექტორი: კი, ვხედავ, რომ მოხვე-დი. მაგრამ შენ ხომ გუშინ უნდა მოსუ-ლიყავი, როგორც შევთანხმდით?

ალუ: გუშინ მანქანას არ ეცალა, იმი-ტომ ვერ მოვედი.

დირექტორი: ხომ გითხარი, საგანგე-ბოდ გამომწვარ აგურს გაგატან-მეთქი. არ გამოჩნდი, ეგება, გადაიფიქრა-მეთქი და შენი აგური სხვას გავატანე.

ალუ: დაგილუპივარ და ეგაა, პატენი. ამხელა მანქანა ვიშოვე და რა ვქნა ახ-ლა მე.

დირექტორი: ორ-სამ დღეში დაგიმზა-დებ, სხვა გზა არ არი. შენ რომ გამოგად-გება ისეთი აგური ახლა არ მაქვს.

ალუ: ერთი დღე მაინც რომ დაგეცა-დათ...

დირექტორი: ერთი დღეა წუთისოფე-ლი. რა დღეა დღეს?

ალუ: თახაშხაა, პატენი.

დირექტორი: ჰოდა, მიუმატე სამი დღე და აგურს დაგახვედრებ.

ალუ: ესე იგი, პარასკევს უნდა გამო-ვიარო.

დირექტორი: პარასკევს ნუ გადააც-დენ, კარგად დაიხსომე.

ალუ დარანდია დირექტორის კაბინე-ტიდან გამოვიდა, მივიდა, „მაზის“ კარი გამოალო და ჯაკუ შარაშიას დაუჯდა გვერდით.

ალუ: სხვისთვის გაუტანებია ჩემი აგუ-რი. რა ვქნა ახლა მე? პარასკევს დამი-ბარა.

ჯაკუ: პარასკევიც მოვა, გულს ნუ გა-იტეხ, ჯიმა. უარესი ხდება ხოლმე. არ ეწევი, ხომ?

ალე: არა, არ ვენევი, წყლული მანუხებს.

ჯაკუ: წყლული მეც მქონდა, მაგრამ ამოვიჭერი და მეშველა.

ალე: ანი არ შეგანუხებ, ჯიმა.

ჯაკუ: ჩემი ამბავი მე ვიცი, შევწუხდები თუ არ შევწუხდები. პარასკევს უთენია დამხვდი. ოღონდაც ადექი, ჯიმა, და, ხუთშაბათს მიაკითხე აგურის ქარხანას, უქმად რომ არ მოგვინოს იქით-აქეთ ხეტიალი.

ალე: მადლობა, ჯიმა, ასე ვიზამ.

ჭითანყარის გადასახვევს მიანიეს.

ალე: მე აქ ჩამოვალ.

ალე დარანდია კაბინიდან ჩამოსტა, „მაზი“ დაიძრა.

საით უნდა წავიდე? – ფიქრობს ალე დარანდია, – ონარიის ტაფობში თუ შინ? – თარსი დღეა, – ჩაილაპარაკა და შინისკენ წავიდა.

ნუნუ: რა მოხდა, არ გვეგონა, ხელცარიელი თუ დაბრუნდებოდი.

ალე: სხვისთვის გაუტანებია ჩვენი აგური, გუშინ უნდა გამეტანა.

ნუნუ: გაგეტანა მერე.

ალე: გუშინ რომ მანქანა არა მყავდა? ზურგზე ხომ ვერ მოვიკიდებდი იმხელა ტვირთს. არ მეგონა, ერთ დღესაც თუ არ დამაცლიდა.

ნუნუ: მამას რას ეტყვი ახლა?

ალე: რა უნდა ვუთხრა, აგური მოვიტანე-მეთქი, ვერ ვეტყვი.

ნუნუ: ვიშო, ვიშო, ჯიმაღურელი.

სკოლიდან რომ დაბრუნდა, პატარა მიხა დარანდიამ ბაბუას ნახელავით გაიხარა, წაათრია და მოკლული ძერა ლობის სარზე ჩამოაცვა.

სვიმო: კარგი და პატიოსანი. პარასკევი პარასკევია და მოვა, არსად წავა, მაგრამ შარაშიას თუ ეცლება?

ალე: ჯაკუ არ დამალალებს, სიტყვა მომცა.

სვიმო: ერთი შენი მოგვარებული საქმე მანახა და არაფერი მინდა მეტი.

სადილობამ მოაწია. ლუცამ მოხარული კვერები ფიორია თეფშით ჩამოდგა ტაბაკზე და ოჯახი სადილს მიუსხდა.

ნუნუ: მიხა იგვიანებს.

ალე: ფეხბურთზე გიჟდება. ალბათ, გაკვეთილების მერე ფეხბურთი გააჩაღეს.

ოჯახის თავმა სამგზის გაიმეორა ღვთის სადიდებელი, პირფვარი გადაისახა და ატარიიდან ერთი მომცრო კვერი გადაიღო. ალემ მოდილო კვერს დაავლო ხელი. ლუცამ, რაც ხელში მოხვდა, ის გადაიღო, დაუხედავად. ნუნუმ – ნამეტანი ცხელია, მე მერე გადავიღებო.

ასევე არ ვიცი, მამა-უფალი როდის ან ვის დაავლებს ხელს.

ალე დარანდიას გულმა უგრძნო თითქოს, აგურის ქარხანაში პარასკევს რომ მისულიყო, რა ამბავი დახვდებოდა და, როგორც შარაშიამ ურჩია, ხუთშაბათს მივიდა ქარხანაში. სამუშაო საათები იწურებოდა, დირექტორის კაბინეტი დაკეტილი იყო. არც მდივან-მემანქანე გოგონა ჩანდა. ქარხნის დარაჯმა მორიგი სასწაული აუწყა ალე დარანდიას.

ქარხნის დარაჯი: ჩვენი დირექტორი მოხსნეს. გაათავისუფლეს. ქალაქის მერიასში დაიბარეს და მოხსნეს.

ალე: როგორ? რატომ?

ქარხნის დარაჯი: მაგას რას გაიგებ, რატომ ხსნიან კაცს სამსახურიდან. ზუს-

ტი პასუხი მე არა მაქვს, პატენი. ზუსტად ეს, იქნება, თვითონ დირექტორმაც კი არ იცოდეს.

ალე: ნამდვილია ეს ამბავი? ქარხნის დარაჯი: ასე ითქვა.

ალე: ესე იგი, ნამდვილია. რა ვქნა ახლა მე. აგური უნდა გამეტანა ხვალ, გარიგებული ვიყავით. საფასურიც გადავუხადე. აგერ, გულის ჯიბეში მიდევს ქალაღლი.

ქარხნის დარაჯი: უსაშველო რა არის, ახალ დირექტორს დაგვინიშნავენ და ის იქნება.

ალე: ვინ უნდა დანიშნონ თუ იცი?

ქარხნის დარაჯი: მაგას მე ვინ შემეკითხება, პატენი.

ალე: მართალი ხარ. ჩვენ ვინ შეგვეკითხება. ხვალ ხომ მუშაობთ?

ქარხნის დარაჯი: კი ვმუშაობთ, მარა მუშებმა რა უნდა გადაგინწყვიტონ.

ალე: ამაშიც მართალი ხარ. ნავალ, აბა, მე წასასვლელი.

ქარხნის დარაჯი: კარგად იყავით, პატენი. ნახვამდის.



შარაშიას ანი არ შევანუხებ, მაგრამ არც მისი უნახაობა ივარგებსო, გაიფიქრა ალემ და გადაწყვიტა, შარაშიებთან შეეველო.

დიასახლისი: რატომ შენუხდი, ალე პატენი, ჯაკუ ახლა შინ არ არის, მაგრამ მოლაპარაკებული ხომ ხართ?

ალე: კი ვართ, განა არ ვართ, მაგრამ ცუდი ამბავი გავიგე აგურის ქარხანაში და იმიტომ გამოგიარეთ. ამჯერადაც გადაიდო აგურის გამოტანა. დირექტორი მოუხსნიათ, ეს გავიგე. ჯაკუს მადლობა გადაეცით ჩემგან. არ ვიცი, როგორ შევხედო თვალებში. მეტად არ შეგანუხებთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

დიასახლისი: ღმერთმა კარგი გზით გატაროთ.



სალამო ხანია. მცირე ვახშამს რომ ეძახიან, ის დროა.

ლუცა: რამ დაგალონა, შვილო, არ გვეტყვი?

სვიმო: რაკილა არაფერს ამბობ, შენი დუმილი, ალბათ, სიტყვაზე უკეთესია, ბოში.

ალე: რა უნდა ვთქვა, აგურის ქარხნის დირექტორი მოუხსნიათ.

ლუცა: მერე?

ალე: რა მერე, დედა, ხვალ უნდა გამომეტანა აგური. დირექტორის თანხმობის გარეშე აგურს ვინ გამოგატანს?

სვიმო: რალაც ფარსაკზეა გამობმული ამ ჩვენი სამზადის გაახლება.

ლუცა: კარგზე უნდა იფიქრო ადამიანმა. ცუდზე მოფიქრალს ცუდი არ ასცდება.

სვიმო: ახლა შენ გამიჩნდი ქადაგი, ესლა გვაკლდა.

ნუნუ: დედა მართალია, დირექტორის გამოცვლამ ხელი რატომ უნდა შეგვიშალოს. აგურის საფასური გადახდილი გვაქვს. რამდენიმე დღით გაინელება ამ საქმის მოგვარება და ეს არის.

სვიმო: თქვენი ამბავი თქვენ იცით, მე კი მგონია, რომ ეს ამბავი ასე ჩქარა არ მოგვარდება.

ურთის მთიდან ამოსულმა მთვარემ შემოიხედა ჯარგვალში. ლუცამ პირფვარი გადაინერა: დაილოცოს, ღმერთო, შენი სახელი, რა მალე ამოვიდა მთვარე.

სვიმო: ძილის წინ ღვინოს არ უნდა მიეტანოს კაცი.

ოჯახის თავი ჯარგვლიდან გავიდა.

ლუცა: შენც მიყევი ბაბუას, მიხა, შემოგველე.

მოკლე ხანში მთვარე დარანდიების ჭიშკართან გარინდებული მსხლის ხეების შუა ჩადგა.



ორშაბათი გათენდა. ალე დარანდია იმის მაგიერ, ონარიის ტორფნარში წასულიყო, ადგა და ისევ ქარხნისკენ აიღო გეზი. ონარიაში რომ არ მიდის, ჯამაგირი უმცირდება. აგურის ქარხანაში მიდის და საქმეს ვერ აგვარებს. პროცენტიანი

ვალი აქვს ალებული და გასტუმრების ვადა უხანგრძლივდება. ოჯახის თავმა რომ თქვა, ეს ამბავი, როგორც ჩანს, ასე იოლად არ მოგვარდებაო, გამუდმებით გულში უტრიალებს და გული ტეხავს. დედაც განანწყენებულია, თუმცა, როგორც წესი, ვაჟიშვილის მხარეზეა. ცოლი კი რას ამბობს? არაფერს. კაცია და კაცმა უნდა მოაგვაროს მოსაგვარებელი. ასე რომ, ალე დარანდიას მხარს ალაღად და გულლიად პატარა მიხა უჭერს. მიხას სჯერა, რომ მამა ყველაფრის შემძლეა. სკოლაში იარება და გულმოდგინედ სწავლობს გაკვეთილებს. ადრე რომ ბოლო ზარის შემდეგ ხშირად სკოლის ეზოშივე რჩებოდა და თანატოლებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდა, თანდათან შეეშვა და სკოლიდან შინ მიეჩქარება, ვინ იცის, მამამ, იქნება, აგური უკვე იშოვა და მოიტანაო.

●  
ალე დარანდია რომ აგურის ქარხნის დირექციაში მივიდა, უჩვეულო ხალხმრავლობას წაანყდა. დირექციის თანამშრომლები და ქარხნის მუშები ახალი დირექტორის დანიშვნას ელოდებიან. არის ერთი მითქმა-მოთქმა, კამათი, ვარაუდი თუ ვინ უნდა გაამწესონ დირექტორად. ზოგი ვის ასახელებს და ზოგი ვის.

ქარხნის მუშა: ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ან რატომ არ გვეკითხებიან, თუ ვინ გვინდა დირექტორად.

მეორე მუშა: მთავრობამ უკეთ იცის თავისი საქმე.

პირველი მუშა: უკეთესი სწორედ ის იქნება, შეგვეკითხონ, პატენი, ჩვენი აზრიც გაითვალისწინონ. ვინც სხვის შეხედულებას არ იზიარებს, მას საკუთარი შეხედულება არ გააჩნია. ასეა ეს, დათა თუთაშხიასი არ იყოს.

ალე დარანდიამ უსმინა, უსმინა მუშების საუბარს და ის აზრი გამოიტანა, ანუ, ვერავითარი აზრი ვერ გამოიტანა მათი ნალაპარაკევიდან, როდის უნდა გადაწყვეტილიყო ახალი დირექტორის დანიშვნა.

ალე: აბა, მე აგური ვერ გამიტანია, – უთხრა ერთ-ერთ მუშას.

მესამე მუშა: ქარხანას ვერ გააჩერებენ, ალბათ. ამდენ კაცს უმუშევრად ხომ არ დაგვტოვებენ.

პირველი მუშა: არც მაგია გამორიცხული. ცემენტის ქარხანა ხომ, კარგა ხანია, რაც გააუქმეს. ჩაის ფაბრიკები იხურება.

მეოთხე მუშა: თავისუფლებას შევნატროდით და მივიღეთ კიდევ, რაც გვენატრობოდა.

ამ ბოლო ნათქვამმა ცოტათი გაანელა ხმამალალი მსჯელობა-ბჭობა-კამათი. ზოგმა მუშამ ამ სიტყვების მერე დატოვა დირექციის მოსაცდელი და კარი გაიხურა. ზოგმა თქვა, შეუცვლელი კაცი სად გაგონილაო, ეს საკითხიც, ალბათ მალე მოგვარდებაო.

●  
ალე დარანდია აგურის ქარხნის ეზოდან მთავარ გზატკეცილზე გავიდა. დადგა და კარგა ხანი ფეხი არ მოიცვალა. საით უნდა წასულიყო? ონარიის ტაფობში



თუ ქალაქის ცენტრში? იქნებ, იქ მაინც მოეკრა ყური, რას აპირებდა მთავრობა. თუ შინ? დღის მონაკვეთი დაეკარგა, მაგრამ მთელი დღის დაკარგვა არ უნდოდა. შინ რომ მიბრუნებულიყო, რაღაცას მაინც გააკეთებდა ეზო-კარში და დღე არ დაეკარგებოდა. ქალაქში გაიგებდა თუ არა იმგვარ რამეს, რაც გულს მოუბრუნებდა, საკითხავი იყო, ონარიაში კი ნახევარი დღის ჯამაგირს მაინც გამოიმუშავებდა. ბედზე, სატვირთო მანქანაც შეხვდა, ონარიაში მიმავალი. შოფერს ხელით ანიშნა, მანქანა გაეჩერებინა და ორიოდ ნაშვით უკვე შოფერის გვერდით იჯდა.



პირველი მუშა: ალბათ, აგური უკვე მიიტანე შინ.

ალე: ვერ მივიტანე. დირექტორი მოუხსნიათ და ახალი დირექტორის დანიშვნას ელოდებთან.

მეორე მუშა: თანხა ხომ გადახდილი გაქვს?

ალე: კარგა ხანია, გადავიხადე.

მესამე მუშა: რაკი თანხა გადახდილი გაქვს, აგურს გამოგატანენ.

ალე: დირექტორის ხელისმონერაა აუცილებელი.

პირველი მუშა: იმ დირექტორს მოადგილე ვერ შეცვლის?

ალე: მოადგილე ვნახე, მაგრამ მითხრა, მე ამ ქალაქს ხელს ვერ მოვანერო.

მესამე მუშა: რატომ?

ალე: მიტომ. მეტი პასუხი მე ვერ მივიღე და შენ რა გითხრა.

პირველი მუშა: რა აგურის სამზადის აშენება აიჩემე ამ რკინა-ბეტონის ხანაში.

ალე: დაგვილპა სამზადი. ახალი უნდა დავდგა.

პირველი მუშა: ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ალე: შენ თუ გჯერა, რომ ღმერთი არსებობს?

პირველი მუშა: მსგავსი შეკითხვაც კი უღმერთოა. ღმერთი რომ არა, დღე რომ

დაღამდება, აღარც გათენდებოდა.

ალე: მაგრამ გათენებული ხომ ისევ ღამდება?

პირველი მუშა: დაღამდება და ისევ გათენდება. ეს ერთგვარად ძილ-ღვიძილის მსგავსია. მე რომ წუხელის დაწვეტი და დამეძინა, და დილით რომ გამეღვიძა, რა არის თუ არა ღმერთის ნება და წყალობა. ძილში რა ვაჟკაცები ჩვენა ვართ, ჩვენი ნება-სურვილით რომ ვიხელმძღვანელოთ.

ალე: ძილში კი ვართ ყველანი თანაბარნი.

პირველი მუშა: მეც მანდა ვარ. ღმერთი გვეუბნება, როგორები უნდა ვიყოთ სინამდვილეში.

ალე: მაგრამ მოადგილეს არ შეუძლია უფროსის მაგიერ ხელის მონერა.

პირველი მუშა: ძილში მოაწერდა, ამას გვეუბნები, ძილში აგურს გამოგატანდა.

მესამე მუშა: გეყოფათ ლაი-ლაი. მოგვადგა სატვირთო.

ალე: ბრიგადირმა არ მიკითხა?

მეორე მუშა: რა კითხვა უნდოდა, რაკილა აქ ვერ დაგინახა.

ალე: მეც ასე მგონია.

მესამე მუშა: რა გგონია?

ალე: არაფერი, შევეუდგეთ საქმეს.

ალე დარანდიამ კომბინეზონი გადაიცვა. რეზინის ჩექმებში ჩაჰყო ფეხები და ხელში ფართო ნიჩაბი დაიჭირა, მზემ შუადღის კარს უწია. ალემ ნახევარი დღის ჯამაგირი გამოიმუშავა. სამუშაო დღის ბოლოს ბრიგადირიც გამოჩნდა.

ბრიგადირი: სამართალი რომ იყოს, მე უნდა ვიყო ტორფის მუშა, ჩემი გვარიც ხომ ამასვე მიგვანიშნებს (სამუშაო) და, მაგალითად, ჯაკუ შარაშია უნდა იყოს ჩემი ბრიგადირი. შარაშიები თავადები არიან. იგივე შერვაშიძეები, მთელი აფხაზეთის ბატონ-პატრონნი მითაჟამიდან. სად დაიკარგები ხოლმე, ალე, რომ არა ჩანხარ. ახლა ისეთი დრო მოდის, ბაბა, თუ ასე გააგრძელებ ფეხის თრევას და დაგვიანებას, იძულებული ვიქნები, სხვა მუშა ავიყვანო. სანყენად ნუ დაგრჩება, მაგრამ მეც მყავს ჩემი უფროსი და ჩემი

ზედამხედველი. იცი ეს შენ.

პირველი მუშა: განზრახ კი არ იგვიანებს, ისეთ საქმეშია გახვეული, უნებლიეთ უგვიანდება.

ბრიგადირი: რა საქმეა ისეთი?

პირველი მუშა: სამზადის ნამოდგმა გადაწყვიტა, აგურიც ნაშოვი აქვს, თანხაც გადახდილი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გააქვს აგური ქარხნიდან. დირექტორი მოუხსნიათ და ეს აბრკოლებს.

ბრიგადირი: ვიცნობ იმ შეჩვენებულს – აქამდე იყო მოსახსნელი, მაგრამ, თანხა თუ გადახდილი გაქვს, აგური რატომ არ გამოგატანეს?

ალე: ვიდრე ახალი დირექტორი არ დაინიშნება, ვერ გაგატანთო.

ბრიგადირი: მოხსნა ადვილია, დანიშვნაა ძნელი. როდის მოგვარდება მაგი.

ალე: რა გიპასუხო?

ბრიგადირი: შენ კი არ გეკითხები, ისე ვიკითხე, სხვათა შორის, კაი ხანი დასჭირდება ამ საქმის მოგვარებას.

ალე: აგურის გატანას?

ბრიგადირი: არა, დირექტორის დანიშვნას, ეს მინდოდა მეთქვა.

ალე: ესე იგი, აგური ვერ გამიტანია, თუმცა თანხა გადახდილი მაქვს.

ბრიგადირი: თანხა, ალბათ, არ დაგეკარგება. ქალაქი ხომ გაქვს?

ალე: ქალაქი მაქვს, დირექტორის ხელის მონერა აკლია მხოლოდ.

ბრიგადირი: მთავარი კლებია. მთავარზე კი, აკლიაო, არ ითქმის.

ალე: რას მირჩევდი?

ბრიგადირი: დამნიშნე დირექტორად და აგურსაც გაგატან.

ალე: ჩემი ნება რომ იყოს...

ბრიგადირი: აი, შენი ნება რომ არაა, იმიტომ ვერ გაგატანს აგური.

მესამე მუშა: გულს ნუ გაიტეხ, ალე, ბრიგადირი გეხუმრება.

ალე: ვიცი, ჯიმა, ვიცი.



ორშაბათს სამშაბათი წაება, სამშაბათს – ოთხშაბათი, ოთხშაბათს – ხუთ-

შაბათი, ხუთშაბათს – პარასკევი. ალე დარანდია ყოველდღე აკითხავდა აგურის ქარხანას, მაგრამ ყველაფერი ძველ ღარში დარჩა. ახალი დირექტორის დანიშვნა გაჭიანურდა. პარასკევს შაბათი წაება, შაბათს – კვირა. ეს ორი დღე ალე დარანდიას აგურის ქარხნისთვის არ მიუკითხავს. კვირას, დაღამებულზე, დარანდიების სახლეული სავახშმოდ რომ ემზადებოდა, ჯაკუ შარაშიამ დარანდიების ჭიშკარს თავისი „მაზი“ მიაყენა;

ალე დარანდია სტუმარს გაეგება, შინ შეიპატიჟა, მაგრამ შარაშიამ იუარა.

ჯაკუ: გეშველა, ალე, და ეგ არის. დირექტორი დაუნიშნიათ. კარგი კაცი არიო, ამბობენ. ხვალის დღე გამოთხოვილი მაქვს და ადრინადა გავწიოთ ქარხანაში. ბოლო-ბოლო, ხომ უნდა დავადგათ ამ საქმეს თავი.

ალე: კარგი ამბავი მახარე, ჯიმა. ღმერთმა კარგი მოგცეს.

შარაშიამ დაძრა „მაზი“ და გაუყვა შუკას. ალემ ერთი პირობა თვალი გააყოლა გუგუნით მიმავალ სატვირთოს. შემოტრიალდა და რაღაც გაიფიქრა ჭიშკარსა და სატვირთო მანქანაზე – გულში იანგარიშა, შემოეტეოდა თუ არა „მაზი“ ჭიშკარში და ჯარგვალისკენ გაემართა.

ალე: გვეშველა, მგონი, და ეს არის.

ნუნუ: რა ამბავი მოგიტანა შარაშიამ?

ალე: გვეშველა-მეთქი, არ გეყურება. ახალი დირექტორი უკვე დაუნიშნავეთ. ხვალე დილით გავწევთ ქარხანაში.

ნუნუ: კაცი ვარო, შარაშიას ეთქმის, საკუთარი საქმის მოგვარებაზე არ იზრუნებს ადამიანი იმდენს, რამდენსაც მაგი შენზე ზრუნავს.

ალე: მართლაც რომ....

ლუცა: შენც უნდა დაუფასო ნაამაგარი, დედა.

მიხა: მეც რომ ნამოგყვეთ, არ შეიძლება?

ალე: შენ რომ სკოლაში დადიხარ და კარგად სწავლობ, ბაბა, მაგია ჩემი დახმარება და ხელის გამართვა.

სვიმო: შინ მაინც შემოგეყვანა ის კა-

ცი.

ნუნუ: მოვესწრებით, ოღონდაც გადამწყდეს ამ აგურის ბედ-ილბალი.

სვიმო: ბედ-ილბალი აგურს არ გააჩნია, ბედ-ილბალი კაცს ანერია შუბლზე.

ნუნუ: მეც მაგი ვიგულისხმე, ბაბა, აგური რომ ვახსენე.



ორშაბათ დილით ალუ და ჯაკუ შარაშია ქარხნის ეზოს მიადგნენ.

ჯაკუ: აწიე შლაგბაუმი, ამხელა მანქანა რომ მოგადგა, ვერა ხედავ?

ქარხნის დარაჯი: ახალმა დირექტორმა მიბრძანა, ჯიმა, ჩემი ნებართვის გარეშე ეზოში ნურავის შემოუშვებთო.

ჯაკუ: რატომ ვითომ?

ქარხნის დარაჯი: რა გიპასუხო. მე პატარა კაცი ვარ და თქვენ თქვენი იცით. ნახეთ დირექტორი და ნებართვა თუ მიიღეთ, მე აქ არა ვარ.

ალუ: მამაჩემის სიტყვები მაგონდება.

ჯაკუ: რაზე ამბობ?

ალუ: ამას წინ მითხრა, ეს საქმე კარგახანი გაჭიანურდებაო.

ჯაკუ: სვიმო-პატენის გამონათქვამი მინაზე არ დაიდგება, ცხადია, თუმცა...

ალუ: თუმცა რა?

ჯაკუ: ზოგჯერ რაღაც ისე არ გვარდება, თვით მამა უფალმა რომ ჩაიფიქრა. ალუ და ჯაკუ შედიან დირექციის შენობაში.

ალუ: დირექტორის ნახვა ხომ შეიძლება? (ეკითხება მდივან-მემანქანე გოგონას).

მდივან-მემანქანე: შეიძლება, თუ მოისურვა. ისე, საიდუმლო თუ არ არის, რა საქმეზე ხართ შენუხებულნი?

ალუ: მეგონა, გახსოვდათ. აგური უნდა გამეტანა და ვერ გავიტანე. აგერ, ახლა მოვედი.

მდივან-მემანქანე: აგურის გასატანად ამ დილითაც იყო აქ კაცი მოსული, მაგრამ...

ალუ: რა მაგრამ?

მდივან-მემანქანე: მაგრამ ის, რომ მაგრამ...

ალუ: მაგრამ, მაგრამ... ჭირვით მეზარება ეს „მაგრამ“, მაგრამ ხომ შემიშვებთ?

მდივან-მემანქანე: მიბრძანდით, ბატონო, რაკი ჩემი არ გჯერათ.

ალუ: მადლობელი ვარ, გეთაყვა.

ალუ დარანდია შევიდა დირექტორის კაბინეტში, სადაც ორი უცნობი მამაკაცი დახვდა.

დირექტორი: აგერ, ეს კაციც, ალბათ, აგურის თაობაზეა მოსული. ხომ ასეა?

ალუ: ასეა, პატენი. აქამდე უნდა გამეტანა აგური, მაგრამ ხომ იცით, თან თანხა უნდა მეშოვა, თან მანქანა...

დირექტორი: ჰოდა, გაგეტანა მერე. ახლა აგურს ვერ გაიტან, გეთაყვა. აგური ახალი შენობის გამართვას უნდა მოვანხარო.

ალუ: ჩემი აგურიც? თანხა გადახდილი მაქვს, აგერ, ქალაქშიც ჯიბეში მიდევს. ახლავე განახებთ. დირექტორის ხელის მოწერა აკლია მხოლოდ. ბუღალტერი აწერს ხელს.

დირექტორი: ეგ ქალაქი შეინახე ან ისევე ბუღალტერს დაუბრუნე. თანხა არ დაგეკარგება.

ალუ: დაგილუპივართ და ეს არის, პატენი.

დირექტორი: მე რას მემართლები, გეთაყვა. აგერ, ეს პატიოსანი კაციც შენს დღეშია. ვერც ამათ ვატან აგურს. აგური, როგორც გითხარი, ახალი შენობის განწყობას უნდა მოვანხაროთ. ასე გადამწყვიტა ქალაქის ხელმძღვანელობამ. საცურაო აუზი უნდა გავაკეთოთ ამ ალაგას.

ალუ: რა ვქნა ახლა მე?

დირექტორი: მიაკითხე ბუღალტერიას. დირექტორმა ლილაკს თითი მიაჭირა – მდივან-მემანქანე გამოიძახა.

დირექტორი: ხომ გაგაფრთხილე, მთხოვნელებს ნუ შემოუშვებ-მეთქი.

მდივან-მემანქანე: კი გამაფრთხილეთ, მაგრამ...

დარანდია დირექტორის კაბინეტიდან გამოვიდა და ბუღალტერის ოთახის კარი შეაღო.

ბუღალტერი: ალბათ, ყველაფერი გა-



არკვიეთ უკვე.

ალე: როგორ გითხრათ.

ბულალტერი: სათვალე მოიხსნა, მაგადაზე ჩამოდო და დარანდიას თვალეებში შეაქცერდა.

ბულალტერი: თანხა დაგიბრუნდებათ, ოღონდაც უნდა მოიცადოთ. ამ დღეებში შემოგვივა თანხა და გაგისტუმრებთ.

ალე: როდის მოვიდე?

ბულალტერი: თანხას რომ ჩაგვირიცხავენ.

ალე: როდის ჩაგვირიცხავენ?

ბულალტერი: საცურაო აუზის აშენებას ჩქარობენ. მალე ჩაგვირიცხავენ.

ალე: ესე იგი, ვერ მეუბნებით, როდის შემოვივარო.

ბულალტერი: ზუსტად არ ვიცი, მაგრამ დღეს თუ ხვალ უნდა ჩაგვირიცხონ თანხა.

ალე: ხვალ მოგაკითხოთ?

ბულალტერი: დღეს ხომ ორშაბათია, ხვალ – სამშაბათი. ზეგ შემოიარეთ, თანხა, ალბათ, ჩარიცხული იქნება. ქალაქი ხომ თან გაქვთ?

ალე: ქალაქი მაქვს.

ბულალტერი: ქალაქს მიაქვს ქვეყანა. ადრე სიტყვა იყო ქალაქი. ახლა ქალაქი ქალაქია. მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ. თანხა არ დაგეკარგებათ.

ალე: პროცენტის ვალი მაქვს ალებული.

ბულალტერი: მტერი ჩავარდა მეპროცენტის ხელში.

ალე: ზეგ მოვალ, მეტი რა გზაა.

ბულალტერი: გულს ნუ გაიტყვით, უსაშველო რა არის, აგერ, სენაკიც ორ ნაბიჯზეა. იქ ჩვენზე უკეთესი ქარხანა აქვთ გამართული. აგურს იშოვით.

ალე დარანდია ბულალტერის ოთახიდან გამოვიდა. დირექციის შესასვლელთან მდგარ შარაშიას ხელით ანიშნა – ნავედითო, ესე იგი, და ორივენი ქარხნის ეზოდან გავიდნენ.

ჯაკუ შარაშია: არაფერს არ გეკითხები. სახეზე განერია და იმიტომ.

ალე: გაიგი, ხომ, ჩემი ამბავი?

ჯაკუ: სენაკში უნდა წავიდეთ, მანდაურ აგურს აქებენ. და თუ იქაც მოგვეცარა ხელი და იქაც საცურაო აუზის მშენებლობა აქვთ გადანყვეტილი, ზესტაფონში მოგვინევს წასვლა. შორია, მაგრამ რას იზამ. რაკი ამ საქმეში ჩამაბი, ახლა მე შენზე ნაკლებად არა ვარ ამის მოგვარებით დაინტერესებული.



ალე დარანდიამ თითქმის მთელი კვირა შეაღია თანხის დაბრუნებას. ერთხელ მივიდა ბულალტერიაში, მეორედ, მესამედ, გასამდაო, იფიქრა, დღეს, ალბათ, მეშველებო, მაგრამ მეოთხედაც და მეხუთედაც მოუწია იქ მისვლა. და აი, კვირის თავზე, როგორც იქნა, თანხა დაიბრუნა. დრო ხომ აქამდეც გადიოდა, როგორც ახლა გადის და, ის იყო, დარანდიას ტერე შონავამ მოაკითხა. დრო ინურება, ვალს როდის დამიბრუნებო. დარანდიამ, ერთბაშად ახლა ვერ გადავიხდი, მაგრამ პროცენტს გადავიხდიო. ტერე შონავამ, კაცი დავალალატეო, სხვისთვის გასაცემი ფული მოგეცეო, მაგრამ ეტყობოდა, რომ გულსგარე ამბობდა, როგორც იციან მევახშეებმა. დარანდიას ამ დიალოგმა ოდესღაც წაკითხული „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“ მოაგონა და კიდევაც გაიფიქრა, ეს კაცი, რაც შეიძლება, მალე უნდა გავისტუმროო და ფიქრებში მოიძია ნაცნობ-ნათესავები, მეგობრები, ანუ ვისგან შეიძლებოდა უპროცენტო ვალის ალება; ამ ფიქრმა ჯერხნობით ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. ადგა და ათასი ლარის 10 პროცენტი, ანუ 100 ლარი გაატანა ტერე შონავას, რაც მეუღლესაც გაანდო, მაგრამ მშობლებისთვის არ გაუმხელია.

ნუნუ: ანი რას აპირებ?

ალე: თანხა უკვე ხელთა მაქვს. შარაშია ააშენა ღმერთმა, დილით სენაკში მივდივართ.

ნუნუ: მამას ნუ გაუმხელ, რომ სენაკში მიდიხარ. მთავარია, აგური ვიშოვოთ – საიდან მოიტან, რა მნიშვნელობა აქვს.

ალე: არც დედამ უნდა გაიგოს ეს.



უნუ: ალე, გასაკვირი არაა? რაც ამ აგურის შოვნა გაგვიჭიანურდა, მიხამ სწავლას უმატა – ხუთიანებით აქვს გავსებული დლიური. კაცი გვეზრდება, შემოვევლე.

ალე: აჭარბებ ხოლმე. მარტო სწავლა არაა სახარბიელო. შინ როგორ იქცევა მიხა, ეს მითხარი. ბაბუს თუ ეხმარება, ამას გეკითხები.

უნუ: მამას მიხაზე ამოსდის მზე და მთვარე. გუშინ მთელი დღე ბამბუკს ჭრიდნენ. მიხა კაცივით მიდგასო გვერდში, თქვა მამამ. სადილობისას გვერდით დაისვა და რალაცაზე საუბრობდნენ დიდის ამბით, რაზე საუბრობდნენ, ნეტავი მაცოდინა.



ზუგდიდიდან სენაკამდე დაახლოებით ერთი საათის სავალია. ჯაკუ შარაშიამ „მაზი“ აგურის ქარხანას მიაყენა. კარის დარაჯი ვერ შენიშნა, რაც არ ესიამოვნა, ვაითუ, სენაკის ქარხანაც გააუქმესო, ესე იგი, და ნაფიქრალიც გაუცხადდა. ქარხანა დროებით შევაჩერეთო, – უცნობმა მუშამ, – ეს ერთი კვირაა, რაც უქმად ვართო. ან გადაკეთება აქვთ ჩაფიქრებული, ან კიდევ, ვინ იცის, რას აპირებენო, ამაზე მე პასუხისმგებელი არა ვარო.

ჯაკუ შარაშია: ახლა შინ დაბრუნებას აზრი არა აქვს. გავწიოთ ზესტაფონში. თუ ხელი მოგვემართა, ხომ კარგი, არადა, რალაცას მაინც დავადგენთ საბოლოოდ. ისე, ხომ გითხარი, რალაც იმედინადა ვარ. ღმერთი ხომ გწამს?

ალე: ღმერთს ვერ ვხედავთ, რადგან ის ყველგან არის. ჩემი ნათქვამი არ გეგონოს. ბაბამ თქვა ასე ერთხელაც, კერიასთან რომ ვისხედით.

ჯაკუ: სვიმო პატენი სიბრძნის სალა-როა. იგივე რომ ვაჟას ეთქვა, ახლა ყველას ეცოდინებოდა.

მოატრიალეს მანქანა და გაუყვნენ ზესტაფონისკენ მიმავალ გზატკეცილს.

ჯაკუ: ესეც ასე, აბაშაც გავიარეთ. აქედან მალე იმერეთი იწყება. ერთი ჩე-

მი ხელობის კაცი იყო, შოფერი – იქნება, ახლაც ცოცხალია – კარგა ენამოსწრებული. დაუჯდა თურმე გვერდით ჭიათურიდან ზესტაფონში მიმავალი დედაბერი. მაშინ ის დრო იყო, სატვირთოს შოფრები რომ მგზავრის გადაყვანაში ფულს იღებდნენ. მანქანის მთელი ძარა ივსებოდა ხალხით. კაბინაში კი გამორჩეული მგზავრი თუ მოხვდებოდა შოფრის გვერდით – ან ნაცნობი, ან ნათესავი, ან კიდევ თანამდებობის მქონე კაცი. იმ დღეს კი იმ ენამოსწრებულ შოფერს – სახელი რამ დამავინცა – დედაბერი ჩაჯდომია გვერდით, და აი, მივიდნენ ზესტაფონში. აი, ნენა, უთქვამს დედაბერს, და ერთი დიდი, ლაყლაყა ვაშლი გაუნოდებია შოფრისათვის მგზავრობის საფასურად. და ის იყო, დედაბერი რომ უნდა ჩასულიყო კაბინიდან, მოიცა, დედაო, უთქვამს იმ ენამოსწრებულ შოფერს, ხურდა უნდა მოგართვაო და სახარახურედან ამოუღია პანუკა ვაშლი და დედაბრისთვის გაუნოდებია. მაგრამ ახლა, მე რაც დამემართა ჩემს სიყმანვილეში, ის უნდა მოგიყვე. ლოთია სანაია ხომ გაგიგონია.

ალე: ლოთია ვის არ გაუგონია.

ჯაკუ: ჰოდა, იმ ლოთიამ იყო, რომ გამაცურა. შოფრობა ახალი დანყებულ მქონდა. გამოუცდელი ვიყავი, ცხადია. მივაყენე ჩემი გაზ-51 ჭაქვინჯის გადასახვევს. აივსო ძარა სოფლელებით. კვირა სალამო იყო, მახსოვს. თითოეული მგზავრი ხუთ მანეთს იხდიდა ზუგდიდიდან ჭაქვინჯამდე მგზავრობის საფასურად. ახლა რამდენი კაცი ეტევა გაზ-51-ის ძარაზე, არ იტყვი – არანაკლებ 30-35 კაცისა. ფეხზე მდგომნი ერთმანეთს ეტმასნებიან, ნემსი არ ჩავარდებოა, რომ იტყვიან. და აგერ, ვხედავ ლოთია სანაია (მაგი ჩვენზე უფროსი იქნებოდა კარგა ათი-თხუთმეტი წლით მაინც), მომადგა და მეუბნება, ჯაკუ-ბიძია, ჭაქვინჯში მაქვს საქმე და უნდა წამოგყვეო. მაგას რა კითხვა უნდა-მეთქი, მაგრამ კაბინაში ერთი კაცის ალაგას უკვე ორი კაცი მიზის და ძარაზე მოგინევთ-მეთქი ასვლა,

ვუთხარი ლოთიას. ავიდა ლოთია ძარაზე, დავძარი ჩემი გაზ-51 და შევეუყევი მითანეთს. რალა ბევრი გავაგრძელო, ჩავედი ჭაქვინჯში, გავაჩერე მანქანა და ის იყო, ფულის აკრეფა უნდა დამეწყო, მგზავრებმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს. რა იყო-მეთქი. რა და, ფული ხომ უკვე გადავიხადეთო. როგორ თუ გადაიხადეთ-მეთქი. შოფერს ჩავაბარეთო. შოფერმა აკრიფაო. აბა, მე ვინა ვარ-მეთქი. იმ კაცმა, ძარაზე სულ ბოლოს რომ ამოვიდა, იმან აკრიფა ფული. საჭეს რომ უზის, ის ყმანვილი ჩემი თანაშემწეა, შოფერი მე ვარო ეთქვა, და რატომ არ დაუჯერებდნენ. აკრიფა ფული ლოთია სანაიამ და, სინნის ხიდი რომ უნდა გამეარა, სადაც ჩქარა ვერ გაივლი, ჩამოხტა მანქანიდან და უსტვინე ახლა. მორჩა და გათავდა. შერჩა ის ფული ხახვივით.

ალე: მერე არ გინახავს სანაია?

ჯაკუ: როგორ არ მინახავს. ვალი მქონდაო იმ საღამოს გასასტუმრებელი („პრისტავკას“ რომ ეძახიან თამაშში ან კიდევ ხვალის ფულს), და რა უნდა მელონაო, შენ რომ არა, სამუდამოდ თავი მომეჭრებოდაო. მეც რა უნდა მექნა, ისეთი რამ მითხრა, თანხის დაბრუნება აღარც მომითხოვია. „ქუთაისი ქალაქია, ინდუსტრიის მშენებელი, წყალტუბო კი მხარე არის, მისი დამამშენებელი“.

ალე: ეხ, ნეტავი მართლა სალილინო გუნებაზე დავდგებოდეთ.

ჯაკუ: ჩვენი ოცნება, სამწუხაროდ, ჩვენზე არაა დამოკიდებული. მაგრამ უკვე რომ სადღაც გადაწყვეტილია, წყალი არ გაუვა. მხოლოდ უფალმა იცის წინდანინ ყველაფერი. რაც ჩვენ არ ვიცით და არცაა აუცილებელი რომ ვიცოდეთ. კიდევ რა მინდა გითხრა, ერთ წიგნში ნავიკითხე. წიგნს თან ვატარებ მუდამ და, ვიდრე მანქანას დაცლიან, გადავშლი და ჩავხედავ ხოლმე: არის ერთგვარი არცოდნა, რაც ყველანაირ ცოდნაზე უკეთესია და აღმატებული, – ეს ნავიკითხე. რა არცოდნაზეა ლაპარაკი, შენი აზრით?

ალე: არ ვიცი.

ჯაკუ: ყველა ცოდნას აღემატება იმის არცოდნა, ანუ ის, რომ არავინ არ იცის, ვინ როდის მოკვდება.

ალე: ვისია ის წიგნი?

ჯაკუ: ავტორი არ მახსოვს, მისი გამონათქვამი კი არასოდეს დამავიწყდება.

ალე: შენ ხომ ერთი ხანობა უმაღლესში აპირებდი გამოცდების ჩაბარებას.

ჯაკუ: არ გამიმართლდა, ვერ მოვეწყვე. მაშინ ვინანე, ახლა არ ვნანობ. შოფრობა ცუდია? კარგი ჯამაგირი მაქვს. მეორე კლასის წიგნაკი მიდევს ჯიბეში. „მაზს“ ყველას ვერ ანდობენ. თანაც ჩემი თავის პატრონი ვარ. გინდა მარცხნივ მივუხვევ და გინდა მარჯვნივ. ეს იმაზე უკეთესია, ჯიბეში რომ ფული გიდევს და თავი ბედნიერი გგონია. ფული ქალაქია, საჭე სხვა არის. აჰა, ქუთაისიც გავიარეთ.

ალე: ის დრო ჯობდა?

ჯაკუ: რატომ მეკითხები?

ალე: ინდუსტრიის მშენებელიო, რომ წაიმღერე. ახლა რა ხდება? ფაბრიკა-ქარხნები იკეტება.

ჯაკუ: დაიკეტა და ეგაა.

ალე: თავისუფლებას ხომ შევნატროდით?

ჯაკუ: გითხარი, ჩემი თავისუფლება ჩემი საჭეა. ცხენი ხომ გინახავს გავლელებული, მინდორში, აქეთ-იქით რომ ეხეთქება. თავისუფალია თითქოს, მაგრამ გიჟია. „სიგიჟის წვეთი ცხენს მოხვდა საფეთქელში“, ესეც რომელიღაცა წიგნში ამოვიკითხე. ავტორი კი არ მახსოვს. ასეთია ჩვენი თავისუფლებაც. ახლა რომ ზესტაფონში ვერ ვიშოვოთ აგური, რა ვილონოთ? ნუ მოინწყენ, გული მეუბნება, რომ დღეს დაზურგული დავბრუნდებით ზუგდიდში.

ალე: ღმერთმა გისმინოს.



ზესტაფონი. ქალაქის განაპირა ადგილი. აგურის ქარხანა. შარაშიამ „მაზი“ ქარხნის კარებთან მიაყენა და ორივენი დირექციის შენობისკენ გაემართნენ. ზუგდიდელები არიანო, მდივანმა გოგო-

ნამ დირექტორს მოახსენა, დირექტორმა მაშინვე ბრძანა, შემოვიდნენო.

დირექტორი: რა საქმეზე შენუხებულხართ. დაბრძანდით. დიდი გზა გამოგივლიათ.

ალე: სამზადის აშენება გადავწყვიტე და აგური მჭირდება.

დირექტორი: ნაანგარიშევი თუ გაქვთ, რამდენი გჭირდებათ?

ალე: ნაანგარიშევი გვაქვს. თანაც, თუკი ხელს მოგვიმართავთ, მანქანითა ვართ, დღესვე გავიტანთ.

დირექტორი: ბულალტერიას მიაკითხეთ და ანგარიში გაასწორეთ.

ალე: ახლავე?

დირექტორი: ახლავე, ცხადია. აბა, ამხელა გზაზე ხელცარიელს ხომ არ გაგიშვებთ.

გამოვლენ დირექტორის კაბინეტიდან, ბულალტერიასი შევლენ, თანხას გადაიხდიან. მდივანი-გოგონა ქალაღზე მონერინებს ხელს დირექტორს. ალე დარანდია დირექტორის კაბინეტში შევა და მაღლობას მოახსენებს.

ქარხნის მუშა: სანაქებო აგურია. სათანადოდ გამომწვარი. მგონი, ქარხნის გაუქმებას აპირებენ და ჩვენი დირექტორი თავს არ ზოგავს, რათა კარგი ხარისხის აგური გამოიწვას.



იმ მუშამ, ახლა რომ გავიცანით, მეგობარი მუშა შეიამხანაგა, ამათ ალე და ჯაკუც შეეშველნენ და „მაზი“ რაღაც ერთ საათში დაიზურგა. „მტვირთავი თუ შოფერი?“ მოაგონდა ალე დარანდიას, ონარიის ტაფობში რაც გაიფიქრა და გულში დასძინა: გააჩნია, ვინ არის მტვირთავი და ვინ შოფერი. ანუ რა კაცი, რა გუნება-ხასიათის მიმყოლი და ერთგული. სხვა არის იმ გაზ-51-ის შოფერი და სხვა არის შარაშია. ამ ფიქრებში იყო ალე, ქარხნის ეზოდან რომ გამოვიდნენ.

ჯაკუ: სალიარზე მუშაობს ჩემი „მაზი“. ბენზინზე იაფია. რომელი საათია?

ალე: სამი დაინყო.

ჯაკუ: ესე იგი, დღის სინათლეზე ჩავალ ადგილზე, ზუგდიდამდე აქედან ასი კილომეტრია – ცოტა მეტი, ცოტა ნაკლები.

ალე: სადმე ხომ არ წავიხემსოთ?

ჯაკუ: მანქანამ რა გააკეთოს. ცოლოა მისი უსაქმოდ გაჩერება.

ალე: რანაირი ლაპარაკი გცოდნია.

ჯაკუ: ლაპარაკს რა უნდა, ხდება ხოლმე, მე კი არ ვლაპარაკობ, ენა ლაპარაკობს. თავისას ამბობს. ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვის, რის თქმასაც მე არ ვაპირებდი, არ მინდოდა, რომ მეთქვა. გასაკვირი არაა, კაცი რომ ანაზადად კაცს შეაგინებს, ეს ენის ამბავია თუ თავის ამბავი? ენა უსწრებსო, ენა უყვივისო და მისთანანი. აი, ისე, ჩვენმა გარაჟის გამგემ რომ იცის ხოლმე რაღაცის ნამოძახება – კარგი გულის პატრონია, მაგრამ ენა უსწრებს, რასაც, შეიძლება, ჩემი პროფესიის მიხედვით, ენის ავარია ეწოდოს.

ალე: ხელმეორედ უნდა ჩაგებარებინა გამოცდები უმაღლესში, აუცილებლად მოენყოზოდი.

ჯაკუ: სინამდვილე ის არის მხოლოდ, რაც არის, და არა ის, რაც უნდა მომხდარიყო და არ მოხდა. ღვინო ხომ გიდგას? აი, მივალთ შინ და იქ ვისადილებთ.

ალე: ნამყენი. რქანიტელს რომ ეძახიან. მუავეა ჩვენი ღვინო. დამნიფებას ვერ ასწრებს ჩვენებური ნამყენი.

ჯაკუ: მაღლარი ასწრებს. ცაში მიდის და იმიტომ. ნესტს გაურბის. ზოგმა მცენარემ ჩვენზე მეტი იცის, ისეთ ადგილს ირჩევს. ზოგი კაცი კი ისეთ ადგილას შემოიღობავს საკარმიდამო ნაკვეთს, ისეთ ნიადაგზე, თავის დღეში რომ კარგ მოსავალს ვერ აიღებს. მაგრამ ის კაცი ფეხს მაინც არ იცვლის.

ალე: მიჩვეულს ნუ გადააჩვევო, ესე იგი.

ჯაკუ: ასეა. მანქანის ტარება თუ იცი. ახლა ყველამ იცის მანქანის ტარება.

ალე: პატარა რომ ვიყავი, შოფრის თანაშემწეობაზე ვოცნებობდი. მაგრამ ჩემი ცხოვრება სხვა ღარში წავიდა, ვერც სწავლას დავუდე გული. შენი უნივერსი-

ტეტი თოხიანო, მეუბნებოდა მამა და კი ხედავ, ჩემგან რაც დადგა – ონარიის ტაფობში ვატრიალებ ნიჩაბს. რა თოხი და რა ნიჩაბი, რამ განასხვავა.

ჯაკუ: ორი რამეა ერთმანეთზე სამუდამოდ გადაკიდებული: თოხი და თოფი. თოხის კაცი კარგი კაცია. ცხონებული მამაჩემი ამბობდა, შრომა სინდისიაო.

ალე: უსინდისო ყოფილა, აბა, ჩვენი ბეჩავი ამერ-იმერი. ნახევარი საქართველო უმუშევარია.

ჯაკუ: ასეთი ქვეყანა გქონდეს და მაინც ღარიბი და მშიერი იყო, გასაკვირია. თუ გიფიქრია, სამაგალითოდ გეუბნები, ჩვენს მეზობელ სომეხებს რომ მისცა ასეთი ბუნება და ნიადაგი, ჩვენს დონეზე დარჩებოდნენ? რას ვამბობდი? ცხონებული მამაჩემის გამონათქვამმა ლომის ნილი დაიდო, ალბათ, იმაში, როგორიც მე ახლა ვარ. და ვინ იცის, იქნებ, ამიტომაც ვერ ჩავაბარე გამოცდები უმაღლესში. თოფი იოლი სატარებელია, თოხი – მძიმე. არც ამ საჭის ტრიალია ადვილი. საჭე მარჩენს. ოჯახს მინახავს. ნაშიერებზე კი რა გითხრა, რაც შუბლზე აწერიათ, ისეთები გამოვლენ, ალბათ.

ალე: ბედნიერი კაცი ხარ, ჯიმა, ოთხი შვილი რომ გეზრდება. მე ერთი კაკალი ვაყი მიბოძა გამჩენ-დამბადებელმა და მისი იმედით ვარ.

ჯაკუ: ერთი მომცა და შენისთანაო, ნათქვამია, მაგაზე ნუ იღარდებ.

„მაზი“ რომ დარანდიების ჭიშკარს მიადგა და მისი გუგუნი გაიგონა, სახლეული ეზოში გამოეფინა: ლუცა, ნუნუ, მიხა.

ალე: მამა შინ არის?

ნუნუ: მამა ჯერ არ მობრუნებულა.

ალე დარანდიამ ჭიშკარი გააღო. ჭიშკარი, როგორც წესი, სამი კარისგან შედგება – ორი ერთნაირი ზომის კარისგან და ერთიც პატარა, ვიწრო კარისგან, ქვეითი კაცი რომ შემოდის, კუტიკარს რომ

ეძახიან. ალემ ჭიშკარი მოაღია, რათა „მაზი“ ეზოში შემოეყვანათ.

ჯაკუ: ვერ შეეტევა „მაზი“. რა ვქნათ? აქვე უნდა დავცალოთ, სხვა გზა არ არი.

ალე დარანდიას თვალწინ გაურბინა მთელი ამ ხნის წვალეზა-ფათერაკმა, რაც ამ აგურის შოვნა-მოზიდვაში გადახდა. გულში იანგარიშა, რამდენი ხანი მოუნდებოდნენ სამზადამდე ცალცალობით აგურის მიტანას. ესლა გვაკლდაო, გაივლო ფიქრში და გუნება წაუხდა.

ალე: ერთ-ერთი მსხალი უნდა მოეჭრა, სხვა გზას ვერ ვხედავ.

ეს თქვა ხმამაღლა და დაბეჯითებით და ჯარგვალისკენ გაემართა, რათა ნაჯახი წამოეღო. პატარა მიხა მამას აედევნა.

მიხა: რატომ უნდა მოჭრა მსხალი, მამა?

ალე: ვერ შემოდის მანქანა, ხომ ხედავ, აგურის გადაზიდვას მთელი დღე მოვუნდებით.

ალემ ჯარგვლის კედელთან მიყუდებული ნაჯახი აიღო და პირი მოუსინჯა.

ალე: სალესი მოიტა, მიხა, ნაჯახი უნდა მოვპირო.

მიხამ იფიქრა, სალესს გადავუმალავო, მაგრამ, მამა რომ ხელმეორედ შეეხმიანა, სალესი ქვა გამოაჩინა. და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ასეთი რამ გაიფიქრა: რაკი მამას გადანყვებილი აქვს მსხლის მოჭრა, ისევ ის აჯობებს, კარგად ალესილი ნაჯახით მოჭრას, მსხალს ნაკლები ტკივილი მიადგებაო.

ალე რომ მოპირული ნაჯახით ჭიშკართან დაბრუნდა, ცოლი შეეხმიანა.

ნუნუ: მამასთვის გეკითხა მაინც, რას გირჩევდა.

ალე: რომ არაა, როგორ უნდა ვკითხო.

ლუცა: დაელოდე, ადამიანისშვილო, მოვა, აბა, სად წავა.

მიხა: რომელი უნდა მოჭრა?

ალე: ერთნაირია ორივე. რასაც ერთი ისხამს, მეორეც იმას ისხამს. ამას რა მნიშვნელობა აქვს?

ჯაკუ: ერთნაირი კია, მაგრამ ახლა

ამათი ამბავიც ვიკითხოთ, აქვს თუ არა მნიშვნელობა, რომელი მოიჭრება.

ალე დარანდიამ ერთ-ერთს დაადგა თვალი და შეუდგა ხის მოჭრას. და რალაც ათიოდე წუთში მოუთავა ხელი. ჯაკუმ დასძრა „მაზი“, გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეეცა ქიშკარში და მანქანა ძველი სამზადის მახლობლად შეაყენა.



ასე გასრულდა, ძვირფასო მკითხველო, დიდი გაჭირვებითა და ძარღვების

მოშლით მოპოვებული აგურის თავგადასავალი და იმ წყლიანი მსხლის თავგადასავალიც, თითქმის მთელი სამი ათეული წელიწადი რომ ამშვენებდა დარანდიების კარ-მიდამოს.

მაგრამ... არ გასრულდა.

სამი თუ ოთხი თვე არ იქნებოდა გასული იმ მსხლის მოჭრიდან, რომ მეორე მსხლის ხე ზეზეულად გარდაიცვალა: გამრა, გახმა და გაილია.

– ცოლ-ქმარი იყვნენ, ვინიცობა, – თქვა სვიმო დარანდიამ, – დები ან ძმები...





## ლიანა ხელიანიძე

●  
როგორც ქუხს, ისე არა წვიმს  
და სტუმარია წვიმა.  
ჩანს ღრუბლის უკან, არა – წინ,  
მიდიან ოქროს სიმაღ.

მოვსულვარ შეყვარებული,  
შეყვარებული მივალ.  
წვიმს! ხის ქვეშ შეფარებული  
ვიცდი და არა მცივა.

ეს წვიმა ათბობს გულისგულს,  
ეს წვიმა ქუჩას ათბობს.  
წვიმს! გადაღება არა სურს,  
სველდება ქუჩა ფართო.

და შენც აქა ხარ, ჩემ გვერდით,  
ჩვენ წვიმამ შეგვახვედრა.  
ჩვენ ამ სადგურზე შევჩერდით,  
გვიფარავს მკერდი ხეთა.

როგორც ქუხს, ისე არ წვიმს  
და გვეფერება წვიმა  
და გაზაფხული ამა წლის  
არ ჰგავს გარდასულს, წინას.



ო, სიყვარულო, ეს შენ ხარ მხოლოდ  
ჩემი სასჯელი და ჩემი ჯილდო.  
გინდ შენმა ძალამ გადამიყოლოს,  
მაინც მსურს შენით ზიზღს შევეჭიდო.

შენი ძალით და შენი შეწევნით  
მე ვყვავი ისე, ვით ყვავის ცეცხლი.  
შენ ხარ ზვავი და შენ ხარ მენწყერი,  
ფრთები არწივის და ფრთები მერცხლის.

უშენოდ ყოფნას არა აქვს აზრი,  
მხოლოდ შენით მაქვს ბედნიერება.  
ირგვლივ ბრძოლაა, ყაყანი ბაზრის,  
მე კი მივდივარ და მემღერება.

შენშია მხოლოდ ცხოვრების გემო  
და სილამაზე მეძლევა შენით.  
რაც უნდა მტანჯო, რაც უნდა მგვემო,  
ბედნიერი ვარ მაგ განაჩენით.

ო, სიყვარულო, დაუფინყარო,  
ჩემი ამბავი დარჩება ზღაპრად,  
როს დამელევა სიცოცხლის წყარო  
და შორ კუნძულზე გამრიყავს აფრა.



მიმწუხრის ჟამსა, ზაფხულის ბოლოს  
შემომეგება ღრუბელი ჭრელი  
და ტყეში მნიფდა მოცვი თუ ჟოლო,  
იდგა ამინდი გასახარელი.

ღრუბელი ჰგავდა ვეფხვის ზმანებას,  
გზაარეული ვიდოდა ტყეში,  
თან ბრაზიანი და თან თავნება  
მოდიოდა და მოსდევდა თქეში.

მზეს შეეშინდა და მიიმალა,  
იღრინებოდა მეხით ღრუბელი  
და შრიალებდა ქარისგან ჩალა,  
როგორც ხატვისას – ფუნჯი ვრუბელის.

მიმწუხრის ჟამსა თავმოდრეკილი  
წვიმის სიმძიმით გზას მივყვებოდი.

მზის შუქი, როგორც ბადაგი ტკბილი,  
წვიმას ერთვოდა ჩურჩულით, ბოდვით.

რა უსასრულო იყო გზა იგი,  
რა უსასრულო იყო ის წვიმა...  
და საოცარი – ყოფნა მის შიგნით  
და გადაქცევა მზის სხივად – სიმაღ.



შემოდგომის ქარიშხალი  
ახლოვდება, ახლოვდება.  
როგორც მგლოვიარე ქალი,  
მოთქვამს იგი და ღონდება.

გათელილი ყვავილები  
შავ მიწაში ბრუნდებიან.  
ღამე, როგორც ყვავი, ბლების  
რტოზე დანაბუდება.

სუსტდებიან მზის სხივები,  
ეკარგება ნათელს ძალა.  
იშვიათად ვიღიმებით  
და მაშინაც ცრემლებს ვმაღავთ.

შიშველ მიწას სცივა, სცივა  
და შორს არის სამოსელი.  
ველმაც გაიხადა თივა,  
ტყესაც გაშიშვლება ელის.

შემოდგომის ქარიშხალი  
დაუნდობლად დაუბერავს.  
მერე ვაი ჩვენი ბრალი!  
წავალთ და წავიღებთ ვერრას...

## გარდაცვლილ მეგობრებს

მაღე მოვა ღამე  
და სიკვდილის ძილი.  
ტკივილს ვერ მიაღებს  
ლექსი ჩემი წილი.



დაბნელდება, ალბათ,  
 ვარსკვლავებიც არ ჩანს.  
 და ნამღერი, ალბათ,  
 დილის დროში დარჩა.

მოაქვთ ყვავილები  
 კუბოს შესამკობლად.  
 გარეთ ყვავის ბლები  
 და ინყება ბლობა.

მზე საცაა ჩავა,  
 მზე – უკულმა მდგომი,  
 აქვს ღამესთან დავა,  
 აქვს ღამესთან ომი.

მალე მოვა ღამე  
 გაუთენებელი.  
 ცრემლით დავინამე,  
 ვტირი დღეა მთელი.



ჩიტო, მათხოვე ფრთები,  
 მასესხე ფრენის ძალა!  
 მინას გაკრული ვკრთები,  
 ძალა გამომეცალა.

სხვა სიცოცხლეა ცაში,  
 მეფობენ მზე და მთვარე,  
 ვარსკვლავებს აფრქვევს რაში  
 ზღაპრული – შუქმფინარე.

ჩიტო, გალობა მინდა,  
 მაგრამ წამერთვა ხმები,  
 თვალები დამებინდა  
 და ჩალასავით ვხმები.

ჩიტო – შენ ჩემო დაო,  
 მომხედე, დამეხმარე!  
 დამფარა ხავსის ხაომ,  
 მინას ვერ გავეყარე.

ჩიტო, მეც მინდა ფრთები  
 და ვიგალობო, მინდა,  
 ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა ვქრები  
 და ცრემლი გადმომდინდა.



ზოგჯერ ზამთრდება ადრე,  
 ზოგჯერ ზამთრდება გვიან.  
 ირხევა წელთა ბადე,  
 დღენი – თევზები დიან.

ზოგჯერ ლამდება ადრე,  
 ზოგჯერ ლამდება გვიან,  
 კეკლუცობს მთვარე ბადრი,  
 ზეცა სარკეა ღია.

და ზოგი მიდის ადრე  
 და ზოგი მიდის გვიან...  
 მადლობა, რომ დაგვბადე,  
 უფალო, მამა გქვია.

ზოგია ბედნიერი,  
 ზოგია უბედური.  
 ეცვლება ზოგს იერი  
 თავისი ბედის მღურვით.

ზოგჯერ ზამთრდება ადრე,  
 ღმერთო, გვაცალე ცოტა –  
 მუდარას ლოცვით გკადრებ  
 ჩვენთვის აღდგომის მომტანს.



ნისლი გააპო სხივმა  
 და გამოჟონა დილამ,  
 თვალს მიეფარა წვიმა  
 და მზის გზა მოწმენდილა.

ღმერთო, კარგი დღე მომეც,  
 ნუ გამითენებ შავად!  
 შენს ძალას ვენდე ო, მეც,  
 მღლის გასაჭირთან დავა.

და კარგი სიზმრის შემდეგ  
 ახდენას ველოდები.  
 ღმერთო, მზის გზაზე შევდექ,  
 მახარებს მზის ზოდები.

ელავს ზეცაზე ოქრო

თვალისმომჭრელი დილის,  
ხამს ხატთან დავიჩოქო  
ლოცვით და მორჩეს ძილი!

ნისლი გააპო სხივმა  
და განთიადი დადგა.  
მთებზე გადაინვიმა,  
ღვთით მზე გვებოძა რადგან.



სიგარეტიდან სიგარეტამდე  
დაულალავი დამირბის ფიქრი.  
რაც უფრო ვფიქრობ და ვფიქრობ ამდენს,  
მით უფრო სწრაფად სიცოცხლე მიქრის.

ინვის ფიქრების წყება და წყება  
და ჩემი სული ვნებული ინვის.  
ჩემი ფიქრები ცრემლით ირწყვება,  
ცრემლებს სურნელი აქვთ დედამინის.

ირგვლივ კვამლია და აღარ ვიცი,  
ფიქრია მწარე თუ სიგარეტი,  
და ცრემლთა შორის გავურევ სიცილს,  
როგორც შემლილი ან ვინმე ცეტი.

ვიცი, რომ მომკლავს, მაინც ვენევი –  
იქნებ. სიკვდილი იყოს სხვაგვარიც.  
ფიქრი გამირბის და ვერ ვენევი,  
ვინ უწყის, სულში თვლემს რა ხანძარი!

სიგარეტიდან სიგარეტამდე –  
დაყოფილია დრო მკაცრი ჩემთვის,  
რომ მეც რალაცას ვაკეთებ, მწამდეს,  
მინდა, და ვინვი და თან კვამლს ვერთვი.



იქ მივალ, სადაც არავინ მელის,  
იქიდან, სადაც არავინ მაცილებს.  
და თან მიმყვება თვალები სველი –  
მე ყველას ტანჯვას გავინანილებ.

იქ მივალ, სადაც არავინ მიცნობს,  
 იქიდან, სადაც მიცნობდა ყველა.  
 რა ამოვთქვა და რა დავიფიცო?  
 მე ვარ ხანმოკლე, როგორც პეპელა.

იქ მივალ, სადაც სულ სხვას ელიან,  
 იქიდან, სადაც მელოდნენ დიდხანს.  
 დრო ცბიერია, როგორც მელა,  
 და როგორც ხარი – სავალ გზას მიხნავს.

იქ მივალ, სადაც მიმინევს გული,  
 იქიდან, სადაც მომბეზრდა ყოფნა.  
 მივდივარ სიმნრით გალიმებული,  
 ვერცარა ვპოვე ამ ნუთისოფლად.

იქ მივალ, სადაც არავინ მელის,  
 იქიდან, სადაც ვიყავი მარტო.  
 ნასვლა არასდროს არ არის ძნელი,  
 ძნელია მოსვლა უმისამართოდ.



მოედინება ზღვის ტალღები ნაპირისაკენ.  
 ერთი ტალღა სიცოცხლეა და მეორე – სიკვდილი,  
 ერთი ტალღა სიმდიდრეა და მეორე – სიღარიბე,  
 ერთი ტალღა სიყვარულია და მეორე – სიძულვილი.  
 მოედინება ზღვის ტალღები ნაპირისაკენ  
 და ნაპირი მედგრად უხვდება  
 და იგერიებს ყველა ტალღას თევზებით სავსეს,  
 რომელთა შორის ჯადოსნური თევზიც დაცურავს  
 და ელოდება მარჯვე მეთევზეს.  
 მეთევზე მეთევზეს ცვლის,  
 ბადე – ბადეს  
 და ოქროს თევზი იყურება ნაპირისაკენ,  
 იყურება, თვალეები აწყდება,  
 ის კი არ ჩანს, მარჯვე მეთევზე,  
 რომელიც ერთხელ უკვე იყო,  
 არ მეორდება.  
 ზღაპარმა კუდი მოიქნია  
 და ზღვის ნაპირი ცარიელია.  
 ზღვის ერთი ტალღა სინამდვილეა  
 და მეორე არის ზღაპარი.  
 ოქროს თევზმა ჯერ არ იცის, რომ  
 ზღაპარი უკვე დამთავრდა  
 და ელის, ელის კეთილ მეთევზეს.

## ფოლკლორი

როგორც აღარ გვტკივა  
მოჭრილი თმა და მოჭრილი ფრჩხილები,  
ისე აღარ გვტკივა მოჭრილი ლექსები,  
რომლებიც თავიანთი გზით მიდიან,  
როგორც ღრუბლები, ქარით განდევნილი,  
და მათ სიარულს არა აქვს დასასრული  
და ათას ავტორს გამოივლიან  
და ბოლოს მაინც უავტოროებად რჩებიან,  
რადგან არავინ უწყის, საიდან იწყებიან.  
დრო აფერმკრთალებს მათ პირველწყაროს  
და დრო ის ქარია,  
რომელიც ღრუბლებს გადარეკავს,  
რათა ცას შეუერთოს,  
შეუერთოს მარადისობას.  
მოჭრილი თმა და მოჭრილი ფრჩხილები  
აღარ გვტკივა,  
აღარ გვტკივა ძველი აზრებიც,  
სამაგიეროდ, ახალი გვეზრდება  
და გვაოცებს იმ ნაკადულივით,  
ყვავილებს რომ ზრდის და აცოცხლებს  
და თითო ყვავილი თითო სიტყვაა –  
მინის ნათქვამი ზეცისადმი  
და ხალხურია.



## ლია მოცაიშვილი

### ასკილის ყვავილი

თუ მთის პატარა სოფლებში გივლიათ, უსათუოდ დაგაფიქრებდათ უცნაური, აჟურიაშეღებულ მყუდროება, ხმებით სავსე სიჩუმე: ჩქარი მდინარის ჩქაფუნის, სადღაც შორს... შორიდანვე – ექოსავით ყრუდ – ძაღლების ღავლაღვი. ხმელი ფოთოლი რა არის, ისიც კი დიდი შრიალით სწყდება ხეს.

წვიმაც სხვანაირი შხაპუნით მოდის აქ და ქარიც უფრო გულმოცემული უზუზუნებს. ის უთავბოლო ქალაქური გრიგალი კი არა, ნამდვილი, მინდორში განალაღები ქარი, ტყე-ტყე ნანანალები, ბრძენი...

ოქტომბრის დამლევს ერთ ასეთ სოფელში დავიდეთ ბინა მე და ჩემმა ამხანაგმა. სულ ათი თუ თორმეტი ოჯახი ცხოვრობდა აქ. მიტოვებული სახლები კი, იცოცხლეთ, ბევრი იყო.

მშვენიერია შუა შემოდგომა. ყველაზე კარგიც სწორედ ამ დროს არის მთა და არა თაკარა ზაფხულში: აჭრელებული ფერებით თავბრუდამხვევი.

ახლა კი სიმკაცრე შვენოდა აქაურობას.

პირველად ცოტა გაგვიჭირდა: უგზობობა, ტალახი ნანვიმარზე, წყალი შორიდან მოსაზიდი... მაგრამ ერთ კვირაში ყველაფერი გაგვიოლდა და მტკიცედ

გადავწყვიტეთ – აქ უნდა გვეცხოვრა ერთ თვეს მაინც, დაზამთრებამდე. აღარ მოვძებნიდით ბინას სხვაგან, სხვა სოფელში.

რა გვიზიდავდა ორ ახალგაზრდა ქალს ამ თითქმის უკაცრიელ ადგილას? რა და სწორედ ეს უკაცრიელობა. გათენდებოდა დილა საქონლის ზმუილით, სასიამოვნოდ შემამცივებელი ნისლით; მერე მოდიოდა საღამო – მშვიდი, სინოტივის სურნელიანი და კვლავ ზანზალაკები წკარუნებდა მოლურჯო-ნაცრისფერ მკვრივ ბინდბუნდში. ხან მეჩვენებოდა, რომ რაღაცები ბზინავდა ამ ბურუსში, მაგრამ ციციანათელები აღარ იყო უკვე.

ხოლო დილასა და საღამოს შორის რას ვაკეთებდით? არაფერს, სრულიად არაფერს და ეს იყო სწორედ, ბედნიერების შეგრძნებით რომ გვათრობდა თითქოს. ხან (თუ უამინდობა იყო) თბილად ჩაცმულები ჩამოვსხდებოდით სახლის წინ, გადახურულში და შევცქეროდით ფარდასავით ჩამოშვებულ წვიმას, თან პატარა თუნუქის ლუმელს ვეფიცებოდით. ზედ ვწვავდით კარტოფილს... ვადულებდით ჩაისს (გაუთავებლად)... არც კი ვმუსაიფობდით თითქმის, არ ვაფრთხობდით ამ ძლივს მოხელთებულ მყუდროებას.

შიგადაშიგ, რა თქმა უნდა, გამოერეოდა მშვენიერი მზიანი დღე. დავიჭერდი ჯოხს და სანამ კარგად არ შელამდებოდა, სახლში არ ვბრუნდებოდი. დავივლიდით მთელ სოფელს. იქ მდინარის სათავეაო... უფრო შორს, დევივით წამოყუდებულ კლდეში, რალაც ქვაბული იყო. არაფერი დავტოვეთ უნახავი.

ერთი ასეთი გასეირნების დროს შევხვდით ნუკრის – ყველაზე უცნაურს, ყველაზე მშვენიერსა და დამაფიქრებელს. ერთი გამოუცდელი სოფლელი გოგო იყო თითქოს, მაგრამ, აბა ყური დამიგდეთ...

ვისხედით მე და ჩემი ამხანაგი კლდის პატარა შვერილზე. არც კი ვიცდი, კლდე დავარქვა თუ, უბრალოდ, ქვიანი გორაკი, მაგრამ აქედან ხელისგულივით მოჩანდა სოფელიცა და მისკენ მომავალი რამდენიმე შარაგზა. ჩვენს თავზე თეთრი ღრუბლები მიცურავდნენ ნება-ნება. ამან ზაფხული გაგვასხენა. თითქოს ცხელოდა კიდეც – ქურთუკი გადავიღე. რალაც უნდა მეთქვა და აქ ჩემმა ამხანაგმა ხელი მტაცა ხელში: სუ, ჩუმადო... და ქვევით გადამახედა. დაბლა, ბილიკზე, ორნი მოდიოდნენ – ქალი და ვაჟი. ქალი მხიარულად იცინოდა. ზარივით ხმაზე მივხვდით, სულ ახალგაზრდა იყო, თითქმის ბავშვი. მერე ის დანინაურდა, ხელი აუქნია ვაჟს.

– შენს ცოლს მიხედე, ფრიდონავ, ის გერჩივნოს! – გავიგონეთ კვლავ მხიარული სიცილი და ქალი გაიქცა. ვაჟმა თვალილა გაადევნა. მგონი, ერთიც მაგრად ამოიოხრა.

მთელ ამ დროს ჩქამიც არ გაგვილია, მაგრამ ვაჟმა უცებ ამოგვხედა, სახე შეეცვალა, შერცხვენილი მიტრიალდა და წავიდა. ჩვენც შეგვრცხვა: ვიცნობდით ამ ბიჭს. მეზობლად ცხოვრობდა. სულ მოკრძალებით გვესალმებოდა. აი, ცოლი კი მხოლოდ ორიო-

დეჯერ გვენახა. თითქმის არ გამოდიოდა შინიდან. ორ პატარა გოგოს ზრდიდნენ.

რატომღაც გუნება წაგვიხდა.

– ნამდვილ კინოკადრს არ ჰგავდა? – თქვა ჩემმა ამხანაგმა, – ოლონდ შუაში განყდა ჩვენება, როგორც სოფლის კლუბში.

წამოვკრიფეთ საუზმის ნარჩენები და ჩავირბინეთ ჩვენც ბილიკზე. მოშორებით ძალიან გემრიელი, ცივი წყალი გვეგულეობდა, იქით, საითაც ქალი გაიქცა... და დავინახეთ, რომ ისიც წყაროსთან იყო ჩამუხლული და სვამდა. შეგვამჩნია თუ არა, ფიცხლად წამოიმართა. წყალი კაბაზე ჩამოეწუნა. მერე, ეტყობა, ამისიც მოერიდა და რალაც აბნეულად შემოგვკლიმა. მივესალმეთ.

ისიც მოგვესალმა, მაგრამ დარცხვენილი იდგა. აქამდე არასოდეს მენახა ეს



გოგო. შავთავშლიანი, შავი კაბით. უსათუოდ მგლოვიარედ იყო, მაგრამ ვისზე? ნუთის წინ ისე უდარდელად იცინოდა...

– როგორ ჩამოცხა. – თქვა ჩემმა ამხანაგმა, ეს უხერხულობა რომ გაეფანტა.

– დიახ... ძალიან. – მიუგო გოგომ. თავსაფარს ისწორებდა თხელი თითებით.

– რა გქვია? – ვკითხე ახლა მე. აღტაცებული თვალს ვერ ვაშორებდი.

– ნუკრი.

როგორი იყო, იცით? უნაკლო და უბრალო, როგორც ბალახის ღეროზე სხივით მოციაგე ნამის წვეთი. ყელზე შებნეული თავშალი მოიხსნა და შავ სვიტერზე ჩამოეშალა ღია-ღია ოქროსფერი თმა. მონაცრისფრო მრგვალ თვალებს ხან მე მომაპყრობდა, ხან ჩემს ამხანაგს.

– რა მშვენიერი სახელი გქვია, ძალიან შეგეფერება.

– რა ვიცი... ნუკრი კაცის სახელია და როგორღა შემეფერება, აბა? – მხრები აიჩჩინა.

მერე სამივე ერთად მოვდიოდით სოფლისკენ. ის ჩვენს შორის, როგორც ცირცელის ნაყოფი ფერშეცვლილ ფოთლებში, ისე ღვიოდა.

თვრამეტი წლისა აღმოჩნდა. არასოდეს გაშორებოდა თავის სოფელს. სულ შინ ვიჯექ, ხან ბებოს ვუვლიდი, ხან პაპას. ახლა კი მთლად მარტო ვარ, ბუკი-ოტივითო.

– თქვენ კი, ალბათ, თბილისში ცხოვრობთ, – გვითხრა ბოლოს რიდით.

– არა, ჩვენც სოფლელები ვართ.

– რა ვი... რომ არ გეტყობათ? – მორცხვად შემოგვღიმა.

– კი, კი, სოფლელები ვართ. ოღონდ ბარის სოფლიდან.

მაინც უნდობლად შეგვახედებდა თვალს.

მეორე დღეს თავი დავიჭირე, რომ უჩვეულო ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი მოპირდაპირე ეზოში მოტრიალედ ფრიდონს: საქონელი გამოიყვანა, გაუშვა შარაზე. მერე შემას ჩეხავდა კარგა ხანს. მისი გოგოებიც იქ დაცუნცულეებდნენ, მთლად შებუდრულები თბილ ტანისამოს-

ში. მამა ხან დაუტევედა: ნაპობი არ მოგხვდეთ, იქით გაინიეთო. თვითონ ჭრელი ნაქსოვი სვიტერის ამარა იყო. ძლიერი და ლამაზი აღნაგობა ჰქონდა. განსაკუთრებით, დაკაპინებული ღონიერი მკლავები გეცემოდათ თვალში.

უცებ ჩემკენ გამოიხედა. დამნაშავესავით შემცბარმა სასწრაფოდ დავუშვი ფარდა.

სალამოს ნუკრის ვენჯივით. უკვე ვიცოდით მისი სახელი – პატარა, სულ სამი ოთახი იყო, ისიც შეუღესავ-შეუღებავი, მაგრამ აქაურობა მაინც სისუფთავით ბზინავდა. მორეცხილი ფიცრის იატაკი რომ არ დაგვესვარა, ფეხსაცმელები კართან დავტოვეთ, თუმცა შენუხებულმა მასპინძელმა ამაზე თავი მოიკლა.

არ ვანებებდით და მაინც ისე მარდად დატრიალდა... გამოალაგა, თუკი რაიმე საუკეთესო და ნუგბარი ჰქონდა. ჩვენც მოტანილი გვექონდა ყავა, ქალაქური ნამცხვარი...

შუქი ჩაქრა და სანთლებს მოუკიდა. ამ სანთლების შუქზე ჩვენი მასპინძელი, ხელებზე ნიკაპდაყრდნობილი, მოუცილებელი ღიმილით, თვალებგაბრწყინებული შემოგვცქეროდა.

– სულ მარტო როგორ ცხოვრობ, ნუკრი?

– ეჰ, არც კი ვიცი... – ამოიოხრა და მერე ისე გულიანად შემოგვღიმა, – არავინა მყავს ქვეყნის გულზე და აბა, სხვაგან სადღა წავალ?

ძალიან მინდოდა, ისე მინდოდა მეთქვა, მე წაგიყვან, ჩემთან ვიცხოვროთ-მეთქი, ნუკრი, მაგრამ ეს ხომ ტყუილი დაპირება იქნებოდა. ან რა უნდა მიმეცა მისთვის, როცა სიზმარშიაც კი თავს ქანცგანყვეტილ მოხეტიალედ ვხედავდი, უდაბნოს მტვერში რომ ეცემა... მიდის, მიდის და ძირს ეცემა, ღონე აღარ აქვს...

მაინც ვუთხარი: – შენ აუცილებლად უნდა ნახო ქალაქი, ნუკრი... კინოში გადაგიღებენ! – და იქვე ვიკბინე ენაზე – სადღა იღებენ ახლა ჩვენში კინოს...

– ქალაქი, – გაიმეორა ნუკრი, – ქა-



ლაქი... სულ არ ვოცნებობ სადმე წასვლაზე, მაგრამ აქაც რომ სული მესუთება? – ამოგვხედა თავის საავდრო და მაინც წმინდა ცასავით თვალებით, გრძნეული ქალივით იდუმალმა და მომხიბვლელმა, – ვერა, ვერსად წავალ... – თქვა ისე ფიქრით.

გვეხვეწა, დარჩით, დარჩითო, მაგრამ მაინც წამოვედით სახლში. ფარნით ვანათებდით გზას. რალა შუალამე... სადაცაა, მამლები იყივლებდნენ.

– ლამისაა შევნატრო ამ გოგოს, – მითხრა უცებ თეომ, – ჯერ მაგას ნამდვილი იმედგაცრუება არ უნახავს. სიღარიბეც, ამ მიგდებულ ადგილას ცხოვრებაცა და ისიც, რომ ცოლშვილიან კაცს უყვარს... ყველაფერი მაინც კარგია... ან, არც ისე ცუდი. მართლა, არც ისე ცუდი...

ცოტა ხანში სანანებლად გაგვიხდა, ნუკრი რომ ჩვენთან მოვიპატიჟეთ. კი გვითხრა, ფრიდონის ცოლს არ ესია მოვინება, თუ დამინახავსო, მაგრამ რას ვიფიქრებდით, ასეთ ამბავს თუ დაანევდა ეს საცოდავი, ვითომ უენო ქალი.

ახლაც თვალწინ მიდგას... ნანვიმარია. ჩვენი სახლის წინ, ატალახებულ გზაზე ჩაივლიან შეხნიერებული გლეხები. ერთს მხარზე ცული გაუდევს. ამათ ძუნძულით მოჰყვება ბებერი, ნაცრისფერი ნაგაზი. ცოტა მოგვიანებით გამოჩნდება ნუკრი შავი თავსაფრით. უმკლავებო ცხვრის ტყაპუჭიც ვერ ფარავს იმის შოლტივით ტანის ნაკვთებს. ჩვენ აქედან შევლიდით. აჰა, უნდა გამოსცდეს ჩვენი მეზობლის სახლს, რომ გამოვარდება შარაზე მალაღლი, ხმელი ქალი, სწყევლის ნუკრის. მერე ქვასა და ტალახს დაადვენებს.

ნუკრი კი არ გაიქცევა, თითქოს წყევლისგან ქვადქცეული იყინება ერთ ადგილას. ჩვენ გავრბივართ, მაგრამ ქალი უკვე ჩქარი ნაბიჯით მიბრუნდება და შეიმალება სახლში.

ნუკრი ცეცხლთან დავსვით, გავუნმინდეთ კაბა, მოვბანეთ შავი ლაფის წინწკლებით მოსვრილი სახე. არ ტიროდა, არც გაჯავრებული ჩანდა. გოცებული

უფრო იყო, პატარა ბავშვივით გაოგნებით თვალებგადიდებული.

– ღმერთმა ხომ იცის, რომ უდანაშაულო ვარ, – გვითხრა ბოლოს.

მაშინ გავიგეთ, რომ ფრიდონი აქაური კი არ იყო, ჩამოესიძებინათ. ცოლიც ლამაზი, ისიც... თორმეტი წლის ნუკრიმ ბევრი იცეკვა მათ ქორწილში.

მერე რა მოხდა? სულ ცოტა დრომ განვლო. მაგრამ ამ მოკლე ხანში მთელი ცხოვრება შეტრიალდა – ნუკრიმ ტანი აიყარა, ნამდვილ ქალს დაემსგავსა. გამოცადა ობლობა, სრული მარტოობა... სანამ ფრიდონის ცოლი კარგად იყო, ვაჟისგან არაფერი უგრძნია, მაგრამ მერე ქალი თვალდახელშუა ჩამოდნა, დაუშნოვდა. სულ ეჭვიანობდა, სიცოცხლეს უნამლავდა ჩხუბით ქმარს. ბავშვებსაც არ ზოგავდა თურმე.

აი, მაშინ კი...

– მებრალეობდა... კაცი არ უნდა შეიბრალო? არ ვიცი, რა იფიქრა. აგერ, მეორე წელია, რაც ლანდივით სულ თან დამდევის. მე კი არაფერს შევპირებვივარ. ხომ გჯერათ ჩემი?

– შენ ის გიყვარს, ნუკრი?

– არა, არა!.. – ნამოდგა და აღელვებულმა გაიარ-გამოიარა ოთახში. თვალელებში უცხო რამ ცეცხლი გაუკრთა – სიამაყის, აღშფოთების. მაგრამ მალევე შეეცვალა გამომეტყველება, ჩვენკენ მოაბრუნა აღენილი სახე. ტუჩები უმწეოდ უთრთოდა: – ასე უფრო ძნელია, გეფიცებით... მაინც როგორღა ვიცხოვრო? რაიმე აზრი უპოვეთ ჩემს საწყალ ყოფას... თქვენ ხომ უფრო იცით...

უხმოდ ავარიდეთ თვალი.

აჰა, სადაცაა მიილეოდა ნოემბერიც. უფრო მეტი მდუმარება შემოადგა სოფელს. მთლად გაკმინდა სული ვინრო და კლაკნილ კალაპოტში მომავალმა წყალწმინდა მდინარემ. მოხუცებისგან გავიგონე, ასეთი სიჩუმე დიდ ზამთარს მოასწავებსო.

ისევ გამიხსენა უძილობამ.

გამთენიისას, ისე, რომ ჯერ კიდევ

ბნელოდა, ფრთხილად წამოვდგებოდი, ვანთებდი ლუმელს. თეოს ამ დროს მშვიდად ეძინა.

ერთ დილას – რალაცნაირად, ცუდად ჩამოსტიროდა ცას პირი – ფრთხილად გამოვიხურე კარი, ჩამოვიარე სამსაფეხურიანი კიბე. ფრთხილადვე მომქონდა წყლის ჭურჭელი.

ციოდა.

შარაზე გამოვედი თუ არა, პირისპირ შემომეფეთა ჩვენი მეზობლის ხუთი წლის გოგო – გულამომჯდარი, ატირებული. ძლივს გამაგებინა, დედააო ცუდად.

ასე მეგონა, გასული საუკუნის რომელიმე გულისმომკვლელი წიგნის გვერდებს ვფურცლავდი, როცა ფრიდონის სახლის ზღურბლს გადავაბიჯე. ბნელოდა, ბნელოდა. ქვის კედლებზე აქა-იქ გაყვითლებული გაზეთები იყო გაკრული. ერთი რალაც საცოდავი რკინის სანოლი ედგათ. შავი კარადა, მთლად დაფუტრული. დიდი მრგვალი მაგიდა – დახეული, ძველი სუფრით...

არც ლუმელი დაენტოთ ჯერ... პერანგისამარა უმცროსი გოგო ხმაგაკმენდილი იდგა კედელთან. ფრიდონის ცოლი მკვდარივით უძრავად იწვა. შუბლზე დავადე ხელი. გაყინული სახე ოფლით დაცვაროდა. თვალი გაახილა.

– ახლა არაფერი აღარ მიჭირს. დავაშინე ბალები. – თქვა წყნარად.

არ ვიცოდი, რით დავხმარებოდი.

აქ სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. შეშას წამოვავლე ხელი. ასანთი მოვიძიე. დიდი წვალეებით მოვუკიდე ცეცხლი.

ქალმა ლოგინში წამოინია. შეწუხებული მადვენებდა თვალს.

ჩაი მივანოდე. უსიტყვოდ დამემორჩილა, მაგრამ ხელები უკანკალბდა.

ჩემი ტოლი თუ იქნებოდა – ოცდახუთი ან

ოცდაექვსი წლის. უმონყალოდ გათელილ გარეგნობაში მაინც რალაც შემორჩენოდა ყმანვილური.

– თქვენ, ალბათ, გგონიათ, ერთი ბოროტი დედაკაცი ვარ, – მითხრა საცოდავი ხმით, – ქვებით დავდეე ხალხს... მეც მქონდა ჩემი საოცნებო... სულ ასეთი კი არ ვიყავი... ავადმყოფობამ გამტეხა.

– უნდა როგორმე ექიმს მიმართოთ... ასე არ შეიძლება.

– არა... აბა, სადღა გვაქვს მაგის საშუალება. მოგკვდები და მოგკვდე... დავისვენებ მაინც... – და ფართოდ გახელილი თვალებიდან ღვარად დაედინა ცრემლი.

კედელთან ატუზული გოგოებიც ჩუმად აზუზუნდნენ.

– დედა მოგიკვდეთ, ჩემო საწყლებო...


აღარ შემეძლო აქ გაჩერება. გარეთ გამოვედი, მივეყრდენი კარს და უცებ ისეთი ამაზრზენი მომეჩვენა ყოველივე: საქონლის სუნით გაჯერებული ეს მოუვლელი ეზო, ეზოს გადაღმა – ატალახებული შარა; სოფლის თავზე შავად ჩამოლუშული საავდრო ღრუბლები...

– ნავიდეთ აქედან, – ვუთხარი ჩემს ამხანაგს, – სადაცაა თოვლს ჩამოყრის. მერე, ვაითუ, გზები ჩაიკეტოს და ჩავრჩეთ ამ დილეგში.

მან გაოცებით შემომხედა.

– რა დაგემართა? ხომ კარგად ვგრძნობდით თავს აქ?

იმავე საღამოს შევეკარით ბარგი. წინ



კიდევ გვეყონდა მთელი ორი დღე, მაგრამ ახლა იმ მოლაშქრეებს ვგავდით, დასასვენებლად რომ დასცეს კარავი, ხოლო გონება და თვალი ახალი დასაპყრობი სიმალლისკენ მიუბრუნებოდა.

ნელა ვეთხოვებოდი კეთილ მასპინძლებს. მთელ ამ პატარა სოფელს ვიცნობდით თურმე. გულისამაჩუყებელი იყო, როგორ გამოხატავდნენ სინანულს – მოგვენატრებიით... არ დაგვივინწყოთო... უნებურად სიამაყით და სიხარულით გვევსებოდა გული და აცრემლებულ თვალს ვუმალავდით ერთმანეთს.

როცა მანქანამ ამოგვაკითხა, რაღაც უცნაური ამინდი იდგა. გაბრუნებული ვიყავი უძილობით, ამ არეული დღითაც... თითქმის ფიზიკურად შევიგრძენი, რომ უსათუოდ გათოვდებოდა.

მსუბუქი ნისლის ნაფერთალში გავხედეთ სოფელს. ნუკრი ჩვენთან იყო. მომაგონდა მისი მუდარა: „როგორ ვიცხოვრო?... თქვენ ხომ უფრო იცით...“

არაფერიც არ ვიცოდით... მხოლოდ უსიტყვოდ ვეხვეოდით. და კვლავ მინდოდა მეტყვა: ჩვენთან წამოდი-მეთქი... ესეც ამაო იყო...

– შენც უძილო ხარ, ნუკრი? – ესლა ვკითხე, რადგან სახე მთლად ჩატეტკოდა.

თავი გადააქნია, გაღიმება სცადა.

– მომეწყინება უთქვენოდ...

მის მიღმა, შორს, ლანდივით ვხედავდი თავის ეზოში გაშეშებულ ფრიდონს. ვიცი, რა ძალაც აჩერებდა ასე უძრავად. თითქოს დავინახე მისი მზერაც.

მთლად განაცრისფერებული ცა მაინც ისეთი გამჭვირვალე იყო... უნებურად დავაკვირდი ნუკრის და გამელიმა: მისი თვალებიდან იდუმალი სინათლე იღვრებოდა, თითქოს ძალიან შორიდან, სიღრმიდან; ძნელად მოსახელთებელი და მაინც დამატყვევებელი.

უკან დარჩა მოხვეული ვინრო გზა. დავეშვით ქვევით. თანდათან გვშორდებოდა მიძიმე და წმინდა მწვერვალი. გაჩუმებულები გავცქეროდით საქარე მინაში გამალებით მრბოლავ ხეებს, გადმოშვერილ ფლატეებს, აქა-იქ ფოთლებშერჩენილ ტყის კიდეებს. და უცებ ისევ ვიგრძენი, რომ გათოვდებოდა. ეს უკვე ნამდვილად ჰგავდა ზამთარს.

მუსიკა ჩართეს... სრულიად სხვა, შეუსაბამო... და ფიქრებმაც სხვა მხრივ დაიწყეს დენა... მხოლოდ ცოტა ხანს. მერე ისევ დავუბრუნდი ძველ მოტივს...

მეჩვენებოდა, რომ ტყის ნაპირებში, ხან აქ, ხან იქ, ალივით გამოანათებდა და მერე ისევ ქრებოდა ტანკენარი ქალის ლანდი, თმებზე დაფენილი ოქროსფერი თმით.

ნუკრი მართლაც რაღაცით წააგავდა გამოგონილი სამყაროს მკვიდრს.

მაგრამ ყოველთვის, როცა მასზე ვფიქრობ, თვალწინ წარმომიდგება ასკილის ნაზი, ვარდისფერი ყვავილი, ხვიარა ეკლიან ბურქზე; უკაცრიელი, უდაბური ველის შუაგულში, სადაც არავინ ხედავს მის სუნთქვას (სუნთქვის დანახვაც შეიძლება) და მხოლოდ ქარი აძრწოლებს, ნელა აცლის უნაზეს ფურცლებს...



## ნინო სიხაჩიძე

### სიყვარულია

*„მისთვის მიყვარხარ, რომ მადლევ ტანჯვას  
და ამ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა“.*

**ილია**

ჰო, ესმერალდას კვაზიმოდო არ ჰყვარებია,  
ჰო, შანდორ პეტეფს გაექცა ცოლი  
და კატინკამაც უარყო ტატო –  
სიყვარულია მაშველი რგოლი,  
რომელსაც ბევრი ამაოდ ნატრობს.  
ჰო, ბევრსაც ბევრი დასიზმრებია  
და დარჩენილა სიზმრის ამარა –  
სიყვარულია ის საოცრება,  
მათი ოცნება რომ ასამარა...  
... მოუწყენიათ ქუთათურ ვარდებს,  
ზეცაც ქუფრია და ფერწასული,  
დღეს გაფრინდება, დღეს გაფრინდება  
შერვაშიძეთა ნაზი ასული.  
და, რადგან მერის თვალები ჩრდილავს,  
ზეცა შერცხვენილ ვარსკვლავებს მალავს,  
სად ატარებდა მწუხარე ქარი  
ტაძრიდან გასულ მწუხარე გალას...  
... ვინ ატირებდა დილამდე არღანს,  
ვინ მოინატრა მტკვარზე ქეიფი –  
ფოთლების ფარჩას მიხვეტავს ქარი,  
ვით მარგარიტას კაბის შლეიფი.  
კმარა, ნიკალავ! დაჭკნა ვარდები,  
კაფე-შანტანშიც დაეშვა ფარდა,  
დრო მოვა, ყველას შეუყვარდები,

გულში რომ გიზის, იმ ერთის გარდა,  
 მაგრამ ის ერთი შერჩევა ხსოვნას,  
 ერთის გარშემო ბრუნავს სამყარო –  
 სიკვდილო, გიჯობს, ეს აღიარო  
 და მარცხის ნიშნად თავი დახარო...  
 ჰო, ესმერაღდას კვაზიმოდო არ ჰყვარებია,  
 ჰო, შანდორ პეტეფს გაექცა ცოლი  
 და კატინკამაც უარყო ტატო –  
 სიყვარულია მაშველი რგოლი,  
 რომელსაც ბევრი ამაოდ ნატრობს...

### მავან პოეტიკა შესახებ

პოეტების სუფრაზე დარდი იყო თამადად,  
 დარდი, დარდიმანდობას ძალად ჩახუტებული,  
 არაყმა რომ იძალა, სასმისი დაიცალა –  
 აბა, მერე გენახათ პოეტების კრებული,  
 აბა, ერთი გენახათ სიტყვის რთველში ზეიმი,  
 სიტყვის გამობრწყინება მზით დაკოცნილ მტევნებად,  
 გულის გასახარელი სტრიქონების მარულა,  
 შმაგი ბედაურივით ლექსის შემოჭენება...  
 – ალავერდი მუზასთან! – გაისმოდა სუფრასთან,  
 მუზა მიმინოსავით ცერზე ესვათ პოეტებს,  
 უცებ ჩამოიბერტყეს მტვერი ამქვეყნიური,  
 კარი მიუჯახუნეს უხამს მიეთმოეთებს  
 და ბანცალით, ნელ-ნელა გაჰყვნენ ზეცის ბილიკებს,  
 აღარ ნენდათ გრიგალი, თითქოს გამოიდარა,  
 არარსებულ რაშებზე შესხდნენ დიდი ბავშვები –  
 ღულუნებდა ბუხარი, სულს ალღობდა გიტარა.  
 დარდის გუდის დამცლელი ჭინკა ხტოდა ჭიქაში,  
 ბოლო აღარ უჩანდა ბალადებს თუ სონეტებს –  
 ჰო, იმ ღამით ყველა და ყველაფერი უყვარდათ  
 ცხოვრებასთან გაბუთულ, გულგატეხილ პოეტებს;  
 ერთმანეთიც უყვარდათ... მაგრამ დრო არ ხუმრობდა  
 და გათენდა როგორღაც, მთვარემ თვალი მილულა,  
 ისევ ვრცელი უდაბნო, „ლურჯად ნახვერდები“,  
 უსასრულო უდაბნო თვალწინ გადაჭიმულა.  
 ისევ საპალნესავით აიკიდეს ნალველი,  
 გარეთ კვლავაც ნალმები, ქირქილი და ჭორია,  
 კომპასის მაგივრობას ვერ გასწვევენ ლექსები  
 და შორია ზეცამდე, უსასრულოდ შორია –  
 გმირობაა გაძლება და პოეტად დარჩენა,  
 მაგრამ სული ტკბილია, განა ყველა გმირია,  
 ვინც კი ზეცას ვერ შესწვდა, ვინც ფარ-ხმალი დაყარა,

სტრიქონებთან ნანლობა წარსულს გადააბარა.  
 წარსულს გადააბარა და, ფრენა რომ ვერ შეძლო,  
 დაჩოქილმა განაგრძო გზა, მიზნისკენ სავალი,  
 დროზე თავის დაკვრა და ტაშისცემა ისწავლა,  
 გამონვრთნილი პნკარებით აცოდვილა კალამი.  
 მავანთათვის ფრენაზე მეტად ხოხვა დაფასდა,  
 მთავარია, ხელმწიფის ნავში მოიკალათონ,  
 ნავი ყველას ვერ იტევს, საქმე დასწრებაზეა,  
 ჰოდა, ბოლო არ უჩანს პოეტების მარათონს...  
 ... ვიღას უკვირს, სუფრაზე დარდმა რომ ითამადა,  
 დარდმა, დარდიმანდობას ძალად ჩახუტებულმა,  
 ლაგამამოდებული, თვინიერი ლექსებით  
 ზეცას თავად უგანა პოეტების კრებულმა...

P.S. მუზა გაატიალეს, სული დააჩიავეს,  
 შეჭხარიან წარმავალ ჩინებს და ეპოლეტებს,  
 შეჭხარიან მონეტებს, ვილებს, კაბრიოლეტებს –  
 პოეტები რომ ჰქვიათ, ავინწყდებათ პოეტებს...

## ქარაბმა

ისე მსუბუქად, როგორც მტკვარზე ჯდება თოლია,  
 ისე იოლად, როგორც ბუდეს აგნებს მერცხალი,  
 ჩემი ლექსების ალერსიან შემოდგომაში  
 ღრუბლის სასთუმალს ავარაყებს ისევ მზექალი.  
 სიყრმის სიზმრებში ასე იყო, ახლაც ასეა:  
 შეყვარებული ღრუბლის იღბალს ვინ არ შენატრებს,  
 ის ხან სხივებთან საიდუმლოდ მობაასეა,  
 ხან ზეცის თაღებს ცეცხლისფერით ააკელაპტრებს.  
 შენც კარგად იცი, სიყვარული ბევრს შემოაცვდა,  
 ღალატისფერი კუპრით ბევრის გული სავსეა,  
 მაგრამ ეს კუპრი მზეს და ღრუბელს არ ეკარება,  
 სიყრმის სიზმრებში ასე იყო, ახლაც ასეა...  
 ... სულ ერთი წვეთი ერთგულება როგორ გვჭირდება,  
 სულის სალბუნად მოვლენილი, მხსნელი სიტყვები,  
 სულ ერთი ციდა ოაზისი, ია-იები  
 და უსაშველოდ მათრობელა ილუზიები,  
 თორემ ისე რა გადაიტანს ჭრიჭინა ჭორებს  
 და წუთისოფლად ნოდებულ ამ ორომტრიალში  
 ვინ გადარჩება, ცოდვილის დაღს ვინ მოიშორებს  
 და ვინ წარსდგება პირნათელი უფლის წინაშე...  
 თუკი მზისა და ღრუბლის ტრფობა ზღაპარს გაგონებს,  
 ჩათვალე ისე, თითქოს ზღაპრად მომიყოლია  
 ან მიმღერია ლამეული წვიმის ნოტებით

მეტეხთან ახლოს, სადაც მტკვარზე ჯდება თოლია.  
და თუ ოდესმე, მანანნალა წლების გადაღმა,  
ამ დღეებს ისევ გაგახსენებს ფერთა კოლაჟი,  
იქნებ, მიმიხვდე, რაც გითხარი ახლა ქარაგმად  
ჩემი ლექსების ალერსიან შემოდგომაში...



უსიყვარულოდ ვნერ სიყვარულზე,  
უიმედობის იმედს ვიგონებ,  
უცეცხლო ბუხარს მიფიცხებელი,  
უთოვლო ზამთარს მივასტრიქონებ...  
და ულექსობის ლექსი გამომდის  
(მარტო რითმები რას უშველიდა!).  
კვლავ უდღეური დღე მითენდება,  
ამოხრინული მამლის ყელიდან...

## ხელმოწერა

„არც ერთი ერი იმაზე უკეთესი  
ხელისუფლების ღირსი არაა,  
ვიდრე ჰყავს“.

**კ. გამსახურდია**

ზოგი – მაშველი, ზოგი – სასჯელი, ზოგი – ნყევლა და ზოგი – წყალობა,  
ზოგი გავნირეთ, ზოგმა გაგვნირა, ზოგისთვის უფალს ვნირეთ მადლობა...  
ზოგს მტრის მახვილმა, ზოგსაც სირცხვილმა გვირგვინოსანი მოჰკვეთა თავი  
და ისტორიის ბნელ ტალანებში დათარეშობდა გრიგალი ავი.  
ზოგი – მგოსანი, ზოგი – ხმლოსანი, ზოგიც ღვინის და ქალის ტრფიალი,  
იყო ორპირთა, მხსნელთა, ტარიგთა, მოლაღატეთა ორომტრიალი –  
რაც დაითესა, ის აღმოცენდა: ძალღყურძენა თუ მტევნები მწიფე,  
განგების ნებით, განგების ძალით, ურვით თუ კრძალვით ორთავე ვკრიფეთ  
და, როგორც უნდა იცვალოს ჟამი, როგორც უნდა ჩამოდგეს ხანა,  
არ გახუნდება სიტყვა, რომელიც დიდმა მწერალმა ოდესღაც ბრძანა...



რა მოწყენილი დგანან ხეები!  
ბურუსი სურვილს ბადებს დაღვეის,  
ძლივს ამოვკეცე მცირე აღმართი  
და შემეგება ქუჩა ავღვეის.  
აქ გუშინ ღამით ქარმა იძალა,  
საშემოდგომო რეკვიემს სტვენდა,

არ დაიზარა, არც დაილალა  
 და ფერად ფოთლებს ფარდაგად ფენდა.  
 იყო ტოტების უწყალო რბევა  
 და იყო ქარი, ვით განაჩენი,  
 ქვაფენილს აჩნდა უსიტყვო რისხვა  
 და შემოდგომის ჭრელი ნარჩენი.  
 მეეზოვეს კი ღიღინ-ღიღინით  
 ჩემი ქუჩიდან გაჰქონდა ბლუჯად  
 შრიალა ზღაპრის ეპიზოდები,  
 ქარის აკორდებს რაც გადაურჩა.  
 ქარო, ხეთ გული რად მოუკალი?!  
 ბურუსი სურვილს ბადებს დაღვეის  
 და, შემოდგომის ჭირისუფალი,  
 მნუხარე მხვდება ქუჩა ავღვეის...

### ჩემი ეზვისტენციალიზმი


დრო კი არ გადის, მე გავდივარ ამ თამაშიდან  
 (და არც არავინ მახევეს კალთებს, ჩვენთან დარჩიო),  
 გავდივარ, რადგან ყოველდღიურ ნაყარნუყარში  
 ამოდ ვცდილობ, რამე ნაღდი გამოვარჩიო.  
 ამოდ ვწვალობ, წყლის ნაყვანა ჩემი მცდელობა,  
 ამასობაში დაოთხილი გარბიან წლები,  
 ვხედავ თებერვალს, „შეშლილივით რომ კვდება ბაღში“,  
 და მთვარის შუქზე შეშლილივით ვესაუბრები –  
 ნეტა, თუ ესმის, ეს სიტყვებიც ისე ტლანქია,  
 მძიმეა, როგორც უმაქნისი რიყის ლოდები,  
 მაგრამ, რადგანაც სხვა სიტყვები არ გამაჩნია,  
 მე ჩემსას ვყვები და მის პასუხს არც ველოდები.  
 მე მაინც ვყვები, რომ სამყარო თავზე მემხოება,  
 რომ არაფერი აღარ დარჩა ქვეყნად მართალი,  
 მყიფე ყოფილა თურმე, რაც კი მყარი მეგონა,  
 სხვისი ყოფილა თურმე, რაც კი ჩემად ჩავთვალე.  
 ვყვები, რომ ვერსად მიპოვნია ნავსაყუდელი,  
 რომ ყველა ფიცი გადაიქცა საპნის ბუმტებად  
 და როცა ქუჩას მოეფინენ ბრბოს გასახარად,  
 სულ დაიტაცეს სატყუარა სიტყვის მუშტრებმა.  
 ამასობაში თებერვალმაც სული დალია,  
 ამასობაში დაოთხილი გარბიან წლები,  
 დრო კი არ გადის, მე გავდივარ ამ თამაშიდან  
 და სტრიქონიდან გამოქცეულ ნერტილად ვრჩები...



## გმაღლობი

### მკითხველს

რითმა გამირბის ურა კვიცივით,  
 თეთრი ლექსები თეთრ ღამეს ვანდე –  
 თქვენ კი ამაზე მხოლოდ იცინით,  
 სვამთ „კაპუჩინოს“ და „რიო გრანდეს“  
 ღამე გავლიე ანდა, პირიქით:  
 აღმოდებულმა ღამემ გამლია,  
 მომიხსენიებთ, ალბათ, ქილიკით,  
 რაიც, უდავოდ, ჩემი ბრალია.  
 მოდით, გამკიცხეთ, რომ სიტყვამ მძლია,  
 რომ ვერ დავარქვი სახელი ნაღველს,  
 ჩემს უმწეობას დასცინის წვიმა:  
 კოკისპირულად მამხელს და მამხელს –  
 წვიმამ დაგასწროთ... მერე კი გარეთ  
 მიხმო წვეთების მწყობრი მარშებით,  
 ჭრელ ქვაფენილზე ერთად ვცეკვავდით,  
 ახლა ქვაფენილს ერთად ვაშრებით  
 და ნაწვიმარი სიტყვების ტევრში  
 შევდივარ კრძალვით, როგორც მლოცველი,  
 რომ გულით ვიცნო ის – შეუმცდარი,  
 ერთადერთი და დასაკოცნელი  
 სიტყვა – ხსნა, სიტყვა – მაშველი რგოლი  
 და ჩემი თქვენთან შემრიგებელი,  
 სიყვარულისთვის ღია კარი და  
 მტრობისთვის ციხე, აუღებელი.  
 რითმა იქროლებს ურა კვიცივით,  
 თეთრ ლექსებს ისევ თეთრ ღამეს ვანდობ,  
 თქვენ ახლა ჩემთან ერთად იცინით?  
 მეტი რა უნდა ვინატრო –  
 გმაღლობთ!



## ბესიხ ქახელიძე

### ფენთვის სულერთი არ არის?!

ასფალტს ოხშივარი ასდიოდა, ახალ-მოზელილი ცომივით დარბილებულიყო. ხვატის მელოდისაჲს ქრიჭინები ახმოვანებდნენ. ჰაერიც კი დულდა და მცხუნვარებას ქალაქს აფენდა.

მამაკაცი ხის ქვეშ, ჩრდილში იდგა, სიგარეტს ხარბად ქაჩავდა და სამარშრუტო ტაქსის ელოდა. დროც გაზანტებულიყო, ეტყობა, დაისიცხა და მდორედ, აუჩქარებლად მიდუღუნებდა. შორიდან ყვითელი ფერის მიკროავტობუსი გამოჩნდა, ბოლო გაჩერებიდან თავდაღმართში ნელა მოიზღაზნებოდა. კაცმა კეპიანი ქუდი გაისწორა, ნომერს შეაცქერდა და ურგი რომ გამოდგა, უკმაყოფილომ სიგარეტი გადააგდო. ათწუთიან ინტერვალში ერთ მანქანას მეორე მიჰყვა, მეორეს – მესამე.

– სიგარეტი გააბოლე, მაინც ტყუილად ხარ.

– არ უნდა, თავი გაანებე.

– მოვწევ, ოღონდაც დროზე მოვიდეს და ერთ ლერს დავეძებ? – გაიფიქრა, გაოფლილი თითებით კოლოფიდან სიგარეტი ამოაცურა, მოუკიდა და ისეთი ღრმა ნაფაზი დაარტყა, თითქოს რამდენიმე დღეა, არ მოუწევიაო. თან სწყუროდა, ერთ ყლუპ წყალში დუნიას გაცვლიდა,

ყელი გვალვიანი მინროდით გადატრუსვოდა, ჩახშობოდა და ეწვოდა, – შენი მომგონის დედაც!.. – სიგარეტს მიაძახა და ორ თითში მოქცეული მოისროლა. ყვითელი მიკროავტობუსი დალანდა, ასფალტის მხურვალეებაში შორიდან მირაჟით გამოციაგდა, – რა ვქნა, შევვარდე მაღაზიაში, წყალი ვიყიდო? ეს ოხერი ხომ არ გამასწრებს?

– მიდი, მოასწრებ, წყლის ყიდვას რა დიდი დრო უნდა?

– ვერ მოასწრებ, დაიგვიანებ!

მამაკაცმა შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო, ხურდა ფული ამოიღო, დახედა:

– მოვასწრებ! – დარწმუნებულმა ჩაილაპარაკა და ქუჩა მოპირდაპირედ გადაიბრინა. ავტოფარეხში მოწყობილ გასტრონომში შევარდა, – ცივი წყალი მომეცით! – ისე ამოაროხროხა, მიხვდა, რომ ზედმეტად ხმამაღლა მოუვიდა.

დახლის წინ შავებში ჩაცმული მსუქანი ქალი იდგა, თან ორი ბავშვი ახლდა, ხელში ნაყინები ეჭირა და გამყიდველს, რომელიც ტელეფონზე ვილაცას ესაუბრებოდა, ელოდებოდა.

– „მარშრუტკა“ გამასწრებს! – მამაკაცმა დახლ-მაცივარი გამოსხსნა, ჩაცივებული წყაროს წყალი გამოიღო და ნო-

ქართან მიიღბინა, – ქალბატონო, დიდი ბოდიში, უცბად გადავიხდი, – მიმართა შავოსანს.

– კი. ბატონო, – დაეთანხმა და სულ-მოუთქმელ ბავშვებს ნაყინები გაუნოდა.

გამყიდველმა, ისე, რომ ყურმილი არ დაუდია – ოთხმოცი თეთრიო, – ჩაულაპარაკა.

მწყურვალმა თეთრებს დახედა, მიხვდა, რომ ხურდა ფული არ ჰყოფნიდა და რკინის ლარიანი ხმაურით ზედაპირზე დაანკაპა. დახლის მუშაკი ყურმილში ვილაცას დაემშვიდობა და ხურდის დასაბრუნებლად უჯრა გამოწია, ოცთეთრისანი მონახა და დახლზე მიუცურა. მამაკაცმა რამდენჯერმე ცადა, ფული ვერაფრით ვერ აიღო, შემდეგ თითი დაადო და ხელისგულზე გადმოიგდო. გარეთ გასულს სამარშრუტო ტაქსი უკვე ჩავლილი დახვდა – სადღაც შორს მოჰკრა თვალი.

– ოხ, შენი! – გამწარებულმა წარმოთქვა და ბოთლის თავსახური ისეთი ძალით მოხრახნა, თითქოს ბრალი იმას მიუძღვოდა. ნახევარი ლიტრი წყალი თვალის დახამხამებაში ჩაივალა, ჩუჩა



გადაკვეთა, ხის ქვეშ შეძვრა და მხრით მიეყრდნო. იგივე სურათი განმეორდა – სამმა უსარგებლო მიკროავტობუსმა დამცინავად ჩაიარა. თავდაღმართის ბოლოდან მეოთხეც გამოილანდა, – რამ დაგხოცათ, თქვე შობელძაღვლებო?! – გამწარებულმა ამოღერღა და გაოფლილი შუბლი ცხვირსახოცით შეიმშრალა. ჯიბეში აღარ ჩაიღო, პერანგის საყელოს შიგნით, კისერზე შემოიხვია. ოცდაათი მეტრით დაშორებულ მანქანას ხელი დაუქნია, – მოდი, რა, დროზე! – ღვარძლიანად ჩაილაპარაკა.

მძლოლმა პირველი მგზავრის დანახვისას, მუხრუჭის სატერფულიდან ფეხი აიღო და ოდნავ აჩქარებული თვითგორვით მიუახლოვდა.

– კონდიციონერი ჩართული არ გაქვს? – მამაკაცმა ერთადგილიანი სავარძლების რიგში მეორე დაიკავა.

– გაფუჭებულია, ჩემი ძმა, – მეგრული კილოთი მიუგო შოფერმა, – ფანჯარა გახსენი, დაგიბერავს...

– კაცო, ერთი გამაგებინე, ასე მძინარეები რატომ გადაადგილდებით ანდა ამ პაპანაქებაში კონდიციონერს რატომ არ აკეთებ, მგზავრები ჯანდაბას, შენი თავი არ გეცოდება?

– ჩემი ძმა, – დამტკბარი მეგრული ენით ეპასუხებოდა ჩატრუკებული მძლოლი, – ნელა იმიტომ დავდივართ, რომ დროს ვწელავთ, ხალხი ცოტაა და მგზავრებს ვაგროვებთ. იმხელა გეგმა გვაქვს ჩასაბარებელი, რომ ვეღარ ავუდივართ, სახლშიც ხომ უნდა წავილოთ რაცხა, – სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, – კონდიციონერი კიდე გასაკეთებელია და გარაჟი ფრენის არ ასხამს, მე რა ვქნა? ფრენისთვის ვიმუშაო თუ ოჯახისთვის? ამიტომ აღარ მაინტერესებს, ცხელა თუ ცივა.

მამაკაცს აღარაფერი უპასუხია. სპირიდონ ტრიმიფუნტელის კოტს გაუსწორდნენ, პირჯვარი გადაინერა. გონებაში იესოს ლოცვის თქმა დააპირა, თავი ჩახარა.

– ნახე, რა ნაშა ამოდის.  
 – აცადე, ხელს ნუ უშლი!  
 – მე რა ხელს ვუშლი? უნდა ამოვიდეს და ტყუილს ვეუბნები? შეხედოს, თვალს წყალი დააღვინოს.

ლოცვა აღარ თქვა, თავი აწია და მანქანაში შემომავალ, ყურზე ტელეფონმიზენილ, ოცდაათს გადაცილებულ დედაკაცს შეაქვერდა, რომელიც მძღოლის უკანა სავარძელზე მოკალათდა.

– ნახე, რა წვრილი წვივები აქვს. თვალი ააყოლე, მუხლებს შეხედე, რა გამოყვანილი ფორმისაა. ბაყვები? – პაუზა ჩამოვარდა.

კაცის თვალეები ქალის ფეხებზე ისე დასრიალებდნენ, როგორც პიანისტის თითები კლავიატურაზე. ხასხასა წითელი ფერის მინიქვედაბოლოსთან, რომელსაც მინიც აღარ ერქვა, უბრალოდ, საცვალსაფარი უფრო იყო, მზერა რეალობას სწყდებოდა და წარმოსახვაში ინაცვლებდა.

– ბაყვები რა შველივით აქვს?  
 – შეეშვი, ლოცვის თქმა აცადე.  
 – მაგარი ფეხები აქვს, – მოჯადოებულვით შესცქეროდა მამრი.  
 – საცვალი არ გაინტერესებს?  
 – რა დროს საცვალია, თავი გაანებე!  
 – ალბათ, ტანგა აცვია. ქსოვილში ტრუსის ზოლი არ უჩანს.

– ეგრეა, მრგვალ ტაკუნებს ტანგა ხატავს, მათ სიკოხტავეს მთლიანად წარმოაჩენს.

– ლოცვას აღარ ამბობ, ანკესზე რა ადვილად ეგები?!

– არა, არა, – მამაკაცმა თავი გააქნია, მზერა ფანჯრისკენ მიმართა. გონება დაძაბა...

– მოიცა! ახლა ქვედაბოლოს ავცდეთ, ნახე, წელზე რა პეპელა ახატია.

ბრეტელეებიანი მოკლე მაისურის ძირში ჭრელი, ულამაზესი პეპლის ტატუ გარუჯულ კანზე ისე მოჩანდა, როგორც ცოცხალი მწერი, რომელიც, ჰა და ჰა, აფრინდება.

– გუშინ ჩამოვედი, მაგარი იყო. არა,

რას ამბობ, ბათუმს თავში ურტყამს, გემრიელად დავისვენე. ძალიან, ძალიან ცხელა. ვახო ბაკურიანში მეპატიჟება, კი, ალბათ ათი დღით წავალ, ცოტა გავგრილდები. პარიზში? აგვისტოს თხუთმეტში მივფრინავ. ჰო, მე და დიმა, აბა რა, – მობილური ერთი ყურიდან მეორეზე გადაიტანა, დამჯდარმა პოზა შეცვალა, – რა ვიცი, კოტე სექტემბრიდან მპირდება, პიარი უნდა ჩამაბაროს. რას არ გავქაჩავ! – ქალი ოდნავ ხმამაღლა საუბრობდა.

– ნახე, ნაშას რა აწყვეტილი აქვს, ეძლევა და იღებს. სამუზეუმო ექსპონატივით ტან-ფეხს ვერ იყენებს იდეალურად? შენ კიდევ იყავი ასე და ლოცვები იკითხე, ამ ჩამყაყებულ თბილისში მოიხარშე, მონუნნილ კანფეტს დაემსგავსე...

– მორჩი, ყურს ნუ უგდება, ლოცვა ერთად ვთქვათ. დავინყო?

– მიდი, – კაცმა დანაშაულში წასწრებულვით თავი გააქნია და მანქანიდან ქუჩაში გაიხედა, – გისმენ! – ყურადღება დაძაბა.

– შეხედე, რა თახთახა მკერდი აქვს, ორმოში ყოველ ჩაკვრაზე ისე უთამაშებს, როგორც ღრუბლებიდან ახლად გამომძვრალი მზე...

– ისე ზის, ვერ ვხედავ.

– შემოგიბრუნო, გინდა?

– თავი გაგვანებე, გვაცადე!

– მიდი, შემოაბრუნე.

დედაკაცმა ტელეფონი მეორე ყურზე გადაიტანა და მთელი ტანით მანქანის კარისკენ შებრუნდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

– ხედავ?

– კი, მაგარი ძუძუ აქვს, ქალი ვარო, მაგან უნდა თქვას.

– ამყვები? – ვედრებასავით ჩაესმა.

სამარშრუტო ტაქსის ხელი დაუქნიეს. შუა ხნის წყვილი ამოვიდა და ქალის უკანა სავარძელი დაიკავა. ეტყობა, ცოლქმარი იყვნენ. ცოლი ფანჯარასთან დაჯდა, ქმარი გვერდით მიუჯდა. მძღოლს რადიო „არ დაიდარდო“ მაღალ ხმაზე

მოემართა და ნინო ჩხეიძის სიმღერა სალონს ავსებდა. წყვილმა შიდა სიმყუდროვე დაარღვია, მანქანაში უცხო სხეულებით შემოიჭრა.

– ფუჰ, შენი! – გაიფიქრა მამაკაცმა და ღრუბელი-ოცნებებიდან მიწაზე დაემვა.

– დავინყო?

– მიდი! – გაინაბა.

– უფალო, იესო...

– რა ცხვირი აქვს, თითქოს გამოქანდაკებულიაო.

– გამოქანდაკებული კი არა, ნაოპერაციები აქვს.

– არ ვიცი, კი ხატავს და რაც გინდა იყოს...

– ბოლოს და ბოლოს, არ გაჩუმდები?!

– ჩემგან რა გინდა? ცხვირზე ვლაპარაკობ, ამაში ცუდი რა არის?

ცოლ-ქმრიდან ერთ-ერთის მობილურ ანკრიალდა. კაცმა ტელეფონი ამოიღო:

– გისმენ! – მჭექარედ, ყოველგვარი მორიდების გარეშე უპასუხა, – ჰო, ბანკი დაგვთანხმდა, ახლა მივდივართ და მოგვცემენ. არა, ერთ წელიწადში გავისტუმრებ, ქუჩაში არ დავრჩები, ვარიანტი არ არის...

– ვინ არის? – მეუღლე შეეკითხა.

– გუჯაა, – მიუგო ქმარმა და საუბარი განაგრძო, – კი, დღეს სალამოს ამოდი, დავასველოთ, მირონით ღვინო მაქვს...

– მაგან ხომ გააჭირა საქმე, – ნაინუნუნა ცოლმა და გაბრაზებული მზერა ფანჯარაში მიმართა.

პეპლიანმა მობილურს ყური გამოუცვალა და მთელი ზურგით შემობრუნდა. მამაკაცმა ფანჯარა ბოლომდე გახსნა და თავი ლამის გარეთ გაყო.

– შეხედე, კისერზე როგორი ბეში აქვს დატატუებული.

– თავი აღარ შემოატრიალო და მომისმინე.

– ცოტა დამაცადე, ეს წყვილი ჩავიდეს, თორემ დავიხრჩვი, კაცს სუნი უდის და მერე ვთქვათ.

– ბეში არ გაინტერესებს?

– ბეში რა, ხუთი წერტილია, სხვა რა უნდა იყოს...

– დავინყო?

– აცადე, ფეხდაუბანელი ჩავიდეს, არ გაუჭირა საქმე?! ხუთი წერტილი კია, მაგრამ კამათელზე სულ სხვანაირია, პეპელას კისერზე კი მეტად გამომწვევია. იცის ქალმა თავისი საქმე, მისი სხეული საშუალებაა, რომელიც კარგად ყოფნის მიზანს ემსახურება და იცოცხლე, მიზანი საშუალებას ამართლებს. პრაქტიკული ქალია, იცის, რომ სილამაზე წარმავალია, კიდევ რამდენიმე წელი და ფაფუუ, გაქრება, ამიტომაც საქმეს პრაგმატულად უდგება, მისი ცხოვრების წესს ვამართლებ. იგი ღვთის ხელში შენსავით მარიონეტად ვერ იქცა, თუმცა ყველაფერი მშვენივრად უწყის – სად თეთრია და სად შავი. სანამ ახალგაზრდაა, ცხოვრებას აინყობს, თავს დაიმკვიდრებს და ტკბილი სიბერეც ექნება. შენსავით დაბდურა არ არის. ქვედაბოლოს ქვეშ, დუნდულებზე, იცი, რა აქვს დახატული?

მანქანას ხელი დაუქნიეს. ორი ახალგაზრდა ვაჟი ამოვიდა. ერთი სარივით გამხდარი და გრძელი იყო, მეორე – სარდელივით მოკლე და მსუქანი. ორივეს შორტები ეცვა. სარდელას ისეთი დაბანჯგვლული ფეხები ჰქონდა, თითქოს კიდურებზე უღრანი ტყე ამოსვლოდა, სამაგიეროდ, წვნიკა ახლად გატრუსული გოჭივით გაზიპინებული გახლდათ. მობილურები ორივეს ყურზე ჰქონდა მიბჯენილი, საუბარ-საუბრით ცოლ-ქმრის უკან დასხდნენ.

კაცს ისევ დაურეკეს. ქმარზე მიმაგრებული ტელეფონის კაბურიდან აპარატი ამოიღო, ეკრანს დახედა:

– დედაშენია, – ცოლს უკმეხად უთხრა და მიანოდა, – ჩემთან რას რეკავს, შენი ნომერი არ იცის?!

– ჰო, დედა, – სირინოზის ხმა ამოუშვა ქალმა, – კი, დაგვიმტკიცეს, ახლა მივდივართ, უნდა ავილოთ, ნუ წერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება.

მოულოდნელად სარდელამ ისეთი

ხმით გადაიხარხარა, რომ ნინო ჩხეიძის გულამოსკენილ სიმღერას გადაუჯოკრა.

– გამოვიდა! – გვერდით მჯდომს იდაყვი გაჰკრა.

– ვინ არის? – შეეკითხა წვნიკა.

– თაზოა, იშოვა რვაასი დოლარი და ჩვენთან ერთად მოდის.

– გაასწორა, მაგარია, – ღიმილი დაედო ვაჟს და მობილურზე საუბარი განაგრძო, – ეკო, ფაიზალი მივდივართ, მაყუთი არის. ჰო, თაზოც წამოვა. თქვენ როდის ჩამოხვალთ?

– ყველა რალაცას ჩალიჩობს, შენ კი იყავი ასე, პასიური არსება! მოკლედ, დუნდულების მხატვრობა არ გაინტერესებს?

– შემეშვი, რა! – მამაკაცმა ქუდი გაისწორა, თავი შემოყო, საზურგეს მიეყრდნო და პეპელას შეაცქერდა.

– გინდა, მამაო ჩვენო ვთქვათ? გაყარე ცუდი აზრები, მობილიზდი და ერთად დავინყოთ. მზად ხარ?

– რა შეუუკინე საქმე?! ვერ გამიგია, მანქანაში ხართ თუ ეკლესიაში?!

– შენ ვერასდროს გაიგებ, თუმცა ყველაფერი კარგად იცი, მაგრამ არ გინდა გაიგო, ასე განყოფილ და იმიტომ. შენი საქმეც ეგ არის, რალა!

ტაქსი ისევ გააჩერეს. თხემით ტერფამდე შავებით შემოსილი მონაზონი ამოვიდა, მარჯვენაში კრიალოსანი ეკავა, მარცხენაში მობილური მოემარჯვებინა და დინჯად ლაპარაკობდა. პეპელამ გრძელი ფეხები სავარძლებს შორის გასასვლელში გადმოაწყო, რათა მონაზონისთვის თავის გვერდით ადგილი დაეთმო. როდესაც თალხმოსილმა გაიარა და დაჯდა, ბეშპეპელამ კიდურები თავის ადგილს დაუბრუნა. მამაკაცმა მაშინლა შენიშნა ქალის წვივზე ოქროს ძეგლი.

– ხედავ?

– რას?

– რას და მაგას ოქრო ფეხზეც კი უკეთია, შენ კი გამოშიგნულივით ხარ, ცარიელ-ტარიელი.

– კი, დედაო, პასუხები კარგია, – მშვიდი, ნაზი ხმით საუბრობდა მონაზონი, – რამდენიმე წამალი გამომიწერეს. დიახ, აფთიაქშიც შევივლი. რაა? აბა, მითხარით...

– ამ სიცხეში ასე რომ შეიფუთები, წამალიც ველარ გიშველის...

– ეგ შენი საქმე არ არის, ის ამქვეყნიდან გასულია.

– გასული არა, გამოსული, თუ გასულია, „მარშრუტკაში“ რა უნდა? გასულებს აღარაფერი სტკივათ და ექიმიც არ სჭირდებათ.

– შენ წარმოიდგინე, სტკივათ. ეგ პატარ-პატარა განსაცდელებია. ისე ლაპარაკობ, თითქოს არაფერი იცი და არაფერი გესმის. აღარ მინდა შენთან ლაპარაკი! ჰა, დავინყო?



– მიდი.

– მამაო ჩვენო, რომელი ხარ...

მოულოდნელად მანქანას ძაღლმა გადაურბინა, მძღოლმა ისე მკვეთრად დაამუხრუჭა, რომ მგზავრები წინ გადაქანდნენ. იცოცხლე, მობილურზე საუბარი შეწყვიტეს, მარტო წინო ჩხეიძის მღერალა ისმოდა და შოფერს ქოქოლა დააყარეს.

– რა ვქნა, მანქანას ხომ არ დავამტვრევ? – თავი იმართლა მძღოლმა, – მერე ოჯახი როგორღა ვარჩინო? – საქარე მინის ზემოთ მიმაგრებულ ხატებს ახედა, პირფვარი გადაინერა, შემდეგ სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

მგზავრები დამშვიდდნენ, მობილურებს მიუბრუნდნენ. მალევე მსუქანი ქალი შემოეტენათ, რომელმაც პირველივე სავარძელი დაისაკუთრა.

– კი, შვილო, – შეწუხებული ხმით ლაპარაკობდა, – ორი ათასილა დამრჩა საშოვნელი, კუკური დამპირდა, მომცემს თუ არა, გადავიხდი და გამოგიყვან. რა ვქნა, დედა მოგიკვდეს, რაც შემიძლია, ვაკეთებ. კი, შვილო, ცოტაც გაუძელი და მალე განთავისუფლდები. პერედაჩი მიიღე? კარგია, დედი...

– ცათა შინა... ამყევი!

– აცადე, განცდებშია. რა ლოცვა აგიტყდა ამ „მარშრუტკაში?!“ თუ მფარველი ხარ, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე დაიფარე, არ ამოხადა სული?! კაცს თავი მოაბეზრე...

რადიოში სიმღერა დამთავრდა. მანქანაში სუნმა და ტელეფონებზე მოსაუბრეთა ყაყანმა იმძლავრა. სასწაული კაკაფონიურ-დისონანსული სიტუაცია იყო. მამაკაცს სახე დაეღმიჭა და თავი ისე ფანჯარაში გაყო.

– „არ დაიდარდოს“ მოსმენა რომ სანატრელი გაგიხდება, – უკმაყოფილომ გაიფიქრა და ცალი ყური რეკლამას მიაპყრო, სადაც კომედი-შოუს გმირები რომელიღაც საფინანსო ორგანიზაციის სესხს ხოტბას ასხამდნენ. რეკლამა მალე დამთავრდა და ეთერი პანჩოს სიმღერამ

შეავსო. ესამოვნა, კისრიდან ცხვირსახოცი მოიხსნა, სველი შუბლი გაიმშრალა და საზურგეზე მიესვენა. ისევ პეპელას შეაცქერდა, უბრალოდ უყურებდა, თორემ მასზე აღარ ფიქრობდა.

– მაგარი ნაშაა, რამე რომ იყოს, არ დაითრევდი?

– ამყევი?

– არა, – კაცმა ორივეს მიუგო.

– რატომ? – ასევე ორთავემ მიახალა.

– ეჰ, – პასუხად ამოიოხრა.

– შენი დასაწევი რა აქვს? დარწმუნებული ვარ, არც გამოგელაპარაკება, შენ იმისთვის ცარიელი ადგილი ხარ, ის დონეა – ზედა ფენებში ლივლივებს, შენ კი „ჭე“ კლასი. ჭაობის ბინადარს ჰგავხარ.

პეპელამ საუბარი დაამთავრა თუ არა, ტელეფონი ისევ აწკრიალდა:

– ვახო, გისმენ, კი, ჩემო სიცოცხლე, პედიკიურზე მივდივარ; თმასაც მოვიწესრიგებ; კი, სიცოცხლე, შვიდზე „ფაქტონში“ ვიქნები. გუშინ? გუშინ ჩემს დაქალთან...

– ხედავ? ეს პეპელა კი არა, კატაა, ნაღდი ფისოა. ხედავ, რამდენი სიცოცხლე გააჩნია, ამიტომაც არის ვარდივით გაფურჩქნილი. სულ ცოტა, სამასლარიანი სუნამო ასხია, შენ კი მთელი თვე სამასი ლარისთვის პახაობ...

– პასუხს რატომ არა სცემ?! სალერლელს გიშლის და გჯაბნის?!

– არა, – გაიფიქრა მამაკაცმა და სიმტკიცისთვის თავიც გააქნია, – დაიწყე და მოგყევი, – კეპი მოიხადა, თავი მხრებში ჩარგო, გონება დაძაბა.

– შეხე, შეხე, რა ორი წინილა მოდის! პეპელას არაფრით ჩამოუვარდებიან, მაგარი წინკვები ჩანან.

მართლაც, მიკროავტობუსში ორი ოცწლამდე გოგონა ამოვიდა. პირველს გადაჭრილი ჯინსის შორტი, ტანზე შეზრდილივით რომ შემოწუთებოდა, და სიფრიფანა მაისური ეცვა. აზღუდი არ ეკეთა, რის გამოც მკერდს სრული თავისუფლება მისცემოდა და გამომწვევად უთანთქარებდა. ცალი ხელით სავარ-

ძლებს შორის გზას იკვლევდა, მეორეთი მობილური ყურთან მიემარჯვებინა. მის თანმხლებს ტილოს შარვალი და ისეთი მაისური ეცვა, რომ ჭიპზე გაკეთებული პერსინგი მკაფიოდ გამოჩენოდა. ყურსასმენები ეკეთა და მუსიკას უსმენდა. ნენიკასა და სარდელას უკან დასხდნენ. ტელეფონზე მოსაუბრემ აპარატი დროებით მოიცილა და დაქალს მოუბრუნდა:

– გაიგე?

– რა? – გოგონამ ზედმეტად ხმამაღლა იკითხა და ცალი ყურიდან ყურსასმენი გამოიღო.

– რა და, ეს თიკო რა ნაძირალაა, ყველას ეცილება, მურმანის ეკლად გადაიქცა, გოგოების შეყვარებულებს კუდში დასდევს...

– ეს ბიჭებიც სულ გამოსირდნენ, იმ გვაჯს თავს როგორ უყადრებენ?! – მეგობარი აღშფოთებული დაეთანხმა.

ამით მათი საუბარი ამოიწურა, ერთმა ტელეფონზე ლაილაი განაგრძო, მეორემ ისევ ყურსასმენი გაიკეთა და მელოდიაში ჩაყვინთა.

– მითხარი, პეპელას შებმა არ გინდა?

– არა, არ მაინტერესებს.

– ბარემ ძალიანაც გაინტერესებს, მაგრამ ტრაკი არა გაქვს. ეგ რომ შეაბა, მინიმუმ, „მერსედესში“ უნდა იჯდე და არა ამ აქოთებულ ტაქსიში, ჯიბეში, ახლა რომ თხუთმეტი ლარი გიჭყავის, რამდენიმე ათასი უნდა გედოს, ბოლო დაცემინებაზე უნდა იყო დაშმოტკილი, თან რალაცას უნდა წარმოადგენდე...

– მაინც რას? – შეურაცხყოფილმა იკითხა.

– როგორ თუ რას?! შენს ბიზნესს უნდა განაგებდე ან უკანალი სახელმწიფოს თბილ სავარძელში გქონდეს დავანებული, ფანრიანი „ნოკიით“ კი არ უნდა დადიოდე, „აიფონი“ უნდა გეკავოს, ზარი არ უნდა წყდებოდეს, გამუდმებით ვილაცა გირეკავდეს და შენც ბრძნულ განკარგულებებსა და რჩევებს უნდა გასცემდე; მუდამ სადღაც უნდა გეპატიჟებოდნენ და შენც ვარსკვლავით ყველგან უნდა

ჩნდებოდე; მეორადები კი არ უნდა გეცვას, ბრენდებში უნდა იყო დაზმანული და ასე შემდეგ, გამიგე?!

– სამაგიეროდ, პროფესორია და მაგისტანა მეცნიერი ჩვენს ქვეყანაში მეორე არ დადის. მარტო მაგისი სადოქტორო დისერტაცია რად ღირს?..

– ვის რად უნდა მაგისი დისერტაცია?! კარგად დაახვიოს და უკან გაიკეთოს, ხალხს ერთი წიგნი არ ნაუკითხავს, მაგრამ ციდან ვარსკვლავებს წყვეტენ, მაგასავით ტილებს კი არ დასდევენ. მაგისი დაფასება რომელიღაცა გაზეთში ერთი ნეკროლოგი იქნება და სადარბაზოს კედელზე მიმაგრებული დაფა, ეგ არის და ეგ, ცხოვრებას კი ტანჯვაში გალევს...

– ყურს ნუ უგდებ! მაგისი საქმეც ეგ არის, ბინ-ძუ-რი! მისმენ?

– კი, – მამაკაცი დაიძაბა.

– წმიდა იყავნ სახელი შენი...

– წმიდა იყავნ სახელი შენი, – იგრძნო, შინაგანი დაძაბულობა ცოტა მოეხსნა.

– შენ მონასტერში უნდა ცხოვრობდე და ცხვირს გარეთ არ უნდა ყოფდე. ერში რა გინდა, თუ აქაური სიკეთეები არ აითვისე?!

– სიკეთეს რას ეძახი?

– აი, ეს ბოზი პეპელა ამქვეყნიურ ერთ-ერთი სიკეთეა: მაგას ის, გვერდზე მჯდომი მონაზონი, ეს შავებში ჩაცმული ქალი, იმ კაცის ცოლი და, შენ წარმოიდგინე, ეს ორივე თინეიჯერი წინილაც შურით შესცქერიან. როგორია, ამ სიცხეში თავშებურული, კოჭებამდე კაბით დაიარებოდე, ასეთი კაცის ცოლობა რა სანატრელია, ანდა ამ წინილებივით თავის დამკვიდრებისთვის იბრძოდე, მითხარი, ტყუილს გეუბნები?

მამაკაცს არაფერი უპასუხია, თავი დასჯილივით ჰქონდა ჩარგული.

– მოვედინ სუფევა შენი...

– მოვედინ სუფევა შენი...

– გააგრძელეს. მე რას გელაპარაკები, არ გესმის?! ეგ ლოცვა, უჩემოდ როცა იქნები, ტაძარში თქვი. აქ ამისი ადგილი არ არის.



– შეგვეშვი!

– ჩემი საქმეც ეგ არის, სულის გამოსვლამდე არ შეგვეშვი, მინდა, გონზე მოვიყვანო და გემრიელად ვაცხოვრო.

– შეგვეშვი-მეთქი! იყავნ ნება შენი...

– იყავნ ნება შენი...

მიკროავტობუსმა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ტაძარს ჩაუარა.

– ღმერთო, ჩემს ოჯახს მიმიხედე, – მეგრული კილოთი ამოიჩურჩულა მძროლმა, ტაძარს ახედა, ჯვარი გამოისახა და... იქვე სიგარეტს მოუკიდა.

– უფალო, გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო, გააძლიერე ჩვენი მართლმადიდებელი ერი, – თავდახრილმა მონაზონმა პირჯვარი გადაინერა.

პეპელამ, ისე, რომ საუბარი არ შეუწყვეტია, ეკლესიას წამით შეხედა და გაიღიმა.

– ღმერთო, შვილი გამითავისუფლე, გემუდარები, – პატიმრის დედა ჩქარჩქარა გამოისახავდა პირჯვარს.

სარდელასთვის და წვნიკასთვის არაფერი შეცვლილა – სატელეფონო სივრცეში მყოფნი იქვე დარჩნენ. სამაგიეროდ, წინილებმა ნაიქრისტიანეს და იკადრეს პირჯვრის გადაწერა.

– უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემინყალე მე ცოდვილი, – იესოს ლოცვა მამაკაცმა, როგორც იქნა, გონამდე მიიტანა და კმაყოფილმა პირჯვარი გამოისახა.

– გავაგრძელო?

– აზრი არა აქვს.

– რატომ?

– გონება არ მემორჩილება, თითქოს შუაზე გახლეჩილი ვაშლი იყოს, ნახევარი მოგყვება და მეორე ნახევარი სხვაგანაა, მობილიზებას ვერ ვაკეთებ.

– აი, ეს მომწონს. ყველგან ლოცვა გაგონილა? თეატრში თეატრს უნდა უყურო, სტადიონზე – ფეხბურთს, ბიბლიოთეკაში წიგნი უნდა იკითხო, როცა მგზავრობ, უნდა იმგზავრო და შეძლებისდაგვარად დრო მოკლა, ხოლო, როცა იმ შენს ტა-

ძარში შებრძანდები, მაშინ ილოცე. გითხრა, დუნდულებზე რა ახატია?

– ყურს ნუ უგდებ, ადექი და ბოლო რიგში გადაჯექი.

მამაკაცი წამოდგა, მოძრავ მანქანაში გაჭირვებით, მაგრამ გზა მაინც გაიკვლია და ერთადგილიანი სავარძლების უკან მოშვებით დაენარცხა. ხელში ჩაბლუჯული ქუდით შუბლზე მომდგარი ოფლი შეიმშრალა, თავი ჩახარა და გაირინდა.

– ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს...

– ჰმ, სახლში გამხმარ-დაობებული პური კი გაქვს, მაგრა შეინახე, არ დაგეკარგოს. შეხედე, ულიფო წინილაც პეპელასავით მძაფრი და მძვინვარე ცხოვრებისათვის ემზადება, ბეჭზე პლანის პატარა ფოთოლი მიუტატუებია. უყვარს გოგოს კაიფი, დაბოლდება და ცხოვრებაც საამური...

– გაგვანებე თავი! გავაგრძელო?

– მიდი.

– და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევენ თანამდებთა მათ ჩვენთა.

– და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევენ თანამდებთა მათ ჩვენთა, – მამაკაცი მანქანის იატაკს დასცქეროდა. მიკროავტობუსში კაკაფონიამ იმძლავრა, ერთი წამით თავი აწია, ნახა, რომ ყველა ადგილი შევსებულიყო. გვერდით ქალი მისჯდომოდა ორ ბავშვთან ერთად. ილღიებიდან ოფლის სუნს აფრქვევდა, შენუხებულმა თავი ისე ჩაქინდრა, რომ ცხვირი ფანჯრიდან შემომავალი მდულარე ჰაერის მიმართულე-ბით ჰქონოდა.

– და ნუ შემყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

– და ნუ შემყვანებ ჩვენ განსაცდელსა...

– ამაზე მეტი განსაცდელი რაღა გინდა? გამათხოვრებულ-მიჩმორებულ პონტში იხრჩობი და ვერ გაგიგია.

მამაკაცმა თავი გააქნია:

– არამედ მისსენ ჩვენ ბოროტისაგან...

– ჰო, მე ბოროტი მეძახე და ის გყავდეს კეთილი, ხომ ხედავ, როგორ დაგაჩაჩანაკა.

– ხმა გაიკმინა! რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება უკუნისამდე. ამინ!

– რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება უკუნისამდე. ამინ! – გამარჯვებული ღიმი დაედო, თავი გაასწორა, მიმოიხედა. პეკინზე, ყოფილი „გოლიათების“ მაღაზიასთან, კვირიკესა და ივლიტას ტაძრის მოპირდაპირედ იყვნენ. მშვენიერი საბაბი ჰქონდა და პირფარაც გადაიწერა. მაშინლა შენიშნა, რომ სავარძლებს შორის ფეხმძიმე ქალი იდგა. საცოდავი სახელურს ჩაფრენოდა, რათა ვეება მუცლით რამეს არ მიჯახებოდა. ტელეფონებზე მიჯაჭვულ მგზავრებს თვალი აერიდებინათ და სხვა მხარეს იყურებოდნენ. – ოხ, თქვენი! – წამოიყვირა მამაკაცმა, – ადგილს რატომ არავინ უთმობთ?! – ხმას აუწია და წამოდგა, – გოგონი! – პლანისფოთლიან თინეიჯერს შესძახა, – პირფარას დიდი ამბით რომ იწერ, თავს წამომდგარ ორსულ ქალს ვერ ხედავ? იქნებ, ღვთისმშობელი გიდგას წინ, ადექი, ადგილი დაუთმე!

ამ შეძახილზე, იცოცხლე, თითქოს ცივი წყალი გადაავლესო, მობილურზე საუბარი ყველამ შეწყვიტა, მიწაზე კი დაეშვნენ, მაგრამ...

– მე ვერ დავუთმობ ჩემს ადგილს და... – ირონიულად გაიფიქრა მძღოლმა.

– მომიკვდეს თავი, როგორ ვერ დავინახე, – წამოდგა ღვთისმსახური.

პეპელამ ტელეფონს ყური გამოუცვალა და ფეხზე გადადებული ფეხი შეიცვალა.

– მე ჩემი გამჭირვებია, ახალგაზრდებმა დაუთმონ, – გაიფიქრა პატიმრის დედამ.

ცოლიანმა კაცმა ქალს ლამის ჭიდაობა დაუწყო.

წვნიკასა და სარდელას ყველაფერი ფეხებზე ეკიდათ, მათი რეაქცია ნულს უდრიდა.

– ნადი, შენი! – გაიფიქრა წინილამ და დაქალთან გააბა საუბარი.

– ნუ ნუხდებით, არა უშავს, დგომა მირჩევნია, თან მალე ჩავდივარ, – ორსულმა მოიგერია სიკეთის მქნელები.

– ხომ ხედავ, ყველას ყველაფერი ქინძზე ჰკიდა, საკუთარს დარდობს ხალხი და შენი დონ-კიხოტობა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. სადღაც ჩარჩი და ამ ცხოვრების ბაიბურში არა ხარ. ამ ხალხის თვალში დეგენერატი გამოხვედი, სხვა არაფერი. მომინდომა ზრდილობა. ყველანი გადარჩენასა და თვითდამკვიდრებას ისე ჩაფრენილან, როგორც წყალწალეხული ხავსს, შენ კი მამაო ჩვენო იკითხე, პირფარი იწერე და იყავი ასე დაქლიავებული.

მამაკაცმა ისევ პირფარი გადაიწერა:

– უფალო ისეო ქრისტევე, ძეო ღვთისაო, შემინყალე მე ცოდვილი, – ამოიჩურჩულა. დაიხარა, ფანჯრიდან გაიხედა. მანქანა გმირთა მოედნის ქვეშ, გვირაბში ჩაეშვა, – თუ ძმა ხარ, გამიჩერე! – მძღოლს გასძახა.

შოფერმა მიკროავტობუსი შუა გვირაბში, ბორდიურთან მიაყენა:

– აქ რატომ ჩადიხარ? – დაბნეულმა იკითხა.

მამაკაცმა ორღარიანი ამოიღო, მიუახლოვდა:

– აი, ფულს გიხდი, ოჯახი კარგად გყავდეს, ხოლო მე სად ჩავალ, შენთვის სულერთი არ არის?! – ირონიული ღიმილი დასდებოდა, – ქალბატონო, თქვენი გადახდილია, – ორსულს მიაძახა, მძღოლს ხურდა გამოართვა და გვირაბში ჩამოვიდა. სვლა ნელი ნაბიჯით იწყო, ბოლოდან მომავალ სინათლეს გახედა, ფეხს აუჩქარა და პირფარი გადაიწერა.

# აქაკი ბაქრაძე



## ჩანაწერები

აკაკი ბაქრაძე 1965 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა ხელოვნების მეორად ფაკულტეტზე კინოდრამატურგიის კურსს გვიკითხავდა. ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე გარდაცვალებამდე, მასთან ხშირი და ხანგრძლივი ურთიერთობა მაკავშირებდა. ვერ გავბედავ, ამ ურთიერთობას მეგობრობა დავარქვა და, ალბათ, არც ეთქმის. ეს იყო მასწავლებლისა და მოწაფის ურთიერთობა. მე საკუთარ თავს დღესაც მის მოწაფედ მივიჩნევ, თუმც არამარტო მე... აკაკი ბაქრაძის ლექციებზე მთელი თაობები აღიზარდა – „იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ სასოებით მისი მსმენელი“.

აკაკი ბაქრაძისადმი, ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან მოყოლებული, არაერთი წერილი მაქვს მიძღვნილი. 2000 წლის გაზაფხულზე მის ხსოვნას მივუძღვენით საგანგებო ნომერი აღმანახისა „ლიტერატურა და სხვა“, რომელიც ჩემი და გია ალიბეგაშვილის თაოსნობით გამოდიოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამავე გამოცემაში დაიბეჭდა აკაკი ბაქრაძის რამდენიმე გამოუქვეყნებელი წერილი და მხატვრული თხზულება. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნელი რუსიშვილმა-ბაქრაძემ აკაკი ბაქრაძის ჩანაწერები გადმომცა. ქალბატონ ნელისთან შეთანხმებით, განზრახული გვექონდა მისი გამოქვეყნება ზემოხსენებულ გამოცემაში, მაგრამ, სამწუხაროდ, 2006 წლიდან ჩვენმა აღმანახმა არსებობა შეწყვიტა და ჩანაწერები ვეღარ გამოვაქვეყნეთ.

ამჯერად უკვე „ცისკრის“ მკითხველს ვთავაზობთ აკაკი ბაქრაძის ჩანაწერების მცირე ნაწილს, რომელიც 1965-1969 წლებს მოიცავს. არსებობს როგორც ადრინდელი, ისე მომდევნო წლების ჩანაწერები, რომელიც ელოდება წიგნად გამოცემას და რომელსაც, შემოიძლია დარწმუნებით ვთქვა, უდიდესი ინტერესით შეხვდება ჩვენი საზოგადოება.

აკაკი ბაქრაძის ჩანაწერები ეპოქის უბრწყინვალესი დოკუმენტია, ღრმააზროვანი, ანალიტიკურობით აღსავსე დოკუმენტი XX საუკუნის მეორე ნახევრისა.

**ამირან გომართელი**

### 22. IX. 65.

სხვას ყოველთვის უტვინო კაცი ბაძავს. გონიერი არავის ბაძავს. პირიქით, იგი ცდილობს, იყოს ის, რაც თვითონ

არის. რაკი მიბაძვა უტვინო კაცის თვისებაა, იგი ყოველთვის ბაძავს ცუდს და არა კარგს. ცუდი ყოველთვის იოლია და გასაგები, ადვილმისახვედრი. კარგი კი რთულია და გონიერებას მოითხოვს მას-

ში ჩანვდომა. ამიტომ სისულელეა მხატვრულ ნაწარმოებში ცუდის ასახვის წინააღმდეგ ბრძოლა. სულერთია, უტვირთობისათვის მხოლოდ კარგი არასოდეს არ გახდება მისაბადი, რაკი ეს გაუგებარია მათთვის. ხოლო ჭკვიანთათვის მხოლოდ კარგის დანახვა ნიშნავს ცხოვრების გაუბრალოებას და გამარტივებას. ეს მათ არ აინტერესებს. გამოდის, რომ იდიოტებზე ზრუნვის გამო ხელოვნებასა და ლიტერატურას ვამახინჯებთ.

### 25. IX. 65.

გასაოცარი რამ ხდება: გამომცემელმა იცის, რომ ნაწარმოები ცუდია და მაინც სცემს. თეატრმა იცის, რომ პიესა უვარგისია და მაინც დგამს. კინოშიც ასეა. მხატვრობაშიც. წინააღმდეგობა ვერ გაუწევიათ ცუდისათვის. ამის მიზეზი ის არის, რომ გვეშინია დემაგოგიის. დემაგოგს შეუძლია თქვას: დავწერე წიგნი კომუნისტური შრომის ბრიგადებზე და არ ბეჭდავენ, ე.ი. ის, ვინც ასეთ წიგნს არ ბეჭდავს, მტერია კომუნისტური შრომის ბრიგადის. რადგან არავინ კითხულობს, მართალია ეს ბრალდება თუ არა, შიშითა ხარ შეპყრობილი და ვერაფერი გითქვამს. დემაგოგის ნათქვამს იჯერებენ და ყოველგვარი უბედურებით გემუქრებიან. ამას ისიც ემატება, რომ ათეული წლების მანძილზე მკითხველებს არწმუნებდნენ – შეიძლება მხატვრულად სუსტი იყოს ნაწარმოები, მაგრამ იდეურად კი კარგი. ამან გზა გაუხსნა ყოველგვარ მაკულატურას. „პისაკას“ შეუძლია თავის წიგნში ახსენოს ესა თუ ის კაზიონური ლოზუნგი და წიგნი „იდეურობას“ იძენს. „იდეური“ წიგნის წინააღმდეგ ბრძოლა კი აყვანილია სახელმწიფო დანაშაულის რანგამდე. ყველას დაავიწყდა, რომ ის, რაც მხატვრულად სუსტია, იდეურადაც უვარგისია, რადგან მხატვრული სისუსტე ახდენს იდეის კომპრომეტაციას.

### 6. XI. 65.

ხელოვნების მაქსიმალურ სილატაკეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ გახმაურებულ ნაწარმოებს ხელოვნების ყველა დარგში გაიფორმებენ. დაინერა პიესა „ჭინჭრაქა“, მოჰყვა ამ პიესის მიხედვით გაკეთებული ფილმი და ოპერა. დაინერა რომანი „ჯარისკაცის ქვრივი“, იმ წამსვე პიესად გადააკეთეს. ახლა გაზეთები იუნყება, შ. მშველიძე ოპერას წერსო. „დიდოსტატის მარჯვენა“ გააკეთეს ოპერაში. ახლა იბრძვიან, რომ კინოშიც დაიდგას. ავტორი ცდილობს ერთი ნაწარმოების ხარჯზე გამდიდრდეს და რაც შესაძლებელია მეტი ფული ამოქაჩოს ყოველი მხრიდან. ამას ხელს უწყობს პროფესიონალი ლიბრეტისტების, სცენარისტების და ა.შ. უყოლობა, რომელთაც შეეძლებოდათ ორიგინალური ნაწარმოებები შეექმნათ.

დაგიძახებენ რადიოში და სიტყვით გამოსვლას გთხოვენ. ამასთანავე დაურთავენ, ამა და ამ საკითხზე უნდა ილაპარაკოთ და ესა და ეს თქვათო. გამოგიძახებენ გაზეთისა თუ ჟურნალის რედაქციაში და გეტყვიან, ამა და ამ საკითხზე წერილი დაგვინერეთო და თან დაურთავენ, ასე და ასე დაგვინერეთო. უცნაურზე უცნაურია: თუ ჩემი აზრი და ჩემს მიერ წამოჭრილი საკითხები არ აინტერესებთ, რაღას მეძახიან? თუ აინტერესებთ, მაშინ მე თვითონ ვიცი, რა უნდა ვთქვა და დავწერო, როგორ უნდა ვთქვა და დავწერო. თუ ჩემი საკითხები არ აინტერესებთ და არც ჩემი აზრი ეპიტანავებათ, მაშინ თვითონ წერონ და ილაპარაკონ, როგორც უნდათ და რაზეც უნდათ, მე რაღას მეძახიან? აქაც უბადრუკი სურვილია ვითომდაც საზოგადოებრივი აზრის შემუშავებისა და სხვადასხვა პირის სამუშაოში ჩაბმისა.

**27. XI. 65.**

სიცოცხლე ორი დაპირისპირებული პოლუსის შეერთების შედეგია. ბიოლოგიურად სიცოცხლე მდედრისა და მამრის შეერთება-ურთიერთობის შედეგია. ასეა ურთულეს ორგანიზმებში, ასეა უმარტივეს ორგანიზმებშიც. არაორგანულ ბუნებაშიც. ელექტროშუქიც კი დადებითი და უარყოფითი პოლუსების შეერთების შედეგად იბადება.

ეს გარდაუვალი კანონია. მათი ურთიერთობა წარმოქმნის მოძრაობას, რაც სიცოცხლისა და არსებობის გამოვლენაა. რაკი ასეა, ომი და მშვიდობა სიცოცხლის თუ ცხოვრების ორი დაპირისპირებული პოლუსია, რომელთა არსებობა აუცილებელია საზოგადოების სიცოცხლისათვის. მათი ურთიერთობა-დაპირისპირება წარმოქმნის მოძრაობას, რაც საზოგადოების სიცოცხლის გამოხატულებაა. როცა ომი არ არის, საზოგადოება იბრძვის, რომ იგი არ მოხდეს და მშვიდობა ხანგრძლივად არსებობდეს. როცა ომი მიმდინარეობს, საზოგადოება იბრძვის მშვიდობის მოსაპოვებლად. ამდენი ომი ყოველთვის განაპირობებს მოძრაობას, რაც სიცოცხლის გამოვლენაა. მართალია, ომი ტრაგიკული მოვლენაა, მაგრამ ავადმყოფობაც ტრაგიკული მოვლენაა, რომელიც არსებობს, როგორც სიჯანსაღის ანტითეზა. ასევე მშვიდობის ანტითეზაა ომი.

რაკი სიცოცხლე პარალელურად არსებული დადებითი და უარყოფითი პოლუსების ურთიერთობის შედეგია, ამდენად, დადებითი პოლუსის პროგრესთან ერთად მიმდინარეობს, უარყოფითი პოლუსის შესაბამისი პროგრესიც. როგორც ცნობილია, კაცობრიობის ზრდა-განვითარება ხდება ყოველმხრივ – რაოდენობრივად (დღეს ყველა ქვეყანაში მოსახლეობის რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ამ რამდენიმე საუკუნის წინათ იყო), ეკონომიკურად, სოციალ-პოლიტიკურად და ა.შ. ასევე შესაბამისი პროგრესით იზ-

რდება უარყოფითი პოლუსიც, ე.ი. ომის წარმოების საშუალებანი. ამდენად, ატომური ან ნეალბადის ბომბით ომი კაცობრიობას დალუპვით კი არ ემუქრება, როგორც დღეს ცდილობენ დაგვარწმუნონ, არამედ იგი არის მხოლოდ შესაბამის პირობებში ომის წარმოების საშუალება და მეტი არაფერი.

**30. XI. 65.**

რამდენჯერ მომისმენია საყვედური: ზარმაცი ხარ, თორემ ბევრს უნდა წერდეო, ზარმაცი ხარ, თორემ დიდ კარიერას გაიკეთებდიო. ამ იდიოტებს ვერ გაუგიათ, არ ვწერ არა იმიტომ, რომ ზარმაცი ვარ, არამედ იმიტომ, რომ არ მინდა ვწერო ის, რაც კომუნისტების იდეოლოგიას შეესაბამება. მინდა ვწერო ის, რაც მე მანუხებს, რაც ჩემი აზრია. ეს კი აკრძალულია. მხოლოდ თავისთვის წერა კი ადამიანს არ შეუძლია, რადგან ეს უაზრობაა. ადამიანი თუ კალამს აიღებს ხელში, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ნააზრევი სხვას უთხრას, სხვას მიანოდოს. თორემ სხვანაირად ფუჭი შრომის ხარჯვას წერა. ის, რაც მე ვიცი, ჩემშია და მას ქალაქებზე გადატანა არ სჭირდება. ქალაქებზე გადატანის აუცილებლობა მხოლოდ მაშინ დგება, როცა აზრი სხვასაც უნდა გაუზიარო. ამის ოფიციალური საშუალებანი კი მომსპარია, თუ შენი აზრი მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურის გადამღერება არაა, უფრო სწორად, თუ ტრივიალური ყველასათვის ნაცნობი ჭეშმარიტება არაა. მარქსიზმ-ლენინიზმის გადამღერება რომ იყოს, კიდევ არა უშავს. ცკ-ის ყველა უკანასკნელი დადგენილების გადამღერება უნდა იყოს (20. X. 76 წ.). ამის ჩხაპნა კი სირცხვილია, თუკი ვინმეს დღეს ასეთი გრძნობა შერჩენილი აქვს, რაც მეტისმეტად საეჭვოა. თუ ხანდახან მაინც ვწერ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ლუკმაპურის შოვნის სხვა საშუალება არა მაქვს. ეს არაა გამამართლებელი საბუთი. ეს მხოლოდ შეღავათია. ამასთა-



ნავე, ჯერ იმედი არ დამიკარგავს, რომ ბოლოსა და ბოლოს მეღირსება, ჩემი ჭეშმარიტი და გულმართალი დამოკიდებულება გამოვთქვა არსებული სინამდვილის მიმართ.

### 11. XII. 65.

ღმერთი სიკეთისა და ბოროტების ერთიანობაა. ადამიანი კი ან კეთილი, ან ბოროტია, ამიტომ ღმერთი მისთვის ყოველთვის შეუცნობელი იქნება. კეთილი ადამიანი ვერასოდეს ვერ ჩანვდება ღმერთის ბოროტ მხარეს, ხოლო ბოროტი ადამიანი ღმერთის კეთილ მხარეს.

### 3. I. 66.

საბჭოთა გაზეთები სიმართლის დამალვის საშუალებაა.

### 6. II. 66.

სულ მიკვირდა, როგორ მოხდა, რომ გერმანია-რუსეთის ომის დროს (1941-1945) ერთი რეციდივიც არ ყოფილა ანტიკომუნისტური ან ანტირუსული მასობრივი გამოსვლებისა. უცბად მივაგენი საიდუმლოს. რაკი სსრკ-ში კერძო საკუთრება არ არსებობდა, არც იყო აჯანყების ეკონომიკურ-მატერიალური საშუალება-საფუძველი. ყოველი კაცი იმ მინიმუმით ცხოვრობდა, რასაც სახელმწიფო იმეტებდა. ეს მინიმუმი კი მხოლოდ ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად კმაროდა. მასობრივ გამოსვლებს (მითუმეტეს აჯანყებას) სჭირდება ორგანიზაცია. ორგანიზაციას კი არსებობისათვის ფული. ვინ მისცემს რევოლუციონერს ან აჯანყებულს ფულს იმ საზოგადოებაში, სადაც კერძო საკუთრება არ არსებობს. ე.ი. არ არის მდიდარი კაცი (აქ ნაპარავი სიმდიდრე სიმდიდრედ არ იგულისხმება, რადგან, როგორც კი ქურდობის წყარო შეწყდება, სიმდიდრეც გაქრება. ე.ი. ეს შემთხვევითობაზეა დამყარებული

და სტაბილურ მოვლენას არ წარმოადგენს). ყოველი აჯანყება, რევოლუცია, მასობრივი პროტესტი მდიდარი კაცის მოწყობილია. მათხოვრებს არაფერი შეუძლიათ. ამიტომაც ვერაფერი შეძლეს კომუნისტურ რუსეთში თითქმის 50 წლის მანძილზე. არ არსებობს მატერიალური საფუძველი სულიერი სიძულვილის გამოსამჟღავნებლად. არა გაქვს გაზეთი, პროკლამაცია და ა.შ. ორგანიზებისათვის, არა გაქვს იარაღი ბრძოლისათვის. ამას ყველაფერს ფული სჭირდება. ეს ფული კი მხოლოდ სახელმწიფოს ხელშია და არა კერძო კაპიტალის. სახელმწიფო კი, ცხადია, თავისი თავის წინააღმდეგ არ მოანყობს გამოსვლებს.

თავისუფლებისათვის ბრძოლას სჭირდება კერძო საკუთრება. სხვა გზა ამ ბრძოლის წარმოებისა გამოორციხულია.

### 9. II. 66.

დამოუკიდებელი საქართველოს დაცემას 1921 წელს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

1. არ იყო ნაციონალური ბურჟუაზია, რომელიც ერის ინტერესებს დაიცავდა. ბურჟუაზია რუსულ-სომხური იყო (უნდა შევავროვო მასალები ქართული ბურჟუაზიის ისტორიისათვის). ე.ი. არ იყო მატერიალური საფუძველი.

2. საქართველო ჭრელი ქვეყანა იყო ეროვნულად. ყველა სხვა ეროვნება, გარდა ქართველისა, პოტენციურად საქართველოს დამოუკიდებლობის მტერი იყო. (უნდა დავადგინო, როგორი იყო 1917 წლისათვის ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის ეროვნული შემადგენლობა).

3. არ არსებობდა ძლიერი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნული თავისუფლების შეგნებას ჩაუნერგავდა. ცხადია, არ იყო არც ასეთი პარტია.

**2. V. 66.**

ადამიანი (პიროვნება) რომ დამოუკიდებელი იყოს, აუცილებელია საფუძველი – ე.ი. კერძო საკუთრება. ამ საკუთრებას სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი ფორმა ჰქონდა. ფეოდალიზმის დროს გამოხატული იყო მიწისა და ყმის მფლობელობით, კაპიტალიზმის დროს – ფულის. როცა ეს ფორმაცია ებრძოდა ერთმანეთს, ფაქტიურად, იყო ბრძოლა კერძო საკუთრების ორი ფორმისა – კაპიტალისა და ფეოდალისა. ე.ი. უარყოფაც იყო და არაუარყოფაც. ნეგატიურიც იყო, პოზიტიურიც. სოციალიზმის კაპიტალიზმთან ბრძოლის დროს კი არის მხოლოდ ნეგატიური (უარყოფა კერძო საკუთრების) და არ არის პოზიტიური (რა კერძო საკუთრების მაგიერ?). რაკი არ არის პოზიტიური, მაშასადამე, არ არის არც პიროვნებისათვის ბრძოლა. აქედან გამომდის უსახო კოლექტივიზმი.

**22. VI. 66.**

ღმერთი არის ის, რაც აუხსნელია. იგი საფუძველთა საფუძველია და ის შეუცნობადი სუბსტანცია, რომელიც რჩება გარკვეული საგნების შეცნობის შემდეგ.

ისე, როგორც ადამიანმა არ იცის, რა ხდება დედის მუცელში, არ იცის ისიც, რა იყო დასაწყისში და ვერც ვერასოდეს გაიგებს ამას, ვერ გაიგებს – რამ წარმოშვა სიცოცხლე.

ა) კაცობრიობა დალუპვისათვის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. მეცნიერების ამა თუ იმ დარგში თავი ჯერჯერობით მხოლოდ ევროპელებმა გამოავლინეს, აზიელები და აფრიკელები აწი ელიან ამ გამოვლენას. ასე რომ შემოქმედებითი პოტენციალის დიდი რაოდენობა ჯერ კაცობრიობას არ დაუხარჯავს.

ბ) ბუნების საიდუმლოებათა ამოხსნა ახლა იწყება. ჯერჯერობით კაცობრიობა

მხოლოდ მიწის საიდუმლოს ამოცნობას ცდილობდა და ისიც ნაწილობრივ გააკეთა. უმთავრესი და უდიდესი წინ არის.

სამყაროს განვითარების საერთო სურათის წარმოდგენა ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან კონკრეტული მეცნიერებების კონკრეტულ მონაპოვრებს მივყავართ დასკვნამდე – კაცობრიობამ ჯერ ძალიან ცოტა რამ იცის იმისათვის, რომ სამყაროს განვითარების საერთო სურათი წარმოიდგინოს.

**15. VIII. 66.**

კომუნისტური კოლონიალიზმის პრინციპია – კოლონიებს (ანუ მოკავშირე რესპუბლიკებს) მართავდეს უავტორიტეტო კაცი. უავტორიტეტო კაცს არ შეუძლია, დარაზმოს თავისი ხალხი და ერთ მშვენიერ დღეს ისინი კოლონიზატორებს აუმხედროს. რა თქმა უნდა, ყოველგვარი სინდისისა და ადამიანური პატრიოტიზმის გაღვიძება იმათში, ვინც რუსულ კომუნისტურ კოლონიალიზმს ემსახურება, გამორიცხულია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ცენტრალური რუსული მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება გაბითურებული იყოს. სახელმწიფოში წესრიგის შესანარჩუნებლად მას რესპუბლიკური მთავრობა არ სჭირდება. ამას აკეთებს ჯარი, რომელიც რუსულია და მხოლოდ რუსეთის ცენტრალურ მთავრობას ემორჩილება. რესპუბლიკური მთავრობა კი „მიშურაა“. ეს „მიშურა“ იდიოტების თავმოყვარეობას აკმაყოფილებს. სინამდვილეში კი ეს მთავრობა მთელი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით ეროვნული შეურაცხყოფაა. რამდენად მეტად იქნება ეროვნულად შეურაცხყოფილი, იმდენად უკეთესი, რადგან ქვეყანაში დამრაზმავი ძალა აღარ იარსებებს. არ არის პარტია, არ არის ორგანიზაცია რაიმე, არ არის ავტორიტეტული პიროვნება, რომელსაც ერის ხელმძღვანელობა



შეეძლება. ე.ი. ერი მთლიანად გადაქცეულია ცხვრად. ამ დროს რესპუბლიკის მეთაურად უავტორიტეტო კაცი წამალივით არის აუცილებელი. კომუნისტები ამას იდეალურად ანხორციელებენ.

ასეთი მდგომარეობა არა მარტო მთავრობაში, არამედ ყოველ დაწესებულებაში. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დაწესებულების ხელმძღვანელი უავტორიტეტო და გაბითურებული იყოს. ბრბო საშიში არ არის. ავტორიტეტიანი კაცია საშიში, რადგან მას ბრბოს დარაზმვა შეუძლია. ბრბო და უავტორიტეტო კაცი-ხელმძღვანელი იდეალური შეხამებაა, რათა ყველაფერი გულმშვიდად მართო და საზოგადოება ცხვრის ფარად იყოს გადაქცეული.

ერთხელ დ. გაჩეჩილაძემ მიაგმო: 20-იან წლებში „ემმაკის მათრახსა“ თუ „ნიანგში“ ყოფილა სატირული ლექსი კომუნისტებზე:

„ერების თვითგამორკვევა ლოზუნგად ჰქონდათ ქცეული,

სუყველა ერთად მოსრისეს, ვინც ნახეს გამორკვეული“.

უნივერსიტეტში გამოდიოდა სატირული კედლის გაზეთი „ჭინჭარი“. ერთ დღეს ვილაცას ჩარჩოში, რომელშიც გაზეთს ათავსებდნენ, ნამდვილი ჭინჭრის ორი ნერგი ჩაედო და ქვეშ მიენერა: „საუნივერსიტეტო გამოშვება „ჭინჭარი“ ნატურალიზმის ჭაობში ჩაეფლო“ (1953. 26. IV).

კ. ლორთქიფანიძე, თემა მესამე

„მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე არც მიმანია ადამიანათ“ („პროლეტარული მწერლობა“ 1927. №8).

ფ. ნაროუშვილი, პოემა სხვადასხვა საკითხებზე:

„მაგრამ, ძვირფასო თანამებრძოლო,

შენც გაჯანსაღდი, გზა კი ერთია;  
თავი ანებე ვაჟას, აკაკის  
ხავსიან ნისლით რომ იბურვიან.  
შენი მჩქეფარე ჯანსაღი სისხლი  
თანამებრძოლო, მტრულად სალდება,  
მიტომ დაისვა დღიურ წესრიგში  
შენი უნარის გაჯანსაღება.  
რა ჭერქვეშელი ბოლშევიკი ხარ  
აკაკის ლექსით თუ იხიბლები:  
პროლეტმწერალმა თვით უნდა  
ზარდოს  
პროლეტმწერალის პროლეტ-  
მკითხველი“.

(„ქართული მწერლობა“, 1928 წ. თებ.-მარტი).

ამასვე ამბობენ და აკეთებენ დღეს ჩინეთში ხუნვეიბინები. კომუნისტები ყველა ქვეყანაში ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. ამის საფუძველი გონებრივი შეზღუდულობაა, ურომლისოდაც არ არსებობს კომუნიზმი.

(ლათინური ციტატა)

„მან ერთობ ლამაზი დახატა, ხოლო მლიქვნელებს კი გასამრჯელო არ მიეცემათ“.

გელერტი ქრისტიან ფიურხტგოტ (1715-1769)

დღეს კი თუ სადმე გასამრჯელოა სულ მლიქვნელებს მიაქვთ.

(ლათინური ციტატა)

– მართლა არის თუ არ არის – მაინც ჩემი ქვეყანაა.

ანეკდოტები და ხალხური თქმულებები უცნაურად არის გავრცელებული. მათ გავრცელებაში ძნელია რაიმე კანონზომიერება იპოვნო. ჩვენში იყო ანეკდოტი: კინტომ ყვავი იყიდა, ამბობენ 300 წელი ცოცხლობს, გაესინჯავ მართალია



თუ არაო. ზუსტად ასეთი ანეკდოტი იყო მარტინ ანდერსენ ნეკსეს წერილში – „Я всегда за одно с теми, кто берётся за человечество“ („Лит. газета“, 1954г. 5. VI).<sup>1</sup> დედაბერმა გაიგო თუთიყუში 200 წელი ცხოვრობსო, იყიდა, ვნახო მართალია თუ არაო.

ანეკდოტები პოლიკარპე კაკაბაძესთან დაკავშირებული:

– პოლიკარპე, რატომ თანამედროვე მწერალთა პიესებს არ კითხულობ?

– განათლება ახლა დავიწყე, ჯერ ეს-ქილემდე ვარ მისული.

პ. კ. – უმჯობესია ახალგაზრდობას პეტრე სამსონიძე ვაკითხოთ, ვიდრე შექსპირი.

– რატომ?

პ. კ. – შექსპირს რომ წაიკითხავს, იტყვის ასე რა დასწერსო და წერას თავს დაანებებს, პეტრეს რომ წაიკითხავს, იტყვის ასე ხომ მეც დავწერო და მწერალთა კადრები გაგვეზრდება.

სიკო დოლიძე (პოლიკარპეს): სცენარს ვწერ კოლმეურნეზე, რომელმაც დიდი დოვლათი მიიღო და ნაწილი უკან დაუბრუნა კოლმეურნეობას, მეტი აღარ მჭირდებაო.

პ. კაკაბაძე: კარგი აზრია. მე პიესას დავწერ კინორეჟისორზე, რომელმაც იმდენი ფული მიიღო, რომ ნაწილი უკან დააბრუნა, ამდენი ფული რად მინდაო.

ყოველი მუზეუმი ნაციონალისტური გრძნობების გამაღვიძებელია. ყოველი მუზეუმის ამოცანაა, სხვებს დაუმტკიცოს – ყველაზე უკეთესნი ჩვენ ვართო.

ტოლსტოის უნდოდა ეცხოვრა რომში, მოსკოვი რომ არ ყოფილიყო ქვეყნად; მაიაკოვსკის კი – პარიზში, მაგრამ აქაც

მოსკოვმა შეუშალა ხელი. ხანდახან დიდი ტალანტიც კი კრეატიული აზრების პროპაგანდისტია. რა სასაცილოა ადამიანთა ასეთი ორკაპიკიანი ნაციონალიზმი.

მოსკოვი-თბილისის მატარებელში: ერთ რუსს პურის ნაჭერი დარჩა შეუჭმელი. იგი სოჭში ჩადიოდა და, პური რომ არ დაკარგულიყო, მეორე მგზავრს მიყიდა. ერთს გაყიდვისა არ შერცხვა, მეორეს კი ყიდვისა.

ანეკდოტი: კომუნისტი გარიცხეს პარტიიდან. უპარტიოებმა თქვეს – როგორ ანაგვიანებენ უპარტიოთა რიგებს.

## 25. IV. 67.

წავიკითხე ეკონომისტ ვ. ნ. ტერეშჩენკოს ლექცია „ორგანიზაცია და მმართველობა“ (წაკითხულია 1965 წლის 7 დეკემბერს). აქ მოთხრობილია იმ სისტემის შესახებ, რომელიც ინჟინერმა ტეილორმა გამოიგონა და რომელიც საშუალებას იძლევა, შრომა მაქსიმალურად ნაყოფიერი გახადოს. ამერიკული ეკონომიკის პრინციპია თვითღირებულების შემცირება, რაც შრომას რენტაბელურს ხდის და არა რენტაბელური და არარენტაბელური შრომის დაპირისპირება, რასაც კომუნისტურ სამყაროში აქვს ადგილი.

ამერიკელები ამბობენო „Хороший организатор смотрит на то, что вокруг него происходит не под углом, что делается, а под углом – как делается“.<sup>2</sup> როგორ იძლევა საშუალებას ყოველი კაცი მუშაობდეს როგორც საქმისათვის, ისე თავისთვის რაციონალურად.

მაქსიმალურად ორგანიზებულია ჭამა (რესტორნებში, სასაუზმეებში – აქ გიხდებათ საათების დაკარგვა, როგორც

<sup>1</sup> მე ყოველთვის მათთან ვარ, ვინ კაცობრიობისთვის ირჯება.

<sup>2</sup> კარგი ორგანიზატორი იმას კი არ აქცევს ყურადღებას, რა კეთდება, არამედ იმას, როგორ კეთდება.

კომუნისტურ სამყაროში), ტრანსპორტი (აქაც მინიმალური დრო იხარჯება). ამ საკითხების ორგანიზაციას მაქსიმალური მნიშვნელობა აქვს, რადგან „Вы – один человек, одно единство. Нельзя вести две жизни. Нельзя быть абсолютно идеальным, рационально использовать каждую минуту на работу, а потом сидеть полтара часа в ожидании пока вы закусите“.<sup>3</sup>

ლაპარაკია კრედიტა კარტოჩკა<sup>4</sup>-ზე.

შრომის პრინციპია: Никогда ни один трудящийся, получающий данную зарплату, не должен заниматься трудом, который может выполнить другой трудящийся, получающий меньшую зарплату.<sup>5</sup> ესეც ამცირებს თვითღირებულებას, აადვილებს შრომას. აქედან ნაყოფიერებასაც. Во время покушать, во время поспать, тогда эта машина даёт большую отдачу.<sup>6</sup>

ტერეშჩენკოს აღწერილი აქვს იდეალური წესრიგი, მაგრამ, რას ემყარება ეს წესრიგი, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს თავისთავად იგულისხმება: პიროვნების ინიციატივის თავისუფლებას და კონკურენციის შიშს. შიში დიდებული გრძნობაა, რადგან იგი წესრიგისაკენ მოუწოდებს როგორც ორგანიზებულს, ისე ყალბაბანდს. ერთ ადგილას ტერეშჩენკო ამბობს: ამერიკაში ცუდად ორგანიზებული დაწესებულებებიც არისო. მაგრამ ადრე თუ გვიან ამათ კარგად ორგანიზებული დაწესებულებანი გადაყლაპავენო. აქ არის ძალის თავი დამარხული – შიში, შენზე უკეთ ორგანიზებულმა არ გადაყლაპოს, გაიძულეს, მუდამ იზრუნო შენი დაწესებულების ბედზე, მუდამ ფხიზლად იყო და სხვას აჯობო. კომუნისტურ სამყაროში კი არაფრის გეშინია – რაკი მთავრობამ გამოიტანა გადანყვეტილება,

ეს თუ ის დაწესებულება იარსებებს მანამდე, სანამ ისევე მთავრობა არ გამოიტანს გადანყვეტილებას მისი გაუქმების შესახებ. მუშაობს თუ არა დაწესებულება, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ იქ ყველანი მუშაობენ სხვათა შორის. არავითარი წესრიგი არ არსებობს. რაკი თავისთავად ადამიანი არ ამუშავდება, მას მამოძრავებელი ფაქტორი სჭირდება, ამიტომ კომუნისტურ სამყაროში იბადება შიშის აუცილებლობის გრძნობა. რადგან არ არის თავისუფალი კონკურენციის შიში, იბადება პიროვნული დიქტატურის აუცილებლობა (აქედან სტალინიზმი, მაოიზმი), ამ დიქტატურის შიში. უამისოდ კი კომუნისტურ სამყაროში ანარქია იწყება. დიქტატურა კი არასოდეს არ იძლევა ცხოვრების, კულტურის იმ დონეს, რასაც თავისუფალი ადამიანის შრომა. აქედან გამომდინარე – ვერასოდეს კომუნიზმი ვერ შექმნის შრომისა და ცხოვრების ისეთ იდეალურ პირობებს, როგორსაც ქმნის კაპიტალიზმი.

## 12. VI. 67.

ბუნებით პოლიტიკის მოყვარული ვარ. მთელი ჩემი საქმიანობა პოლიტიკას მიეძღვნებოდა, კომუნისტურ სახელმწიფოში რომ არ მეცხოვრა. ზოოლოგიური სიძულვილი კომუნისტებისა არ მაძლევს საშუალებას პირფერობის და ამიტომ ხელი ავიღე პოლიტიკურ საქმიანობაზე. უფრო სწორად, პოლიტიკაზე ოცნებაზე. თუ ხანდახან ლიტერატურასა და ხელოვნებას ვებლაუჭები, მხოლოდ იმიტომ, რომ კაცმა რაღაც უნდა აკეთო და პურის ფული იშოვნო. მაგრამ მე მაინც უნდა დავწერო ერთი წიგნი – ეს იქნება

<sup>3</sup> თქვენ ერთი ადამიანი ხართ, ერთი ერთობა. ორი ცხოვრებით ვერ იცხოვრებთ. არ შეიძლება იყო აბსოლუტურად იდეალური, რაციონალურად გამოიყენო სამუშაოზე ყოველი წუთი და მერე კი საათ-ნახევარი ელოდო სადილს.

<sup>4</sup> ლაპარაკია საკრედიტო ბარათზე.

<sup>5</sup> არსად, არც ერთი მუშაკი, რომელიც იღებს კონკრეტულ ხელფასს, არ უნდა ენოდეს იმ შრომას, რომლის შესრულებაც მასზე მცირე ხელფასის მქონე მუშაკს შეუძლია.

<sup>6</sup> თავის დროზე სადილობა, თავის დროზე ძილი – მაშინ ეს მანქანა მეტ უკუგებას იძლევა.

ნიგნი, რომელშიც ავტობიოგრაფიულ მასალაზე აღწერილი იქნება ჩემი თაობის კაცის ცხოვრება და ფიქრი.

**23. VII. 67.**

1965 წლის 31 მარტს მოსკოვში კინემატოგრაფისტთა პლენუმს ვესწრებოდი. გამოვიდა ტალინელი რეჟისორი (გვარი აღარ მახსოვს), რომელმაც კინოში შექმნილ მდგომარეობაზე ილაპარაკა. მეც პარტიული ვარ, მაგრამ ჩემ ზევით დგას კიდევ ვიღაც ზეპარტიული, რომელიც კონტროლს მინევსო. თუ ნავშლით პარტიულს, დაგვრჩება მხოლოდ „ზე“ და „ჩვეულებრივი“. სწორედ „ზე“ და „ჩვეულებრივი“-ად დაყოფა იწვევს პიროვნების კულტს და ფაშიზმსო. რა საჭიროა დემოკრატიის თამაში მაშინ, როცა კალმის ერთი მოსმით გააუქმებს რომანოვი (კინოკომიტეტის თავმჯდომარე) კოლექტივისა და დემოკრატიის გადანყვეტილებას. ვენდოთ ხელოვანსო, ასეთი იყო მისი სიტყვის დასკვნა.

შესვენების შემდეგ ამ რეჟისორის წინააღმდეგ გამოუშვეს ანდრეი ტარკოვსკი, მაგრამ ჩაფლავდა. იგი გამოუცდელი დემაგოგი აღმოჩნდა. რაკი ტარკოვსკი ჩაფლავდა, საქმის გამოსასწორებლად ის ტალინელი რეჟისორი აიძულეს, წერილობით ბოდიში მოეხადა.

ამავე სხდომაზე გერასიმოვი ამბობდა – *Старженство мысли должно определять взаимоотношения людей.* – აზრით უფროსს უნდა ემორჩილებოდნენ და არა თანამდებობითო.

აქვე იყო გამოთქმული აზრი ფილმის წარმატების ფორმულის შესახებ. ამას ვიღაც კინოგაქირავების მუშაკი ამბობდა:

$$И = У \times К$$

И – идеологическое воздействие фильма

У – идейный уровень фильма

К – количество зрителей <sup>7</sup>

მაგრამ ამ ფორმულების გამომგონებლებს არ უნდათ დაიჯერონ, რომ კომუნიზმმა ჩვენში ნდობა დაკარგა და ანტიკომუნიზმი იდეურიც იქნება და მრავალმაყურებლიანიც.

ახლა შეუძლებელია რაიმე ობიექტური შეფასება ლიტერატურის ისტორიაში, რადგან ცენტრალურ იდეად მთელი ლიტმცოდნეობისა აღებულია ამოცანა – როგორ იპოვნონ მოკავშირე რესპუბლიკებში რუსული მოვლენების დუბლები. მაგალითად, რუსულ ლიტერატურაში არის პავლე ვლასოვის სახე, მაშასადამე, ლიტერატურათმცოდნეს რაღაც არ უნდა დაუჯდეს, მოკავშირე რესპუბლიკების ლიტერატურაში უნდა იპოვოს ანალოგიური სახე, რომ დაამტკიცოს რუსული ლიტერატურის ცხოველმყოფელი გავლენა. ეს, რა თქმა უნდა, მეცნიერებასთან არავითარ კავშირში არ არის, მაგრამ პროპაგანდისტული მნიშვნელობა აქვს.

სქემა ასეთია:

რუსული ლიტერატურა

ქართული სომხური აზერბაიჯანული უკრაინული და ა.შ.

მაგალითად, ლიტველი ვ. ბანიონის ავტორეფერატში „Проблема становления социалистического реализма в литовской литературе“ – ამტკიცებს, რომ М. Горький „Мать“ და Петрас Цвирка „Земля- кормилица“<sup>8</sup> – ერთი და იმავე იდეებს ასა-

<sup>7</sup> ი = დ × რ

ი – იდეოლოგიური ზემოქმედება ფილმისა  
დ – ფილმის იდეური დონე  
რ – მაყურებელთა რაოდენობა.

<sup>8</sup> ვ. ბანიონის ავტორეფერატში „სოციალისტური რეალიზმის ჩამოყალიბების პრობლემა ლიტვურ ლიტერატურაში“ ამტკიცებს, რომ მ. გორკის „დედა“ და პეტრას ცვირკას „მინა-მარჩენალი“...

ხავსო. პ. ვლასოვი და იურას ტარუტის ერთი და იმავე იდეების პერსონიფიცირებააო. აქედან გამოყვანილია დასკვნა სოციალისტური რეალიზმის საერთო და საყოველთაო მნიშვნელობის. მეთოდად გამოყენებულია არა ფაქტების შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნა, არამედ წინასწარ აკვიატებული დებულებისადმი მასალის მისადაგება. როცა შეატყობენ, რომ გავლენებზე ლაპარაკი მეტისმეტია, იწყება მსჯელობა ნაციონალურ სპეციფიკაზე.

ჟურნალ „იუნოსტის“ №11, 1962 წ. იური კოროლიოვის სურათების რეპროდუქციებია. იგი თვითონ არის გადაღებული თავის სურათთან, რომელზეც გამოსახულია ქალი ბავშვით, ქრისტესა და ღვთისმშობლის პოზით.

გელათს დარაჯი მოხუცი კოლია ჰყოლია, იმას უთქვამს:

– თქვენებური დათვლა არ ვიციო (რუსულად ნათქვამი ციფრთა სახელები რომ გაიგონა).

– ამ ხალხმა ყველაფერი იცის, თუ რაშია საქმე, რომ არაფერს მეკითხებიანო (როცა ტურისტებმა დავითის ფრესკის შესახებ არა იკითხეს რა).

შტამპი საბჭოურ კინოში: მამაკაცის კეთილშობილება რომ გამოხატონ, აუცილებლად ბავშვიანი ქალები უნდა შეერთონ ცოლად (თან ეს ქალები ქვრივები კი არ არიან, არამედ მეორე მამაკაცისგან შეცდენილნი. ცხადია, ეს მეორე „უარყოფითია“).

„Случай на шахте восемь“<sup>9</sup>

„ჩრდილი გზაზე“, „Человек родился“<sup>10</sup>...

მარტვილის ტაძრის წინ ტურბაზის შენობაა, რომელიც ტაძრის ხედს ხურავს.

ნუთუ ამ შენობის ალება მოუგვარებელი პრობლემაა?

ცივილიზაცია ნაყოფია სამი ფაქტორის – შრომის, რელიგიისა და კერძო საკუთრების.

ერთხელ ირ. აბაშიძემ მითხრა რუსთაველის შესახებ. მოხსენება ასე მიხდოდა დამემთავრებინაო – რუსთაველს ეკლესია იმიტომ ებრძოდა, რომ ერთ ტაძარში ორი წმინდანის მოთავსება არ შეიძლებოდა. ეს ისტორიამ სულ ახლახან დაადასტურაო (გულისხმობდა ლენინსა და სტალინს). ქართველებმა „ვეფხისტყაოსანი“ ბიბლიას გაუთანასწორეს და კონფლიქტი აქედან გაჩნდაო.

19. XI. 57. ჩამიწერია: მუავანაძემ გაცნო როკოსოვსკის ვ. ანჯაფარიძე და უთხრა – ეს არის, „ბერლინის დაცემა“ რომ გადაიღო, იმისი ცოლიო.

#### 14. VIII. 56.

– წყალი გაქვთ?

– ფოთში, ბატონო, წყალი კი არა ზღვაც გვაქვს.

ძალღი უღრენდა კაცს:

– უშველეთ, ძალღი იხრჩობა აგერ.

#### 18. VIII. 56.

სტუდიაში პარტიული კრება იყო. ქალაქკომის მე-3 მდივანმა ჭახრაკიამ თქვა:

– თითოეულ კაცზე 4 კვმ ფართობი ბინის მქონე ოჯახს ახალ ბინას არ მივცემთ. სულზე ეს ფართობი საკმარისიაო.

კოროშინაძემ დაუძახა:

– გუნცაძეს 5კვმ კუბო არ ეყოფა და ბინა რას უზამსო.

<sup>9</sup> შემთხვევა მერვე მაღაროში.

<sup>10</sup> „დაიბადა ადამიანი“.

**15. VIII. 67.**

ხშირად ერთგულება გონებრივი მონობის შედეგია. ასეთი იყო 1956 წლის 5-9 მარტის სტიქიური დემონსტრაციები სტალინის „დასაცავად“.

**20. VIII. 67.**

რევოლუციის გზით სოციალური „перестройство“ (გადანყოფნა – რედ.) ტრაგიკული სისულელეა. სოციალური ცვლილებანი ადამიანის პროგრესისაკენ სვლას ვერ უწყობს ხელს. სოციალური ცვლილებებით ცხოველი შეიცვლება? კაცობრიობის 90% კი „ცხოველია“. ევოლუცია და ტექნიკური პროგრესი – აი ერთადერთი გზა უკეთესობისაკენ.

**4. X. 67.**

„ჯაყოს ხიზნების“ ანალიზი დაინეროს. ჯაყო სტალინია, თეიმურაზ ხევისთავი – ნოე ჟორდანი, მარგო – საქართველო. 1924 წელს არის რომანი დაწერილი. ე.ი. საქართველოში მენშევიკური გამოსვლების წელს. თეიმურაზის იმედი მარგო დამიბრუნდებაო, არის მენშევიკური მთავრობის იმედი, საქართველო ჩემსკენ მოაბრუნებს პირს. თეიმურაზის უღრმესი პატივისცემა მარგოსადმი არის საქართველოსადმი მენშევიკთა პატივისცემა, მაგრამ უნაყოფო. ჯაყოს ენერგია კომუნისტთა ენერგიაა ერთი ნუთით გამოცოცხლებული, მაგრამ მერმე დამმონებელი ისე, როგორც მარგო დაიმონა ჯაყომ.

ჯულაშვილი (ჯუგაევი, ჯუგათი) ოსური გვარია. ამიტომ არის ჯაყო ოსი.

**27. IV. 69.**

თომაზო კამპანელა ამბობს, რომ ხელისუფლებას სამი მოკავშირე უნდა ჰყავდეს – ძალა, სიბრძნე და სიყვარული.

სტალინს ჰქონდა პირველი ორი და არ გააჩნდა მესამე (სიყვარული). აქედან არის მისი სისასტიკე და კაციჭამიობა. არ გააჩნდა იმიტომ, რომ სიყვარულის გამოხატვა რელიგია. კომუნისტები კი უარყოფენ რელიგიას. ამის გამო რჩება ცარიელი ადგილი. სიცარიელის დატოვება არ შეიძლება. სიცარიელე რალაციით უნდა შეივსოს, თორემ ცარიელ ადგილს ყოველთვის იჭერს ბოროტება. კომუნისტებს ქრისტიანობა (რაკი არ მოსწონდათ) უნდა შეეცვალათ სხვა რელიგიით. ეს ვერ მოახერხეს. ახალი რელიგია ვერ შეიმუშავეს. აქედან გამომდინარე, ძალა მათ ხელში გადაიქცა ბოროტებად.

**17. V. 69.**

ილიას მკვლევლობასთან დაკავშირებით საინტერესოა, როგორ შეხვდა ამ ტრაგიკულ ამბავს იმდროინდელი პრესა (მაშინდელი პარტიულობის მიხედვით). ვაჟა-ფშაველას ნერილში – „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“ – იგრძნობა, რომ ამ ამბით გახარებულნიც ყოფილან ზოგ-ზოგები. ვინ არიან ისინი? რა პარტიას ეკუთვნოდნენ? ჩარკვიანმა რომ ვაჟა გააკრიტიკა, ხომ არ იყო ნაგვიანევი შურისძიება? ამ საკითხებს უნდა ჩაკვირვება.

ნერილში – „შინაური ამბები“ ვაჟა კარლო ჩხეიძეს აკრიტიკებს (თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ.V, გვ.237), მეორე – „შინაურ ამბებში“ სოციალისტებს ურტყამს, (გვ.233). იქვე გვ.241 – „ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო“. „მცირე შენიშვნა“ (გვ.256) გაზ. „საქმე“ №84, 1910 წ. აქაც ილიას მტრებს ებრძვის.

**7. VI. 69.**

საბჭოთა მოქალაქის სიხარული ის არის, რომ დარწმუნებულია, თუ საბჭო-



თა წყობილება იარსებებს, უარესი და უარესი საცხოვრებელი პირობები იქნება. ასე რომ იგი უფრო ბედნიერია, ვიდრე მომავალი თაობები და ეს კმაყოფილებით ავსებს მას. ხუმრობა ხომ არ არის შეგნება იმისა, რომ ვიღაცაზე ბედნიერი მაინც ხარ.

ადამიანთა ცხოვრების ხანგრძლივობამ მოიმატა. შესაბამისად გაიზარდა დედამთილებისა და რძლების, სიდედრებისა და სიძეების კინკლაობის ხანგრძლივობაც.

### 30. VI. 69.

სიკეთე, რომელიც მოითხოვს სიკეთითვე მიპასუხეო, აღარ არის სიკეთე. ეს ვაჭრობაა. სიკეთე უანგაროდ უნდა კეთდებოდეს და არ ელოდეს, სამაგიეროს

მომიზღავნო. იგი თავისთავად არის ღირებულება და გაცვლა-გამოცვლა არ უნდა იყოს საჭირო მისი დაფასებისათვის. ასევეა სიყვარული. სიყვარულიც ვაჭრობაა, თუ ეს სიყვარული სამაგიეროს მოითხოვს. შეიძლება მეორე არსებაშიც ისევე თავისუფლად აღიძრას სიყვარული, როგორც პირველს აღეძრა, მაშინ იქნება სრული ჰარმონია. თუ ერთ-ერთი მათგანი გრძნობს, მისი სიყვარული პასუხია მეორის გრძნობისა, ეს აღარ არის სიყვარული. ეს არის სიყვარულის ბეგარა და ადრე თუ გვიან სიძულვილად იქცევა. როცა რუსთაველი წერს: „ქალსა შევხედე ლახვარი მეცა სულსა და გულსაო“, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სიყვარული თავისუფლად დაიბადა და არა ძალდატანებით, არა როგორც მოვალეობა და პასუხი მეორის სიყვარულისა.



## თამაზ ბენიშაშვილი მახიან ლაფაური-ბუჩხი

### ქართული საქმის ჟოგაბი

მარიკა ლაფაური-ბურკის სახელი, არა მგონია, უცხო იყოს ქართული – მით უფრო, გერმანული – საზოგადოებისათვის. ეროვნული საქმის თვალსაჩინო ქომაგი უკვე ოცდაექვსი წელია, ჰამბურგში ცხოვრობს და დაუღალავად იღვწის, რომ მშობლიური ქვეყანა ევროპას გააცნოს, ჩვენი კულტურითა და მატერიალური ძეგლებით დაინტერესოს. ამ ქალბატონის ინტერესთა სფერო ფართო და მრავალმხრივია: ფილოსოფია, არქიტექტურა, მედია, ხალხური თუ კლასიკური მუსიკა. მის მიერ ინიცირებული და განხორციელებული კულტურული პროექტების რაოდენობა 130-ს აჭარბებს. არის გერმანულ-კავკასიური საზოგადოება „ლილეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი; არაერთი თეატრალური, კინო თუ

მუსიკალური ფესტივალის ორგანიზატორი; მისი პროექტების არცთუ მცირე ნუსხაში შედის ქართველ რეჟისორთა ფილმების რეტროსპექტივები თუ თემატური ჩვენებები; გერმანიის რვა უნივერსიტეტთან ერთად იყო ავტორი პროექტისა „ქართული პოლიფონია – 2003“, რომელიც ჰამბურგის სენატმა წლის საუკეთესო პროექტად აღიარა. გარდა ამისა, კატალოგებში საუკეთესოთა შორისაა დასახელებული მისი სხვა პროექტებიც – „გეორგიარტე“ და „Cinema georgien“; მარიკა ლაფაური-ბურკს, ჟურნალის სახით, გამოცემული აქვს ესეებისა და სტატიების კრებული „Einblick georgien“ (5 გამოცემა); „ჰარალო“ – კრებული ქართული მუსიკის შესახებ და „Cinema georgien“-ის ორი კრებული. ქართული ხელოვნების პო-

პულარიზაციის პარალელურად მარიკა ლაფაური-ბურკი აქტიურად არის ჩაბმული გერმანიაში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა პოპულარიზაციის საქმეში; ნიკო ტარიელაშვილთან ერთად არის ორი დოკუმენტური ფილმის, ასევე არაერთი პუბლიცისტური თუ კულტუროლოგიური წერილის ავტორი და გერმანიის კულტურის არხზე რამდენიმე საავტორო გადაცემის წამყვანი; აქვს ბლოგი (WWW.einblickgeorgien.blogspot.com), სადაც განთავსებულია მისი მასალები; მის სახელს უკავშირდება მშობლიურ კისისხევეში „კარგი სახლის“ დაარსება და სოფელში არაერთი კულტურული პროექტის განხორციელება; 2004 წლიდან, გერმანელ ექსპერტებთან ერთად, ჩართულია ატენის სიონის ფრესკების გადარჩენის საქმეში.

როცა ასეთი გასაოცარი ენთუზიაზმის მქონე ქალბატონის დოსიეს ვეცნობით, ეპითეტების სიუხვეს ფასი ეკარგება. მისი საქმიანობა შეიძლება სამი სიტყვით შეფასდეს – ქართული საქმის ქომაგი.

„ცისკარი 1852“ დაინტერესდა მარიკა ლაფაური-ბურკის პიროვნებით, ამის ინიციატორი ჩვენი ჟურნალის რედაქციის წევრი ბატონი თამაზ ტყემალაძეა. სწორედ მან მიანოდა ჩვენს ჟურნალს მარიკა ლაფაური-ბურკთან შეხვედრის იდეა, მე კი ეს სიამოვნება არავის დავანებე და ჩემს სისხლისმიერ ნათესავთან ინტერვიუერის ამპლუა მოვირგე. ამიტომაც შენობით მივმართავ მას:

**თამარ გელიტაშვილი – მარიკა, ამბობენ, შენ პირველი და ერთადერთი ქალი-ორლანისტი ხარ საქართველოში. სად დაუფლავ ამ პროფესიას?**

**მარიკა ლაფაური-ბურკი** – ისე გამოდის, რომ ეს კითხვა მთელ ჩემს ცხოვრებას შეეხება, მაგრამ ის ფაქტი, რომ მე პირველი და ერთადერთი ქალი-ორლანისტი ვარ საქართველოში, სწორი არ არის. პირველი ქალი-ორლანისტი და ზოგადად საორლანო კლასის დამაარსებელი ჩვენს ქვეყანაში იყო ეთერ მგალობლიშვილი, რომელიც მოსკოვში როიზმანის მონაფე იყო. როდესაც ქ-ნი ეთერი საქართველოში ჩამოვიდა, მისი ინიციატივით დაიდგა შუკეს ორლანი და იმ დღიდან დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. ჩემამდე მას ჰყავდა არაჩვეულებრივი მონაფეები: გარი კანიაევი, ნანა რუხაძე, ქეთევან გოგოლაძე, მოგვიანებით – ლიკა ნიჭარაძე, დინი ვირსალაძე და კიდევ სხვები, მთელი პლეა და არაჩვეულებრივი მუსიკოსებისა, რომლებიც ჩემზე უფრო ადრე დაუფლნენ ორლანისტის პროფესიას. ესენი რომ დადიოდნენ ორლანზე, მეც მინდოდა მესწავლა, თან ქ-ნი ეთერის ერთ-ერთ პირველ მონაფეს, ქეთინო გოგოლაძეს ვიცნობდი კარგად, მაგრამ დიდი რიდი მქონდა ეთერ მგალობლიშვილის, რადგან რალაც მითები იყო შექმნილი მასზე, მის სიმკაცრეზე. ბოლოს მაინც გავბედე და დავინყე ორლანის შესწავ-





ლა. ეს ძალიან ვრცელი თემაა, იმიტომ რომ ორლანი მთელ ჩემს ცხოვრებას გასდევს არა მარტო პროფესიის გამო, არამედ რალაცნაირად თითქოს ჩემს ბიოგრაფიასა და ბედისწერასთან არის გადაწნული. ამიტომ მხოლოდ იმას აღვნიშნავ მოკლედ, რომ ძალიან რთული პირობები იყო ყოველმხრივ: ფიზიკურად, დროის ფაქტორის გათვალისწინებით, ეთერთან ურთიერთობით. მოკლედ, რთული გარემოებების მთელი თაიგული იყო. ამას ვერავინ ვერ უძლებდა და ყველა მიდიოდა. საბოლოო ჯამში, როცა მე უკვე დავდიოდი ქალბატონ ეთერთან, ორლანისტა წრიდან დარჩა მხოლოდ ნესტან ბაქრაძე. ნესტანი ძალიან მიყვარდა, ჩვენ მანამდეც ვმეგობრობდით. ჩვენი მეგობრობა ორლანზე ერთად სწავლის პერიოდშიც გაგრძელდა. ეს იყო სოლიდარობა, ასევე პასუხისმგებლობა საყვარელი საქმისადმი. შემდეგ ჩვენს პატარა გუნდს შემოუერთდა ნანა რუხაძეც – ეთერ მგალობლიშვილის ერთ-ერთი პირველი მოწაფე და არაჩვეულებრივი მუსიკოსი. ძალიან ვთხოვეთ, რომ დაბრუნებოდა ორლანს. ის ამ დროისათვის ნიჭიერთა ათწლეულში მუშაობდა. ფაქტობრივად, ეს ინსტრუმენტი რომ ფუნქციონირებდა, ჩვენი დამსახურება იყო, მაგრამ, როგორც გითხარი, ეს იმდენად დიდი და ბედისწერით მოცული თემაა, რომ შეიძლება რომანის ფორმატიც კი შეიძინოს. ჯერ იყო და ნესტანი ტრაგიკულად დაიღუპა. სწორედ ეს ტრაგედია იქცა საქართველოდან ჩემი წასვლის ერთ-ერთ მიზეზად. ამის შემდეგ, მალევე, ნანა რუხაძეც გარდაიცვალა და, პრაქტიკულად, ისევე ჩამოინგრა ჩემთვის ყველაფერი. ჩვენ მერე ეთერს კიდევ ჰყავდა მოსწავლეები, ბოლო ხანებამდე. ახლა, როგორც ვიცი, ღია ბაილოშვილმა გადაიბარა კონსერვატორიაში ეს კლასი.

– საორლანო მუსიკა და შემსრულებლობა მაინც არ განვითარდა საქართველო-

**ში. მიიჩნევ თუ არა მისი განვითარების აუცილებლობას ჩვენს ქვეყანაში?**

– დიახ, არ განვითარდა. მე ბევრი ვიზრუნე, თუმც ეს ზრუნვა და ჩემი შეთავაზებები ვერ მოხვდა რალაც ისეთ ნერტილში, რომ გაღვივებულიყო. ეს ჩემთვის ასევე დიდი ტრავმა იყო და, საერთოდ, ტრავმებთან ვართ დაკავშირებული მე და ჩემი ორლანი. ერთი მხრივ, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მაინც შევძელი მისი სწავლა და, როცა მინდა, მაღლობა ღმერთს და გერმანელ პასტორს, მივდივარ ამ ინსტრუმენტთან და ვუკრავ. ის მუდამ უცვლელი და ჩემი ერთგულია, თუმც, კვლავ ვიმეორებ, რომ საქართველოში არსებობდა იმის საშუალება, საორლანო კლასი განვითარებულიყო. გარკვეული წლები კონსერვატორიის ორლანი ცუდ მდგომარეობაში იყო, შემდეგ კი ისე დაზიანდა, რომ დაკვრა შეუძლებელი შეიქნა. მხოლოდ შარშან მოხერხდა დამტკვეული ორლანის აღდგენა.

**– საქართველოს ფარგლებს გარეთ თუ არიან ჩვენი თანამემამულე ორლანისტ-შემსრულებლები?**

– არიან, მაგალითად: ბრემენში, ფრანკფურტში. არის რამდენიმე, მაგრამ, სიმართლე გითხრა, მაინცდამაინც არ მაქვს მათთან ახლო ურთიერთობა, ეს კი ვიცი, რომ, ვინც გერმანიაში ან ევროპაში ამ დარგზე სწავლობდა, დღეს ღვთისმსახურების დროს უკრავს.

**– უცხო ქვეყანაში ცხოვრობ და მრავალკულტურულ პროექტს ახორციელებ. მთელი შენი საქმიანობა საქართველოს უკავშირდება – ქართული საქმე კეთდება, არადა, უამრავი ჩვენი თანამოქალაქე ცხოვრობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაგრამ აბსოლუტურად მარგინალიზებულიად. საიდან იღებს სათავეს შენში ამდენი ენერჯია, ასეთი ენთუზიაზმი? მე მგონია, ეს მამის, სოლომონ ლაფაურის სიყვარულმა განაპირობა. არის თუ არა შენი მოღვაწეობა, პირველ ყოვლისა, მამაშენის საქმის გაგრძელება?**



– განაპირობა კი არა, პირდაპირ კავშირშია. ამ ყველაფერში „დამნაშავე“ მამაჩემია. ასეთი სულისკვეთების გამზარდა. ასეთ, ე.წ. საზოგადოებრივ თემებთან დაკავშირებით, რატომღაც მე ვფიგურირებდი ოჯახში. ჩემი ძმა მხატვარია და, მიუხედავად მისი, უნდა ვთქვა, ნიჭიერი შემოქმედებითი ნატურისა, მამაჩემის საქმეები, რასაც საჯარო თუ საზოგადოებრივი საქმიანობა ჰქვია, მთლიანად მე გადმომეზარა. გიაც აგრძელებს მამის საქმეს, უფლის ჩვენს ვენახს, აყენებს კარგ ღვინოს, ცხოვრობს უბოროტოდ და შემოქმედი კაცის ცხოვრებით. რატომღაც ყველას ძალიან ძლიერი პიროვნება ვგონივარ და მათ შორის ჩემს ოჯახსაც ასე მიაჩნია, თუმცა სინამდვილეში ასე სრულიადაც არ არის.

მამას თითქმის ყველგან დავყავდი, დიდი თხოვნაც არ მჭირდებოდა. არაჩვეულებრივი მოგონებები დამრჩა, მისი ყურება მუშაობის დროს ჩემთვის დიდი გამოცდილება აღმოჩნდა. ამ გადმოსახედიდან ვხვდები, რომ მამაჩემი ჩემს ორიენტირად იქცა ცხოვრებაში. მე მუდმივად თან მდევს მისი პატრიოტული სულისკვეთება. მისი სიტყვა არასდროს არ იყო ფუჭი, ის ყოველთვის კონკრეტულ საქმედ გადაიქცეოდა ხოლმე. ის პრაქტიკული მიდგომა, რომ სულ რაღაც უნდა აკეთო, ეტყობა, მამისგან მაქვს და მენანება, რომ ვუღალავო.

– **სოლომონ ლაფაურს თანამედროვენი კარგად იცნობდნენ. მოდი, ახლოს გავაცნოთ ის ახალ თაობასაც.**

– თანამედროვე ახალგაზრდებმა სოლომონ ლაფაური კი არა, ზოგჯერ რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა არ იციან, ვინ იყვნენ. სოლომონი ზედმეტად საქმის კაცი იყო, საკუთარ თავს უკან დასწევდა და პირველ ადგილზე საზოგადო საქმეს დააყენებდა. პროფესიით მუსიკოსი იყო. ტელევიზიაში მუსიკალურ რედაქციას ხელმძღვანელობდა.

თავადაც ნიჭიერი იყო და ეს ნიჭიერება შეეძლო, სხვებშიც დაენახა. მრავალმხრივ განვითარებული იყო. კარგად წერდა, ჰქონდა ორგანიზატორის თვისებები, იყო ძალიან ლაღი, რაც მისი მთავარი დადებითი თვისება მგონია. ჰქონდა კარგი ალლო სიახლის მიმართ. აგროვებდა ქართულ საგალობლებს. საერთოდ, სავსე და საარქივო სამუშაო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო მის მრავალმხრივ მოღვაწეობაში. ზედმინევით იცოდა ხალხური მუსიკა; ისეთ ადამიანებს ამოქექავდა, რომლებიც ძალიან ნიჭიერები, მაგრამ საზოგადოებისათვის უცნობი იყვნენ. მაგალითად, მისი მონოგრაფია მიტროფანე ცაგურიასზე. ვის ახსოვდა მაშინ ცაგურია. 60-იან წლებში დები იშხნელებიც არ იყვნენ პოპულარულნი. ისინიც დაივიწყეს, აღარავის ახსოვდა. დიდებული მომღერლები იძულებულნი იყვნენ, პანაშვილებზე ემღერათ. იშხნელების დაფასება, მათი ხელახალი პოპულარობა 60-იანი წლების მეორე ნახევარში მამაჩემის სახელს უკავშირდება. მან 1964 წელს მონოგრაფია გამოაქვეყნა იშხნელებზე იობაშვილის გვარით. მანამდე კი ისინი ტელევიზიაში მიიწვია. ასე რომ, დები იშხნელების სცენაზე კვლავ დაბრუნებასა და ამ გზით მათ პოპულარიზაციას მამაჩემმა შეუწყო ხელი. მე საქართველოში ყველგან დამხვედრია წინ „ქვაზე დადებული“ მამაჩემის სიკეთე, რაც ბევრ რამეში გამომდგომია.

– **გულსატკენი ხომ არ არის ის ფაქტი, რომ შენ მიერ საქართველოში ინიცირებული და განხორციელებული თითქმის ყველა პროექტი გერმანული მხარის მიერ არის დაფინანსებული. ასეთ დროს ჩვენი ქვეყნის მესვეურნი თუ ბიზნესმენები მასურებლის როლში ხომ არ რჩებიან?**

– ამ მხრივაც მამაჩემის ბედს ვიზიარებ, იმიტომ რომ მეც არასდროს მქონია მიზნად საკუთარი თავის წარმოჩენა. ყოველთვის მინდოდა, რომ კონ-

კრეტული საქმე გაკეთებულიყო, თუმც მთელი ამ წლების მანძილზე ჩემ მიერ განხორციელებული პროექტები საქართველოს მედიასივრცეში რატომღაც სხვების დამსახურებად მიიჩნეოდა. თუ რამე გახმაურდებოდა ან საელჩო იტყოდა, ეს ჩვენი ეგიდით ჩატარდაო, ან სხვა ვინმე, როცა მათ არანაირი მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული. ამ ყველაფერზე მე თვალს ვხუჭავდი, მთავარი იყო, საქმე გაკეთებულიყო. აქ, საქართველოში, ჩემი პროექტებით უწყებებსა თუ ინსტიტუციებში ბევრი ვერავინ დავაინტერესე. მე ყოველთვის ყველანაირ მთავრობასთან ლოიალური ვარ, რადგან ჩემთვის უმთავრესი არის საქმე და არ მაინტერესებს მიმდინარე, „დღის“ პოლიტიკა. მიმაჩნია, რომ სწორედ კულტურაა პოლიტიკა და თანაც ყველაზე მთავარი პოლიტიკა, მით უმეტეს, როცა საქმე საქართველოს გადარჩენას, მის თვითმყოფადობას ეხება. მხოლოდ კულტურის პოლიტიკით შეიძლება ხანგრძლივი პოლიტიკური ხედვის ქონა. რა არის კულტურა? კულტურა ძალიან დიდი, ბევრის მომცველი ცნებაა. კულტურა ყველაფერია

– ხელოვნება იქნება, მეტყველება თუ ყოფა-ცხოვრება – ყოველივე ის, რაც ერთმანეთთან კავშირშია. ჩვენთან კულტურა მხოლოდ სუვენირი და ლონისძიება ჰგონიათ. ეს პრობლემა დღეს დედამიწის მასშტაბითაც დგას, მაგრამ საქართველოში უფრო მეტად არის გამძაფრებული. კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემა ევროპაში ან სხვაგან ასე კარგად შეიძლება არ ჩანდეს, რადგანაც იქ, მაგალითად, ხალხური სიმღერა რამდენი ხანია, აღარ არსებობს, ჩვენ ღვთის მადლით გვაქვს და მისი შენარჩუნებისთვის უნდა ვიღვანოთ.

– **მარია, რა იყო იმის მიზეზი, რომ შენი პროექტებით, როგორც თქვი, ბევრი ვერავინ დავაინტერესე? ინტერესი იმიტომ ხომ არ ეკარგებათ, რომ არ არის ფინანსურად მომგებიანი?**

– უმეტესობა ჩემი პროექტებისა არ იყო კომერციული და ამიტომაც დარჩა, ალბათ, ამ ინსტიტუციების ინტერესებს მიღმა. იყო ისეთი პროექტებიც, რომლებიც ფინანსურადაც წარმატებული იქნებოდა, რადგან დიდ მასშტაბებზე იყო გათვლილი, მაგრამ აქ ვერ



მიხვდნენ მათ მასშტაბებს, ისე დააკნინეს, რომ რაიმე სერიოზულ პარტნიორობაზე საუბარიც უხერხული იყო. ამიტომაც ბევრ რამეს დავანებე თავი. აღარ ვაკეთებ. ახლა მხოლოდ კახეთის, კისისხევის პროექტზე ვმუშაობ, რაც დღევანდელი საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

**– მარია, კისისხევის თაობაზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ, მაგრამ ახლა მინდა გკითხო: როცა დგება იმედგაცრუება, შენს ენთუზიაზმს რა ემართება?**

– ახლახან ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, ერთადერთი სტიმული არის ისევე და ისევე მამაჩემი. ამას სრული სერიოზულობით ვამბობ. მე არაფერი – არც კავკასია, არც ეს ლამაზი ბუნება, არც წრე, რომელიც აქ მყავს, არც ერთი ნუთით არ მავინყდება, მაგრამ ეს არაა ჩემთვის მოტივაცია. ცხოვრება რაღაც უცნაურად ალაგებს ხოლმე მოვლენებს. მე იძულებული ვარ, სამშობლოდან დისტანცირებულმა ვიცხოვრო. ასე აენყო ჩემი ცხოვრება. ეს მდგომარეობა გამუდმებით მაფიქრებს: აქ არა ვარ, იქ არა ვარ, აბა, სად ვარ?! გიხდება ბევრი რამის გადაფასება, ხშირად ვერაფერ ხელმოსაჭიდს ვერ ხედავ, რასაც დაეყრდნობი. ეს ყველაფერი იწვევს ძლიერ ემოციებს, რომლებსაც გამკლავება სჭირდება, მაგრამ მაინც, როცა ყველაფერი მიდის, ერთადერთი ღუზა მაინც რჩება – ეს მამაჩემია.

**– მარია, შენ აქტიური მხარდამჭერი ხარ გერმანიაში მოღვაწე ქართველი ხელოვანებისა და ბევრსაც ცდილობ მათი პოპულარიზაციისთვის, მაგალითად: საკმაოდ პოზიტიურად აფასებ ჰამბურგში მცხოვრები ნინო ხარატიშვილის შემოქმედებას. გააცანი ეს ხელოვანი ქართველ საზოგადოებას უფრო ახლოს.**

– ნინო ხარატიშვილს ჩემი პოპულარიზაცია არ სჭირდება. ის გერმანულენოვანი მწერალი, რეჟისორი და დრამატურგია. ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდაა, უფრო სწორად, ახალგაზრდა

არც არის შესაფერისი სიტყვა, რადგანაც ის ისეთი ნიჭის, ენერჯისა და ინტენსივობის მატარებელი ადამიანია, რომ კონკრეტული ასაკიც არ გააჩნია. არ მინდა ჩამოვთვალო, მაგრამ ჩემთან ბევრს უცხოვრია, ბევრი დაფრთხილებულა, ბევრს გზა გაუკვალავს, მათ შორის არ არის ნინო ხარატიშვილი. საქართველოში ნინოზე ახლა დაინწყეს ლაპარაკი. სამწუხაროდ, გვიან გაიგეს მის შესახებ, თუმცა სასიამოვნოა, რომ ქართულმა გამომცემლობა „ინტელექტმა“ მისი ორი ნიგნი გამოსცა – რომანი „ჟუჟა“ და პიესები. სწორედ ამ დღეებში ნინომ კიდევ ერთი, ანნა ზეგერსის ჯილდო მიიღო გერმანიაში.

**– ატენის სიონის, მისი უნიკალური ფრესკების გადარჩენის საქმეში 2004 წლიდან ხარ ჩართული. რა ეტაპზეა ახლა სარესტავრაციო სამუშაოები და უშუალოდ ვინ აფინანსებს ამ პროექტს?**

– ატენის სიონის პროექტი, რომც განახლდეს, არა მგონია, მონაწილეობა მივიღო. რაც კი რამ შემეძლო, მე მას ყველაფერი შევწირე: ფული, ენერჯია, მთელი ჩემი საკონტაქტო რესურსი ამოვწურე. ვერც კი წარმომიდგენია, მეტი მობილიზება რა შეიძლება ყოფილიყო, სპონსორები იქნებოდნენ თუ პროფესორები. ისეთი რანგის ხალხი მყავდა ჩამოყვანილი და დაინტერესებული ატენის სიონის პროექტით, რომელთაც ამხელა გერმანიის საუნივერსიტეტო ელიტაში ოფიციალურად აქვთ მინიჭებული პროფესორის ნოდება. აი, ასეთი ხალხი მოვიძიე, დავამყარე მათთან არათუ კონტაქტები, არამედ მათი გულებიც საქართველოსთვის ავანთე. ეს პროექტი თავიდანვე რთულად მიმდინარეობდა. როგორც ჩვენთან იციან, ქაოსურად და არათანმიმდევრულად. ხან იმას ებრძვი, ხან ამას, რომელი ჯგუფი რაზე მუშაობს, მუდმივად გაურკვეველია. გუნდური მუშაობა უცნობია, ვილაცებს პატივმოყვარეობა ელახებათ, მოისმენ ასეთი ფრაზებსაც:

როგორ, გერმანელ პროფესორებს უფრო შესტკივით გული ატენზე, ვიდრე ჩვენო?! მე ვერ დავინახე რაიმე განვითარების ხაზი. პროცესები მიმდინარეობდა მინისტრებისა და პერსონალიების გამუდმებულ ცვლაში. ძლივს ერთთან გაარკვევ რალაცას, მოხსნიან. მერე მეორესთან გაარკვევ – იმასაც მოხსნიან. ესეც არის, საერთოდ, საქართველოში დიდი პრობლემა. ვის ელაპარაკო და ვისთან გქონდეს საქმე, არ იცი და ეს ძალიან გიშლის ხელს. ატენის სიონზე ამხელა ენერჯისა და კონტაქტების რესურსების დახარჯვის შემდეგ, როცა ჩემთვის არანაირი შედეგი არ არის ცნობილი, გადავწყვიტე, რომც განახლდეს, მე აღარ მივიღო მონაწილეობა. რამდენადაც ვიცი, ბოლო სამუშაოები ეხებოდა ქვების კონსერვაციას, რაც, თავისთავად, საჭირო და აუცილებელი იყო, თუმცა გაურკვეველი მსვლელობითა და კოორდინაციით მიმდინარეობდა. ამ წუთას არ ვარ ინფორმირებული დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ზოგადად, ძეგლთა დაცვის პრიორიტეტები ჩემი კახეთის პროექტის მაგალითებითაც გაურკვეველია ჩემთვის.

**– შენ მიერ განხორციელებული პროექტი, რომელიც მშობლიურ სოფელ კისისხევის მატერიალური ძეგლებისა და კულტურული გარემოს გაუმჯობესებას ემსახურება, მაინც ყველაზე მასშტაბურის შთაბეჭდილებას ტოვებს. შენ გასულ წელს სოფელში დააარსე „კარგი სახლი“, სადაც მეც მიმინვიე ლექციის წასაკითხად, თუმცა, სანყენია, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო იმჯერად ეს ვერ შევძელი. რას ნიშნავს შენთვის კისისხევი, ეს არის ის მშობლიური მიწის არომატი, რაც მამაშენს, სოლომონ ლაფაურს ასე მძაფრად იზიდავდა?**

– კისისხევის ამ პროექტის გამოცდილებით, მე მგონია, რომ მომიწია ისეთი მნიშვნელოვანი რალაცების სწავლა, როცა ხვდები, რომ არანაირმა არომატებმა და მონატრებებმა არ უნდა გი-

ხელმძღვანელოს, უფრო შორიდან უნდა შეხედო ყველაფერს, თორემ, თუ არ შეხედავ და მონატრებას დაემონები, შეიძლება სისხლი გაგიჩერდეს. ეს რომ არ მოხდეს, უნდა შეინარჩუნო დისტანციების უნარი კონკრეტული საქმის გასაკეთებლად, თანაც თვითონ ამ პროექტის კონცეფციას ისეთი, რომ დედამიწის ნებისმიერ წერტილში განვხორციელებდი, თუმცა მშობლიურ მიწაზე უფრო ადვილია მუშაობა.

**– რატომ ჰქვია „კარგი სახლი“? ან რას ემსახურება ეს პროექტი?**

– „კარგი სახლი“ თავიდან საერთოდ არ იყო დაგეგმილი. იქ სულ სხვა რამ იყო ჩაფიქრებული. ძირითადი დაფინანსება გერმანიის მიგრაციის ფონდიდან მოდიოდა. ამ ორგანიზაციას ჰყავს საქართველოში კურატორი – ირმა წერეთელი. მან იცოდა ჩემი პროექტების შესახებ და მისი დამსახურებაა, რომ ეს პროექტი სწორად იყო აქცენტირებული. გერმანული ფონდის დახმარება დღეისათვის პრაქტიკულად დამთავრდა, მაგრამ პროექტი გრძელდება ჩემი ძალისხმევის ხარჯზე.

ეს პროექტი ეხებოდა სოფლის ცენტრის აღორძინებას. სოფლის ცენტრს, სადაც ამჟამად სკოლის, გამგეობისა და კულტურის სახლის ტერიტორიაა, დიდი ისტორიული წარსული აქვს. ეს ადგილი მეფის მდივნის, თავად ქობულაშვილის ნასახლარია. აქ შემორჩენილია ბაზილიკის ტიპის ნათლისმცემლის შობის სახელობის პატარა კარის ეკლესია და ციხე-კოშკი, რომელიც მე-16 საუკუნით თარიღდება. მოგვიანებით კოშკი, ნიგნსაცავი და ბიბლიოთეკა მოუწყვიათ. აქ ძვირფასი ხელნაწერებიც ინახებოდა, რომლებიც 1924 წელს ბოლშევიკებმა გაანადგურეს. კარგად შემონახული სასახლე, სადაც ჯერ საჯარო, ხოლო შემდეგ სამუსიკო სკოლა ფუნქციონირებდა, 1990-იანი წლების ბოლოს აგურ-აგურ დაშალეს. უზარმაზარი მარნის ადგილას 1970-იან

ნლებში სკოლის დღევანდელი შენობა აშენდა, რევოლუციამ და შემდგომმა ტოტალიტარულმა სახელმწიფომ საქართველოში სწორედ საერო კულტურის განადგურება და, უფრო უარესი, მისი ჩანაცვლება მოიტანა, რომლის სავალალო შედეგებსაც დღეს ყველგან ვხედავთ.

პროექტის თავდაპირველი მიზანი იყო, მოსახლეობის მონაწილეობით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი არქიტექტორული პროექტის ფარგლებში კონსერვაცია და რესტავრაცია ჩატარებოდა სოფლის ცენტრში შენარჩუნებულ ნაგებობებს.

ახლანდელი სკოლის გვერდით მდებარე ქობულაშვილების კოშკში, თავდაპირველად ვფიქრობდით, განთავსებულიყო სამხარეო მუზეუმი, რისთვისაც მოსახლეობამ ხალისით დაიწყო ძველი ნივთების შეგროვება. კისისხევის ცენტრი სანიმუშო პროექტად იყო მოაზრებული, სადაც ისტორიული ნაგებობები, მე-6 საუკუნიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით, შინაარსობრივად გადაეხსნებოდა

ერთმანეთს და არქიტექტურული ან-სამბლი კულტურის უწყვეტობის ნიმუში და ამავე დროს თანამედროვეობისათვის შესაფერისი უნდა გამხდარიყო. აქ იგულისხმება არსებული კულტურის სახლი, რომელიც თავისი მასშტაბებით 1960-იანი წლების ბოლო პერიოდის თვალსაჩინო, ალბათ, ერთადერთი ავთენტურად და ჯანსაღად შემორჩენილი ნაგებობაა საქართველოში. არსებული კულტურის სახლი კარგ საშუალებას იძლეოდა მისი მრავალფუნქციურად ათვისებისათვის. ასეთი მასშტაბური პროექტის თავდაპირველი ჩანაფიქრი შეიცვალა. პროექტის დაწყება დაემთხვა მთავრობის ცვლას. ჩვენში არ არსებობს საქმის გადაბარების კულტურა და ისედაც არც არავის აინტერესებდა, რა პროექტზე იყო საუბარი. ასევე გარკვეულწილად შეგვიშალა ხელი იმან, რომ საქართველოს საპატრიარქოს დღემდე არა აქვს გარკვეული იქ თავისი ქონებრივი დამოკიდებულება. მე მხოლოდ იმის ინტერესი მქონდა, ეს შენობა-ნეგებობები ასე უაზროდ არ დანგრეულიყო და გაცამტვერებული-



ყო. რადგანაც ეს ჩანაფიქრი და კონცეფცია არ გამოვიდა, ჩემი ფული თუ ამდენი რესურსი დაიხარჯა, ვიფიქრე, რამე ხომ უნდა გამოვიდეს-მეთქი. შევიძინეთ შენობა სოფლის ცენტრში, გერმანიაში ჩემ მიერ დაარსებული საზოგადოება „ლილეს“ სახელით. სახელი „კარგი სახლი“, პრაქტიკულად, „თვითონ დაირქვა“. ეს სახელწოდება დღეისათვის მანიფესტის სახით არსებობს: ადამიანი, თავისი მოდემის გაჩენიდან, ნიადაგ ეძებს კერას, „კარგ სახლს“. მას სახლში მიაქვს სურვილები, იქ ალაგებს შექმნილს. ეს არის ადგილი, სადაც ის თავს კარგად გრძნობს.

კისისხევიში ყოველთვის არსებობდა „კარგი სახლი“. ჩვენ დღეს ყველგან მის ნაშთებს ვხვდებით.

„კარგ სახლში“ ბინა დაიდო სოფელ კისისხევიში შექმნილმა ორგანიზაციამ „ჩვენი სოფელი 2008“, რომლის მიზანია სოფლის განვითარებისათვის ზრუნვა. „კარგი სახლის“ მუშაობა პოლითემატურია და სამუშაო თემების ერთდროულობა მისი მახასიათებელია. აქ ტარდება სხვადასხვა ლექცია თუ შეხვედრა; გვაქვს სახელოსნოები. ნებისმიერ ადამიანს აქვს შესაძლებლობა გახდეს ე. ნ. „ნათლია“ რომელიმე კონკრეტული საქმიანობისა, ამოიჩიოს ნებისმიერი თემა ან რაიმე ერთჯერადი პროექტი და მის განვითარებაში მიიღოს მონაწილეობა მატერიალური თუ არამატერიალური სახით.

**– მიგაჩნია, რომ ევროპული მოდელის გადმოღება საქართველოში სახელმწიფოს მყარი სტრატეგიის საფუძველი უნდა იყოს?**

– რასაკვირველია. ასეთი ფუნქციონირებადი სათემო სახლები გერმანიაში ყველგან არსებობს. იქ ზოგს გამოკვეთილი პროფილი აქვს, ჩვენ ერთი რაიმე თემით არა ვართ შემოფარგლული. სწორედ ეს თემათა ერთობლიობა ეს და სხვა მიმართულებით პატარა ნაბიჯების გადადგმა მიმაჩნია ყველაზე

სწორ გზად განვითარებისათვის.

**– კისისხევის ღვთისმშობლის ეკლესიის რესტავრაციის შესახებ რას გვეტყვი? ძალიან გაგიჭირდა ამ პროექტის განხორციელება?**

– ძალიან გამიჭირდა. ჯერ კიდევ მამაჩემმა დაიწყო მუშაობა ამ პროექტზე. მისი იმდენი წერილია არქივში ამ საქმესთან დაკავშირებით, თანაც არა მარტო კისისხევის ეკლესიის. მამაჩემმა კისისხევის ძეგლების გადარჩენის საქმეს მთელი თავისი ძალისხმევა შეაღია, თუმც ბევრს ვერაფერს მიაღწია. შვილები ხშირად მივყავდით ხოლმე რომელიმე ძეგლთან და ვასუფთავებდით. ჩვენი არდადეგები ყოველთვის ასე გამოიყურებოდა: წავიდოდით სადმე, ვითომ სასეირნოდ, დავალაგებდით, დავასუფთავებდით კონკრეტულ ძეგლს და ეს იყო ჩვენი გასეირნება. ხალისიანი კი იყო ყოველთვის ასეთი გასეირნებები. მამას ბუნება ძალიან უყვარდა, ნამდვილი ბუნების შვილი იყო და მეც სწორედ მისგან მომდევნ ასეთი პანთეისტური დამოკიდებულება ზოგადად სამყაროსადმი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან სხვა პროექტზე მუშაობისას პარალელურად ყოველთვის ვცდილობდი, კისისხევის ეკლესიაც ჩაესვათ ბიუჯეტში, რაც, ბოლოს და ბოლოს, ნიკა ვაჩიეიშვილმა მოახერხა. ეს უნდა ყოფილიყო გერმანულ-ქართული პროექტი, რაც მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. სწორედ მამაჩემის სიცოცხლის უკანასკნელ დღეს დამტკიცდა კისისხევის ღვთისმშობლის ეკლესიის ეს პროექტი. მოვასწარი მისთვის მეთქვა ამ ამბის შესახებ.

ამ პროექტიდან რამდენიმე წელია გასული, შენობა-ნაგებობა სტაბილურადაა, თუმცა მისი სრულყოფილი შესწავლა, ჩვენი მცდელობების მიუხედავად, არ განხორციელებულა. გერმანელებმა ჩაატარებული კვლევების შემდეგ აღნიშნეს, რომ ეს იყო მა-

თი დარგის – ისტორიული მასალების კვლევების ერთ-ერთი სენსაცია. მათი დასკვნით, კისისხევეში გამოყენებულია განსაკუთრებული რეცეპტურის სალესი მასალა. ლაბორატორიული კვლევით, მასალის შემადგენლობა ორგანულია და ამინდთან ერთად რეაგირებს. კირი არის არა ეგრეთწოდებული ჟანგბადის ბურთულაკებიანი, არამედ სხვა შემადგენლობის. ასეთი კირი დღეს “Hightech”-ით მიიღება. ამას გარდა, ურევია შირიმის ქვის ფხვნილი, რაც ორგანული ნაერთების გამო ქმნის დიდ განსხვავებას ხმელთაშუა ზღვასა და საქართველოში ცნობილი რეცეპტურისაგან, რომელიც აგურის ნაფხვენისა და კირის შენაერთით მიიღება. ეს ცნობილი მეთოდი და რესტავრაციის დროს დღეს ყველგან იყენებენ. კისისხევეში განსაკუთრებული კირი+შირიმი ქმნის აქამდე უცნობ, იდეალურ მასალას. ამიტომაც არსად არ ჰქონდა შენობას ბზარები. საქართველოში მათი ეს დასკვნა არც არავის ნაუკითხავს და არც არავინ დაინტერესებულა ამით დღემდე. არ აინტერესებთ და მორჩა! აი, ასეთი დიდი განსხვავებები და დიფერენციაციაცია ჩვენსა და გერმანიას შორის.

**– როგორც ვიცი, კისისხევეში იგეგმება „ბერიკაობა“. უკანასკნელ წლებში ჩვენში აღორძინდა „ბერიკაობა“, ოღონდ, ძირითადად, როგორც სანახაობა. თბილისის ქუჩებშიც გვინახავს ქართლიდან თუ კახეთიდან ჩამოსული ბერიკები. რით იქნება გამორჩეული კისისხევეური „ბერიკაობა“. იქნება ეს მხოლოდ ბერიკაობის სცენები თუ „ბერიკაობა“ საბაბია უფრო ფართო კულტურული პროგრამის წარმოდგენისა?**

– რასაკვირველია „ბერიკაობა“ ფართო კულტურული პროგრამის ერთი ნაწილია. კისისხევეში აქტიურობები რომ დავინწყე, პირველი, რაც გავაკეთე, იყო სოფლის დღეობის, „ნინოობის“ აღდგენა. დღესასწაულები, განსაკუთრებით

კი თეატრალური სანახაობები, კაცობრიობამ იმიტომ მოიგონა, რომ ისინი ადამიანის თვითგამოხატვის ნაწილია. რაც შეეხება „ბერიკაობას“, მისი ერთ-ერთი დანიშნულება ის იყო, რომ მისი მეშვეობით ხალხს ამა თუ იმ პრობლემური საკითხის შესახებ შეეძლო ხმამაღლა და საჯაროდ ეთქვა. ზოგჯერ კონკრეტულ თემასაც ირჩევდნენ ხოლმე. ამ წარმოდგენის შემადგენელი ნაწილი კრიტიკა და გაკიცხვაც იყო. ჩვენ გვინდოდა, „კარგი სახლის“ თემაც შესულიყო დაგეგმილ წარმოდგენაში. ახალგაზრდებმა დაწერეს სცენარი, მეცადინეობდნენ და თემაც უკვე შერჩეული იყო – „ქობულაშვილების მამულიდან შემორჩენილი ძეგლები“ – სწორედ ის ძეგლები, რომელიც ჩვენი პროექტის თავდაპირველ გეგმას წარმოადგენდა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა: გვითხრეს, დაინგრესო და ინგრევა კიდევ. ეს ჩემთვის აუხსნელი ბარბაროსობაა, მაგრამ უძღური ვარ და ასე მიწევს იმის ყურება, თუ როგორ ინგრევა, მაშინ, როცა ძალიან მცირე ფინანსებით მისი დროებითი გამაგრება მაინც არის შესაძლებელი. ასეთი ღონისძიება ძეგლებს რამდენიმე წლით არსებობას გაუხანგრძლივებდა. „ბერიკაობაშიც“ ამ პრობლემის ინსცენირება გვინდოდა და ეს სანახაობა სწორედ ქობულაშვილების კომპიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ასეთი გეგმა უეცარმა ტრაგედიამ ჩაგვიშალა. „ბერიკაობა“ 21 ნოემბერს უნდა გამართულიყო, ამ დღეებში კი მისი ერთ-ერთი მონაწილე, 21 წლის მიმიკო იობაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა. რადგან ასეთი სამწუხარო ამბავი მოხდა, ბუნებრივია, სოფელში ასეთ ზარ-ზეიმს ვეღარ გავმართავდით, ამიტომ მისი გადადება მოგვიხდა, თუმც პარალელური ღონისძიების, „ნიგნის კონკურსის“ მონაწილეების დაჯილდოება მაინც ჩატარდება. მოსწავლეებმა მათთვის რჩეული ნიგნი წაიკითხეს და მისი ანალიზი წარმოადგინეს. ამ ნამუ-




შევრებს ჟიური შეაფასებს. გვსურს, რომ ეს კონკურსი ყოველწლიური გახდეს და ნელ-ნელა სხვა სოფლებიც მოიცვას. ამიტომ პირველ ნაბიჯად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს სტიმული ჰქონდეთ და მოტივაცია გაუჩნდეთ.

**– შენს ერთ-ერთ წერილში ამოვიკითხე ფრაზა: „დროის უდროობა დამთავრდა... აქაც... იქაც“. მარია ლაფაურს ქართული საზოგადოება იცნობს, როგორც საქმიან ქალბატონს. ამ „უდროობაში“ როგორ ახერხებ დროის ისეთ გადახანილებას, რომ მუდმივად იდგე ქვეყნის სამსახურში და ამავე დროს დარჩე მეოჯახე ქალბატონად? გვიამბე შენი პირადი ცხოვრების შესახებ.**

– ერთი შვილი მყავს, ცხრამეტი წლის არის. სხვათა შორის, ზემოთ ხსენებულ კისისხევის ეკლესიაშია მონათლული. ეს ნათლობა ერთ-ერთი ულამაზესი დღეა ჩემს ცხოვრებაში. მაშინ ეკლესია ძალიან იყო დანგრეული და შიგნით შესვლა ვერ მოვახერხეთ. ამიტომ ეზოში მოვნათლეთ. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ის ხელოვანია. ამჟამად პენსიონერია და თავისი ჰობებით – ხატვა, წერა, ლიტერატურა – მშვიდად ცხოვრობს. ერთმანეთს ხელს არ ვუშლით, პირიქით, პატივს ვცემთ ერთმანეთის საქმეს თუ გატაცებებს.

P.S. ინტერვიუ უკვე მზად მქონდა, როდესაც მარიკამ წიგნის კითხვის კონკურსზე მიმინვია. კონკურსანტთა დაჯილდოება 22 ნომბერს კისისხევაში, „კარგ სახლში“ ჩატარდა. ყველაფერი კარგად და ლამაზად წარიმართა – სტუმრებიც ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ და მასპინძლებიც.

სოფლის ცენტრში არსებული ასეთი პოლითემატური კონცეფციის მქონე სახლის ფუნქციონირება ხელს უწყობს სახელოვნებო დარგების განვითარებას. აქ მიმდინარეობს თექაზე მუშაობა, იწვევება ულამაზესი კალათები, არსებობს ტესტილის სახელოსნო. გარდა ამისა, სოფელს ჰყავს თავისი როკ-ჯგუფი „ფიქრის ხიდი“; „კარგ სახლში“ დასაქმებულია რამდენიმე ადამიანი, ეწყობა მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. კვირაში ერთხელ მსურველთათვის ტარდება უფასო ინგლისურის გაკვეთილები, ასევე ლექციები სხვადასხვა თემაზე და გასართობი ღონისძიებები. ასეთი მრავალფუნქციური სახლის არსებობა აცოცხლებს სოფლის ერთფეროვან ცხოვრებას და გარკვეულწილად ხელს უშლის მიგრაციასაც. ასე რომ, მარია ლაფაური-ბურკის ინიციატივითა და ხელშეწყობით კიდევ ერთი ეროვნული საქმე კეთდება.



## ლეონ ბიბიაძე

### ზღაპარი ზღაპრებზე,

### თანაც – წინასწარმეტყველური!

ნაიარა გელაშვილის „დიდება“ 1991 წელს გამოქვეყნდა ახალდაარსებულ ჟურნალ „ლაშარის“ მეორე ნომერში. ეს არის ზღაპარი ზღაპრებზე, ქართულ ხალხურ ზღაპრებზე, ოლონდ მარტო ამაზე არა, თანამედროვეობის გლობალური პრობლემა (ახლებურად რომ ვთქვათ გამოწვევა) მისი მთავარი თემა, დღევანდელი თბილისის მაგალითზე წარმოჩენილი, მაგრამ ამას ბოლოში მივხვდებით, როცა დედა-შვილის ფანტასტიკური მსვლელობა დაიწყება დიდების გადასარჩენად.

დიდედას რა გასჭირვებია და – მკბენარი დასეგია, რასაც მისთვის მეტად უსიამოვნო ამბები მოჰყოლია, მაგრამ მარტო მას როდი დასეგია მკბენარი. მთხრობელს მივცეთ სიტყვა:

„ჩვენს ქალაქში მკბენარი გაჩნდა, ბავშვებს გაუჩნდათ, მოედო ბაგა-ბალებსა და სკოლა-ინტერნატებს. წარმოუდგენელ დღეში ჩაცვივდნენ ისედაც გასავათებული დედები. (...) გმინავდა საქალეთ-საბავშვეთი. (...) თითქოს ათასობით მურმანი დაძრწოდა ქალაქის ქუჩებში და ხელუკუღმა აყრიდა ბავშვებს ეშმაკეულ

ფეტვს, ოლონდ ამჯერად, გაუგებარი რალაცა მიზნით“.

(მკბენარის გასანადგურებლად გამოყენებულ საშუალებათა მთხრობელისეული ჩამონათვალი ამ აბზაცშია წარმოდგენილი: „იზრდებოდა დედათა მოუთმენლობა და სასონარკვეთა; იხვენებ-მრავალფეროვნდებოდა ქვიშის ნამცეცივით ციცქნა მტრის ლაშქართან ბრძოლის მეთოდები. საბრძოლო არსენალში ტრადიციული ძმრისა და ნავთის გარდა, შხამ-ქიმიკატებიც ჩაერთო: ზოგმა უგუნურმა და ნერვებდანყვეტილმა მშობელმა დედამ დუსტი და მწერსანინალმდეგო დეზოდორანტიც მოაფრქვია შვილის თმის ძირებს. (...) საპარიკმახეროებსა და სახლებში ტალღა-ტალღა, ფენა-ფენა ცვიოდა ბავშვების უწმინდურებაშეყრილი თმები, მატულობდა გლუვი, შიშველი თავები...“).

რაკილა დიდედამ თავის გადაპარსვა არ ინება („ამ თმით უნდა მივებარო მინასო“, – განაცხადა), რძლების დაჟინებული მოთხოვნით, იქვე ახლოს, ოჯახის კუთვნილ ნაკვეთში მდგარ ქოხში გადაასახლეს. შინაურებისგან გარიყულ-მიტო-

ვებულები დიდება, ზღაპრების უბადლო მთხრობელი, ზღაპრების პერსონაჟებმა მოინახულეს, გარს შემოუსხდნენ და თავიანთ თავგადასავალს ათხრობინებენ. (დიდებას მთხრობელისეული დახასიათება: „ის ძალზე ხნიერია, თითქმის ასი წლის. მან იცის ურიცხვი ზღაპარი, თქმულება და იგავ-არაკი, ანდაზები, ლექსები და გამოცანები. მან იცის სამკურნალო ბალახები, შარბათ-მალამოთა დამზადება, ამინდის გამოცნობა, სიზმრების ასხნა და შელოცვები...“).

და იწყება ქართული ხალხური ზღაპრების იდუმალებით აღსავსე ფრაზაფორმულებისა და მოტივთა უმშვენიერესი ჩამონათვალი, ზღაპრებიდან ამონარიდი რჩეული ციტატების „დაიჯესტი“, ბავშვობაში მოსმენილ-ნაკითხული ჯადოსნური თავგადასავლებისა და მათთან ერთად თვით ბავშვობის, ადამიანთა ცხოვრებაში ერთადერთი ნამდვილად ბედნიერი (სამწუხაროდ, ყველა ადამიანზე ესეც არ ითქმის!) და ერთობ ხანმოკლე დროის გახსენება.

ძვირფასი თვლებივით ელავენ ზღაპრების გმირთა სახელები, ქალთაგან აქ არიან: „...გერი გოგო და ბეინაზარის ქალი, ეთერი და აღრათია, ქალ-ქვა და პრასა და ნიახურის ქალი, შეშა-ქალი, მინდვრის ქალი და ის: სანატრელი ისრის-მასრის-სანდლის ქალი. ოო, ლალი, იადავარდი და ვარსკვლავაც აქა ყოფილან, და ისიც – სამკვერცხას ქალი, ნაზი გულიზარიც და არაბის ტყავში გახვეული მეზრძოლი ქალი არაბზანგინი... სულ არ შეცვლილან! აი, ლალის თითო წვეთი სისხლი ისევ ლალის თვალია, იადავარდის სიცილი თაიგულებად იშლება, ცრემლები თვალმარგალიტად, ვარსკვლავაც კი ანათებს“.

ახლა ვაჟები, მთის ფერდს რომ შეჰფენიან! „ზოგი ცხენს უნაგირს ხდის, ზოგი ფარ-ხმალს ისწორებს, ზოგი მშვილდს ამონმებს, ისარს უსინჯავს პირს. ხელმწიფის ვაჟები: ძმები ანდა დედისერთე-

ბი. (...) აგერ ის, ფრთოსან რაშზე, ხელმწიფის უმცროსი ვაჟი დელიბაშია... იქით ვეფხვა და ჯიქა, იქით, კლდის ძირში ვინ აღარ ტრიალებს: ივანე მწუხრისა, ივანე შუალამისა და ივანე ცისკრისა (...), ივანე ფალავანი, ადიხანჯალა, ლეთისავარი... სოვდაგრის ვაჟი... ვაშლის ხესთან (...) გაუცინარი ხელმწიფე დგას, კოჭლ მონადირეს ესაუბრება, მონადირის ჯერ ლარიბი ვაჟი ჭკუას არიგებს თავის წრუნუნას, ძალსა და კატას, დედის ნაქსოვი, გასაყიდად გატანებული პაჭიჭებით რომ შეიძინა სასმელისა და საჭმელის ნაცვლად; იმათ კი რა ცნობა უნდათ... საფრთხობელასთან მიმსხდარ-მიმდგარან: ხუთკუნჭულა, ჭინჭრაქა, ქოსა-მატყუარა და ნაცარქექია. (...) ყველანი აქ არიან: ფეხდოლაბიანი მორბენალი, საყდარმოკიდებული მღვდელი და ჭიანჭველათმსმენი“.

აქვეა ჩამონათვალი პერსონაჟთა კუთვნილი ჯადოსნური თვისებების მქონე საგნებისა თუ ნივთიერებებისა:

„წითელ ვაშლს ვხედავ, რომ აორსულებს, სავარცხელიც აქ არის, ზურგს უკან გადაგდებულს გაუვალი ტყე რომ ამოჰყავს, სარკეც, რომელიც ზღვას აჩენს გზაზე, სალესავიც – კლდის აღმმართავი, მარილის კვინი, ესეც დაბრკოლებათა შემქმნელი მღვერისთვის. მერე მფრინავი ხალიჩა, დევებით სავსე ქუდი, ჯადოსნური სუფრა, თვითონვე რომ იშლება და ივსება ნუგბარ კერძებით... იქ ერთ ახალგაზრდა უფლისწულს ჩიტის რძე უპყრია ხელთ შუშის მოცისფრო კოლოფით, იქით, კარგად ვერ ვარჩევ, ქალქვას ძმაა თუ სხვა დიდებული ვინმე ჭაბუკი, უკვდავების წყლით სავსე სურას იხუტებს მკერდზე... კუდიან დედაბერს კი ბანგი აქვს უბეში გადამალული...“.

და კიდევ ქართული ხალხური ზღაპრების რჩეული ფრაგმენტებისაგან შედგენილი ასეთი მოზაიკები:

„ერთი მაღალი კლდის ძირში ბროწეუ-

ლი ამოსულა, იმის თავზე მალალი წყარო რამ გადმოჩუხჩუხებს, კლდეში გამოქვაბულია და შიგ სასახლეო... იქ ოქროს ტახტზე ზის მარტოდმარტო მზეთუნახავი და ცრემლად იღვრებაო“. „მაგ უბედურ ცალყურა მკვდარს ის არ ეყოფა, რომ მინაზე მიათრევ, რალათა სცემ ეგრე უწყალოდო? როგორ თუ რათა, ჩემი რვა თუმანი მართებსო... მისცა სოვდაგრის ვაჟმა რვა თუმანი და გააპატიოსნა მკვდარი, და ისეთი პატივითა და დიდებით დამარხა, მთელი ქვეყანა აალაპარაკა“. „ხელმწიფის ვაჟმა გზაზე ოქროს ბუმბული იპოვა. აიღებ, ინანებ, არ აიღებ, ინანებო – უთხრა რაშმა“. „...იქცა ქალი საყდრად და ბიჭი მღვდლად... იქცა ქალი ყანად და ბიჭი მუშად... იქცა ქალი წყლად და ბიჭი ქარად...“.

მწერლური ოსტატობის საილუსტრაციოდ ვნახოთ ერთი მუნჯი სცენა „დიდედადან“. მუნჯი იმიტომ, რომ მთხრობელი ნაკვეთში გადასახლებულ დიდედასა და მის ირგვლივ შემომსხდარ ზღაპრის გოგონებს შორიდან, თავისი ბინის ფანჯრიდან უყურებს, მათ ჟესტ-მიმიკას კარგად არჩევს, ხმა კი არ ესმის და მიმოხვრითა და მოძრაობებით უნდა გამოიცნოს, რას ლაპარაკობენ:

„ქალები უსმენენ და ზოგჯერ იცინიან. ხელების ნაზი, ფარფატა მოძრაობით დიდედას რალაცას ეუბნებიან. ის წამით ჩუმდება, მერე თავს აქნევს და ისევ განაგრძობს... ცოტა ხნის შემდეგ ქალები ისევ იცინიან...“

რა აცინებთ? აა-აა, მივხვდი. დიდედა ხომ მათ მათსავე ამბებს უყვება! და რადგან ძალიან, ძალიან მოხუცია, რალაც ალბათ უკვე ეშლება, შეიძლება ბეინაზარის ქალის ნაცვლად სამკვერცხას ქალს აქცევს ვაჟად, ანდა ზღვის მეფის ქალის ნაცვლად არაბზანგინს გარდასახავს ყანად, ტბად, საყდრად...“

აქ ზღაპრის გმირების ლირიზმით აღ-

სავსე რეალისტური ჯგუფური პორტრეტი იხატება ორიოდ ფრაზით და... მწერლური ჯადოქრობით! („ზღაპრის გმირების... რეალისტური... პორტრეტი“! – ოქსიმორონი გამოგვივიდა!) დააკვირდით, რაოდენ ზუსტია მოძრაობებით გამოხატული რეაქციები ჯერ გოგონებისა დიდედას მონათხრობზე (სიცილითა და ხელების ნაზი, ფარფატა მოძრაობით რომ აპროტესტებენ მოხუცის ნათქვამს), მერე – დიდედასი (წამით რომ დაფიქრდება და თვითკრიტიკის გამომხატველი თავის ქნევით აღიარებს შეცდომას!).



სხვადასხვა ეპოქის მწერლობა სხვადასხვაგვარად ეკიდებოდა ზღაპარს – კლასიციზმები დიდ ინტერესს არ იჩენდნენ მის მიმართ (შარლ პერო გამონაკლისია), რომანტიკოსებს ზღაპრის იდუმალეობა ხიბლავდათ, რეალისტებს ზღაპრების მეშვეობით სათქმელის იგავურად გადმოცემის შესაძლებლობა მოსწონდათ, მოდერნისტები ზღაპარში რეალობიდან „გასვლის“ და ტრანცენდენტთან ზიარების ჩინებულ საშუალებას ხედავდნენ, მოდერნის შემდგომი ხანის მწერლობა კი ზღაპარს მიმართავს როგორც ლიტერატურული „თამაშისთვის“ ერთობ გამოსადეგ მასალას, აგრეთვე – პოსტმოდერნისტული ირაციონალური მგრძნობელობის გამაძლიერებელ საშუალებას, ირაციონალურ განცდათა გადმოცემამოხატვის ხერხს. „ზღაპარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოსტმოდერნისტულ მხატვრულ სისტემაშიც, სადაც ფოლკლორული დისკურსი გამოიყენება, ვითარცა ერთი კულტურულ ენათაგანი. ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტები, სახეები და მოტივები პოსტმოდერნისტულ თამაშში ხშირად იქცევა ახლებურად გააზრებისა და სტილიზაციის საგნად“ (ირინა კოლტუხოვა).

●  
 ორი სახის პასაჟი გვხვდება „დიდე-დას“ ტექსტში: 1. ციტატები ზღაპრებიდან და ქართული ხალხური ზღაპრების რჩეულ ეპიზოდთა პარაფრაზები, 2. „რეალური“ ცხოვრების სურათები, რომლის ერთი ნაწილი მთხრობელის (დედის) და მისი მცირეწლოვანი ვაჟის ურთიერთობის ამსახველ ეპიზოდებს უკავია, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს თემას, რომელიც ჯერ გასამხელი არ არის და მასზე მოგვიანებით ვიტყვით.

დავახასიათოთ ორივე მათგანი წერის იმ მანერის თავისებურებათა უკეთ გაგების მიზნით, რომელ მანერასაც მოდერნის შემდგომი ხანის, ე. წ. პოსტმოდერნის ეპოქის მწერლობა მიმართავს.

ციტატების სიუხვე პოსტმოდერნისტული ტექსტის ამოსაცნობი ერთ-ერთი ნიშანია. ოღონდ, როგორც ლამის ყველაფერს, ამ მხატვრულ ხერხსაც ანტიკურობაში ეძებნება ანალოგი – სხვა ტექსტთა ამონარიდებით შედგენილ ამგვარ თხზულებას იმ დროს ცენტონს ეძახდნენ (ლათ. ცენტო – ნაკუნებისგან შეკერილი ტანსაცმელი ანდა საბანი; „ცენტონს იმიტომ კი არ იგონებენ, რომ შთაგონება დამთავრდა და ამოიწურა, ცენტონს იგონებენ იმიტომ, რომ უყვართ – უყვართ ცალკეული ფრაზები და სიტყვები. ცენტონი ესაა კონტექსტი, სადაც მთელი ტექსტი არ გჭირდება – ერთ სიტყვაში, ინტონაციასა და ჟესტში – მთელი ტექსტია“. – ზაზა შათირიშვილი).

აი ასეთი ციტატებისაგან („ნაკუნებისაგან“) არის „შეკერილი“ განსახილავი თხზულების ტექსტი:

„კაცის წვივიდან ვშობილვარ რიყეზე გადაგდებული, ყვავისა მოტაცებული, ალვის ხის წვერზე გაზრდილი, ბებრისა მოტყუებული, ხელმწიფის სახლში მოსული... გავშალო გიშრის თმანია, ვიტყრო ჩემი ქმარია“;

„მოხვდა ცული ხეს და დაიკვნესა ხემ... კიდევ და კიდევ... ჩახედა გაკვირ-

ვებულმა კაცმა ფუტუროს და დაინახა იქ პანანა ქალი. ამოიყვანა, გულში ჩაიკრა გახარებულმა“;

„დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, დედისერთა ხარ, და შენამც ჩაგვარდნია გულს ისრის-მასრის-სანდლის ქალის სიყვარული!“;

„სარკე, შენ მჯობიხარ თუ მე გჯობივარ?“ „შენ მჯობიხარ და მეც გჯობივარ, მაგრამ აღრათია ორივესო“;

„მდინარესთან მიდი. ვირისფერი წყალი ჩამოივლის, არ გაეკარო, ვერცხლისფერი წყალი ჩამოივლის, მოერიდე, ოქროსფერი ჩამოივლის და თმა დაიბანეო...“ და ა. შ.

ზოგიერთი ზღაპრის ფრაგმენტი მთხრობელის მიერ არის პარაფრაზირებული-კომენტირებული (ანუ, ზუსტ ციტირებას კი არ მიმართავს ავტორი, თავისი სიტყვებით გადმოგვცემს ამბავს), რაც ეპიზოდის მიმართ მისი ემოციური დამოკიდებულების ნარმოჩენას უწყობს ხელს. აი, ერთი ნიმუში:

„ოო, როგორ ღელავს პატარა და, სამი დიდან ყველაზე უმცროსი! ჩემი საყვარელი უმცროსი და, უმცროს ძმებივით საყვარელი და ფათერაკიანი. განა ისიც გველეშაპს არ გაჰყვა! როგორ არ გაჰყვებოდა! სამად-სამი ჯადოსნური მარცვლიდან ამომრავლებულ-ამოზრდილი, ზღვასავით ყანა ერთ უზარმაზარ ზვინად რომ შეკრა ღარიბმა მამამ და სიხარულით რომ აღარ იყო, განა ის გველეშაპი სწორედ იმ ზვინს არ შემოეჭდო? შემოეგრანა, შემოეხვია, საკუთარ კუდზე ჩაივლო პირი და ფეხის მოცვლას არ აპირებდა, ვიდრე სამი დიდან ერთ-ერთს ცოლად არ გაატანდნენ. მერე, რომელი გაჰყვებოდა! განა მამის, მარჩენალი ყანისა და ოჯახის გულისთვის გასწირავდნენ თავს უფროსი დები!“.

ზოგჯერ ზღაპრის შინაარსის გადმოცემას ესეისტური ხასიათი აქვს, ზღაპრის ტექსტის ანალიზის ელემენტებს შეიცავს, პუბლიცისტურობის ელფერით

აღბეჭდილს, როგორც აი, ვთქვათ, ეს ადგილი:

ბევრი ტანჯვა-წვალება გამოიარა აღრათიამ ბოროტი ადამიანების გამოისობით, თუმცა გადარჩა, და, ვნახოთ, როგორ მოგვახსენებს ამის თაობაზე მთხრობელი: „მაგრამ არ დაახანებს წყალობა ღვთისა. და რატომ, თუ იცი? იმიტომ რომ აღრათია არ გაბოროტდა, იმიტომ რომ ქმარი არ შესძულდა, იმიტომ რომ მხოლოდ ტიროდა, იღველფებოდა გულმოკლული და არავის დასჯა არ უნატრია“.

ამასობაში კი კიდევ ერთი უბედურება ხდება: დიდდასაგან მკბენარი ზღაპრების პერსონაჟებსაც გადაედოთ. დიდი ამბავი! ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟებს მკბენართან გამკლავება გაუჭირდებათ?! მაგრამ არცერთ უებარ საშუალებას ძალა არა აქვს ამ მხარეში თუ ამ ქვეყანაში! არაფერი აღარ მოქმედებს, არც ნატვრისთვალი, არც სასწაულმოქმედი პერანგი! გაუცინარ ხელმწიფეს მოვუსმინოთ:

„ვენახს გაღმა მკვდარი თეთრი ძალი გდია, ძალზედ ლამაზი, სჩანს, ამ ვენახის დარაჯი იყო, ლამის ერთი პეშვი უკვდავების წყალი ვასხურეთ და თქვენც არ მომიკვდეთ! არც შერხეულა, მაშინ როდესაც საღ ქვეყანაში ერთი-ორი წვეთიც საკმარისია თუნდაც ოცი წლის მკვდრის გასაცოცხლებლად!“.

ზღაპრის გმირების გაოცებას საზღვარი არა აქვს! დიდი თავსატეხი გაუჩნდებათ! რა ქვეყანა ასეთი, რომ არც ერთი ჯადოსნური საშუალება აქ არ ჭრისო, – განცვიფრებულნი ეკითხებიან ერთმანეთს. დაკითხეს ზღაპრების სამყაროს ყველა მავნე ბინადარი – ამ უბედურებაში თქვენი ხელი ხომ არ ურევიაო? „რკინის ეშმაკი, არაბის ქალი, ჯოჯოხეთა ხელმწიფე, ჭირვეული ხელმწიფე, მურმანი, დედინაცვლები, დედინაცვალთა გონჯი გოგოები, ავ საქმიანობაში შემჩნეული უფროსი დები და ზოგიერთი უფროსი ძმა, ბაყბაყდები, დეკაცი, სამ

და ცხრათავიანი დევები, გველშაპები, ქაჯები, და ყველა ამბობს, მე არაფერი ვიცი, არაფერი გამიგიაო“.

●

ახლა კი ზღაპრებზე დაწერილი ამ „ზღაპრის“ უმთავრეს სათქმელზე უნდა გადავიდეთ, იმაზე, რომლის ნაადრევად ხსენება ზემოთ გაუმართლებლად მივიჩნიეთ, ოღონდ მანამდე როლან ბარტის ერთი მოსაზრება გავიხსენოთ მისი სახელგანთქმული წიგნიდან, რომლის სათაურია „S/Z“:

„საჭიროა, რომ ამა თუ იმ შტრიხმა (მხატვრულ ტექსტში. – ლ. ბ.) გაიღვოს ისე მსუბუქად, თითქოს მნიშვნელობა არც ჰქონდეს, დაგვაგინცდება იგი თუ არა და როდესაც ის სადმე კვლავ გამოჩნდება სხვა ფორმით, უკვე მოგონებას აღძრავს“.

აქ მწერლის ოსტატობის მეტად საყურადღებო მხარეზეა საუბარი – თავიდანვე ხაზგასმულად ნუკი მოგვანოდებს მხატვრული ტექსტის ავტორი მთავარ სათქმელს, არამედ თითქოსდა სხვათა შორის უნდა მოიმოქმედოს ეს, ოღონდ მერე და მერე ისე წარმართოს თხრობა, რომ კვლავ და კვლავ გაგვახსენდეს შტრიხი (დეტალი), რომელიც ადრე დიდი ყურადღების ღირსად არ მივიჩნიეთ.

და აი დადგა დრო ვახსენოთ ამ მოთხრობის კიდევ ორი მთავარი პერსონაჟი – უსულონი – ორივენი პეიზაჟის შემადგენელი ნაწილები არიან. ერთი მათგანი გახლავთ ქალაქის ცენტრში ჩამომავალი პანია მდინარე. როცა იგი პირველად იხსენიება, მაშინ ვერავინ იტყვის, რომ მას უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება მოუწევს ამ ზღაპარში.

თავად განსაჯეთ:

„[ზღაპრის პერსონაჟი გოგონები] დიდდას უსხედან გარშემო და სმენად ქცეულან. შემოდგომის მზე დანათის იქაურობას, ჩუმად მნიფს ნაყოფი, ბალახი ჯერ ისევ ხასხასებს, მთის ძირში პატარა მდინარე მიხმაურობს...“.

იდილიური სურათია!

ერთობ მშვიდია ის ვითარებაც, სადაც მეორედ, ასევე სხვათა შორის, იხსენიება ეს პატარა მდინარე:

„ქარი დიდდას თმას უფრიალებს. თვალს ვერ ვაშორებ. ქვემოთ, მთის ძირში, **მდინარეს** უპატრონო ძაღლები მიუყვებიან. ჩემი შვილი ზის პატარა მაგიდასთან და, მე მგონი, ციხე-კოშკს ხატავს“.

ცოტა ხნის შემდეგ სხვა უსულო პერსონაჟი გამოჩნდება – ღრუბელი, შავი საავდრო ღრუბელი:

„ზეცას აყვურებ. ცის კიდიდან შავი ღრუბელი მოცურავს. ღრუბელი კი არა მთელი ქალაქია, კოშკებიან-ხომალდებიანი. მართალია, მიხარია, რომ ბავშვობის შემდეგ აქ, ამ ქალაქში, პირველად გამოჩნდა ასეთი დიდებული და გამაოგნები ღრუბელი, მაგრამ შიშით ვამჩნევ, რომ ეს ღრუბელი რალაც უცნაურ სიშავეს გამოსცემს და თანდათან კიდევ უფრო მუქდება“.

მერე ორივე ეს უსულო პერსონაჟი – ღრუბელიც და მდინარეც – ერთდროულად იხსენიებიან და მათ შორის არსებულ სახიფათო კავშირზეც მიგვანიშნებს მთხრობელი:

„ღრუბელი არ იშლის. სულ უფრო დიდდება, და მდინარესაც, ჩვენს პატარა მდინარეს, ძლივს რომ მიიკვლევს გზას ნაგვის ტევრში, ვატყობ, წყალი ემატება“.

„ნაგვის ტევრი“ მეტაფორაა – „ტევრი“ გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი. პირდაპირი მნიშვნელობით „ტევრი“ ხშირი, ძნელადსავალი ტყეა. „ნაგვის ტევრი“, რომელშიც მდინარე ძლივს მიიკვლევს გზას, სამწუხაროდ, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება ქართველი მკითხველისთვის...

შუა ქალაქში გამავალმა ამ პანია მდინარემ, ნაგვის ტევრში რომ ძლივს მიიკვლევს გზას, ამასობაში ქალაქში გაჩენილი ჭირის მიზეზთა მაძიებელი ზღაპრული პერსონაჟების ყურადღებაც მიიქცია. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მდინარის პი-

რას გაშენებულ ვაზებს რალაც უცნობი დაავადების ნიშნები შეამჩნიეს კუდიანმა დედაბრებმა. ბენაზარი ქუდით ამოტანილ მდინარის წყალს აჩვენებს კუდიან დედაბრებს, ხოლო ისინი „აშმორებულ წყალს ჩაჰხედავენ, კაუჭა ცხვირებით ჩაჰსუნავენ და საბოლოოდ გუნებანამხდარნი სინანულით აქნევენ თავებს“.

როგორ გგონიათ, რამ წაუხდინათ გუნება კუდიანებს? რამ და... მავნებლობაში რომ ვილაცას უჯობნია მათთვის, რეალობას რომ ზღაპრისთვის „გადაუჯოკრავს“, ამას დარდობენ!

წუხილის გამომხატველი მათი სიტყვები ლიტერატურული სარკაზმის ჩინებული ნიმუშია:

„სირცხვილო! როგორ გაგვიმწარდა სიბერე! აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენთვის უცნობი, დიდებული შხამების ქვეყანაში ამოვყოფდით თავს! მართალია, ჩვენი მონამლული კევი თუ ბროწეული ერთ-ორ წამში აფრთხობინებს სულს მზეთუნახავსაც და ხელმწიფის ვაჟსაც, მაგრამ ეს სულ სხვაა, მთელი მდინარის და ვენახის ასე მონამვლა, ეს ხომ უბადლო ხელოვნებაა! ეტყობა, რომელიღაც სახელმწიფოს ამ სამეფოს ერთიანი ამონყვეტა განუზრახავს... ასეთი შესანიშნავი ხერხებით!“.

ჰო, სინამდვილეს უჯობნია – ცუდ საქმეში! – ჯადოსნური ზღაპრების ბოროტ გრძნეულთათვის! „შეგირდებად უნდა მივებაროთ ამ სამეფოს მომწამვლელებს, გულმოდგინედ უნდა ავითვისოთ მათი უბადლო ჯადოქრობანი!“, – ქოთქოთებენ კუდიანები.

ვიდრე ესენი მდინარის წყლის ანალიზით არიან გართულნი, სხვა უბედურებაც წამოეწია ქალაქს:

„ეს ჩვენი მდინარე, ძლივს რომ მიიკვლევს ხოლმე გზას ყველანაირი უწმინდურობის მუქ, მძიმე ტევრში, სულ უფრო დიდდება და გუშინდელი ქალაქ-ღრუბელი (რა შთამბეჭდავი მხატვრული სახეა, ლაკონიური და მკაფიოდ წარმოსადგენი!



– ლ. ბ.) ვეებერთელა ნითელხახიან გვე-  
ლემჰაჰად ქცეულა უკვე, მოდის, მოინვეს  
და ქარიც ძლიერდება“.

და მიეშურება დედა-შვილი არა მარ-  
ტო დიდედას გადასარჩენად, მდინარის  
პირას მდგარ ქოხში რომ გადაუსახლე-  
ბიათ მისიანებს და უყურადღებოდ მიუ-  
ტოვებიათ იქ, არამედ დიდედას სტუმარ  
ზღაპრის გმირთა საშველადაც, რომელ-  
თა გრძნეულებანი ამ უცნაურ (მონამ-  
ლულ?) გარემოში ველარ ჭრის და ისინიც  
დასაღუჰავად არიან განწირულნი.

და იქ, სადაც მდინარე და მის გას-  
წვრივ დედა-შვილის სავალი გზაა აღ-  
წერილი, თბილისის მცნობი მკითხველი  
უთუოდ მიხვდება, მდინარე ვერესა და  
მის ხეობაზე რომ არის საუბარი, ანუ  
ზღაპარში რეალური გარემოს, ნამდვი-  
ლად არსებული ლოკუსის კონტურები  
გამოიკვეთება (თეორეტიკოსები ამბო-  
ბენ, რომ ამკარად რეალურისა და ამკა-  
რად გამონაგონის შერწყმა განსაკუთრე-  
ბით მოდერნის შემდგომი ხანის მწერლო-  
ბისთვის ყოფილა დამახასიათებელი. მი-  
სი მიზანი ის არის, რომ მოხდეს „მოკლე  
ჩართვა“ – მოიშალოს დისტანცია ცხოვ-  
რებასა და ხელოვნებას შორის, ხელოვნე-  
ბისა და ცხოვრების ურთიერთგამსჭვალ-  
ვა განხორციელდეს). ორიენტირები მკა-  
ფიოა და არაორაზროვანი (თუნდაც –  
სასაფლაო, ზოოპარკი...):

„უკვე მდინარეს მივუყვებით. ეს შა-  
ვი წყალი **სასაფლაოს** მხრიდან მოიწვევა,  
საფლავებს ჩამოუდის და მერე ამ სერად  
განოლილი, ვენახებშეფენილი მთის ძირს  
მიუყვება... თავქვე თუ გაედევნები, ხიდს  
მიადგები. ამ ხიდზე გადადიან ხოლმე  
ბაღჩა-ბაღების პატრონები და მერე ბი-  
ლიკებს მისდევენ თავ-თავიანთი კარ-მი-  
დამოსაკენ, რამდენჯერ დამინახავს ჩემი  
ფანჯრიდან“ („რამდენჯერ დამინახავს  
ჩემი ფანჯრიდან“ – ესეც დოკუმენტური  
დეტალია ზღაპრებზე დაწერილ ზღაპარში  
– მწერალი მართლაც მდინარე ვერეს მახ-  
ლობლად ცხოვრობს, წყნეთის ქუჩაზე);

ფრაგმენტი დედა-შვილის დიალოგი-  
დან:

დედა: „ეგებ ირმის რძემ უშველოთ  
(მკბენარშესეულ ზღაპრის პერსონაჟებს.  
– ლ.ბ.)... მართალია, აქ ახლომახლო ტყე  
არსადაა და ირემსაც რა უნდა, მაგრამ  
**ზოოპარკი** ხომ აქვია. **ეს მდინარეც იქ არ  
ჩადის?**“.

ამასობაში წყლის სტიქია სულ უფრო  
მძვინვარდება:

„ხელჩაკიდებულები მივრბივართ მდი-  
ნარის პირას, რომელიც ისე აზვირთდა  
უკვე, რომ მთის ფერდს თვალს ძლივსა  
ვუნვდნით. [...] ჭუჭყიანი ტალღა მეხლე-  
ბა... სახიდან და კაბიდან შავ შლამ-ქაფს  
ვინმენდ. [...] მდინარე უკვე ნაპირებს  
გადმოსცდა და ყველაფერი დააჭაობა.  
ჭანჭრობში ვეფლობი. [...] ვხედავ, რო-  
გორ წაიღო ხიდი წყალმა. და უზარმა-  
ზარი ტალღები ბავშვისკენ გადაქანდნენ.  
[...] ამ შხამიანი მდინარისგან თვალთ  
მიჭრელდება. თითქოს შავ-მწვანე გვე-  
ლემჰაში მიიკლაკნებოდეს... სულ ზემოთ  
მოინვეს“.

„დიდება“ ისე მთავრდება, როგორც  
ამას ზღაპრის ჟანრული კანონი მო-  
ითხოვს – „ზღაპრის ბოლო კეთილია“. ოღონდ  
ამისთვის ახალი აღთქმის უპირ-  
ველესი პროტაგონისტის, მაცხოვრის  
ხელახალი მოვლინება გახდა საჭირო იმ  
ბიჭის სახით, დედასთან ერთად დიდედა-  
სა და ზღაპრის გმირების გადასარჩენად  
რომ მიიჩქარის...



იმ მკითხველმა, ვინც ამ ზღაპრის  
გამოქვეყნების თარიღი არ იცის, არა  
მგონია დაიჯეროს, რომ იგი 2015 წლის  
აგვებითი 13 ივნისის ღამით მომხდარ  
ტრაგედიამდე დაწერილი. სამწუხაროდ,  
ამ ზღაპრის გამოქვეყნებიდან 24 წლის  
შემდეგ ჩვენი დაუდევრობით, მეტიც –  
მცოდნეთა მიერ შემოკრული განგამის  
ზარების დანაშაულებრივი უგულბელ-  
ყოფის შედეგად, რეალურ ცხოვრებაში



ზუსტად განმეორდა ის, რის თაობაზეც ეს ზღაპარი გვაფრთხილებდა. მოხდა ის, რასაც, ზღაპრისგან განსხვავებით, ბოლო ვერაფრით ველარ ექნებოდა კეთილი, ვინაიდან რეალურ ცხოვრებაში სხვა, ბევრად მკაცრი „ჟანრული კანონები“ მოქმედებს.

ფრაგმენტი ერთ მედიასაშუალებაში იმ უმძიმეს დღეებში გამოქვეყნებული სტატიიდან:

„13 ივნისი საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და ტრაგიკული დღე. 2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერეს ადიდების შედეგად თბილისში 19 ადამიანი გარდაიცვალა, განადგურდა ქალაქის ინფრასტრუქტურა, წყალმა მთლიანად დატბორა ზოოპარკის ტერიტორია, რამაც ცხოველების გაქცევა გამოიწვია. თბილისის ქუჩებში ლომები, ვეფხვები, დათვები, მგლები, აფთრები და სხვა ცხოველები აღმოჩნდნენ. ნაწილი – ცოცხალი, ნაწილიც – დამხრჩვალნი. ყველასგან მივიწყებულმა მდინარე ვერემ ქალაქს არნახული ტრაგედია და უბედურება მოუტანა. 2010 წელს სამეცნიერო-კვლევით ცენტრ „გამას“ მიერ მომზადებულ მდინარე ვერეს ხეობის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ „მდინარე ვერეს კალაპოტი არაერთ ადგილას ჩახერგილია მოთხრილი ხეებით და არ იწმინდება. შესაბამისად მცირდება მისი გამტარუნარიანობა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის საშიშროება იქმნება, თუმცა ყველაზე დიდ საფრთხეს მდინარე ვერესა და მის ხეობას, როგორც მზიურის ტერიტორიაზე, აგრეთვე ხეობის გარშემო, აშენებული მაღალსართულიანი შენობები უქმნის“. მაგრამ, როგორც გამოჩნდა, არავის გაუთვალისწინებია სამეცნიერო-კვლევით ცენტრ „გამას“ რეკომენდაცია“ (დავით მესხიშვილი, ინტერნეტჟურნალი „ივერია“, 22. 06. 2015).

ჩვენში დარჩეს და, ვის უნდა გაეთვალისწინებინა, ხმას ვინ ამოიღებდა „ჩა-

რეცხილი“ მეცნიერების – სამეცნიერო კვლევითი ცენტრის – მხარდასაჭერად.

13 ივნისის თავზარდამცემმა უბედურებამ ისე შეძრა ადამიანთა გულები და ტვინები, რომ ვინ იცის, როდის ამოიშლება იგი მესხიერებიდან! ანდა ამოიშლება კი?! ხომ არსებობს „უკვდავი“ კატასტროფები! შეიძლება ესეც ამ რიგისა აღმოჩნდეს!

და, აი, ამ ზღაპრის ავტორი იმ საბედისწერო ღამიდან რამდენიმე დღის შემდეგ წერილს აქვეყნებს „საერთო გაზეთში“ სათაურით „მდინარეები და ურჩხულები“, სადაც იმას მოგვითხრობს, რაც თავისი თვალთ იხილა 13-14 ივნისის ღამეს:

„შუალამისას, საშინელი ხმაურით გაღვიძებული, გადავყურებ ვერეს ხეობას ჩემი მეოთხე სართულის ფანჯრიდან და ვცდილობ გავერკვე, რა ხდება [...]. ღამეულ ხეებში ჩამალული ლამპიონების რყევად შუქებზე ლაპლაპებს წყალი თუ ღვარცოფი და სულ უფრო ზემოთ იწევს: წყნეთის ქუჩის პატარა სოფლური დასახლება, ფერდებზე შეფენილი ეზო-კარიანი სახლუკები, რომელთა ახალი ნაწილი აქ აღარარსებული მდინარის ადგილას გაჩნდა, თანდათან წყალში იძირება, ქვედა კორპუსების ავტოფარეხები იგულისხმება, რომ უკვე წყალმა წაიღო. ახალ გზაზე, მდინარე ვერეს დაბეტონების ფასად რომ წარმოიქმნა, სამი-ოთხი სახანძრო, პოლიციის, სასწრაფო დახმარების თუ რაღაც მაშველი მანქანა დგას აწივლებულ-აკივლებულია სირენებითა და ლილისფერი შუქების ისტერიით. [...]. ვიცვამ და სასწრაფოდ ჩავრბივარ ქვემოთ. [...] ქალები და კაცები კითხულობენ ქვემოთა მეზობლების – პატარა სოფლის ბინადართა ამბავს... ვისი სახლი წაიღო წყალმა, ვინ დაიღუპა, ვინ გადარჩა... ქვემოდან მოქოშინებენ წელზემოდ შიშველი ხნიერი კაცები, ტალახში ამოსვრილი ქალები... ხალხი მატულობს. [...] ხელისუფლებას, როგორც ასეთს, ეყრება თავს ქოქოლა,




იმ ქვა-ლორღის სიმძიმის, ახლა ვერეს ხეობიდან ქალაქის ცენტრისკენ რომ მიინთხევა. იცის ხალხმა, რასაც გულისხმობს: საკუთარი თვალთა ნახეს გვირაბის გამონგრევა; და ისედაც: ქალაქში სანიღვრეები არ არსებობს, მიწისქვეშა წყალგაყვანილობა საერთოდ მომსპარია და მიუხედავად ამისა, შენდება და შენდება უხარისხო, გიგანტური საცხოვრებელი სახლები – სულ ადვილი ნადავლი მინისძვრებისთვის. ფეხშიშველი, ტალახში ამოსვრილი, შუახნის ქალი უმწეოდ ატრი-

ალებს ლამაზ სახეს აქეთ-იქით. ტირის...“.

მოკლედ, მწერალი ახლა პუბლიცისტურ წერილში ალგვიწერს იმავე კომმარს, რის შესახებაც 24 წლის წინ დაწერილ ზღაპარში მოგვითხრო, ოლონდ, რაც მაშინ, ზღაპრის თხზვისას, ფანტაზიის მეშვეობით წარმოიდგინა, ამჯერად იმას ნატურიდან იხატავს.

მწერლები რომ წინასწარმეტყველების უნარით არიან დაჯილდოებულნი, ცნობილია. „დიდედაც“ ამისი დასტური გახლავთ.

# ემზახ ქვიციანიშვილი



## ფეიცნო ბუნების ენა

(ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების მე-100 წლისთავის გამო)

ალფრედ ტენისონის ხსოვნისადმი მიძღვნილ ესსეში თომას ელიოტი გა-  
მოაცალკეებს დიდი პოეტისათვის ერ-  
თდროულად დამახასიათებელ სამ უმ-  
თავრეს თვისებას. ესენია: ნაყოფიერება,  
მრავალფეროვნება და სრულყოფილი  
ოსტატობა. ვაჟა-ფშაველას სამივე ეს  
თვისება უხვად ჰქონდა მომადლებული  
და თავისი, არცთუ ხანგრძლივი სიცოც-  
ხლის მანძილზე არაჩვეულებრივი ძალის-  
ხმევით გამოავლინა.

შემოქმედების სიდიადით, სიღმითა და  
მრავალფეროვნებით თუ ვინმე შეედრე-  
ბოდა მსოფლიო პოეზიის ისეთ გიგან-  
ტებს, როგორებიც დანტე, შექსპირი და  
გოეთე იყვნენ, ერთ-ერთი უპირველესი  
ვაჟა-ფშაველა გახლავთ. ვაჟა-ფშაველას  
ტყუილად როდი ამსგავსებენ, აგრეთ-  
ვე, რობერტ ბერნსს, ვინაც შოტლანდი-  
ას უჭკნობი გვირგვინი დაადგა. იგიც,  
ბერნსივით, კალამთან ერთად, გუთნის  
ტარს იყო ჩაჭიდებული, ღამით, ჭრაქის  
შუქზე წერდა თავის გენიალურ ქმნილე-  
ბებს (ხშირად ნავთის ფულიც არ ჰქონდა)  
და გლეხური შრომით არჩენდა ლატაკ  
წვრილშვილს.

ვაჟა თავის უშუალო წინაპრებად  
რუსთაველსა და გურამიშვილს თვლიდა,  
იცოდა, რარიგ მიძიმე, ძნელად სატარე-

ბელი იყო ჭეშმარიტი პოეტის ხვედრი,  
რაოდენ დიდ მსხვერპლს მოითხოვდა და  
მათ წმინდა აჩრდილებს, აღსარების ენა-  
ზე, დაჩოქილი ევედრებოდა, ყელში მობ-  
ჯენილი ლექსის თქმა შემადლებინეთო:

*მიშველეთ შენ და შოთამა,  
მგოსნობა გამიძრახაო.*

არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ვაჟა-  
ფშაველამ საკუთარი განუმეორებელი  
ნიჭიერების ფასი არ იცოდა. სხვანაირად  
ერთ უსათაურო, დაუთარილებელ ლექ-  
სში, უზენაესისადმი რომ არის მიმართუ-  
ლი, ასეთი შინაგანი მღელვარებით არ  
დანერდა:

*მადლობელი ვარ, დამბადებელო,  
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,  
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,  
სამშობლოს წყლულებს როგორიც  
უნდა,  
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,  
მაინც ღმერთს ვმადლობ – ეშმაკს  
შეშურდა.*

მასავით ცოტა ვინმემ თუ იცოდა ბუ-  
ნების საიდუმლოებანი, ცოცხალთა თუ  
არაცოცხალთა ენა, რასაც კი შეეხებო-  
და მისი მაგიური კალამი, ცხოველთა თუ  
მცენარეთა სამყაროში, ყველაფერს სხვა-  
ნაირ სულს უდგამდა, აცოცხლებდა, ქვის  
ამეტყველებაც შეეძლო.

მკვლევარები იმონებენ ხოლმე პოეტის თანამედროვეებიდან მომდინარე მეტად სარწმუნო გადმოცემას თუ რაოდენ გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოუხდენია ახალგაზრდა ვაჟაზე ევგენი ბარატინსკის ლექსს „გოეთეს გარდაცვალების გამო“, როცა იგი მისთვის სკოლის ამხანაგს სიმონ სალარიძეს წაუკითხავს. გამორჩეულად კი ამ ლექსის მეოთხე სტროფს აუღელვებია:

С природой одной он жизнью дышал:  
Ручья разумел лепетанье,  
И говор древесных листов понимал,  
И чувствовал трав прозяванье,  
И была ему звёздная книга ясна,  
И с ним говорила морская волна.

*ბუნების ტოლად მას ძალუძდა  
სუნთქვა და ფშვენა,  
იცოდა თუ რას ბუტბუტებდა  
ანკარა ლეღე,  
აშრიალებულ ხის ფოთლების  
ესმოდა ენა,  
გრძნობდა სხეულით, როცა ყინვა  
დასძრავდა ველებს,  
ვარსკვლავთა წიგნი წაეკითხა,  
შეეძლო მისანს,  
ეუბნებოდა თავის სათქმელს  
ტალღები ზღვისა.*

ყმანვილი ვაჟა იმდენად აფორიაქებულა ამ სტრიქონების მოსმენისას, ადგილზე ველარ ჩერდებოდა. იგი თავის თავზე დაწერილად მიუჩნევია და ჩათვალა, რომ საკუთარი პოეზიის სათავეს, პირველწყაროს მიაგნო, ვინაიდან მის უცნაურ არსებობაში იგივე განცდები იყო დაბუდებული.

ვერ ვიტყვით, რომ ვაჟა-ფშაველასთან განსაცვიფრებელი ნიჭის გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ ცხადია, სიცოცხლეში ის აღიარება არ ხვდა, რისიც ღირსი იყო. ილია ჭავჭავაძეს მასზე საგანგებო წერილი არ გამოუქვეყნებია (ამის გამო საყვედურიც არის გამოთქმული), თუმცა ვიცით მისი განცხადება – ჩვენ, ძველებმა კალამი

უნდა დავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთ. ასევე ცნობილია, რომ არტურ ლაისტან საუბრებში „არნივისა“ და „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ავტორს იგი გენიოსად მოიხსენიებდა. სხვაგვარად არ შეიძლება ახსნა იმ უსაზღვრო თაყვანისცემის და მადლიერებისა, რასაც თვითონ ვაჟა ილიას მიმართ პოეტის სიცოცხლეში და ბოროტმოქმედთაგან მისი მუხანათურად მოკვლის შემდეგ ამჟღავნებდა.

პირუთვნელობით გამორჩეულმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ, ვინაც თვითეულ შემოქმედს განკერძოებულად კი არ აფასებდა, არამედ ფართო კონტექსტში, ეპოქასთან მიმართებაში განიხილავდა, სწორად განსაზღვრა ვაჟა-ფშაველას ადგილი ქართულ და არა მარტო ქართულ ლიტერატურაში. მართალია, აშკარა სიახლისა და ორიგინალურობის გამო, თავდაპირველად ვერ იგუა ვაჟას ფენომენი, მაგრამ შემდეგ მოიბოდიშა, „ნამდვილ მხატვრად“ აღიარა და აღნიშნა, რომ „შედარებით გვიან შეეჩვია ვაჟას პოეზიას და შედარებით დაიგვიანა მისი შეყვარება...“ და იქვე დაამატა, რომ მისნაირ მდგომარეობაში ბევრი სხვაც აღმოჩნდა.

კიტა აბაშიძესვე ეკუთვნის ძალზე საგულისხმო დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ვაჟა-ფშაველას გულში ჰქონდა ჩაბეჭდილი ნიკოლოზ ბარათაშვილის „ჩინარის“ გრძნეული სტრიქონები: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის, და უპირველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“ – თავისებურად განაგრცო მასში გამოთქმული აზრი, რასაც ვაჟას მთელი შემოქმედება ადასტურებს.

ზედმეტი არ იქნება იმის გახსენებაც, რომ განჯიდან გადმოსვენებულ გენიალურ პოეტს ვაჟა-ფშაველამ მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი („ნიკოლოზ ბარათაშვილის ნემტს“), ხოლო ახალგაზრდობის ჟამს, მოსწავლეთა წრეში წაიკითხა მოხსენება „ნიკოლოზ ბარათაშვილი – მსოფლიო სევდის პოეტი“.

კიტა აბაშიძის ხსენებული დაკვირვება უყოყმანოდ გაიზიარა გურამ ასათიანმა და, მიუხედავად ამ ორ გენიალურ პოეტს შორის შინაგანი ტემპერამენტის, გარესამყაროსადმი დამოკიდებულების მკვეთრი განსხვავებულობისა, კიდევ უფრო გააღრმავა მოსაზრება, რომ ბარათაშვილის ნათელმხილველობით აღბეჭდილი სტრიქონები ვაჟა-ფშაველას გათავისებული ჰქონდა მთელ მის პოეზიაში (არაერთ პროზაულ ქმნილებაშიც) განფენილი, ხატოვნად წარმოჩენილი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას თვითმყობად, კოლოსალურ ნიჭს ყველაზე მეტი პატივი მიაგო ევროპულად განსწავლულმა ახალგაზრდა გრიგოლ რობაქიძემ, ვინაც ვაჟას სიცოცხლეშივე 1907-1909 წლებში, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე (თავდაპირველად რუსულად, შემდგომ კი ქართულად) ნაიკითხა ლექციების ძალზე შთამბეჭდავი ციკლი. ეს ამბავი მოგონებების მშვენიერ წიგნში – „ჩემი ცხოვრების გზაზე“ – მოხსენიებული აქვს დავით კლდიაშვილს.

გრიგოლ რობაქიძემ იმთავითვე შეიგრძნო მითოსური აზროვნება ვაჟას უღრმეს პოეზიაში და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იდუმალებით აღსავსე, უცნაურ პოემას, „გველის მჭამელს“. მაშინვე შეისისხლხორცა „სურნელოვანი კოლორიტით გაჟღენთილი“ ფშაურ დიალექტი, უმდიდრესი, ძალმოსილი ენა პოეტისა. „გველის პერანგის“ ავტორის პირით თვით ჭეშმარიტება ლაღადებს, ვაჟა-ფშაველაზე უსაზღვრო სითამამით ნათქვამი: „მან განასხეულა თავის თავად შემოქმედი გენია ბუნებისა და იქცა თვითონ ნამდვილ გენიოსად მსოფლიურის აზრით“. გრიგოლ რობაქიძის აღტაცების შესაცნობად ერთი მცირე ამონარიდიც უნდა მოვიხმოთ ამავე ლექციისა: „იგი არ არის პანთეისტი ფიგურალურად: არა, იგი თავის პანთეისტობაში ნამდვილი მისტიკოსია... ბუნება მისთვის ცოცხალი გარსია, რომელიც ჰლამობს თავის სრულობას... ლოგოსი – აი სათავე ვა-

ჟას პოეტური გენიისა!! ლოგოსის გარეშე მისი პოეტური სიტყვა მხოლოდ „ჭრელი სიტყვა“ იქნებოდა. ამას ნათლად ამართლებს მისი პოემა „გველის მჭამელი...“ შევჩერდეთ ამ პოემაზე! ეს საჭიროა არა მარტო ვაჟა-ფშაველას ნიჭის დასახასიათებლად, არამედ კიდევ უფრო ქართველთა გენიის გასაცნობად, – „რადგან „გველის მჭამელი“ ნამდვილი სხეულებაა ქართველთა სულიერი ენერჯისა, მისი საუკეთესო ნაყოფი“.

გრიგოლ რობაქიძე პირადად იცნობდა ვაჟა-ფშაველას, ანცვიფრებდა თუ რა ღრმად იყო ჩახედული იგი ევროპულ ფილოსოფიაში. ერთხელ ჟურნალ „თემის“ რედაქციაში შეხვედრიან ერთმანეთს (ეს ახალგაზრდობისას მაქვს ნაკითხული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში), ოგიუსტ კონტის მოძღვრებაზე მოსვლიათ კამათი. ვაჟა არ დათანხმებია ჭაბუკ თავიანთსმცემელს. გრიგოლ რობაქიძე იხსენებდა – მეგონა იმ ცალი, სალი თვალთ (მეორე „ციმბირის წყლულისგან“ ჰქონდა დაბრმავებული) მთელი სამყარო შემოწყურებდაო.

ქართველი პოეტებიდან ვაჟა-ფშაველას მუდამ სასოებით ეპყრობოდა ტიციან ტაბიძე, რომელიც ადრევე, ოციან წლებში წერდა – მთანმინდა ისე არავის ერგებოდა, როგორც ამ წმინდა მთასო.

„ცისფერყანწელების“ ერთ-ერთი ლიდერი სინანულით აღნიშნავდა, რომ სიცოცხლეში „ალუდა ქეთელაურისა“ და „გველის მჭამელის“ ავტორს არ ჰქონდა სათანადო დაფასება. თავის მრავლისმომცველ წერილში აღნიშნავს, როგორ მთელი არსებით გრძნობდა ვაჟა „ბუნების სინედლეს“ და იქვე წარმოაჩენს მისი უკვდავების წყაროს:

„ასეთივე ნედლი დარჩება დიდხანს მისი პოეზია, მას ვერ შეზღუდავს ხანმოკლეობა რომელიმე სკოლისა, რომელიც დილით იბადება, რომ საღამოს მოკვდეს და შემდეგ აღარ აღდგეს. ვაჟა-ფშაველა ყველაფრის დამტვევი იყო, მის გულში ათასი საღამური მღეროდა

ხალხური ხმებისა და ამიტომაც მას არ უნევს არასდროს ჟამის სიმუხთლე – მის ლექსებს ისეთივე გამძლეობა ექნებათ, როგორც კლდის ნაპრალებსა და გადაუშენებელი ტყის ფესვებს“.

ტიციან ტაბიძე საგანგებოდ მსჯელობს ვაჟას ენაზე და ამბობს, რომ მას „საკუთარი ენის ძალა ჰქონდა“; ამ მხრივ იდეალურად ესახება პოეტის „შეუდარებელი პროზა“, არ ეეჭვება – „სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ პროზის ასეთი ოსტატი არ ჰყოლია საქართველოს“. ვაჟა თავადაც დაბეჯითებით აღნიშნავდა, მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ენა უნდა ჰქონდესო.

ვაჟა-ფშაველას სამწერლობო ენაზე მსჯელობისას უპრიანია გავიხსენოთ აკაკისა და ვაჟას პოლემიკა. ამ შემთხვევაში ერთ ბოლოდროინდელ გამოკვლევას მინდა დავემყარო – ამირან გომართელის წიგნს „კლასიკოსების ფარული მხატვრული პოლემიკა“. ამჯერად, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული წიგნის ერთი თავი „აკაკი და ვაჟა – დაფასება და დაპირისპირება“, რომელშიც გარდა ორი გენიალური შემოქმედის ურთიერთდაფასებისა, მათ შორის არსებულ დაპირისპირებასაც **უტყუარ არგუმენტთა მოშველიებით განიხილავს**.

აქ მოტანილია ფაქტი, როცა 1999 წელს გამოქვეყნებულ რეცენზიაში – „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ – აკაკი საყვედურობს ძმებს რაზიკაშვილებს სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევას, თუმცა ვაჟა-ფშაველას პოემის „გოგოთურ და აფშინას“ გამო თავის განუზომელ აღფრთოვანებასაც გამოთქვამს.

უთუოდ მართალია ამირან გომართელი, როცა ამბობს, რომ აკაკი წერეთლის მთელი ძალისხმევა, ილიასთან ერთად, მიმართული იყო საერთო სალიტერატურო ენის დამკვიდრებისაკენ. ამდენად, აკაკი ვერ შეურიგდებოდა საპირისპირო პოზიციას და „ყოველგვარი შემოქმედებითი მეტოქეობისგან თავისუფალი“

1913 წელს დანერგულ ლექსში, როცა ვაჟას პირდაპირ ეუბნება: „ენას გინუნებ, ფშაველო!“

ასეთი მიმართვა რეაგირების გარეშე ვერ დარჩებოდა და ვაჟამ, უფროს თანამოკალმეს, რამდენადაც შეიძლებოდა, თავდაჭერილად უპასუხა.

ამირან გომართელი, რეალობიდან გამომდინარე, დაასკვნის: „ძალზე რთულია აკაკისა და ვაჟას ურთიერთდამოკიდებულება“. ამასთანავე არც იმის აღნიშვნა ავინწყდება, რომ „ესეც ის შემთხვევაა, როცა ორივე მხარეს აქვს თავისი სიმართლე. აკაკი ვერაფრით შეეგუებოდა ილიასთან ერთად წლობით ნაშენები იმ საქვეყნო ციხესიმაგრის დანგრევას, რასაც ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა ჰქვია, და, მეორე მხრივ, ვერც ვაჟა შეელოდა საკუთარი პოეზიის ენას, მისთვის ასე ბუნებრივსა და სისხლხორცეულს. სხვაგვარადმეტყველი ვაჟა-ფშაველა ვაჟა-ფშაველა ვერ იქნებოდა“.

სხვაგან ამირან გომართელს დავით წერეთლიანის ესეიდან („ცოტა რამ აკაკის ლირიკაზე“) მოაქვს მოსაზრება, რომელსაც საესეებით ეთანხმება და მეც დავიმონებ ციტატის ყოვლად სარწმუნო ბოლო ნაწილს: „ვაჟას პოეტიკაში არაფერი, ან თითქმის არაფერია ისეთი, აკაკისთვისაც მისაღები და ორგანული რომ არ იყოს. მკვეთრად გამოხატული ეროვნულობაც, ხალხურ ლექსთან დამოკიდებულებაც და ხაზგასმული დემოკრატიზმიც ორივესთვის საერთოა“.

ისედაც, ვაჟა-ფშაველა მტკიცედ იყო დარწმუნებული – ისა და აკაკი წერეთელი საერთო სალოცავს, ერთ ხატს ემსახურებოდნენ. სხვაგვარად საიუბილეოდ წარმოთქმულ თავის ლექსში (1908), არ ეტყოდა „განთიადის“ ავტორს: „იმავე ჭირით ვარ სნეული, რაც შენ გატყვია წყლულადა“.

ამირან გომართელის წიგნის მიუკერძოებელი ნამკითხველი უთუოდ დარწმუნდება, რომ მიუხედავად ზოგიერთ წმინდა ლიტერატურულ საკითხში დაპი-

რისპირებისა, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ურთიერთდამოკიდებულება პიროვნულ შეურიგებელ განხეთქილებამდე არასოდეს მისულა, ამას უდავოდ ადასტურებს ის ორი ლექსი, რომელიც ვაჟამ მიუძღვნა აკაკის გარდაცვალების მერე.

ვაჟა-ფშაველას უზარმაზარი, ამოუწურავი მემკვიდრეობის შეცნობა და გადახარშვა იოლი საქმე არ იყო. ეს იმიტაც დასტურდება, რომ ისეთი დიდი განათლების ლიტერატორმა და მოაზროვნემ, როგორც გერონტი ქიქოძე გახლდათ, თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ვერ შეიგრძნო მისი გენიალურობა, „ჩამორჩენილ ადამიანად“ გამოაცხადა „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ დამწერი, მაგრამ ოცდაათიან წლებშივე, პოეტის გარდაცვალებიდან მეოცე წლისთავზე გამოქვეყნებულ წერილში ძირფესვიანად შეცვალა თავისი მცდარი შეხედულება: „ქართველ კლასიკოსებს შორის ბევრი არაა ისეთი მწერალი, რომელიც ჩვენი თანამედროვე თაობის თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას შეედრებოდეს. ის მრავალმხრივ ნასაბად ნიმუშს წარმოადგენს, როგორც მაღალი იდეალებისათვის თავგანწირული ადამიანიც და როგორც ხელოვნების დიდი ოსტატიც. მან დაგვანახვა როგორ ნაყოფიერდება პოეტის ინდივიდუალური შემოქმედება, როცა ის კოლექტიურ შემოქმედებას ეუღლება, მან გაგვიღვიძა გმირობისა და საღი რომანტიკის სული“.

აქვე ერთი რამის გახსენებაც გვმართებს. ძველი თაობის კრიტიკოსის იპოლიტე ვართაგავას 1914 წელს გამოქვეყნებული მოზრდილი წერილი „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი“, მართალია, სწორი საერთო შეფასების გვერდით, გულუბრყვილო, ზედაპირულ შეხედულებებსაც შეიცავს, მაგრამ ამ პუბლიკაციას ისტორიული მნიშვნელობა აქვს – ძალაუწიურად აიძულა ვაჟა-ფშაველა დაენერა ცნობილი, მეტად მნიშვნელოვანი გამოხმაურება („პასუხი ბ. ივ. ვართა-

გავას“), რომელშიც თავისი შემოქმედების არაერთ საიდუმლოს მოფინა ნათელი და უსაფუძვლო მითქმა-მოთქმები გაფანტა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მეცნიერულ შესწავლას თავიდან ბოლომდე სწორი გეზი მისცა, დიდი ამაგი დასდო ქართული ლიტერატურის ისტორიის უნიჭიერესმა მკვლევარმა და ფოლკლორის უბადლო მცოდნემ ვახტანგ კოტიტიშვილმა. მისი არაერთი დებულება სახელმძღვანელო გახდა შემდგომი თაობის მკვლევართათვის, რაც საყოველთაოდ ცნობილია და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ქართველი მწერლებიდან, ვინც მთელი არსებით შეიგრძნო და გააცნობიერა ფშაველი გენიოსის სიღრმე და თავისებურებანი, ერთი უპირველესთაგანი სიმონ ჩიქოვანი იყო. მის ფუძემდებლურ წერილში – „ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ელფერი და მისი პოეტური შემოქმედება“ – ყოველმხრივ გაშუქებულია „გველის მჭამელის“ ავტორის გარემო, ყოფაცხოვრება და მხატვრული მეტყველების ძალა, გამოსახვის ხერხების ნაირსახეობა. სიმონ ჩიქოვანმა სხვებზე ადრე აღნიშნა, რომ ვაჟა-ფშაველას „დიონისური სული შორეულად ენათესავება გოეთეს წარმართულ პოეტურ ბუნებას“.

იმის ნათელსაყოფად თუ რამდენად ზუსტი, დამაჯერებელი და მართებულია სიმონ ჩიქოვანის დაკვირვებანი, ერთი მოზრდილი ნაკვეთი მაინც უნდა ამოვიწეროთ:

„ვაჟა-ფშაველას პოეზიაში განუმეორებელი მეტაფორები და შედარებები საოცარ მხატვრულ ქსოვილს ქმნის და მკითხველი ძალდაუტანებლად შეჰყავს დიდი იდეებისა და გრძნობების სამყაროში. ეს მეტაფორები, შედარებები და საერთოდ, რთული ფერწერითი სახეები კი არ აძნელებენ პოეტის ზრახვების ათვისებასა და გაგებას, პირიქით, უფრო ახლოს მიჰყავთ მკითხველი ავტორის ჩანაფიქრთან და პოეტურ აზრებს ბარელიეფივით გამოკვეთილად წარმოგვიდგენენ.“

ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყარო სურათოვანია და თვალთ სახილველი“.

ამავე აზრით ნათქვამია, რომ უმთავრესად ხალხური პოეზიის ძირითადი საზომით, რვამარცვლიანი შაირით დაწერილ „ვაჟას ლექსებში არც მღერადობაა მთავარი და არც მელოდია, არც განსაკუთრებული რითმა და რიტმული გადასვლები, მისი პოეტური სურათები უმთავრესად ფერწერულია, ხოლო მის პოემებში გამოყვანილი მოქმედი პირი გამოძერწილია თუ გამოთლილი. იგი ვაჟაკური ხმის პოეტია, თითქოს მის პოეტურ ინტონაციაში ხევების ამოძახილი და უსიერი ტყის შრიალი შეჭრილა. იგი მომყვარალია, მძაფრი მთხრობელია და არა მგალობელი. ვაჟა ბუნების მესაიდუმლეა, თავისებური პოეტური ხილვითაა დაჯილდოებული და სამყაროს ნყოფაში ჩანვდომის სურვილითაა შეპყრობილი“.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სიმონ ჩიქოვანის ამ წერილმა მძლავრი ბიძგი მისცა ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარებს, მათ წინაშე ახალი, ფართო ჰორიზონტები გადაშალა. ეს ბევრს ნიშნავს.

გიორგი ლეონიძეს ცალკე გამოკვლევა არ დაუწერია ვაჟა-ფშაველაზე, მაგრამ იგი მთელი სიცოცხლე აღმერთებდა თავის გზის დამლოცველს და ვაჟა (რუსთაველი განკერძოებულად დგას ქართულ პოეზიაში), გურამიშვილთან ერთად, სისხლხორცეულ წინამორბედად მიაჩნდა, ორივეს მიმართ მრავალგზის გამოხატა უსაზღვრო თაყვანისცემა და ამყად ამბობდა ერთ ლექსში – „თქვენს ნაგზაურზე მოვდივარ, დიდი გქონიათ მანძილი...“ ეს არ იყო ლიტონი სიტყვები, გიორგი ლეონიძე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მათ ურყევ მემკვიდრედ დარჩა. აღსარებისეული კილო მან უთუოდ ვაჟა-ფშაველასგან შეითვისა.

მსოფლიო ლიტერატურის იშვიათი მცოდნე, გამოჩენილი ქართველი მწერალი და ქართული ლექსის უთვალსაჩინო-

ესი მკვლევარი აკაკი განერელია მუდამ უპირობოდ ეთაყვანებოდა ვაჟა-ფშაველას ზეადამიანურ ხატსა და ხალხური გენიის ნიალიდან ამოზრდილ პოეზიას, რამდენიმე საუცხოო ნაშრომიც უძღვნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ვაჟა-ფშაველა და ქართული მითოსი“, სადაც ქებაში ფრიად ძუნწი უგანათლებულესი მეცნიერი უყოყმანოდ, დაჯერებულად წერს:

„მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების საზღვარზე (და მას შემდეგაც) ჩვენ არ ვიცით მეორე შემოქმედი, რომელიც ეგზომ განუსაზღვრელი ფანტაზიით და პოეტური ვიზიონით ყოფილიყოს დაჯილდოებული და არა მარტო ქართული მასშტაბით: მის ანალოგს ვერ ვპოულობთ უკანასკნელი საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაშიც. არსებითად გოეთესთან მთავრდება რიცხვი იმ გენიოსთა, რომელნიც მითოლოგიური არსენალიდან იღებდნენ მასალას თავიანთი შემოქმედებისათვის (მხედველობაში გვაქვს „ფაუსტის“ მეორე ნაწილი)“.

ამაზე უფრო აღმატებული შეფასება პოეტისა ძნელი წარმოსადგენია.

ღვანლმოსილი მკვლევარის, ვაჟა-ფშაველას კაბინეტის დამაარსებლის, პროფესორ გრიგოლ კიკნაძის (1909-1974) საშვილიშვილო დამსახურება ვაჟა-ფშაველას უმდიდრესი სულიერი მემკვიდრეობის გულმოდგინედ, მეცნიერულად შესწავლის საქმეში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს. ამ განხრით მან შექმნა მთელი ეტაპი, რასაც დასაბამი მისცა მისივე დიდად საყურადღებო მონოგრაფიამ „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, რომელიც მიზეზთა გამო, ათი წლის დაგვიანებით (1956) გამოიცა და რომელშიც სრულიად ახლებურად, შესაფერის დონეზეა გაშუქებული ვაჟას შემოქმედებასთან დაკავშირებული, ძნელად გადასაჭრელი, ურთულესი საკითხები.

პოეტის დაბადების მეასე წლისთავს (1966) მიუძღვნა გრიგოლ კიკნაძემ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წერილი „ვაჟას



ფენომენი“, რომელშიც იმდენი ახალი, მოულოდნელი დაკვირვებაა, თვითეულზე შეიძლება ცალკე გამოკვლევა დაინეროს. ასეთია, მაგალითად, „პოეტურ თვითგანმეორებებში გამოვლენილი შინაგანი მრავალფეროვნება“. იგულისხმება, რომ ეს განმეორებები იგივეობრივი არასოდეს არის, ვარიაციებად წარმოგვესახება.

დამაფიქრებელი, არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა დაკვირვებაც, რაც ამავე ნაშრომშია გამოთქმული: „ვაჟა-ფშაველა ყველაფერზე უფრო მეტად გრძნობებითაა დაინტერესებული. იდეას მასთან გრძნობითი სახე აქვს მიღებული, იდეები ვაჟასთან გრძნობებით საზრდოობენ. ალბათ, ამიტომაც ახლავს იდეათა მარცხს ასეთი სიმწვავე. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ვაჟას ნაწერებში მრავალი აზრი სიზმართა და მოჩვენებათა სამოსელშია გახვეული“.

უთუოდ აქ ეძებნება სათავე ვაჟას ქმნილებათა ერთ ნაწილში დრამატული კოლიზიების სიმრავლეს. სხვათა შორის, იოსიფ ბროდსკიმ თომას ჰარდის პოეზიისადმი მიძღვნილ მრავალმხრივ საყურადღებო ესსეში („უსულოსადმი სიყვარულით“) ხაზი გაუსვა დიდი ინგლისელი პოეტის მძაფრ მიდრეკილებას „დრამატული სიუჟეტის“ მიმართ, რაც სრულებით არ არის შემთხვევითი.

სამწუხაროდ, ვერ შევხვებით ვაჟაზე დაწერილ გრიგოლ კიკნაძის შესანიშნავ გამოკვლევებს („ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, „ვაჟა-ფშაველა ზიგმუნდ ფროიდის წინააღმდეგ“, „ვაჟა-ფშაველას პროზის სტილი“ და სხვები), მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მისი თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით გამოვიდა დიდად ფასეული „ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული“ (1966), რასაც მოჰყვა მონოგრაფიად გააზრებული „ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, რომელშიც პოეტის მთავარი ეპიკური ქმნილებები მრავალი კუთხით არის გარჩეული.

ამ გამოცემებს გულთბილად გამოეხმაურა ჩვენი საუკეთესო ლექსმცოდნე თეიმურაზ დოიაშვილი და სხვებიც, რაც დაუვიწყარი პედაგოგის, მასწავლებლის მიერ განეული მარადსახსოვარი ამაგის ერთობლივი აღიარებაა.

მეტად დასანანია, რომ ბოლო წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოვლად გაუმართლებელი „რეორგანიზაციის“ დროს პირნმინდად განადგურდა გრიგოლ კიკნაძის ძალისხმევითა და რუდუნებით შექმნილი ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, სადაც მეცნიერთა ჯგუფი წლობით მუშაობდა ვაჟა-ფშაველას დიდი ლექსიკონის შედგენაზე და მთელი ეს მასალა (ათიათასობით ბარათი) უგზო-უკვლოდ გაიფანტა. ამას, ბარბაროსობის გარდა, სხვა სახელს ვერ დავარქმევთ. წინამორბედთა უანგარო ნაშრომს მოვლა და სათუთი მოპყრობა ესაჭიროება.

თამაზ ჩხენკელის „ტრაგიკული ნიღბები“ ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა, რაც კი ვაჟა-ფშაველაზე დაწერილია. უღრმესი ცოდნითა და შესაშური არტიზიმით მაღლცხებული ეს მონოგრაფია თანმიმდევრულად გადმოგვიშლის ვაჟა-ფშაველას უნიკალურ მითოსურ აზროვნებას. მასზე ჩემი აღტაცება ადრე მაქვს გამოთქმული და ამჯერად აღარას დავამატებ. წიგნმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

გარდა ამ მონოგრაფიისა, თამაზ ჩხენკელს ვაჟაზე წერილების სერია აქვს გამოქვეყნებული. ერთ მათგანში („ვაჟა – მომავლის პოეტი“) ძალზე გამოკვეთილად, ცხადად არის ნათქვამი გენიალური შემოქმედის ქმნილებათა პირველწყაროზე. მოვიტან რამდენიმე ამონარიდს:

„ვაჟას პოეზიის ფესვი ქართული მითოსის უღრმეს ქვესკნელშია დამარხული, ხოლო ეს უკანასკნელი ფშავ-ხევსურეთის უბრწყინვალეს ხალხურ პოეზიასა და თქმულებებში, უძველეს და უნიკალურ სადიდებლებშია გაცხადებული...“

„თუ ჩვენ თანდათან არ მივეჩვიეთ ამ მითოსურ სამყაროს, მის შიგნით მოქმე-



დი ადამიანების ცხოვრებისა და აზროვნების წესს, მათ არქაულ ფსიქოლოგიას, ჩვენ ვერ შევიგრძნობთ ვაჟას ეპოსის სიდიადეს, ვერ ჩავნვდებით მის უღრმეს ქართულს, მისი პოეტური ენის განუმეორებელ და განსაცვიფრებელ დინამიკურობას.

მითოსური მსოფლშეგრძნებიდან მოდის ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყაროს ზედროულობა, პირველადობა და პირველქმნილობა. აქედანვე იღებს სათავეს მისი პირქუში ვიზიონები და ინფერნალური ხილვები, რომ არაფერი ვთქვათ პოეტური სახეების მთელ სისტემაზე, რომლის გაგება და გაანალიზება გაჭირდებოდა მითოლოგიური ასპექტების გაუთვალისწინებლად“.

მეოცე საუკუნის დიდმა რუსმა პოეტებმა (მანდელშტამი, ცვეტაევა, პასტერნაკი) დედანში ჩაუხედავად, ბნკარედების მეშვეობითაც იგრძნეს ვაჟა-ფშაველას ვეება ნიჭი, გამორჩეულობა, ოსტატურად თარგმნეს კიდევაც მისი პოემები, მაგრამ თამაზ ჩხენკელი, თარგმანებს შორის, ყველაზე უმჯობესად მიიჩნევს ნიკოლოზ ზაბოლოცკის ნამუშევარს, რომელსაც არ უცდია ქართული საზომების მექანიკური გადატანა და რათა ორიგინალის სული შეენარჩუნებინა (ზაბოლოცკის რჩევებს აძლევდა მისი ახლო მეგობარი სიმონ ჩიქოვანი) „ვაჟას პოემების გადასათარგმნად გამოიყენა რუსული კლასიკური ლექსი, რომელიც ეპიკური შინაარსის გადმოსაცემად იხმარებოდა გასული საუკუნის რუსულ პოეზიაში“.

თამაზ ჩხენკელი გულმოდგინედ ადარებს ერთმანეთს „აღუდა ქეთელაურის“ ქართულ ტექსტს და ზაბოლოცკის თარგმანის შესაბამის ადგილებს და ზოგჯერ შთაბეჭდილება ექმნება (მაგალითად, შელამების სურათის აღწერა), რომ „თარგმანი ბრწყინვალეა და დედანს არაფრით ჩამოუვარდება“. ნიკოლოზ ზაბოლოცკი თავად იყო ერთ-ერთი საუკეთესო რუსი პოეტი და მისი თარგმანების უმაღლესი დონე იმანაც განაპირობა, რომ მას ეხმა-

რებოდა უტყუარი „პოეტური ალლო, ინტუიცია“.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მეცნიერულად შესწავლაში უაღრესად მნიშვნელოვანია ნაადრევად გარდაცვლილი მეტად ნიჭიერი ლიტერატორის გურამ ასათიანის დიდი წერილი „ვაჟა-ფშაველა“, რომელშიც არაერთი ახალი, თამამი და ანგარიშგასაწივე მოსაზრებაა გამოთქმული და დამაჯერებლად დასაბუთებული.

მასში იგი კრიტიკულად განიხილავს ცალკეულ მკვლევართა მართებულ თუ მცდარ დებულებებს და ყოველ მათგანს კუთვნილ პატივს მიაგებს, არსად არ ღალატობს ზომიერების გრძნობა, ყველგან და ყველაფერში ჩვეულ დელიკატურობას იჩენს. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში გურამ ასათიანი უპირატესობას, უპირველეს ყოვლისა, თვით პოეტის ლიტერატურულ შეხედულებებს ანიჭებს.

შეუმცდარი გემოვნების მაჩვენებელი, ზომიერი ხატოვანი აზროვნება მიმზიდველად წასაკითხს ხდის მკვლევარის გულდინჯ ნაშრომს, რომელსაც არავითარი განმარტება არ სჭირდება, თვითეული ფრაზა კლასიკურად სადა, გამჭვირვალეა. ამას ორი მოზრდილი ამონარიდის მოხმობაც დაადასტურებს:

„ვაჟა-ფშაველას პოეზიის ლირიკული გმირი, ისევე, როგორც მისი პოემების პერსონაჟები, თავისი სულიერი აგებულებით ხშირად „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავ ხასიათებს გვაგონებენ.

ცხადია, ვაჟა არც თავის საუკუნეში ყოფილა ერთადერთი პოეტი, რომელმაც ქართული ხასიათის თავისებური ელფერი გამოხატა.

როგორც ჭეშმარიტად დიდი ეროვნული მოვლენა, მთელი მისი პოეზია თავისი სულით, განუყოფლად არის დაკავშირებული მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის თავისებურ ჰუმანისტურ პათოსთან.

მაგრამ მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შესწავლა ძალა ასე აუმღვრევლად შეეზავებინა თავის პოეზიაში მთიდან მომსკდარ

ზვავ-მენყერთა გრგვინვა და ქუხილი ყველაზე ნაზ და მგრძნობიარე, თითქოს ჩურჩულით ნათქვამ სიმღერასთან. თანამედროვეთა შორის მხოლოდ ის იყო დაჯილდოებული ნათელხილვის იმ გრძნეული ნიჭით, რომელსაც ცხოვრების ტლანქ, შეულამაზებელ მიწიერ ფორმებში ღვთიური მადლისა და მშვენიერების განჭვრეტა ძალუძს. მისი პოეზიის თავისებური კილოც ამ ორი, ერთნაირად ძლიერი და ორგანული სანყისის იშვიათ შეთანხმებაზეა დაფუძნებული“.

სხვა მოსაზრებებს რომ თავი დავანებოთ, მარტო „ვეფხისტყაოსნის“ გმირებთან გავლებული პარალელიც მძლავრი ბიძგის მომცემია, რის გამოც ჩვენს მკვლევარებს დაფიქრება მართებთ.

მრავალ ურყევ არგუმენტს ემყარება, არავითარ ეჭვს არ იწვევს შემაჯამებელი დასკვნა, რასაც გურამ ასათიანი თავისი ნაშრომის ბოლოს გვთავაზობს:

„გასულ საუკუნეში ვაჟა-ფშაველა იყო ის რჩეულთა შორის რჩეული, ორი ეპოქის მანძილზე მიმდინარე ესთეტიკური განვითარების დამაგვირგვინებელი პოეტი, რომელმაც შეძლო უაღრესი, სრულყოფილი ფორმით გამოეხატა „მინისა“ და „ცის“, „ნივთიერისა“ და „იდეალურის“ – რეალისტურისა და რომანტიკულის ურთიერთგანმსჭვალავი, დრამატული მთლიანობა.

შვიდსაუკუნოვანი ინტერვალის შემდეგ, მან ახალ დროში, ახალი სულისკვეთებით, პოეტური აზროვნების ევოლუციის ახალ საფეხურზე, კვლავ მიაღწია რუსთველური, რენესანსული ჰარმონიის აღორძინებას“.

ამ უზადო ლიტერატურული პორტრეტის მიუკერძოებელ ნამკითხველს მხოლოდ ერთადერთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს – ეს არის განონასწორებული გრძნობისა და ფხიზელი, დახვეწილი გონების ბედნიერი ნაზავი, რაც ჩვენს სინამდვილეში ასე იშვიათია.

გასულ, 2014 წელს გამოვიდა ბიოგრაფიული რომანების განსაცვიფრებ-

ლად ნაყოფიერი მწერლის როსტომ ჩხეიძის ვებერთელა მონოგრაფია „დევების სტუმარი“ (ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკა), რომელშიც დიდძალი უნიკალური, ახალი თუ ნაკლებად ცნობილი, მივიწყებული მასალაა თავმოყრილი და ბევრად სცილდება „ცხოვრების ქრონიკის“ ჩარჩოებს.

ნამიკითხავს – მოხდენილი, კარგი სათაური საქმის ნახევარი. როსტომ ჩხეიძის მიერ შერჩეული სათაური მართლაც რომ ბედნიერად არის მიგნებული და იგი ყველაზე მეტად შეფერის, მიესადაგება ვაჟა-ფშაველას გენით აღბეჭდილ ურყეულ, გრანდიოზულ სამყაროს.

ვაჟა ორბელაძის მიერ საუცხოოდ გაფორმებულ ამ მონოგრაფიას მრავალი ღირსება აქვს და ერთ მათგანზე ანოტაციაში ნათქვამია:

„თურმე შესაძლებელი გახლდათ სრულიად სხვა რაკურსიდანაც წარმოჩენილიყო ეს რჩეული პიროვნება, თავისებური სიმბოლური სახეცა ჩვენი ქვეყნისა, ემბლემაც და სავიზიტო ბარათიც კაცობრიობის წინაშე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარდგენისა“.

თავისთავად, ისედაც იგულისხმება, რომ როსტომ ჩხეიძე, როგორც მას სჩვევია, ითვალისწინებს ვაჟა-ფშაველაზე შექმნილ წინამორბედთა ყველა მნიშვნელოვან ნაშრომს, თავის მხრივაც ბევრ სიახლეს გვანჯდის, რაც ამ წიგნის ფასს საგრძნობლად ზრდის.

ვაჟა-ფშაველა საძრახისად არასოდეს თვლიდა მწერალზე სხვა მწერლის გავლენას, პირიქით, ეს ლიტერატურის გამდიდრების, გამრავალფეროვნების ერთერთ მთავარ მოვლენად მიაჩნდა. თვითონ არ დაუმალავს, რა დროული და საჭირო ბიძგი მისცა საერო კილოთი დაწერილმა რაფიელ ერისთავის განთქმულმა ლექსმა „სამშობლო ხევსურისა“; ხაზგასმულად აღნიშნავდა, რომ თავისი პოემა „მოხუცის ნათქვამი“ ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულის“ ნაკითხვის მერე დაწერა. იმის მაგალითად, რა არსებითი

მნიშვნელობა აქვს შემოქმედზე გავლენას, პუშკინსა და ტოლსტოის ასახელებს, მაგრამ იქვე წერს, რომ ამის გამო ისინი მიმბაძველებად არავის გამოუცხადებიაო.

ვაჟა-ფშაველა არაერთგან უდიდესი თაყვანისცემით მოიხსენიებს ლევ ტოლსტოის და მის გარდაცვალებასაც (1910) გულშიჩამწვდომი, ღრმააზროვანი ლექსით გამოეხმაურა, აღნიშნა – საყოველთაო სიყვარულის მქადაგებელი გენიალური მწერლის არსებაში (იგი ეკლესიამ გაკიცხა) რა მტკიცედ ჰქონდა გადგმული ფესვი ქრისტეს მოძღვრებას და საქვეყნოდ განაცხადა: „ველარ იპოვოს მისებრ გვამი რუსეთმა თავის სამფლობელოში“.

კვლავ უნდა გავიმეორო – ვაჟას შეცნობილი ჰქონდა საკუთარი სიდიდე და თავისი თავი მწერლობის ტიტანთა მახლობლად ეგულებოდა, მიაჩნდა, რომ მათი ჯიშისა და მოდგმისა იყო (ერთგან კატისა და ვეფხვის ანალოგიაც მოაქვს). ძალზე საყურადღებო წერილში „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, სადაც იგი მკაცრად აკრიტიკებს რუსთაველის უკვდავი ქმნილების ვერგამგებ და დამამცირებელ მკვლევარებს, მოკრძალებულად წერს: „მე, რასაკვირველია, რუსთაველი არ გახლავართ: სად იალბუზი და სად კვერნაკი?! მაგრამ კვერნაკი ცოტად თუ ბევრად უფრო ჰგავს იალბუზს, ვიდრე ტირიფონის მინდორი. მზე მზეა, მაგრამ მას სულ უკანასკნელი ჭიჭა ვარსკვლავი უფრო მიემსგავსება, ვიდრე სხვა რამ საგანი ცის სივრცეზე, ვინაიდან ვარსკვლავი და მზე ერთს ბუნების კანონს ემორჩილებიან და მათი ბუნება, ცოტად თუ ბევრად, ერთი მეორისას ეთანხმება...“

ეს აზრი წერილში შემდგომ კიდევ უფრო ღრმავდება, სხვა მაგალითითაც არის გამაგრებული, მაგრამ ისედაც ცხადია თუ რისი თქმაც უნდა პოეტს და იგი ცამდე მართალია.

ცნობილია, რაოდენ კოლოსალური მნიშვნელობა აქვს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მთის ხატს. მთას, არწივთა საბუდარსა და სამყოფელს, თავისუფ-

ლების, ცასთან, ღმერთთან სიახლოვის, სინმინდის, თვით უკვდავების განსახიერებად თვლიდა. თავისი მრწამსი, დვრიტა ყველაზე ამაღლებულად და ნათლად გამოთქვა სიმღერის ფორმით (ხალხურ ყაიდაზე განწყობილ ამ საზომს იგი ძალზე ხშირად იყენებდა) დაწერილ ლექსში „მთას ვიყავ“ (1890), სადაც მთავარი ადგილი ისევ და ისევ მთას უჭირავს. მოვიტან ამ ლექსის ნაწყვეტს:

*მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,  
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა, –  
გულზედ მესვენა მზე-მთვარე,  
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.  
საკეთილდღეო ქვეყნისა  
მედვა სულად და გულადა:  
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი  
მქონდა მეორე რჯულადა.  
ეხლა თავ-თავქვე მოვდივარ,  
ხევში მიმელის ბნელია,  
თან მიმდევს ფიქრი მწუხარე,  
გულის, გონების მწველია.  
მალლიდან დაბლა ჩამოსვლა,  
ვაჰმე, რა მეტად ძნელია!*

„მეორე რჯული“ ტყუილად როდია აქ ნახსენები. ზურაბ კიკნაძე თავის ფრიად ღრმა, მნიშვნელოვან ესსეში („ვაჟა-ფშაველას მთა და ბარი“) საგანგებოდ განიხილავს ამ ლექსს და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს:

„ეს არ არის უბრალო მთა; ეს არის სინაი. აქ არის ღვთის გამოცხადება, აქ იდგა მოსე ადამიანობის ძლიერი შეგნებით, აქედან მოდის წინასწარმეტყველება, პოეზია, შთაგონება ხალხის სამსახურისთვის, აქედან იღებს დასაბამს რჯული“.

თავის დებულებათა დასამტკიცებლად მკვლევარი დიდძალ მასალას მოიხმობს, საიდანაც ბუნებრივად გამოაქვს დასკვნა:

„მთა ვაჟას პოეზიაში გააზრებულია როგორც სულიერი ამაღლების, ზნეობრივ-შემოქმედებითი სრულყოფის ადგილი, ხოლო სვლა მთისაკენ – როგორც გზა სრულყოფისაკენ“.

იქვეა ნათქვამი და სათანადოდ დასაბუთებულიც, რომ „ზნეობრივი სრულყო-

ფისაკენ სწრაფვის მეტაფორას“ სათავე ფსალმუნებში ეძებნება.

ზემოთ მოყვანილ ლექსის ნაწილში ისიც აშკარად ჩანს, როგორ უჭირს ღმერთთან მოლაპარაკე პოეტს განმასპეტაკებელი მწვერვალიდან, სადაც კოსმიური მასშტაბის ხილვა ეწვია („გულზედ მესვენა მზე-მთვარე“) დაბლობში, ხევის სიბნელეში დაშვება, ყოველდღიურ უსიამოვნო სინამდვილესთან, ყოფით წვრილმანებთან დაბრუნება, ღვთაებრივი ნათელიდან ბარის წყვდიადში მოხვედრა. ამის მიმანიშნებელია ეს მწარე ამოძახილი:

*მალლიდან დაბლა ჩამოსვლა,  
ვაჰმე, რა მეტად ძნელია!*

ეს გულის შემალონებელი, ტრაგიკული განცდა ვაჟა-ფშაველამ გამოხატა არაერთ ლექსსა თუ პოემაში, რაც ცალკეულ მკვლევარებს ალუნიშნავი არ დარჩენიათ. გენიალური პოეტი, უკვე ორმოცი წლისა, დაღალა, გატეხა არსებობისათვის მძიმე ფიზიკურმა შრომამ და ამაზე იგი, ჩვენდა სამარცხვინოდ, თვითონვე წერდა.

წინამდებარე წერილში შეზღუდული მოცულობის გამო, ვერ შევძელი განმეხილა ვაჟას ღვთაებრივი ლექსები, შეუდარებელი ეპოსი, თავანკარა ქართულით დაწერილი პროზაული შედევრები, ვერც მისი ღრმააზროვანი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერები, ციკლი ეთნოგრაფიული წერილებისა („ფშავლები“, „ხევსურები“, „ლაშარობა“, „კოპალა და იახსარ-დევების მებრძოლნი“, „ხევსურული ქორწილი“, „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“, „ძველი და ახალი ფშავლების პოეზია“, „ლაშარის ჯვრის დღეობა ანუ ლაშარობა“ და სხვები), რომლებიც ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს მთიელ ქართველთა ყოფისა და კულტურის შესასწავლად.

ვაჟა-ფშაველას მდიდარი პუბლიცისტიკიდან აქ უნდა მოვიხსენიოთ და დავიმონწილოთ პრინციპული ხასიათის წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, სადაც იგი ეკამათება ზოგიერთებს, რომელთაც კოსმოპოლიტიზმი სალანძღავი

სიტყვა ჰგონიათ, ვინაიდან არ ესმით მისი ნამდვილი არსი.

დღესაც ყურად უნდა ვიღოთ პოეტის ბრძნული შეგონება, რადგან იგი ჭეშმარიტებაა და არასოდეს დაკარგავს აზრს. ვაჟა წერს:

„ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს თავის ძალღონით, თანამოძმეთ სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის“.

წერილის დასკვნით ნაწილში ვაჟა-ფშაველა მკაფიოდ გამოხატავს თავის ურყევ პოზიციას, რასაც განსაკუთრებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ, უკუღმართად გაგებულ გლობალიზაციის მოძალების პერიოდში, როდესაც მცირე ერების თვითმყოფობას და არსებობასაც რეალური საფრთხე ემუქრება. ეს სიტყვები ამჟამად დაწერილს ჰგავს:

„კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მონინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავის თავს, თავის საკუთარის ძალღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნე-



ბათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“.

ბუნებრივია, სურვილი გვაქვს პატივისცემით მოვიხსენიოთ ადამიანები, რომელთაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევაში, რის მეოხებითაც გენიალური პოეტის მემკვიდრეობა სასურველ დონეზეა შესწავლილი, თუმცა ამ მხრივ გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. მოგვაქვს მათი არასრული სია: აკაკი შანიძე, სერგი დანელია, სოლომონ ყუბანიევილი, ამბერკი გაჩეჩილაძე, სოლომონ ხუციშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, ქსენია სიხარულიძე, მიხეილ კვესელავა, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე ჭეიშვილი, თინათინ ოჩიაური, აკაკი ხინთიბიძე, ლევან მენაბდე, ალექსი ჭინჭარაული, ლევან ჭარელაშვილი, აკაკი ბაქრაძე, ზაირა არსენიშვილი, ნინო აბესაძე, რევაზ სირაძე, იუზა ევგენიძე, ლეილა თეთრუაშვილი და სხვები.

ვაჟას სახეს გამორჩეული ადგილი უკავია მეოცე საუკუნის ქართველი პო-

ეტების – გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე აბაშელის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, გრიგოლ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის, მირზა გელოვანის, ლადო ასათიანის, გაბრიელ ჯაბუშანიურის, ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის, ოთარ ჭილაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, გივი გეგეჭკორის და სხვათა შემოქმედებაში, მაგრამ ეს უკვე ცალკე ნერილის თემაა.

მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას მუდამ საამაყოდ დარჩება, რომ ვაჟა-ფშაველამ თავის უკვდავ, მარადიული ღირებულების მქონე შემოქმედებაში უმაღლესი საკაცობრიო იდეალები განუმეორებელი ძალმოსილებითა და სიღრმით გამოხატა.

თაობები საუკუნეების შემდეგაც უსაზღვრო სიყვარულით გაიხსენებენ ღვთიური მადლით ცხებულ პოეტს, ბრძენკაცს, ვინაც ჩასწვდა სამყაროს უდიდეს საიდუმლოს, შეიცნო და გაითავისა ბუნების ენა.

## თამაზ ტყემანაძე



### გრიგოლ ორბელიანის უიღლო სიყვარულის ამბავი

„მოგილოცავთ, მაგრამ რა გინდა, სალომე! იქამდინ ორი ქალი გყუანდა და თითქმის პეტერბულითგან ისპაჰანამდი გაგიჟებულნი იყვნენ ხალხნი – ახლა ეგ მესამეც“ – ამ ბარათით გრიგოლ ორბელიანი 1835 წელს ვოლენსკის გუბერნიიდან მესამე ქალიშვილის შეძენას ულოცავს ნინო ჭავჭავაძის დედას, სალომე ორბელიანს (აქვე აღვნიშნავთ, რომ სალომე ორბელიანი და გრიგოლი ერთმანეთს ენათესავებიან – მათი პაპები ძმები არიან!).

გრიგოლის ეს ხუმრობით ნათქვამი სიმართლეს ეფუძნება – მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ტფილისის გრაციებში მართლაც რომ ბრწყინავენ ალექსანდრე ჭავჭავაძის და სალომე ორბელიანის შვილები – ნინო და ეკატერინე. განსაკუთრებით ნინომ – ალექსანდრე გრიბოედოვის ჩვიდმეტი წლის ქვრივმა, ისპაჰანიდან პეტერბურგამდე მრავალი ვაჟკაცის გული დაკოდა. მათ შორის იყო დიდი რომანტიკოსი და უშიშარი მხედართმთავარი გრიგოლ ორბელიანი. ნინოს ტრფობის ბადეში ერთი ნახვით ებმებოდნენ: მთავარმართველები, დიდი მხედართმთავრები, მინისტრები, მოგზაურები, მწერლები, ისტორიკოსები... ქართველი, რუსი, გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, სპარ-

სი... მისი ერთი თაყვანისმცემლის, მთავარმართველ ნ. მურავიოვ-ყარსკის მოგონებით, 1827 წელს სპარსეთმა იმიტომ არ აიცილა რუსეთის იმპერიასთან ომი, რომ სპარსეთის ტახტის მემკვიდრეს, ამ ომში სპარსეთის მთავარსარდალს, აბას მირზას, ნინო ჭავჭავაძის მოტაცება სურდაო. სპარსელები მაშინ ლამის თბილისის მისადგომებთან მოვიდნენ. ამ ბრძოლას ათასობით ადამიანი შეენირა.

გრიგოლის ნინოსადმი მიძღვნილი პირველი ლექსები 1829 წლის, იმ დღეებში იწურება, როდესაც თბილისში გაიგეს, თეირანში როგორ უღმობლად დახოცეს დიპლომატიური მისიის წევრები და მოკლეს მათი მეთაური ალექსანდრე გრიბოედოვი. ნინო ჭავჭავაძე თალხმოსილი სამძიმარს იღებს. მიუსამძიმრებია მისთვის უკვე ცნობილ მხედართმთავარს (ჯერ უცნობ პოეტს) გრიგოლ ორბელიანს და სახტად დარჩენილა ეგზომ ახალგაზრდა ქვრივის, ნინო ჭავჭავაძის სევდიანი მშვენებით. მგლოვიარე ნინოს ხილვის შემდეგაა დაწერილი „მტირალ ნ-ს“:

*თუ ტურფანი თვალნი შენნი ცრემლთ  
აფრქვევენ მწუხარებით,  
სულისა შენის ტანჯვანი არ არს  
უკეთუ ოცნებით,*

მაშ მოვედ, მნათო! ჩემს გულზედ  
 შენუხებულის შევენებით,  
 ნაცვლად შენსა მე ვიკვნესო, შენის  
 ჭმუნვისა მილებით.  
 თუ ოცნებით ცრემლსა აფრქვევ, ეგე  
 ცრემლი, ოჰ, ვით გშვენის!  
 ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა  
 გამობრწყინვის,  
 ვარდებრივთა ღანვთა ზედა  
 მარგარიტნი გადმოცვივის,  
 თუ შეჰსწყვიტო, შევინანებ, გიმზერ  
 ჩუმად და მიხარის.

ეჰ, მართლაც შეუცნობელია სიყვარულის იმპულსები. აგერ ვერაგულად მოკლულ ქმარს გლოვობს ნინო ჭავჭავაძე და მისი სიყვარულით თავგზადაკარგულ გრიგოლს საამოდ ჩაესმის მისი ქვითინი. ცრემლები კი არა, მარგალიტნი გცვივიან ღამაზე თვალთაგანო – „თუ შესწყვიტო, მე ვინანებ, გიმზერ ჩუმად და მიხარის“.

მგლოვიარე ჩვიდმეტი წლის ნინოს მიმართ გრიგოლ ორბელიანის ამგვარი განცდა შესაძლოა იმან დაბადა, რომ, ვინ იცის, იქნებ, ორიოდ წლის შემდეგ ნინო მისი კანონიერი მეუღლე გამხდარიყო. მიძღვნილი ლექსის ერთი სტრიქონი: „მაშ, მოვედ მნათო! – ჩემს გულზედ შენუხებულის შევენებით“ – ნამდვილი შედეგია და გრიგოლის პოეტური ხილვის ვეება უნარზე მიგვანიშნებს.

უცნაურია, რომ სწორედ ამ გლოვის დღეებში დაიბადა შემდგომში ცნობილი ლიტერატორი, ყურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ვერც იგი დარჩება გულგრილი, როდესაც მასზე ჩვიდმეტი წლით უფროსს, ორმოცი წლის ნინოს იხილავს. ივანე კერესელიძის თოთხმეტმარცვლოვანი ლექსის 26 სტრიქონი ამ უღამაზესი ქალბატონის თითოეული ნაკვთის აღწერაა. ასეთი ეჭვიც კი გასჩენია:

ვგონებ, რომ ზენას განგებითა  
 მოუბერია;  
 ჩვენთა საოცრად ეს არსება

მოუვლენია!  
 შესაძლო არ არს იგი იყოს კაცობრივ  
 ქმნილი!  
 არა, არ მჯერა, თუ რომე არს ადამის  
 შვილი!!

ნინოს გარდაცვალებიდან საუკუნის შემდეგ ასევე ცხოველმყოფლად განიცდიდა მშვენიერი არისტოკრატი ქალის ხატს გოგლა ლეონიძე:

შენს სილამაზის იქით ბნელდება  
 და იხურება ცისკრის კარედი:  
 შენ მოგაყარეს მინა ბელტებად,  
 მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს  
 იკარებდი!

ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ,  
 ათას წელს გასძლებს შენი მშვენება;  
 შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო,  
 შენგან არასდროს მომესვენება.

შაბაშ, შენს პოეტურ ნიჭს, მამრის ალლოს, გოგლა ლეონიძე! ნინო ჭავჭავაძეს აბსოლუტური სიზუსტით ესადაგება ეს მშვენიერი ეპითეტი: „შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო!“

ბევრისმთქმელია გრიგოლ ორბელიანის 1830 წლის 7 ნოემბერს ზაქათალაში დაწერილი ლექსი „ნ...დმი“, რომლითაც ნათელი ხდება, რომ ნინოს სიყვარულს მტერთან უშიშრად მებრძოლი ვაჟკაცი ღამის დაუბერავებია. სურს, მიუახლოვდეს, მაგრამ ნაბიჯიც ვერ წარუდგამს მისკენ; სურს, გულის ხვამიადი გააგებინოს, მაგრამ ენას ვერ ამოძრავებს, ეს ყველაფერი კი თვითონ უფრო უკვირს, ვიდრე ჩვენ:

მნათობო! თვით შენ აღმიხსენ, რა  
 მემართების, რასა ვჰგრძნობ,  
 როს გხედავ, რადა ვჰწითლდები, რად  
 ვჰკრთები, ვჰშიშობ და ვჰხარობ?  
 მაშინ რად ენა სდუმდების, როს  
 შენთან უბნობას ვჰცდილობ,  
 და რისთვის ნაცვლად სიტყვათა,





მხოლოდ ოხვრითა ვმეტყველობ?  
 მრავალგ ზის ვფუცავ არ გნახო,  
 მაგრამ ყოველ ჟამს გეძიებ,  
 როს გხედავ, გულსა სახმილსა  
 მდუმარედ მყოფსა აღმიგზნებ,  
 მაშინ მე, შმაგი, ყოველთა გარე ჩემს  
 საგანთ ვივინყებ;  
 ხანა ვჰსწყევ შენთა სიტურფეთ და  
 ხან კი მათვე ვაღმერთებ.

მრავალ გზის ვფუცავ გივინყო, და  
 ვჰქმნაცა ნება გონების;  
 მარამ როს გხედავ, გონების რჩევა  
 სრულიად არ მესმის...  
 გული ხელმწიფებს და უფრო  
 უძლიერესად შენ გეტრფის,  
 და გულის მონად შექმნილი გონებაც  
 შენდა მოჰფრინვის!

1829 წ. 18 ივლისს გრიბოედოვის ნატანჯი სხეული მთანმინდის მიწას მიაბარეს. მეორე დღიდან მწოლიარე ავადმყოფი შეიქნა ნინო ჭავჭავაძე. გასულა ლამის წელიწად-ნახევარი და ახალგაზრდა ქვრივს, როგორც იქნა, დაუძლევია სახელოვანი მეუღლის ტრაგედიით გამოწვეული კაეშანი (აქვე ისიც უნდა ვთქვათ, თეირანში დატრიალებული ტრაგედიის ამბავი რომ გაიგო, ნაადრევი მშობიარობით შვა ვაჟი. უდღეურ ბავშვს ალექსანდრე დაარქვა და მხოლოდ ქრისტიანულად მონათვლა მოასწრო მისი). სწორედ იმჟამინდელია ნინოს პირველი და უკანასკნელი ლექსი თუნ ლექსის მცდელობა. იგი ოჯახის ახლობელს მისწერს:

ბრწყინვალე კნიაზო  
 დიმიტრი დავითის ძეო!

თვრამეტ თვის სნეულს,  
 თქვენგან წყალობას ჩვეულს  
 მაღირსეთ მოგონება,  
 მესამედ გაგონება,  
 ვგდივარ ცუდსა საკანსა,  
 ხელთ ვერ ვიღებ კალამსა

ძველ მონად მომიკითხე,  
 მეც გყო ღვთითა გალობა,  
 და თქვენთვის შევედრება.

ეს ლექსი რატომ მოვიძიეთ?!  
 1831 წელს გრიგოლ ორბელიანი პეტერბურგს გაგზავნეს. გენერალ სტრეკალოვის ბრძანებით, ზაქათალის და სპარსეთ-თურქეთის ომებში უშიშარი მეომრის სახელით ცნობილ გრიგოლს რჩეული ჯარისკაცები უნდა ჩაეყვანა იქ. ამ ფაქტმა ააცილა მას 1832 წლის შეთქმულების ეპიცენტრში ყოფნა – შემდგომ იგი გამოდიებამ მხოლოდ მეშვიდე კატეგორიის დამნაშავედ ცნო.

და აჰა, უგრძეს და ხიფათით სავსე გზას უნდა დაადგეს ოცდაშვიდი წლის პროპორშიკი. ვინ იცის, როდის დაბრუნდება საქართველოში, თბილისში, სადაც, უსაშველოდ შეყვარებული, ნინო ჭავჭავაძეს ტოვებს. ან დაბრუნდება კი?

გრიგოლი ამხედრებული მიდის ნინოსთან გამოსამშვიდობებლად დღევანდელი მისი სახელობის მოედანზე, სადაც ცნობილი ექიმის, კარლ დეპნერის სახლში დაედო ბინა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს. ძლიერ სურდა გრიგოლს, შინ მარტო დახვედროდა თვალმშვენიერი ნინო – ეგების ახლა მაინც ეთქვა, რა სიძლიერით შემოჭობია გულს მისი სიყვარული. აქ ერთი წამით გავიაზროთ ნინოს ლექსი. 1829 წლის 18 ივლისს დაკრძალეს გრიბოედოვი და ნინო მწოლიარე ავადმყოფია 18 თვის განმავლობაში. ე.ი. 1831 წლის დამდეგს დაბრუნებია რეალურ ცხოვრებას.

ექვსი თვეც მილეულა და უკვე 1831 წ. 7 ივნისს ნინო, ეკატერინე და მაიკო (თუ მაია) ორბელიანები დეპნერის სახლის აივნიდან მოღრუბლულ ცას გასცქერნიან. დროდადრო იელვებს და ქუხილის ხმაც ისმის. რომანტიზმითაა გაჟღერებული სამყარო და ჩვენი არისტოკრატი ასულებიც ხარკს უხდიან რომანტიზმს. დანარჩენს გრიგოლ ორბელიანის ეს პატარა მგრძნობიარე ესკიზი გვეტყვის:



ნ.ე.მ.

„გახსოვსთა დღე იგი, ოდესცა მე, გულითა – მწუხარებისაგან შეინრობულითა, მოვედ რა თქვენდა ნ... გამოსასალმებლად, გიხილეთ მოულოდნელად სამნივე ერთად ნ. ე. მ., ვითარცა მშვენიერი გრაციანი, მჯდომარენი მოაჯირზე ფანჯარასთანა და უმზერდით ყმანვილურისა სიამოვნებითა საშინლად აღრეულთა ღრუბელთა და ისმენდით უშიშრად ქუხილთა, რომლისა გრგვინვათა განამეორებდენ მითანი, – უმზერდით უშიშრად და არა უწყოდით, თუ უსაშინელეს ამა ღრუბელთა არიან ღრუბელნი ვნებათანი, ცხოვრებისა ჩვენისა დამამწარებელ და დამაბნელებელნი, რომელნიცა ჯერეთ არა შეხებიან გულთა თქვენთა, აქამომდის უმანკოთ, წმინდათ და ნათელთ. მოვედ თქვენდა და მსურდა მხიარულად მეჩვენა თავი ჩემი; მარამა მხიარულისა სახის ქვეშ ვერა დავჭფარე თვალთაგან თქვენთა მწუხარებით მდგომარეობა გულისა ჩემისა. შემამჩნიეთ მჭმუნვარება და იწყევით ჩემდა ნუგეშისცემა. მე ვიჯგე მდუმარედ: ვისმენდი სიტყვათა თქვენთა, მსურდა მეცა უბნობა, და ვერცა ერთის სიტყვისა ვერა შევძელ წარმოთქმად. გახსოვთა, რა გესმათ ჩემგან სიტყვა მშვიდობით, თვალნი თქვენნი უნებლიეთ აღივსნენ ცრემლითა, ერთი და ორიც გადმოგცვივდათ მშვენიერთა ღანვთა ზედა, ხოლო ბაგენი ღიმილითა ჰსცდილობდენ დაფარვასა მწუხარებისა თქვენისას. ახ! ვითარ მშვენიერ იყვნით წამსა მას, ვითარ გშვენოდით ცრემლნი, – არა გიხილავსთა მშვენიერსა გაზაფხულისა დილასა ვარდი ახლად გაშლილი, რომელსა ზედაცა ბრწყინვალეებს ზეცისა ნამი, ანუ არა გახსოვსთა მზიანსა დღესა მონმენდილი ცა, გადმომცვრეველი წვიმისა, რომლისა თვითოეულნი მარცვალნი, მზისა სხივითა განბრწყინვალეებულნი, ჰსცვივიან მარგარიტებრ და ასიამოვნებენ თვალთა, ესრეთ იყვნენ ცრემლნი თქვენნი. სიხარულმან განანათლა და განაბნევა მწუხარებითი სიბნელე სულისა ჩემი-

სა. ნუთუ ვარ ესრეთ ბედნიერ, რომელ ღირს ვიქმენ ცრემლისა თქვენისა? ნუთუ გულთათვის თქვენთა ვმნიშვნელებ რასმე? ამა ჰაზრმან სრულად მავიწყა, რომელ წამსვე მას გესალმებოდით. ესრეთა მცირედი სიხარული ავიწყებს მრავალთა სიმწარეთა. – ან შესაძლო არს, რომელ არცა დღე იგი, არცა ნუგეშისცემა და აღარცა თვით მე გახსოვართ თქვენ! მარამა დღე იგი არაოდეს არა აღიხოცების გონებისაგან ჩემისა. ოდესცა მენვევის მწუხარება, ანუ უბედურება, რომელნიცა არიან კაცთათვის აუცილებელ და განუყრელ სიცოცხლესა თანა ჩვენსა, მაშინ მომაგონდების, ჰე, გრაციანო, ცრემლნი თქვენნი. ჩემთვის გადმოცვინულნი, და ვიქმნები მით ნუგეშცემულ“.

გრიგოლ ორბელიანის რა საოცარ სინაზეს გვამცნობს ეს პატარა ესკიზი, რომელიც ნინოს ხილვიდან ჩვიდმეტი თვის შემდეგ პეტერბურგს, დაუპურებელი მონატრების ჟამს არის შექმნილი. ცრემლებიც კი სდის უშიშარ მეომარს. ეს ცრემლები, ფაქტობრივად, მისი უპასუხო სიყვარულის დატირებაა.

გრიგოლმა სიყვარული ნინოს ვერ გაუმხილა (როგორც ჩანს!) მათ შორის ნათესაური სიახლოვის გამო. მეორე ხელის შემმლეელი ფაქტორი უნდა იყოს ის, რომ გრიგოლი, ქართველ ფეოდალურ ოჯახთა ტრადიციისამებრ, ბავშვობიდან დანიშნული იყო სოფიო ორბელიანზე, ნინოს ახლო მეგობარზე. ნინოც, სხვა ახლობელთა მსგავსად, ხშირად საყვედურობდა გრიგოლს, თუ რატომ არ იწერდა იგი ჯვარს თავის „აკვანში დანიშნულ“ სოფიოზე. ტყუილად მიიჩნევენ ლიტერატურის მკვლევარნი გრიგოლის ლექსს „ს-ს“, როგორც „სოფიოს“. ამ ლექსის შინაარსს არავითარი საერთო არა აქვს სოფიოსთან. სათაური ლექსისა უნდა იკითხებოდეს „სატრფოს“ და უნდა მოიაზრებოდეს ნინო ჭავჭავაძე. მაშინ ყველაფერი იოლად გასაგები გახდება! სოფიო ორბელიანს მობეზრდა უქმი ლოდინი. ქალები ხომ ინსტინქტით ხვდებიან,

ვის როგორ უძგერს გული მათ მიმართ. სოფიომ სწორი ნაბიჯი გადადგა. იგი მაღალი რანგის ჩინოვნიკს, ბეზაკს გაჰყვა ცოლად. ამ ფაქტს ჩვეულებრივად შეხვდა გრიგოლი. ცხადია, გაუხარდა კიდევ ერთი ბუნებრივი დაბრკოლება თავისთავად გაქრა მისი და ნინოს შემაერთებელ ბილიკზე.

გრიგოლს მისჯილი აქვს საქართველოს გარეთ სამსახური. წერილები მიდი-მოდის უშორეს გზაზე. ჩვენდა სასიხარულოდ, ბევრმა მოაღწია ჩვენამდე. იგი თავისი მოკეთე-მეგობრებისაგან იგებს, თუ სად და ვისთან ერთად იყო ნინო წვეულებაზე; სად ადღეგრძელეს და აქვს გრიგოლი; სად დაუკრეს ჩარგა მისი მონატრების დასტურად. ეპისტოლური მემკვიდრეობის ოდნავი თვალის გადავლებითაც საცნაური ხდება: გრიგოლის მდულარე ლექსები და მუხამბაზები ნინო ჭავჭავაძის უშეღავათო სიყვარულისადმი რომ არის მიძღვნილი, არავისთვის არ არის ცნობილი, არავისთვის გაუმხელია ეს რომანტიკოს პოეტს. არაფერი არ იცის ამ სიყვარულზე გრიგოლის მომდევნო ძმამ, ზაქარია ორბელიანმა, თორემ, გამორიცხულია, მიჯნურის თვალთ შებედა ნინო ჭავჭავაძისათვის. ნათესაური სიხლოვე, როგორც ჩანს, ზაქარიას სრულიად არ ანუხებს. აი, რას მისწერს იგი თბილისიდან პეტერბურგს თავის უფროს ძმას, გრიგოლს, თანაც ეს იმ დროს ხდება, როდესაც თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზაქარია ორბელიანმა ორიოდ დღეში ჯვარი უნდა დაინეროს ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი მესხიშვილის ქალიშვილზე, ქეთევანზე:

„ქალი (ქეთევანი – თ.ტ.) სრულებით არ მინახამს. ამათ ქართულად უნდათ რომ შევირთო და როგორ გავუძღებ თუ არ მეცოდინება თუ ვის ვირთავ. ჩემი

გულის დარდი კი არ იციან და მელაპარაკებიან, რომ ილაჯი არა მაქვს, შენმა გაზრდამ გრიგოლ! რომ სიცოცხლე არა მაქვს. შენ იცი, ვისთვისაც H... (ასე მიანიშნებდნენ ნინოს სახელს). მოდი და მიშველე რამე თორემ ძალიან გასაჭირში ვარ... არ გეხუმრები Не знаю что предпринять“...<sup>1</sup> სახტად დარჩენილი გრიგოლი 1834 წლის 30 ივლისს ძმას მისწერს: „...სად არის H... და ან როცა ნახე და ან როგორ იყო თქვენი შეყრა, დანვრილებით მომწერე. Не знаю что мне сказать о твоей любви, ибо я смотрю на нее, как на слабость человеческого сердца, более потому позволительную, что от нее выходят очень редко дурные следствия; ибо она скорее всех других слабостей проходит и оставляет по себе приятные воспоминания; по тому приятная, что он суть дела или шалости юных лет.“<sup>2</sup>

შე გიჟო! რათ მიგდის სიცოცხლე, მე თვით ვიცი, რომ H... არის ჭკვიანი, უმეტეს ლამაზი და უფრო კეთილი; მარამა მერწმუნე, მე გამოცდილებით გეუბნები, რომ არცა ერთი დედაკაცი მთელს ქვეყანაზე არა ღირს, რომ ნახევარ ნეკი მოიჭრას მისთვის, და შენ კი სიცოცხლე მიგდის. Как ты слаб! Впрочем желал бы тебе такую жену. Очень, очень жаль, что нельзя тебе на ней жениться<sup>3</sup> და სხვარიგად ვერას გახდები“.

ნინოს ტრფიალი უშლიდა ხელს ზაქარიას დაოჯახებაში, მაგრამ მიხვდა, რომ ამ სიყვარულს ფრთები შეკვეცილი ჰქონდა და უცაბედი გადაწყვეტილებით დაოჯახდა. უნდა ვთქვათ, რომ ზაქარიას პიროვნება ერთობ საინტერესოდ იძენება წერილებში: ხალისიანი, იუმორის ნიჭით აღსავსე, ქალიშვილების „შემანუხებელი“, სასურველი, ხუმარა...

გრიგოლმა მისი დაოჯახების ამბავი

<sup>1</sup> არ ვიცი, რა ვიღონო.

<sup>2</sup> შენს სიყვარულზე, არც კი ვიცი, რა უნდა გითხრა. მე მას ვუყურებ, როგორც ადამიანურ სისუსტეს და იმდენად დასაშვებს, რამდენადაც მას იშვიათად თუ ახლავს ცუდი შედეგი; ის ხომ სხვა სისუსტეებზე სწრაფად გადაგვივლის ხოლმე და გვიტოვებს სასიამოვნო მოგონებებს; საამოს იმიტიც, რომ ის არის არსი ჩვენი სიჭაბუკის და ონავრობის წლებისა.

<sup>3</sup> რა უმწეო ხარ! ისე, ასეთ ცოლს კი ვისურვებდი შენთვის. ძალიან ვწუხვარ, რომ შეუძლებელია შენი მასზე დაქონინება.

რომ შეიტყო, გაიბადრა! აი, კიდეც ერთი ყველაზე მძიმე დაბრკოლებაც გაქრა, ღვთის შენეებით, მისაღები და კეთილი მიზეზით. გრიგოლი ისე, როგორც უფროს ძმას შეეფერება, ლოცავს დაოჯახებულ ზაქარიას და მოძღვრავს კიდეც.

ზაქარიას დაოჯახებას ერთნაირი სულისკვეთებით გამოენმაურა ჭავჭავაძიანთ ოჯახი. სალომემ და მისმა ქალიშვილებმა ცხვირი აუბზიკეს ზაქარიას ცოლს, ქეთევანს. მათი აზრით, ორბელიანთა დიდებული გვარის შვილს არ უნდა შეერთო უბრალო აზნაურის ოჯახის შვილი. სალომე 1835 წლის 29 მაისს გრიგოლს სწერდა: „შენი განათლებული ძმაც აგრე დაგვცინოდა, ქართველი ქალები გაუნათლებლები ხართო, მაგრამ თვითონაც გაუნათლებელი ქართველი ქალი შეირთო. როგორ მოგნონს იმისი ვკუსი?“

ნინო მისწერს: „მომილოცავს ზაქარიას დაქორწინება, არასოდეს არ მეგონა იმის ამპარტავნობისაგან გულს ასე დაიმდაბლებდა, დეკანოზის ქალს შეირთამდა, Ax! Ветер, Ветер!“<sup>4</sup>

როგორც ირკვევა, ზაქარიას ქეთევან მესხიშვილის შერთვით ნინოსადმი სიყვარული არ განელებია. ერთ დღეს ზაქარიამ, როგორც იქნა, გაიგო, რომ მისი უფროსი ძმა თურმე დიდი ხანია ნინოს სიყვარულს გაუფიჟებია. ზაქარიას ეს ფაქტი უკან ნაბიჯსაც არ ადგმევინებს. იგი ისევ ღაღადებს ნინოს ტრფიალს და ძმას ერთგვარი შურითაც მიმართავს: „... გეტყვი სწორედ, რომ H... დაამწარა ჩემი სიცოცხლე ბიჭო! არა გრცხვენინან? რად მატყუებდი, შენ ჩემზე მეტად გყვარებია და ჩემს წინ მალაყებს რად თამაშობდი? ახლა შენ დაგრჩა ბურთი და მოედანი“.

ამის შემდეგაც მიმოდის წერილები ნინოსა და გრიგოლს შორის. ნინო სულ ასე იწყებს: „საყვარელო ძმაო გრიგოლ“. ერთი წერილი ზაქარიას ჩავარდნია ხელთ და ასეთი რამ მიუწერია არშიაზე: „ეხლა

მომივიდა ეს წიგნი შტაბში შენთან გამოსაგზავნად. შე კურკავ, მამ რა არის თუ არ უყვარხარ და არ გიყვარს?“ ისევ ეჭვიანობს ზაქარია, თუმცა ამ წერილებში მხოლოდ ნათესაური სიყვარულია, მეგობრული გულისხმიერება.

1835 წელს რიგაში მყოფი გრიგოლ ორბელიანი ნინო ჭავჭავაძეს უძღვნის, მართლაც, რომ ერთ მღუღარე ლექსს:

*ჰე, საყვარელო, ვის მიერ ძვირფასად  
მიღირს კვალად სიცოცხლე,  
ვინც დღენი დამწარებულნი წყნარის  
ღიმილით მინათლე!  
ვიდრემდის ტანჯვით ვითმენდე,  
შენგან სიშორის სიმწარეს?  
და ვიდრე ცრემლით შორიდგან  
ვუმზერდე სასურველს მხარეს?  
სანატრელ ჟამი შეყრისა, როს მოვალს  
სიტკბოებითა;  
ცამ შეჭმუხვილმან ჩემდამო, როს  
მოიდაროს შვებითა?  
ან გული რად ვერ გივიწყებს ჩემის  
სიცოცხლის შვენებას?  
რომ უგრძობლობით ქვა-ქმნილი ვერ  
სცნობდეს თვისსა ობლობას?  
თვით სიშორეცა შემექმნა ეშყის  
ცეცხლზედ ცეცხლ-დამმართი,  
მიკვირს ესდენ სიყვარულსა ვითარ  
იპყრობს გული ერთი?  
ვჰსცან, ტანჯვით არა გამქრალა  
გულს შინა ტრფობა ნამდვილი,  
თვარა აქამდის სიმწარის  
შემაშრებოდა მე ცრემლი!  
ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა,  
დამბერველ ეშყის ცეცხლისა,  
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი  
უზომო სიყვარულისა.*

გრიგოლს, როგორც იქნა, უფლება მიეცა, საქართველოში განაგრძოს სამხედრო სამსახური. მერე მრავალი ხანი იყო ბელაქან-ზაქათალის მხარეს – იქ შემოჭრილ დაღესტნელებს სდევნიდა.

<sup>4</sup> ეჰ, ქარო, ქარო!

ამ დევნაში ერთხელ წინანდალშიც მოხვდა, ბალშიც ისეირნა და ტკბილ-მწარე მოგონებები აეშალა. გრიგოლი უკვე ორმოცდაშვიდი წლის უცოლშვილო კაცია. იგი იგონებს 1826 წლის ზაფხულს, როდესაც წინანდალს სტუმრობდა და აქვე იყო თოთხმეტი წლის წინოც, რომლისკენაც უსაშველოდ ეზიდებოდა უხილავი ძალა, მაგრამ ოცდაორი წლის ჭაბუკი მაშინ ამ გრძნობას სახელს ვერ არქმევს...

*გახარებული შენის მშვენებით  
ნიავიც ფრთეთა ამოდ განშლიდა;  
ხან შენსა კავებს ნაზად შეხებით,  
ხან შენსა ლეჩაქს ეთამაშიდა!*

*საცა შენ იყავ, მუნცა მე ვრბოდი,  
გულ-მხიარული, სულ აღტაცებით;*

*ვითა წყალობას ცისას, ველოდი  
შენს ერთს მოხედვას ლმობიერებით!*

*სულ განაბული, ვით ანგელოზსა,  
გიმზერდი კრძალვით, გულ-ძგერით,  
სურვით;*

*გისმენდი ტკბილად ხმა სირინოზსა,  
ტრფიალი შენდა სულის შენირვით!*

*ან მასვე ადგილს ვჰზი მარტო ჭმუნვით,  
და დრო წარსული თვალ-წინ მეხატვის,  
როს გულს მინათდი მშვენების სხივით,  
მსურდა ცხოვრება შენთან და შენთვის!*

ამის შემდეგ კი გრიგოლი თავგამეტებით გადაეშვება კავკასიურ ომში. ერთ დროს რუსეთის ვერაგ მტრად მიმჩნე-

ვი ახლა მისი უერთგულესი გენერალია. უშელავათო ბრძოლებში ერთმანეთის მიყოლებით დაკარგა ორი ძმა – ილია და ზაქარია. როგორც აკაკი განერელია ამბობს: „ჰაზავათს არ ყოლია გრიგოლ ორბელიანზე მძვინვარე მტერი“. ამ დაუსრულებელმა ომებმა დიდი სახელი მოუტანა გრიგოლს, მაგრამ ყოველდღიურმა საზრუნვმა საკუთარ თავზე ფიქრი გადაავიწყა. ორთავიანმა არწივმა, როგორც იქნა, გატეხა დაღესტან-ჩეჩნეთის წინააღმდეგობა. შამილიც შეიპყრეს. კიდევ იყო შესაძლებელი, რომ შუახანს გადაცილებული გრიგოლი თავის გულით საყვარელთან ერთად, ერთ ოჯახში შეგებებოდა კარს მომდგარ სიბერეს, მაგრამ სწორედ ამ დღეებში ქოლერით გარდაიცვალა წინო ჭავჭავაძე.

გრიგოლმა სამოცდაცხრამეტი წელი იცოცხლა. მისი უკანასკნელი ოთხსტრიქონიანი ლექსი უდიდესი დრამატიზმით არის აღვსილი. ამ ოთხი ტაეპით ყველაფერი თქვა სახელოვანმა მხედართმთავარმა და დიდმა რომანტიკოსმა.

*დაებერდი, ბედს ვერ მოვესწარ,  
დაემხო ჩემი სამშობლო,  
გულს მიკლავს უიმედობა,  
მინას ჩავდივარ სიმწარით.*

ამ დიდებული ლექსის პირველი სტრიქონი სწორედ მის უიღბლო სიყვარულზე მიგვანიშნებს. ამ სიყვარულს შესწირა რომანტიკოსმა პოეტმა ოჯახური სითბო, ოჯახური ბედნიერება...



## მანა სისიშვილი

### ეპიკურეს ბალები

*ვუძღვნი მეგობრებს –  
ინგას და დათოს, ირას და აკას*

– დამაცადე, დღეს მე ვიხდი!  
– არა, არა, ჩვენი ჯერია, მიმიშვით!  
ხომ იცით, არ შემიძლია ეს ჭიდაობა!  
– სწრაფად, რა მოგივიდა?! ვერ ხე-  
დავ, მოგვასწრეს!  
– აჰა, მოდი მაშინ და შენ ეომე, ამათ-  
თან გამკლავება ასე ადვილია? ვერ ხე-  
დავ, გადამილობეს გზა!  
– ნუ ყვირით, სირცხვილია, შენუხდა  
ხალხი!  
– უკვე გადავიხადე, გარეთ დავსხდეთ,  
კარგი ამინდია!  
“La Madeleine” – ფრანგული კაფე ბე-  
ტზბაში, უკვე რამდენიმე წელია ჩვენი  
და ჩვენი ახლობელი ოჯახების თავშეყ-  
რის ადგილია. კაფეს წინ პატარა ეზოში  
ქოლგების ქვეშ რამდენიმე მაგიდა დგას.  
კარგ ამინდში ეზოში ყოფნა გვირჩევნია.  
ჩვეულებრივ, ჩვენ ყოველთვის გვიან ვა-  
ხერხებთ მისვლას, როცა მზე უკვე დიდი  
ხნის გადასულია, მაგრამ ქოლგის ქვეშ  
უფრო მყუდროდ ვგრძნობთ თავს, თანაც  
კაფე 11 საათზე იკეტება, გარეთ კი რამ-  
დენი ხანიც გინდა იმდენ ხანს დარჩები,  
თუგინდ დილამდის, არ გიშლიან. 11 საა-  
თის მოახლოებისას გამყიდველები ფუს-  
ფუსს იწყებენ: დარჩენილი კერძების ნა-  
წილს კონტეინერებში ათავსებენ, შუშის  
მაცივრებიდან ნამცხვრებს იღებენ და

ყუთებში აწყობენ, ბოლოს შუქს აქრობენ  
და კაფეც მეორე დილამდე „იძინებს“.  
ეზოში თუ ვსხედვართ, ეს სამზადისი  
მყუდროებას არ გვირღვევს, შიგნით კი  
დისკომფორტი გვექმნება; ვხვდებით,  
რომ წასვლის დროა, არადა, იქაურობა  
არ გვეთმობა, დარჩენა გვინდა.

კანადაში ყოფნისას ჩვენმა ტორონტო-  
ელმა მეგობრებმა დაგვპატიჟეს კაფეში,  
სადაც ჰემინგუეი თურმე ხშირად დადი-  
ოდა, როცა “Toronto star”-ში მუშაობდა.  
ამ ბრენდად ქცეულ კაფეს, რომელსაც  
დღემდე „ჰემინგუეის კაფეს“ ეძახიან,  
უამრავი ადგილობრივი თუ ტურისტის  
სტუმრობს. ნიუ-იორკში სახელგანთქმულ  
“Pete’s Tavern”-ის ვიტრინაზე აწერია: „ეს  
ადგილი უკვდავყო ო შენრიმ. მან აქ და-  
წერა თავისი ცნობილი მოთხრობა “The  
Gift of the Magi.” ვინ დათვლის, ქვეყნად  
რამდენია ასეთი „კუთხე“, ისტორიუ-  
ლი რელიკვიები, რაც კულტად ქცეული  
ადამიანების ცხოვრების შეიძლება სულ  
პატარა ნაწილია, მაგრამ ამის გახსენება  
უკვე განსხვავებულ ატმოსფეროს ქმნის.

“La Madeleine”-ს ამგვარი „ლამაზი  
წარსული“ არა აქვს. ვერც იმას გეტყ-  
ვით, რომ გემრიელი კერძებით ან სი-  
იაფით გვიზიდავდეს. არც მომსახურე  
პერსონალი გამოირჩევა განსაკუთრებუ-

ლი თავაზიანობით. ფრანკოფილებიც არ ვართ, რომ ფრანგული კულინარიის და ფრანგული მელოდიების საპატივცემოდ დავდიოდეთ აქ, თანაც ეს არ არის ტიპური ფრანგული კაფე, ამ ქსელის კაფეები D. C.-ში ბევრია.

უბრალოდ, ზოგ ადგილს, როგორც ადამიანს, უჩინარი ხიბლი აქვს: მიგვიზიდა, მიგვიჩვია და დროთა განმავლობაში დასვენების დღეებში სალამოობით იქ მისვლა ტრადიციად გვექცა. ხშირად “Starbucks coffee”-შიც დავდივართ. “Starbucks coffee” – ლამაზად ჟღერს, მაგრამ მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ კაფეს ეს სახელი „მოზი დიკის“ კაპიტნის მოადგილის გვარის მიხედვით შეურჩიეს, იქაურობას თითქოს ძველებური ხიბლი დაეკარგა – რაღაც არ უხდება ყავას და ტკბილეულს ვეშაპთან სიახლოვე.

“La Madeleine”-თან საცხოვრიც იქვია. ვანილისა და ახლად გამომცხვარი ნამცხვრის სურნელი ცხვირში გილიტინებს. ლიტინი კი, ეტყობა, ტვინის იმ ნაწილის აქტივიზაციას იწვევს, რომელიც მოგონებებზე პასუხისმგებელია. ჩემს ბავშვობაში თბილისში ოჯახების უმეტესობას თავისი ტრადიციული „საოჯახო ნამცხვარი“ ჰქონდა. ჩვენთან ასეთი, ნახევრად თეთრი და ნახევრად კაკაოთი „გაშავებული“ დღე და ღამე, როგორც დედაჩემი ეძახდა, „დენი ნოჩი“ იყო. ზოგჯერ დედაჩემი საკონდიტროში ყიდულობდა შვრიის ნამცხვარს. ძველად ვაკეში იყო ცნობილი საკონდიტრო „ფრანცია“. იქაური სურნელიც დღემდე მახსოვს. ეს იმდენად ტკბილეულობის კი არა, ალბათ, ნარსული დროის, განუმეორებელი ახალგაზრდობის არომატია. გამყიდველი, ფუმფულა, ვარდისფეროყვება ქალი თავზე მაქმანიანი თეთრი ქუდით, დამშვიდობებისას ღიმილით ხელს გვიქნევდა.

ფსიქოლოგების აზრით, ადამიანებმა ისეთი რამ შეიძლება გაიხსენონ, რაც სინამდვილეში არ შემთხვევიათ: აგონდებით, ბავშვობაში როგორ დაიკარგნენ მალაზიაში, როგორ შეხვდნენ დისნეილენდში მულტფილმების გმირებს და ხელიც

ჩამოართვეს მათ. შესაძლებელია, სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, დამახსოვრების ალგორითმში ხშირად ჯდება დამატებითი კოგნიტური ელემენტი – ახალი ინფორმაცია. ეს ელემენტი, რომელიც მოვლენის მოხდენის შემდეგ ჩნდება, ცნობიერების პოზიციიდან მომხდარის რეკონსტრუქციაში მონაწილეობის თანაბარ უფლებას იძენს. სანამ ფსიქოლოგები ამას იკვლევდნენ და „თავს იტყებდნენ“, ქართველებმა უკვე ვიცოდით ამის შესახებ. ამიტომაც სიტყვა „იგონებს“ გახსენებასაც ნიშნავს და შიგადაშიგ რალაცების გამოგონებასაც.

შეიძლება „ფრანციის“ გამყიდველი ქალი სულაც არ იყო ფუმფულა და დამშვიდობებისას ხელსაც არ გვიქნევდა, მაგრამ ჩემი მოგონებების ალგორითმში ასე ჩაჯდა. არ ვიცი, სხვების მოგონებათა სერიაში რა დამატებითი ინფორმაციები მოხვდა „ფრანციასთან“ დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, ეს ადგილი ჩემ გარშემო ყველას უყვარდა, ისე როგორც ჩაის სახლი. ჩაის სახლს სხვა დატვირთვაც ჰქონდა. ის სტუდენტებისათვის საინტერესო იდეების ურთიერთგაცვლის, იდეების გაერთიანების ადგილი იყო. „ფრანციას“ ვინღა ჩივის, სამწუხაროდ, აღარ არის ლალიძის წყლები და რამდენიმე თაობისათვის საყვარელ ადგილად ქცეული თბილისის სხვა სიმბოლოები.

“La Madeleine” ჩვენი ოჯახების მემკვიდრეა. თავდაპირველად შვილებთან ერთად დავდიოდით. მერე უფროსები წამოიზარდნენ, მშობლებთან ერთად სიარული მათთვის მოვალეობა და ტვირთი უფრო გახდა, ვიდრე სიამოვნება, და მალევე მოიხსნეს ეს ტვირთი. მერე მათ უმცროსებიც მიჰყვნენ. ჩვენ კვლავ ძველებურად დავდიოდით.

გადახდის მომენტში მომსახურე პერსონალისათვის პატარა შოუ იმართება: ხელს ვკრავთ, ვეჭიდავებით ერთმანეთს, ვბრაზობთ, იცვლება პოზიციები დაცვასა და თავდასხმას შორის. ვინც ამ სცენას შეესწრება, გაკვირვებული გვიყურებს და იღიმის. მომსახურე პერსონალი ხშირად

იცვლება. ვინც გვცნობს, ჩვენს გამოჩენაზე, ალბათ, ფიქრობს: „აი, ისევ ისინი მოვიდნენ. შემოვლენ, დაინყებენ ახლა ხელების ქნევას და ყვირილს, ნეტავ, საიდან არიან, რა უცნაური ხალხია!“

ახლაც ასე „პატარა ომგადახდილები“ ვსხედვართ და ძველ ამბებს ვიხსენებთ:

– გახსოვთ, ირლანდიურ კაფეში ფულის გადახდისას რა ჩხუბი ატყდა? ოფიცინტს ყველამ ჩუმად რომ მისცა თავისი საკრედიტო ბარათი.

– ხო, მახსოვს, ოფიცინტი გოგო როგორ გაერთო ჩვენი. ფულის გადახდის დროს რომ მოვიდა და სიცილით გვითხრა: „ახლა მე რვა საკრედიტო ბარათი მაქვს და მითხარით, რომელი ვიხმარო“...

– ერთხელ მე და ლევანი რესტორანში გადახდისთვის ვიბრძოდით. მეზობლად მჯდომმა კაცმა ჩხუბის მიზეზი რომ გაიგო, სიცილით გვითხრა:

– კი მაგრამ, რა პრობლემაა, თუ ასე გინდათ, ჩემიც გადაიხადეთ...

ნეტავ, რა ფენომენია ეს ფულის გადახდის დასწრება, ქართულ ხასიათში ასე გამჯდარი. რომელიღაცა ცნობილი ფრანგის ნათქვამი დამამახსოვრდა: „ჩვენი ნაკლოვანებები ჩვენი ღირსებებია, ჩვენ შეგვიძლია გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებები და უკეთესი ღირსებები შევიძინოთ, მაგრამ მაშინ სხვა ერი ვიქნებით“. ვფიქრობ, ეს ნათქვამი ჩვენზეა ზედგამოჭრილი. სუფრასთან ხანგრძლივად მიჯაჭვა, ბიუჯეტის გაუთვალისწინებლად დაპატყებაზე თავის გამოდება შეგვიძლია უფრო პრაგმატული ღირებულებებით შევცვალოთ, მაგრამ?.. მართალია, ქართველობა გადახდის დროს „ხელის კვრით“ არ გამოიხატება, მაგრამ მაინც რაღაც ხასიათობრივი დევს ამაში, ქართველს უყვარს მასპინძლობა – შინ და გარეთაც. ჩვენმა შვილებმა, აქ გარდღილებმა, ეჭვი მეპარება, გადახდისთვის ჭიდაობა ატეხონ, უფრო მარტივად გადაწყვეტენ ამ საკითხს. ჩვენ კი, „უკანასკნელი მოჰიკანები“, ყველა მისვლაზე პირობას ვდებთ, რომ შემდეგში გადასახდელ თანხას გავინაწილებთ, მაგრამ, ეს

„შემდეგი“ რომ მოდის, ისევ თავიდან იწყება: გაინიე, გამატარე...

ემოციური და ხმამალალი საუბარიც, ალბათ, ჩვენი ერთ-ერთი „ღირსება-ნაკლოვანებაა“. ვერ გეტყვით, რომ ზოგადად ამერიკელები წყნარად მოსაუბრე ხალხია, მაგრამ ასეთ ვნებებს, განსაკუთრებით პოლიტიკაზე საუბრისას, აბა, ვინ დაატრიალებს?! – „სანვაგი“ არ ეყოფათ.

– ასე ხმამალლა ნუ ლაპარაკობთ, ნახეთ, ის ხალხი როგორ გვიყურებს!

– გვიყურონ თუ უნდათ, რას ვაშავებთ, რო...

– ვინ გვიყურებს?! გაუშვებ ახლა მათ ყველას სამი თითის კომბინაციაზე!

– არ გიფიქრია, რომ ნლებთან ერთად ადამიანმა ლექსიკონი უნდა შეცვალოს...

ნლებს კი შეცვლა არ სჭირდება, თავისით მიქრის, ყოველწლიურად უფრო და უფრო დიდ სიჩქარეს იღებს, თითქოს კალიდოსკოპი გიყს ჩავარდნია ხელში და თავის ჭკუაზე ატრიალებს. წვიმა ფანჯრებზე ხან მხიარულად წკაპუნებს, ხანაც კოკისპირულად ასხამს... ქოლგებით ივსება ქალაქი, ყველგან ქოლგებია: მეტროში, ოფისებში, კაფე-რესტორნების შესასვლელებთან. შემოდგომის ქარი ფოთლებს ჰაერში ატრიალებს, ზოგჯერ ისე დაუბერავს, გარშემო ყველაფერს ააზანზარებს, აჭრელდება წითლად ტელევიზორი: tornado watch, tornado watch... ყინვა ფანჯრის კუთხეებს ამოქარგავს, ტენისაგან იორთქლება მინები, სიცხისაგან ითენთება ქალაქი, ისევ გადაირევა ამინდი...

იცვლება პეიზაჟები: კაფეს გარშემო ხეები ყვითლდება, წითლდება, მწვანდება, გადათეთრდება, ისევ ყვითლდება. ჩვენც გვეცვლება ფერი, მაგრამ არა ასეთ მდიდარ პალიტრად.

იცვლება ადამიანთა ურთიერთობის ფორმებიც: Textting-ის ეპოქაა... სადაც ნახვალ, ყველას მობილურებში აქვს თავი ჩარეული.

“La Madeleine” უძლებს ცივილზაციის შტორმს. აქ ყველაფერი უცვლელი რჩება, ინტერიერიც და მენიუც: ნაპოლეონი, კრემბრულე, კრუასანები, ქათმის



ღვეზელი სოკოს სოუსით, სალათები და ცნობილი ფრანგული ხახვის წენიანი. კაფეში ხშირად იკრიბებიან “book club”-ის წევრები, უმეტესად ხანშიშესული ქალბატონები. სხედან და წყნარად საუბრობენ წიგნებზე. ზამთარში ბუხარი გიზგიზებს, ზაფხულში ხის და აგურის კედლებში სასიამოვნოდ გრილა. სვამ ჩაის დიდი ჭიქით, გესმის მშვიდი საუბარი და გავინყდება, სუპერცივილიზაციაში რომ ხარ, რომ უკვე მესამე ათასწლეულია.

– გვიანია, წასვლის დროა.

– კარგი საღამოა, დავრჩებოდი აქ დილაამდის და, საერთოდ, სიამოვნებით ვიცხოვრებდი ამ ეზოში.

– შენ ხომ ისედაც ასე ცხოვრობდი. ხომ გიყვებოდით, სოლოლაკში ამათ როგორი ბინა ჰქონდათ, „სკვანოიზე“ გადიოდი ქუჩის მეორე მხარეს. ვისაც მოკლევადიანი უნდოდა, ამათთან შეაჭრიდა. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ვილაცხა დადგომოდათ თავზე. ისხდნენ, სადილობდნენ და ამ დროს სრულიად უცნობი ჩაივლიდა. კარგია, ხომ?!

– რა გიკვირს, თითქმის ყველა ასე არ ვცხოვრობდით?! ჩვენთან გვიან ლამემდის კარს არც ვკეტავდით, ზაფხულში კი საერთოდ ეზოში გადავსახლდებოდით ხოლმე, იყო შუალამემდე ხუმრობა და სიცოცხლე-ხარხარი. ვინ ფიქრობდა მაშინ privacy-ზე? ეჰ, ეს privacy!

– ამას წინათ საქართველოზე ინფორმაციებს ვეძებდი და შემთხვევით დევიდ ლენგის წიგნს “The Georgians” გადავწყვიტე. ჩვენზე უწერია: „ამ ერმა წარმოშვა უდიდესი პოეტები, მოცეკვავეები, ხელოვანი, მაგრამ ბევრად ნაკლები ბიზნესმენები, ესაა სიცოცხლის მოტრფიალე ხალხი მდიდარი წარმოსახვის უნარით, თანდაყოლილი იუმორის გრძობით და ეპიკურული ცხოვრების ნირით“.

– რა კარგია! აქ, ამ პატარა ეზოში, სიამოვნებით მოვანყობდი ეპიკურესეულ ბაღს და მეგობრებთან ერთად ვიცხოვრებდი. აქვე მივიღებდი სტუმრებს, ვარსკვლავების შუქზე ვიბაასებდით, ვიხუნჯებდით, ცოტა ხნით ჩაგვთვლემდა,

მერე გამთენიამდე ისევ გავაგრძელებდით საუბარს. ხის აბრაზე “La Madeline”-ის გვერდით მივანერდი: „მგზავრო, შემოგვიერთდი, აქ თავს კარგად იგრძნობ, სიამოვნებაა უმაღლესი სათნოება“.

– ხო, მთელი დღე სტუმრების მიღება-გასტუმრებაში მაგარ ბიზნესს აანყობდი. წამოდი, ეპიკურე, სახლში, გეყო ლაპარაკი, გათენდა უკვე!

– ჩვენთან გავაგრძელოთ, ხვალ ხომ სამუშაო დღე არ არის.

– არა, გვიანია. თქვენ რა გიჭირთ, აქვე ხართ ყველა, ჩვენ ალექსანდრიაში ვართ წასასვლელი.

გვიყვები ფრაზაზე: „ჩვენთან გავაგრძელოთ“. ძალიან მშობლიურია.

წასვლას რომ არც ვაპირებდე, მამშვიდებს, თითქოს ყველაფერი ძველებურადაა. მამაჩემს, სადაც უნდა ყოფილიყო და რა დროც უნდა ყოფილიყო, სახლში უნდა დაემთავრებინა ქეიფი. ურთიერთობა არ ეთმობოდა, თორემ აღარც სმა უნდოდა და არც ჭამა. დედაჩემს ფობია შეეყარა, ყველა კარში სტუმარი ერვენებოდა და მუდმივ მოლოდინში ტუჩის და ლოყების საცხს გვიან ლამემდე არ იშორებდა.

გამოვდივართ „ეპიკურეს ბალიდან“. წინ ისევ მთელი კვირაა.

ყოველდღიური მოვალეობები და ზრუნვები წრეზე ტრიალებს. ამ „ცხოვრებისეულ უდაბნოში“ საყვარელი ადგილები პატარა ოაზისებივითაა – იმის გაფიქრება, რომ შაბათი მოდის, მეგობრები შევიკრიბებით, დავილაპარაკებთ მგრძობიარე თემებზე, დავიყვრებთ, გადახდისას წავიჭიდავებთ, გიმსუბუქებს ცხოვრებას ისე, რომ სულ არ ამძიმებს რეალობას.

კაფე კი მომავალ მისვლამდე ერთგული მეგობარით დაგველოდება. ყველაფერი უცვლელი დაგვხვდება, ისე, როგორც წლების წინათ იყო: დაბალი შენობა დიდი ფანჯრებით და აბრაზე წარწერით “La Madeleine”.

ვაშინგტონი, 2014 წ.



### სადღესასწაულო დეკორაციები

ახალ ბინაში სულ რამდენიმე დღის გადასული ვიყავი, როცა ერთ საღამოს სახლში დაბრუნებულს გვერდითა ბინიდან მუსიკის ხმა მომესმა. ვილაც პიანინოზე მშვენივრად უკრავდა. შევეჩერდი და ყური მივუგდე. იქ მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობს. ქალი ყოჩაღად გამოიყურება, კაცი, ეტყობა, ავადმყოფობისაგან დასუსტებულია, უმეტესად ეტლით დადის. ალბათ ქალი უკრავს, პიანისტი იქნება – გავიფიქრე ჩემთვის.

დერეფანში შეხვედრისას ჩემი და ამ ქალის ურთიერთობა კლასიკური ამერიკული სამეზობლო ფრაზებით შემოიფარგლებოდა: გამარჯობა, ნახვამდის, კარგი ამინდია, მომწონს თქვენი შარფი, სასიამოვნო დღეს გისურვებთ... მეც, თქვენც... და ა.შ. ისეთი გრძნობა გიჩნდება, ამერიკაში ცხოვრობენ პრინციპით: არავის არავისი არაფერი არ მართებს.

ერთხელაც ქალს სამრეცხაო ოთახში შევხვდი და გამოველაპარაკე. ვუთხარი, რომ მათი ბინიდან ხშირად მესმის მუსიკის ხმა. ქალი, როგორც ვფიქრობდი, პიანისტი აღმოჩნდა. მითხრა, რომ ადრე მოსწავლეები ჰყავდა და დაკვრა მისი სამსახური იყო, ახლა კი მხოლოდ სიამოვნებისათვის უკრავს. მომიბოდიშა, ხომ არ განუხებთო. გამეცინა – ხალხი, ასეთი კონცერტისთვის ფულს იხდის, მე კი უფასოდ მაქვს ასეთი სიამოვნება-მეთქი. შევატყვე, ესიამოვნა. დაინტერესდა, საიდან ვიყავი. საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ როგორც ამერიკელების უმეტესობას სჩვევია, ზრდილობის გამო აღფრთოვანებით შესძახა: Georgia!

საუბრისას გაირკვა, ქალს ოთხი შვილი ჰყოლია: ერთი ბიჭი და სამი გოგო. ახლა ოთხივე სხვადასხვა შტატში ცხოვრობს. გამიკვირდა, რადგან მათთან სტუმრად მისული არავინ მინახავს, მარტოსულები მეგონენ.

ქალმა მომავალი გეგმებიც გამიმხილა:

ზაფხულში ქორწინების 60 წელი უსრულდებათ და შვილებმა გადანყვიტეს მშობლების ჰავაიზე დაპატიჟება. მოვუნონე იდეა. გუნებაში გამიკვირდა: ჰავაიმდე 11 საათია ფრენა, ასეთ ხანდაზმულ ასაკში, ავადმყოფ ქმართან ერთად ამ სიშორეს გადაფრენა როგორ არ ამინებს, არც ეზარება... როგორ შეიძლება პატივი არ სცე ამერიკელების დამოკიდებულებას წლების მიმართ. ეს მათთვის ციფრების დაუნდობელი მატება არაა, ცხოვრებისეული პოზიციაა.

როცა შევხვდით, სექტემბერი იყო, ზაფხულამდის თითქმის ერთი წელი რჩებოდა, ქალი კი ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდა, თითქოს უკვე ჩაბარებული იყო და მეორე დღესვე მიდიოდა. ამ ქვეყანაში ყველაფრის ადრეულად დაგეგმვა ჩემთვის უჩვეულო აღარ არის, თუმცა მე ისევ გადანვეტილებების „ბოლო წუთში“ მიღების ერთგული ვრჩები.

სამრეცხაოში შემდგარი საუბრის შემდეგ ჩემი მეზობელი დიდი ხანი აღარ მინახავს, დაკვრის ხმაც არ გამიგონია. ერთი კვალობა ვიფიქრე, სხვაგან ხომ არ გადავიდნენ-მეთქი, მაგრამ ბინაზე ისევ მათი გვარი ეწერა და კარზეც სადღესასწაულო დეკორაციები ხშირად იცვლებოდა.

ამერიკაში სექტემბრიდან დაწყებული ერთი დღესასწაული მეორეში გადადის. მობინადრეებიც კარებზე დეკორაციებს თემატიკის მიხედვით ცვლიან. Halloween-ზე ობობები, აბლაბუდები, ლამურები, ჯოჯოები და ამდაგვარი „საშინელებები“ მაღლიერების დღისთვის შემოდგომის თემატიკით იცვლება, მერე ეგრევე – საშობაოთი.

ჩემს მუსიკოს მეზობელს ვერავინ დაასწრებს კარებზე სადღესასწაულო დეკორაციების ჩამოკიდებას. სუპერ ბოლზეც კი, რომელიც თებერვლის პირველ კვირასაა და რომელიც აქ მარტო სპორტი კი არა, კულტურის დიდი ნაწილია, ამერიკული ფეხბურთის პატარა ბურთს გამოკიდებს ხოლმე.

დეკორაციები ძველია, ეტყობა, შვი-

ლები როცა პატარები ჰყავდა იმდროინდელი, დროისგან გაცრეცილი და ფერგადასული. ალბათ სადღაც ყუთში ინახავს. მიკვირს, რომ არ ეზარება ამ გახუნებულ დეკორაციების ამოღება და ჩამოკიდება. ალბათ ინერციით აკეთებს, ცხოვრებას აგრძელებს ავტომატურ რეჟიმში, თორემ, არა მგონია, თვითონ ამით დიდად ხალისობდეს.

ამასობაში დრომ უკანმოუხედავად გაიბრინა. ბავშვები გაიზარდნენ. ერთი მეგობრებთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად, მეორე – კოლეჯის საერთო საცხოვრებელში. სიცარიელემ დაისადგურა სახლშიც და ჩვენშიც.

მეზობელს ბოლო ხანებში უფრო იშვიათად ვხვდებოდი. ქმრისთვის საერთოდ აღარ მომიკრავს თვალი. უსიამოვნო ფიქრს, რომ შეიძლება ცოცხალიც აღარაა, ყოველთვის თავიდან ვიშორებდი, ალბათ სახლიდან იშვიათად გამოდის.

შობა ახლოვდება. მალაზიაში მივდივარ. ამ პერიოდში მალაზიებში სიარული სიამოვნებაა. ბავშვები როცა პატარები იყვნენ, მოუთმენლად ელოდებოდნენ საახალწლო საჩუქრებს. საჩუქრების შერჩევის, ყიდვის, ახალ წლამდე გადამალვის მთელი პროცესი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ემოციურად დატვირთული პერიოდი იყო. ახლა საჩუქრები მხოლოდ საახალწლო რიტუალია.

ბინიდან გასვლისას შევამჩნიე, რომ მუსიკოსს თავისი ბინის კარი უკვე მოურთავს დეკორაციებით. ამის შემხედვარეს გამეღიმა, ნეტავი ამას, ამის თავი რომ აქვს... წელს მე შეიძლება ნაძვის ხეც არ ავანყო. ანდა ვისთვისაა საჭირო, ბავშვებს აღარ აინტერესებთ, მე მეზარება, ქმარს კიდევ უფრო, რადგან მისი მოსათრევი და დასადგმელია. ეს კი თავისას არ იშლის და ჯიუტად აგრძელებს დეკორაციების ჩამოკიდებას. სიბრაღულის გრძნობას

ინვესტს ჩემში ეს დამჭკნარი დეკორაციები, თითქოს კიდევ უფრო ხაზს უსვამს ცხოვრების აბსურდულობას: ჩამოკიდებს, ჩამოხსნის, შეცვლის, ისევ ჩამოკიდებს...

მალაზიაში დიდხანს აღარ გავჩერებულვარ, სევდამ შემომიტირა: ყველაფერი შეიცვალა. ბავშვები გაიზარდნენ, წინათ მთელ სივრცეს ავსებდნენ. მეგობრების ნაწილიც წავიდ-წამოვიდა, ზოგიც საქართველოში დაბრუნდა. ოკეანის იქით დარჩა ბევრი სითბო და საუკეთესო წლები.

გზაში ისევ წარსულს ვისხენებ და ძველ კადრებს ვატრიალებ თავში.


სახლში დაბრუნებული ლიფტს აღარ დაველოდე, ფეხით ავუყევი კიბეებს. მეზობლის ბინას რომ ჩავუარე, დეკორაციები ისევ თვალში მომხვდა. სხვა თვალთ თუ შეხედავ, ეს ღიმილის და ზოგჯერ სიბრაღულის მომგვრელი დეკორაციები, ვინ იცის, შეიძლება ძალიან დიდ საქმეს აკეთებს: სახალისო და საზეიმო განწყობას ჰქმნის – პატარა და უმნიშვნელო რაღაცებს ხშირად ხალისი და მრავალფეროვნება შემოაქვს.

მუსიკოსი თავისი დეკორაციებით ეგებება დღესასწაულს; ის არ თვლის, რომ მისი დრო გავიდა, ელოდება, რომ ახალი წელი მოუტანს რაღაც ახალს. ახლის მოლოდინს და მიღებას თუკი შეიძლება, სიბერე ვეღარ მოგამწყვდევს წარსულის იზოლაციაში. ეს გაცრეცილი მოსართავები მეპატრონისათვის შეიძლება სულაც წლებთან დაუმორჩილებლობის სიმბოლოებია, რომელიც უსიტყვოდ გადმოგვცემს მის განწყობას: ახალი წელი მოდის, მე მიხარია და მჯერა რომ ის უკეთესი იქნება ჩემთვის, შენთვის და საერთოდ ყველა ადამიანისათვის ამქვეყანად.

ხვალ მეც გამოვკიდებ – გავიფიქრე ჩემთვის... ამის გაფიქრებაზე გამეღიმა, მაგრამ ამასთანავე რაღაც მესიამოვნა.

ვაშინგტონი, 2014





## ზობეიდი ჭხაბანი

### სალუდუში უეთხუღი მოთხრობები

#### მოთხრობა

ვზივარ „ოქროს ვეფხვში“, ხელში ვათამაშებ საკათხეს\* და დაჟინებით დავცქერი ემბლემას, რომელზეც ორი შავი ვეფხვია გამოსახული... ვზივარ და ქვეშეცნეულად ვანგარიშობ კიდეც: ჯერ ერთი კათხა დავლიე, მერე მეორე, მესამეც მივაყოლე და – ჰა, მეოთხეც; ზოგჯერ, როცა ბოგოუმს პირველი კათხა მოაქვს, თეთრ ქალაღსაც დააძრობს ხოლმე და წინასწარვე მიმანიშნებს საფასურზე; მე კი ჩემს ხალხში ვზივარ, სადაც კი დავჯდები, ყველგან ჩემი ხალხია; მე ჩემს რიტუალს ვასრულებ, სხვებიც იმავე რიტუალს ასრულებენ. ეს რიტუალი საუბარია, რომლის დროსაც კაცი ყოველდღიური სტრესული სიტუაციებისგან თავისუფლდება. როცა ძალიან ცუდად ხარ, შესაძლოა, გაცვეთილ თემებზე გაცვეთილმა საუბარმა გიშველოს. ზოგჯერ ჩამოვჯდები და პირქუშად ვდუმვარ და, საერთოდ, პირველი კათხის დაღვეამდე არანაირ კითხვაზე პასუხის გაცემა არ მსურს. ამგვარად ვიგემოვნებ ხოლმე პირველ კათხას. უცბად ვერ ვეგუები დესპოტურად ახმაურებულ სალუდეს,

ერთბაშად ვერ ვენყოფი აუარება მომსვლელს და მათ ხორხოცს. ყველას თავისი ნათქვამის გაგონება უნდა, ყველას ჰგონია, სწორედ ჩემი წარმოთქმულია საგანგებოდ ყურადსაღებო და მთელი ხმით გაჰყვირის კიდეც რაღაც ბანალობას; მივჩერებივარ ამ ავციებს და, მეორე კათხას რომ გამოვწრუპავ, მათსავით ვიქაღნები გულში, მე ვარ და ჩემი ნაბადი-მეთქი და ვცდილობ, ჩემი ნათქვამი არა მხოლოდ თანამეინახეთ, არამედ მთელ ქვეყნიერებას ვამცნო. ახლაც ვზივარ და ნერვიულად ვათამაშებ ხელში მუყაოს საკათხეს, ათიოდე ცალს დავათრევ ხოლმე და კარტივით ავჭრი, მერე მაგიდაზე გავშლი, ლუდს მოვწრუპავ და თამაშს ვაგრძელებ. მე ჩემს ადგილას ვზივარ, ირგვლივ მყოფთა საუბარში არ ვერევი, ყურისგდებას ვამჯობინებ. ვინ იცის, ვინ მოთვლის, რამდენი ათასი საუბრის მომსწრე ვყოფილვარ, რამდენმა ათასმა ადამიანმა მასმინა თავისი ხმა ამ სალუდეებში. მეც მრავალგზის გამიმართავს დიალოგი მათთან. ეს წამოწყებანი ხშირად ნამდვილი ლექციით სრულდებო-

\*ლუდის კათხის ქვეშ დასაფენი სქელი ტილოს ნაჭერი.

და. ამ ლექციას მე არ ვუკითხავდი აუდიტორიას, არამედ მავანი და მავანი. ყველანი სულგანაბლები ვუსმენდით. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ლექციები გადამთვრალი კაცის ლულული არ იყო. ემან ფრინტამ მოსწრებულად და ჭკვიანურად დასძინა, ყოველივე ამას სალუდში შეთხზული მოთხრობები უნდა ერქვასო. პან რუისმა – „დვორჟაკის კვარტეტის“ ვიოლენჩელისტმა ის-ის იყო დაასრულა თხრობა. მუსიკოსი პირქუში ქალაქის, ბილინას ამბებს ჰყვებოდა. ამ ქალაქში თურმე უამინდობა და ხელისუფალთა უმსგავსობა სუფევდა. ცენტრალურ მოედანზე უსაქმოდ დაყალიბდნენ ლოთი ბოშები, მაგრამ სადამოხანს რატუშაში კარგად ჩაცმული საზოგადოება შეიკრიბა და ბილინამ სახე იცვალა: მადლიერი მაცურებელი შეძრული იყო. მერე ჩემ გვერდითა სუფრაზე სოკო ახსენეს და საუბარმაც არ დააყოვნა. საუბარი მჭადა სოკოს ეხებოდა. მე ველოდი, ამ სოკოზე მთავარ სათქმელს როდის იტყოდნენ. ვერაფერი რომ ვერ თქვეს, მოვიბოდიშე და ხმა ავიმალღე... მჭადა სოკო, ბატონებო, მისტიკური რამააა, წითურია და ქუდზე მწვანე ხვეულები ავლია. ამ მწვანე, თანდათან სიპატარავისკენ მიდრეკილ ხვეულებს მწვანევე ჭიბი აგვირგვინებს და ეს წერტილი მჭადა სოკოს ქუდზე ცნობიერების ცენტრს წარმოადგენს. ბუდისტი ქურუმები ამგვარივე ჭიბებს საათობით უმზერენ. ამ გზით ისინი თითქოს უკან ბრუნდებიან, თავიანთი დასაბამიერი დედის წიაღს ელტვიან. ამ წიაღიდან იღებს დასაბამს ადამიანთა მოდგმა. ყოველივე ამის ამოკითხვა სწორედ მჭადა სოკოს ქუდზე დაკლავნილი ხვეულების მეშვეობითაა შესაძლებელი. აქ არის ჩაქსოვილი ძირითადი სიმბოლური აზრი ადამიანთა წარსულისა და მომავლისა...

თუმცა, ბატონებო, ვინაიდან თქვენ უმადობას არ უჩივით, მე მოგანვდით ერთ რეცეპტს, რომელშიც დაწვრილებით იქნება გადმოცემული თუ როგორ ამზადებენ ესპანელი ტყისმჭრელები მჭადა

სოკოს: თხლად დაჭრილი ძეხვეული, ზემოდან სოკოს თხელი ნაჭრებით შეფენილი, წვრილად დაქუცმაცებული წინაკა, შემდეგ ლორი, პამიდორი, ისევ ძეხვეულის თხელი ფენა და მჭადა სოკო. ასე და ამგვარად, ყველაფერი ფენა-ფენა უნდა იყოს შემონწყობილი. ჰოდა, ყოველივე ამას თავს რომ მოუყრით, კოცონზე შებრანავთ და გახეხილ ყველს მოაბნევთ... ამას რომ ვამბობ, ჩემივე ყვირილი მესმის, ვყვირი და ასე მგონია, მარტო პრალაში კი არ მისმენენ, არამედ მთელს ევროპაში. ვყვირი, როგორც დამთხვეული და ყველას მივმართავ... პან რუისი კი ჰყვებოდა, „დვორჟაკის კვარტეტი“ შვედეთში როგორ ასრულებდა მხოლოდ და მხოლოდ ჩეხურ მუსიკას. ასრულებდა სწორედ დვორჟაკის კვარტეტს, რომელიც კომპოზიტორმა შვილის სიკვდილის გამო შეთხზა, დაბოლოს, შესრულდა „ჩემი ცხოვრება“... და შესრულებისთანავე გაისმა ქვითინი, მსმენელები თავებს აბრუნებდნენ და აუდიტორიას ათვალიერებდნენ. კონცერტის მერე კი გაირკვა, რომ ერთი ჩვენი ემიგრანტი ექიმის ცოლი იჯდა დარბაზში. ეს ქალი პან რუისთან მივიდა და უხსნიდა თავის მდგომარეობას, პრალა მომენატრაო, დედა და მეგობრებიო... პან რუისმა მშვიდად თქვა ყოველივე ეს, მისი ხმა სასიამოვნოდ ჟღერდა. მერე კი სიტყვა სტრავინსკის შემოქმედებაზე ჩამოვარდა. მას თურმე კედელზე სამი მისთვის ძვირფასი მუსიკოსის სურათი ეკიდა: ვებერნის, შიონბერგის და ბერგის... მე ერთი სული მქონდა, საერთო მუსაიფში ჩემი სათქმელი ჩამერთო და ეს სათქმელი ყველას გაეგო – ლუდის მსმელებს, მთელ ქალაქს, მთელ ქვეყანას, მსოფლიოს... და, როცა საუბარში სიტყვა ჩავაგდე, ხმაც მომემატა... ბატონებო, დილაობით ვენის რადიოს ვუსმენ ხოლმე, იქ კიდევ ვებერნის ცხოვრების უცნობ წვრილმანებს გვატყობინებს მისი სიძე. როცა ავსტრიაში ომი დამთავრდა და ამერიკულმა არმიამ ლინცი დაიკავა, ქალაქში კომენდანტის

საათი გამოაცხადეს... და აი, საღამოთი ვებერნის სიძემ, რომელსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვინ იყო ვებერნი (თუმცა, ვებერნმაც არ იცოდა, რომ თვითონ ცნობილი ვებერნი გახლდათ), განუცხადა მას: ვიცი, თქვენ მაგარი მწველი ხართ და ამიტომაც რვა ღერი სიგარეტი გადაგინახეთ, აჰა, ინებეთო. ვებერნს მაღლიერების ნიშნად ცრემლი მოერია და უპასუხა: ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კარგი სიძე შემხვდა, ერთ სიგარეტს ახლავე მოვწევ, რადგან მოთმენა აღარ შემიძლიაო. სიძემ კი უთხრა, დერეფანში მონიეთ, ბავშვებს მოვერიდოთო. ვებერნი დერეფანში გავიდა, მერე იფიქრა, ვაითუ დერეფნიდან კვამლმა ბავშვების ოთახში შეაღწიოსო. რაკი ასეთი სანაქებო სიძე მყავს, მოდი, აივანზე მოვწვევო. გავიდა ღამეში აივანზე, ხარბად ჩაიდო პირში სიგარეტი, ასანთს გაჰკრა მთრთოლარე ხელით; ის-ის იყო მრავალგზის ნანატრი კვამლი ჩაისუნთქა, რომ გაისმა სროლა და ვებერნი მოცელილივით დაეხეთქა. მისი პირველი ჩასუნთქვა უკანასკნელ ამოსუნთქვად იქცა. მართლაც ძვირი დაუჯდა თუთუნისმოყვარეობა! რომელიღაც ჯარისკაცმა პატრულთაგან მიზანში ამოიღო, ცეცხლის ანთება ხომ აკრძალული იყო... თუმცა, ბატონებო, ამით არ მთავრდება მოვლენათა მისტიკური ჯაჭვი, ჯარისკაცი ჭკუიდან გადავიდა ვებერნის მოკვლის შემდეგ. ამერიკაში დაბრუნდა, სამი წელი ფსიქიატრიულში გაატარა, მკვლელობიდან მეხუთე წელს კი თავი მოიკლა... პან მარისკოზე ამ შემთხვევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... ის ამბობდა, ჩემთვის ამ ამბის მოყოლა არ შეიძლებოდაო... არადა, ადრე იგივე მარისკო ვებერნის ხსენებაზე იგინებოდა – მაგას ვინ შეასრულებსო. პან რუისი ამ გამოხდომას მშვიდად პასუხობდა, ვებერნი მიყვარს და სიამოვნებით ვასრულებო, მასვე უჭერდა მხარს მხატვარი პან გამპლი და ამბობდა, ვებერნს იმიტომ ვაფასებ, რომ მისი არაფერი გამეგებაო... და აი, მე ვი-

ჯექი „ოქროს ვეფხვში“ და მომსვლელებს ვათვალისწინებდი – ო, ეს მართლაც არ იყო ადვილი, სადაც ლოთური ხორხოცი ისმის. ეს ხმაურიანი სალუდე პატარა უნივერსიტეტია, აქ კაცები სვამენ ლუდს და ერთმანეთს სხვადასხვა ამბებს მოუთხრობენ, მათს თავზე კი თამბაქოს კვამლი გროვდება და უშველებელი კითხვის ნიშანივით ჰკიდია ჰაერში, აი ეს კითხვაც: განა აბსურდული და საკვირველი არ არის ადამიანის ცხოვრება?.. მე ვდუმვარ. მჭადა სოკო მომწვანო კონცენტრირებული წრეებით, მწვანე ნერტილი სოკოს წითურ ქუდზე დაჩნეული, ეს ომფალოსი, დედამინის ქიპი, რომელსაც გაივლი და დასაბამიერი დედის, ევას საშოში შეაღწევ... და აი, ფიქრში წასულს გამახსენდა ჩემი ბავშვობის ის დღეები, როდესაც პირველად მოვხვდი სალუდეში. სალუდე მომწუსხა, შეიძლება ითქვას, რომ სალუდე ჩემს ბედისწერად იქცა. მამაჩემი ლუდის ქარხნის მეპატრონე იყო, ფირმა „ლაურინ და კლემენტის“ მოტოციკლზე შემომსვამდა და იმ დუქნებს შემომატარებდა, რომელსაც ლუდით ამარაგებდა. ყოველი დუქანი (სულერთია, დღე იყო თუ ღამე) რალაცნაირ მიგდებულ, სევდიან ადგილსამყოფელად მეჩვენებოდა, იქ თითქმის ცარიელი იყო მაგიდები და ბინდბუნდში სუსტად კრთოდა ლუდის ჩამოსასხმელი ონკანი. მამა სამზარეულოში გადასახადებს ანგარიშობდა, მე კი ცივ დარბაზში ვიჯექი და, რა თქმა უნდა, ლიმონათს ვსვამდი. ეს ლიმონათი (წითელი ან ყვითელი) ქაფდებოდა და შიშინებდა. ბინდბუნდში ძლივძლივობით ვარჩევდი დუქნის რამდენიმე მუდმივ სტუმარს. მათ იქ ყოფნას მოძრავი ბლანტი თუ თალხი მასა ამხელდა; დროდადრო კათხას აწევდნენ და მოიყუდებდნენ ან კიდევ სირჩით რაიმე უფრო მაგარს გადაკრავდნენ. ზოგიერთი მათგანი ეწეოდა კიდევ – სიბნელეში ასანთის წითელი ალი წამოყოფდა ენას და მე ბედნიერების გრძნობა მეუფლებოდა. ხანდახან სამზარეულოშიც გამიხმობდნენ, იქ, ჩვეულებრივ, დი-

ასახლისი იჯდა, იქ მყოფნი მეტისმეტად დაღლილები მეჩვენებოდნენ. დიასახლისები ძლივს დააბიჯებდნენ, დროდადრო ავეჯსაც ეპოტინებოდნენ, სკამზე მჯდომარენი კი ისე წამოინევდნენ, გეგონებოდა, რევმატიზმი ანუხებთო. სამზარეულოში რომელიმე წვნიანი კერძით მიმასპინძლდებოდნენ, წითლად და ყვითლად მოკიაფე ლიმონათს იქაც არ ვიკლებდი – ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი, მამაჩემს კი მაგიდაზე თეთრად მოქათქათე ქალაღები ჰქონდა გაშლილი, თავზე ეგვიპტური სიგარეტის ლურჯი კვამლი ადგა. ეგვიპტურ თუთუნს ეწეოდა და მეც მხოლოდ მის მოსატანად მაგზავნიდა ხოლმე. მამა დაბალი და შემპარავი, მაგრამ მტკიცე ხმით ელაპარაკებოდა დუქნის პატრონს. ის კი უსიტყვოდ ისმენდა რჩევა-დარიგებებს. მე საუბრის შინაარსი არ მესმოდა, თუმცა ქვეშეცნეულად ვხვდებოდი, რომ დუქნის პატრონი საყვედურს ნამდვილად იმსახურებდა ისევე, როგორც მე. აკი მამა სასკოლო დავალებების შეუსრულებლობის გამო მტუქსავდა ხოლმე. ჰოდა, ის დუქნის მეპატრონეც ჩემსავით თავდახრილი იდგა და იატაკზე აცეცებდა თვალებს, ოღონდ ეგ იყო, მამაჩემის ხმა მას გამბედაობასა და იმედს უნერგავდა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ ბოლოს ორივენი სიცილით ართმევდნენ ხელს ერთმანეთს, თვალეში ჩასცქეროდნენ და წასვლისას დუქნის მეპატრონე ორმოცგრადუსიან ბოთლს უტენიდა მამას ჯიბეში. შემდეგ გვაცილებდნენ, მოტოციკლის დაქოქვაში გვაშველებდნენ ხელს და მე ვიცოდი, რომ მათთვის ჩვენგან გათავისუფლება უდიდესი შვების მომნიჭებელი იყო. მამა ხომ ისეთ დროს დაეცემოდა ხოლმე მათ თავზე, როცა არ ელოდნენ... მომდევნო დუქანშიც წითელ და ყვითელ ლიმონათს ვსვამდი, ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი. ერთმა წელმა გაიარა და უკვე ჩვენი ერთობლივი ვიზიტები იმით განსხვავდებოდა უწინდელისგან, რომ მამაჩემს სამზარეულოში ფეხდაფეხ აღარ ვსდევდი; სადარბაზოში ვიჯექი და მინით ატიხრულ კარებში გა-

მოღწეულ მამის ხმას ვაყურადებდი. ის უსიამოვნო ტონით ესაუბრებოდა დუქნის მეპატრონეს, რომელიც თავს იცავდა. დროდადრო მეპატრონე სამზარეულოდან გარბოდა, დახლთან მიიბრუნდა, ერთ სირჩას გადაკრავდა და გაფითრებული უკან ბრუნდებოდა. მამა მეპატრონეს მხარზე ხელს ავლებდა დარწმუნების ნიშნად. ჩემ მიმართაც ხომ ასეთი იყო, როცა მეუბნებოდა, ნუ ზარმაცობ, ისწავლე, სიზარმაცე არაფერში არ წაგადგებაო... ძალიან მახალისებდა მამაჩემთან ერთად ეს მოგზაურობანი. არდადეგების პერიოდში ნიმბურსკის დუქნები სულ მოვიარეთ. მე ზედმინევნით კარგად ვიცოდი მათი ასავალ-დასავალი. ყველაზე დიდი აღმოჩენა ლისის სალუდე „ქალაქ კოლინასთან“ იყო, სადაც ისეთი ურცხვი დიასახლისი ჰყავდათ, რომ მამაჩემი წარამარა წითლდებოდა, ის კი იცინოდა და აინუნშიაც არ აგდებდა ლუდის განაწილებასთან დაკავშირებულ მიეთ-მოეთს და საგადასახადო ციებ-ცხელებას. მე ვიჯექი მზით გაბრწყინებულ დარბაზში, სადაც იდგა დიდი ასპარგუსი და დიასახლისის საკერავი მანქანა, ვსვამდი წითელ ლიმონათს (ზოგჯერ ყვითელსაც ვუნაცვლებდი) და გულისფანცქალით ვისმენდი ამ დედაკაცის უშვერ ლანძღვას. ის წუთით გამოჩნდებოდა ხოლმე, რათა ჩემთვის ლიმონათი შემოეტანა, თავზე ხელს გადამისვამდა და თავის მშვენიერ თვალებს შემომანათებდა. ამ თვალეში თავით ფეხამდე ვირეკლებოდი. სხვა დუქნებში ყველა კუთხე-კუნჭულს ვათვალიერებდი, საცეკვაო დარბაზიც და სცენაც კი არ მრჩებოდა უნახავი, მერე გავდიოდი ბაღში, სადაც იდგა მაგიდები და ბილიარდი; განსაკუთრებით შემძრა დუქანმა, სადაც მეპატრონე იყო პან ჰუგო შმოლკა, ებრაელი. მის ვაჟიშვილებს ხშირი ქორორი უმშვენებდათ შუბლს და მშვენიერი კულულები ეფინათ სახეზე, თვითონ მეპატრონეს კეფაზე მოკლედ შეეკრიჭა, წინ კი წარბებამდე სცემდა შავი თმა. მეპატრონის ცოლი სულერთთა-

ვად ოფლში ცურავდა, გეგონებოდა, ქონი წაუსვებსო. აი, ასე შევიყვარე დუქნები და სალუდეები, რესტორნებში კი, სადაც ფეხქვეშ ხალიჩა ბზინავდა და შავფრაკიანი ოფიციანტი დააბიჯებდა, უცხოდ ვგრძნობდი თავს და მამაჩემს გარეთ, ქუჩაში ველოდებოდი ხოლმე, რათა მასთან ერთად კვლავაც სოფლის დუქნისკენ ამელო გეზი... ოჰ, ეს სოფლის სალუდეები! იქ ხომ მუდამ შინაურად მთვლიდნენ! ზოგიერთ სალუდეში ხორცის ფარდულიც კი იყო და მე იქ უსათუოდ მთავაზობდნენ ძეხვეულს. ნამდვილი ნეტარება იყო ჭიქა ლიმონათი და ძეხვის ულუფა! რეალურ სასწავლებელს რომ მივაშურე, უკვე ლუდსაც ვწრუპავდი. სადაც კი უნდა წავსულიყავი მამაჩემთან ერთად, ყველგან ლუდის ცოცხალი რეკლამა ვეგონე მეინახეებს. კათხას კათხაზე ვცლიდი და ხმამალა ვაქებდი ამ ძვირფას სასმელს. ყოველივე ამას თავდაჯერებით და სიამოვნებით ვაკეთებდი. მამა კვლავ მეპატრონეებს ეკამათებოდა და ზოგჯერ ტუქსავდა კიდევ, მე იმავე სოფლის სალუდეში ვიჯექი და კათხას კათხაზე ვცლიდი. მესამე კათხის შემდეგ უკვე მომსვლელებსაც ვესაუბრებოდი. ყველაზე მეტად პან ვოდვარკას დუქანში ჯდომა მიყვარდა. პან ვოდვარკა გულლია და ხალისიანი კაცი იყო, მამაჩემი არასდროს დამდურებია მას. მართლაც მარჯვე და მარიფათიანი მეპატრონე გახლდათ. ასეთივე დარჩა ჩემს მეხსიერებაში. მის დუქანში დილიდანვე ისადგურებდა მხიარულება. როცა პან ვოდვარკა ნიმბურკს ეწვეოდა, პრალაში მივდიოდით. მამაჩემს პრალაში წასვლა ესიკვდილებოდა, მე კი ამაზე დიდი სიამოვნება არ მეგულებოდა. დუქანს, რომელსაც ჩვენ ვენწვოდით ხოლმე, ერქვა „შმელგაუზებთან“. პირველად რომ შევედით დარბაზში, პან ვოდვარკამ მევიოლინეს შუბლზე ასიანი მიაწება. ამის შემდეგ, შევიდოდით თუ არა დარბაზში, მუსიკოსები რომელიმე ჩვენს საყვარელ სიმღერას წამოიწყებდნენ. მერე ვეკიფობდით, მამა დროდადრო გვას-

სენებდა, უკვე შინ წასასვლელად უნდა შევემზადოთო, მაგრამ ჩვენ ფეხს ვითრევდით, პან ვოდვარკა ცეკვავდა და ომახიანად მღეროდა, ლიმის აფრქვევდა და ენამახვილობდა. მეც მხიარულების ფერხულში ვებმებოდი და, რაც უფრო მეტს ვსვამდი, მით უფრო ხალისიანად ვეხვეოდი ყველას, ვინც პან ვოდვარკასთან მოდიოდა. ასეთ დღეში ვიყავით მანამდე, სანამ სალუდე არ დაიკეტებოდა. მამაჩემს დალევა არ შეეძლო, ვინაიდან მოტოციკლით უნდა წავეყვანეთ შინ, მოგვიანებით მან „შკოდა“ იყიდა. მამამ აღარ იცოდა ხოლმე, რა ექნა, მოთმინების ფიალა ევსებოდა, გონზე აღარ იყო, გიჟს ჰგავდა. პან ვოდვარკა სამ თვეში ერთხელ მოდიოდა ამ სალუდეში და წინასწარვე დაუთქვამდა მამაჩემს, ჯერ ყველა საქმე მოვითავოთ, მერე კი შმელგაუზებს ვენწვითო... შმელგაუზებიდან მუსიკის თანხლებით გვაცილებდნენ. გზად სხვაგანაც შევივლიდით, პან ვოდვარკა მოითხოვდა მუსიკოსების გაღვიძებას, რომლებიც საგანგებოდ ჩვენთვის უკრავდნენ. ეს ამბავი განთიადისას ხდებოდა, მზის ამოსვლის ჟამს. ჩვენ ისევ ლუდს ვსვამდით და ზედ ყავას ვაყოლებდით. პან ვოდვარკა შოკოლადს ყიდულობდა და ქალებს უმასპინძლებოდა, მერე ფანჯრებზე აკაკუნებდა და სამხიარულოდ კეთილ ადამიანებს მოუხმობდა. ყველა ცეკვავდა და მღეროდა, მამას კი სული კბილით ეჭირა, საათზე იყურებოდა და ამბობდა, ორ საათში ლუდის ქარხნის ბუღალტერიაში უნდა ვიყო. ო, ეს ჩემი სიყმანვილისდროინდელი დუქნები და მოგვიანებით ჩემი სალუდეები ნიმბურკში, სადაც შაბათ-კვირას დავდიოდით – დღისით და საღამოს – ბილიარდის სათამაშოდ! მახსენდება ერთი ტრაქტირიც. იქ მე პიანინოზე უკრავდი და კარტს ვთამაშობდი ზალიბელ ყმანვილებთან. ვისსენებ ჩეხეთში მოგზაურობას, იქაურ სალუდეებს და დუქნებს. იმხანად დაზღვევის აგენტი ვიყავი. თვალწინ მიდგას რესტორნები, რომლებშიც ვსაუზმობდი,



ვსადილობდი და ვვახშობდი. ეს უკვე ის პერიოდი იყო, როცა კომივოიაჟერად ვმუშაობდი და ფირმა „გარი კარელ კლოფანდას“ მშვენიერ საქონელს ვყიდდი. დაბოლოს, პრალა, სადაც გამუდმებით დავდიოდი დუქნებში – ლიბენი, ჟიჟკოვი, პატარა ქვეყანა და ძველი ადგილი ერთი დღითაც არ მიმიტოვებია. თითქმის მეოთხედი საუკუნე ამ დუქნებში ვვახშობდი და ძალზე იშვიათად შევალბდი ხოლმე (უფრო შემთხვევის წყალობით) ხეირიანი რესტორნის ან სასტუმროს კარს; ეს ადგილები, მართალი გითხრათ, არც მიყვარდა, ცოტა არ იყოს, შიშნულადაც ვეკრძალებოდა იქაურობას. იქიდან ქუჩაში გამოსული თანდათან ვიკრებდი გონებას და პირველივე სალუდში შევდიოდი. სალუდში შინაურულად ვგრძნობდი თავს, აქ ყველაფერი ნაცნობი და საყვარელი იყო: ოფიციანტი, მეპატრონე, ირგვლივ მეგობრები მეხვია, ოჯახურ მყუდროებას ვგრძნობდი...

და აი, მე ვზივარ „ოქროს ვეფხვში“, თვალი დუქან-დუქან გავადევნე განვლილ გზას და მივხვდი, რომ ყველაფერი მამაჩემისგან დაიწყო – მე ლიმონათს ვსვამდი, ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი, ვიდრე მამა ანგარიშებს ამონებდა და სალუდეთა უბედურ მეპატრონეთათვის გადასახადს ადგენდა – მათ ხომ მუდამ რალაც ხარვეზები ჰქონდათ საქმეში. მე ვზივარ „ოქროს ვეფხვში“ და ვიღიმი: მთელი ამ ხნის მანძილზე არაფერი არ მესმოდა, თითქოს ჩუმ და იდუმალ ტყეში ვიყავი. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ ფიქრში წარსულისკენ გავიჭერი და ჩემს პირველ დუქანამდე მიმავალი გზა გავიარე. ეს გზა ნიმბურკის სიახლოვეს მდებარე სოფლიდან დაიწყო. მე ფიქრში წავედი, ამასობაში კი პან რუისი თავის ამბავს ჰყვებოდა... ჩავფრინდით, მამ, კოპენჰაგენში, იქ კი ორი მანქანით დაგვხვდნენ. ჩვენ, „დვორჟაკის კვარტეტი“, პირველად მიგვინვიეს. არც კი ვიცოდი, ასე ხელგაშლილად ვინ გვმასპინძლობ-

და. დამხვდურებს შავი ტანისამოსი ეცვათ, ორნი იყვნენ და, ვიდრე იმ მანქანით მივდიოდით, დაგვალამდა კიდეც. კოპენჰაგენი უკან მოვიტოვეთ, დიდ შენობას მივუახლოვდით, კარი გაიღო, რკინის გისოსი ზემოთ აიწია და ეზოში შევედით. გისოსებიანი ფანჯრები რომ დავინახეთ, მივხვდით, ციხეში ვიმყოფებოდით. მერე ციხის უფროსმა მიგვიღო, სუფრა გაგვიშალა – ღვინოც იყო... ცოტა ხნის შემდეგ ციხისავე სამლოცველოში გაგვიყვანეს, სადაც უკვე შეკრებილიყვნენ ტუსალები, ინსტრუმენტები ავანყვეთ და დავინყვეთ დაკვრა... ჯერ კვლავ დვორჟაკის კვარტეტი შევასრულეთ, მერე კი „ჩემი ცხოვრება“. ვუკრავდით სრულ სინყნარეში და ვიგრძენით, რომ ასეთი პუბლიკა მანამდე არასოდეს არ გვყოლია. ეს იყო ჩვენი საუკეთესო მსმენელი. ოქსფორდი გამახსენდა, სადაც ერთი წლის წინათ კონცერტი ჩავატარეთ, მამაკაცები ფრაკებში იყვნენ გამოწყობილნი და, დაკვრას როდესაც მოვრჩით, ფეხზე წამოდგნენ და გარინდულნი იდგნენ, მაგრამ, ვიდრე კულისებში გავდიოდით, ერთხელ კიდეც მოვიხედეთ უკან, ისინი კი ისე იდგნენ, როგორც ეს ტუსალები კოპენჰაგენში. იქაც იმავე მელოდიებს ვასრულებდით: დვორჟაკის კვარტეტს, რომელიც მან შეილის სიკვდილის შემდეგ შეთხზა, სმეტანას „ჩემს ცხოვრებას“ და იანაჩეკის კვარტეტს. აი, ასეთი რეპერტუარი გვქონდა და ეს მუსიკა მომწუსხველად ზემოქმედებდა მსმენელზე ოქსფორდშიც და კოპენჰაგენის ციხეშიც. იყო რალაც მისტიკური ყოველივე ამაში. ღმერთო ჩემო, რა არის მუსიკა, რით ეხმაურება ის ჩვენს ცხოვრებას? თითქოს არაფრით, მაგრამ ყველაფრით... ასე ამბობდა პან რუისი, ჩვენ კი ისე ავლელდით, რომ აქაფებული ლუდის კათხები ავიფარეთ სახეზე მღელვარების დასამალავად.

თარგმნა  
ანდრო ბუაჩიძე





## გელა დუმბაძე Гела Думбадзе

### მარადონა

*დიმა ჯაიანის მონაყოლის მიხედვით*

სოხუმელები ზღვაში იშვიათად შევდიოდით ხოლმე – მეტწილად, თბილისიდან სტუმრად თუ ვინმე ჩამოვიდოდა, მისი ხათრით...


შესვენებაზე ან სამუშაო დღის ბოლოს „ბირჟაზე“ ვიკრიბებოდით. ბანქოს ვთამაშობდით, უფრო ხშირად – პრეფერანსს. სასიამოვნო იყო სანაპიროს თბილ ქვიშაზე წამოგორებულ მეგობრებთან შეხვედრა, თამაში, ათას რამეზე საუბარი და სლავი მდედრობითი სქესის მო-

### Марадона

*Еिताҳәит Дима Цьаиани*

Ақәаа амшын усқак лассы ҳталомзт – еихарак Қартынтә сасык дахтаар, уи иах атыр азы акун...

Аҧсшьара аан ма аусура аамта атә ыхәтәан “абиржа” ақны ҳаизон. Амаца ҳасуан, - еихарак апреферанс акун. Зегь реиха агәыхәара хнатон, аҧслымҭ ҭха ақны хбылгыо аиҧызцаа ҳанеиқәшәоз, ханыхәмаруаз, акы ханалацәажәоз, ахе әса хәучкәа рыҭшзара зегьы лабҭаба ханахәаҭшуаз, “убла иаахәо” .



მადლებული ფორმებით დატკობა, ანუ „თვალის გახარება“.

აქ უამრავ ამბავს შეიტყობდა ადამიანი – იყო ხუმრობა, ამბების გარჩევა, იშვიათად ჩხუბიც და ზღვის მზით გავრელებული ხალასი მეგობრობაც, რომლის განუმეორებელი სიტბოც ცხოვრების ბოლომდე მოგყვება ადამიანს და ყველანაირ გასაჭირში გასულდგმულებს.

ჩვენ ირგვლივ, ოდნავ მოშორებით, ახალგაზრდები იყრიდნენ თავს, ზოგი ჩაცუცქული, ზოგიც ფეხზე მდგარი გვისმენდა – ალბათ, ჩვენგან მოსწრებულ სიტყვა-პასუხს სწავლობდნენ. ახლა, მრავალი წლის შემდეგ მეგობრები რომ ვიკრიბებით, ინსტინქტურად ვიხედები გვერდზე და ვგრძნობ, რომ საოცრად მაკლია მათი ახლომახლო ყოფნა, ანთებული თვალები და ალალი ყურადღება. ნეტავ, სად არიან ახლა ჩვენი უმცროსი აფხაზი ძამიკოები?.. თითქოს უფუნქციოდ დარჩა ჩვენი თაობა, – მომსმენი აღარა გვყავს. აფხაზეთიდან გამობიზნულნი ერთმანეთს თუ ვუნყალებთ გულს ერთი და იმავე, ძველი ამბების თავიდან და უთავბოლო მოყოლით.

●  
– ნოდარ, შენ რა, ყველასაგან გამორჩეული ხარ? – ამ გლახაკ მარადონას ათ მანეთს რომ აძლევ ყოველ ჯერზე! ყველა მანეთიანს ვაძლევთ და ის ჰყოფნის მაგ საცოდავს!.. თუ რამე განსაკუთრებული იშოვე, გვითხარი, არ გვენყინება! ეეჰ, ის მაინც არ ვიცოდე, თვიდან თვემდე როგორ გაგაქვს ოჯახი! ორი კაპიკი გადაგედო, რამე ძველ მანქანას იყიდდი მაინც! – გამინყრა ქალაქის ერთ-ერთი მესვეური.

საქმე ჩვენი უბნის გლახას, მარადონას ეხებოდა. ეს მეტსახელი დიდ ფეხბურთელთან მსგავსების გამო დაარქვეს. ფართხუნა შარვალ-კოსტიუმით და ოდესღაც თეთრი პერანგით დადიოდა. ხან სადგურს სტუმრობდა, ხან სანაპიროს. მაინცდამა-

Арака ауады имахауаз, еилимкаауаз хәа акы ыҕамзт, – алафхәара, ахтысқәа реилыргара, ускак лассы ақум аха айқәе җарақәа анықалозгы ықан, амшын амәра иаргәырҗьоз айфызарагы, уи акы еипшымы җухараны аҗстазаара нтәаанза ауады ицаауеит, иарбан цәҗаразаалагы узыкәшәо акны уҗсы уханатоит.

Хара хааигәара, хара инаскыамгакәа, аҗар рееизыргон, шыоуку еихәткәыкәеланы, шыоуку ршыапы иқәгыланы иахзызырозар каларын, – хара хәы итыҗуаз хажәакәа дара иртозар каларын. Уажәы акыр шықәса раамышьтахь, хаифызара ханеизо, уаанза еипш уажәгы сган ахь сыҗшуеит, сцәанырра исанахәоит, урт аҗар ааигә' сигра рықазара шыгәу, рыбла цырцыркәеи, ргәы аартны хзыҗзыррей гәхәазгоит. Уажәы иахыкоу здыруада, хара хаҗсуа'хашьацәа хәқкәа... хара хәқәлацәа иухәар калоит фунекция змамкәа иаанхаз - иахзызыро дх амазамкәа хакоуп. Аҗсны иалырцаз, уәе жәы хаипыларакәа ркны хгәаларакәа еибәххәоит, урт зегы еснагь еипшуп, акы ауп изызку, уи ажәытә ахтысқәа роуп, аханатә аитахәара, нцәара ақәы мкәа.

●  
– Нодар уара изакәзи, зегы урылкаае ума? – абри Марадона арыҗха еснагь жәа' маатк иутоит! Харт зегы маатк иахтоит, уи арыҗха ари иахто изхәоит!.. чыдала акы уҗшаазыр, ихахә, хгәы иалсуам!... Еех мызкы инаркны егы амз ааиаанза утаацәа шноуго сзымдыруандаз ма!.. Ө'капек ныҗхәуауындаз, машына жәык ааухәаргы здыруадаз!.. – исықәипсит иажәакәа ақалақь агәыхалалцәа руазы.

Аус зызкыз хара ххабла акны инхоз чкәына рыҗхак, Марадона иакун. Ари ахыз уи еицдыру ашыапылампыл асды ду иахатыр азы ихьзыртит. Иахәтгәалоз айқәеи- акостиуми, уаанза зны ишыҗшкәакәаз удырратә кәәҗкы ишәын есәнагь. Зны аангыларта дасасын, ма ақәара

ინც ფულის თხოვნით არავის აწუხებდა, ალბათ, ჰყოფნიდა კეთილი ხალხის გაღებულ ხურდა და მანეთიანები.

ჩვენი „ბირჟის“ ხშირი სტუმარი იყო მარადონა. ჯერ მოშორებით ჩაცუცქდებოდა ხოლმე და იქიდან გვიყურებდა კბილებდაკრეჭით. მერე ნელ-ნელა მოგვიახლოვდებოდა და ბავშვით ცელქობდა: ამას ესა და ეს კარტი აქვს ხელში, იმას კი ისო. და ასე, ვიდრე მეგობრულად არ გავაპანღურებდით. ისე, ჩვენგან არაფერი სწყინდა...

არ ვიცი, თუმნიანებს რომ ვჩუქნიდი, იმიტომ – მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემ მიმართ რაღაც სხვა დამოკიდებულება ჰქონდა. რომ შემომხედავდა, სახიდან ღიმილი უქრებოდა და უცნაურად მშვიდდებოდა. სევდიანი, წყლიანი თვალებით მიყურებდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებულის თქმა ან გრძელი ამბის მოყოლა უნდოდა.

რამდენჯერმე, ზღვაში რომ ვცურავდი, დავინახე, როგორ მივიდა ნაპირზე დაყრილ ჩემს ტანსაცმელთან, შარვლიდან ათმანეთიანი ამოიღო და ხელის მალა აწვით მაჩვენა – ზუსტად თუმნიანი ამოვიღეო!

... და ასე გრძელდებოდა წლები, ვიდრე სოხუმის ლურჯი ზღვა ომმა სისხლით არ შეღებდა...

ყველაფერი აირია, ყველაფერი მოიშალა – ძმამ ძმაზე აღმართა ხელი.

ამ უბედურების შემყურე ზღვა ერთხანს ღელავდა, დუჟმორეული გიჟივით შფოთავდა, ასკდებოდა ბეტონის ნაპირს, ბოლოს, თითქოს ვერაფერს გახდაო, დანყნარდა და ქაობივით გაირინდა – გაიყინა.

ყველანი დავიშალეთ, ყველანი გადავიხვეწეთ.

დიდი ტრაგედია პატარა წუხილს მუდამ ფარავს...

რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე ომი დაიწყებოდა, ჩვენი სამომო ერთმა სამწუხარო ამბავმა შეძრა – მარადონა დაიკარგა საღვლა. რამდენი ვეძებეთ, ვის არ ვკითხეთ

დუკაყინ, აჯაკ ალა ხაბალაგ დუკან. აწე არა სუშატ ჰაა აზაგყი დიხაომტ, აგურაა უაირგამტ, აუაა რაზი ირტოზ აწარა წყრე გეი, მაატკ იცოზი იზხოზარ კალარინ.

ჰარა „ხბირჯა“ ესნაგ დატააუან. ზნი ინასკაგანყი დეიხატკაყიკალონ უაანტა დხ ახააწყუან იხაყი წყრწყყყუა. ნას ხაყი ხაყი დახააიგააჰონ, ახაყი ეიწყ ახამარა დალაგონ... „აწაგაჰაჰარა“, არი ინაყი აბრი ამაა აკუპ ჰაა, ანი აბრი იკუპ ჰაა უბას დაყინ ჰიახუმარნი იაჰა ჰ კყლასაანჯა. ჰარა დხაზგააუამტ...

ისყზდყრუამ ჯააბა იცოზ ახისტოზ აზყ აკუ – ახა აწაანყრა სყმან სარა საჰყ დაე აკალა დყყიკაზ, დანსყხააწყშოზ იკაყიშა აჩარა ყკალონ, უამაშაა იუბარატყი დყინჩხონ. იბლაკაა ეიკაყიშყიშყი, გაყაე აგარალა დსყაუაწყუან, ყყდალა აკყ სეიხაარ მა აჯააბჯყ დუკ სირდყრყ იტაე ჰყზშაა.

ისგაალაშაეიტ იზნყყყკუა, ამყინ სყზსუა სანყყ, ჰარანტა დყზბონ, აკაარა აკნყ იშყტაზ სყმატაა აჰყ დყშნეუაზ, სყ ყყბა ჯაა'მაატკ აატიგონ, ინაყი დაყიშყე ტყნი ისირბონ ჯააბა იცოზ აუპ იტყზგაზ ჰაა...

....აბას აშყკაესკაა ცონ, აკაათაი ამე შყნ'ეტაა აიბაშყრატა აშყალა იშააე ანჯა...

ზეგყ ეილაჰუეიტ, ზეგყ ეილაბგეიტ... აეშყა' აეშყა იზყ ინაყი შყტიხიტ.

აბრი აგააკრა ზბოზ ამყინ ენაკ იწაე გაყრწონ, აშააჰ ჰყჩყლო იხაგაჰაზშაა იწაგაყრწონ, აბეტონ აკაარა იასუან, ატყხატაანი, უაჰა აკგყ ალყმშაზშაა, იაატყინჩხონ, აზმაჰა ეიწყ იეკატაონ, იტე ააზშაა.

ზეგყ ეიმყყყიტ, ჰაკაყყყაიტ

აგააკრა დუ აგაყყრა ჰაყიყი ესნაგ იხნააეიტ...

უი აგააკრა აკალარა მყკააკ შყე გყ, აიბაშყრა იალაგაანჯა, ჰარა ჰაიე აშყარა, ჰტყს ცაგაკ ჰარგაამტიტ...-მაე რადონა წარა დყნყყლაზ დეიტ. შაკა ჰ იშყტაზი, ჰაზყყმტააზ დარბან უი იტყი აზყი იდყრუაზყრ ჰაა, ახა აზაგყი აკგყ იზდყრუამტ. აკგყ ჰზეილყკააიტ. აკაე ლაკე ზეგყ ეიმაჰდეიტ. აგაყწრა ჰარჰომტ იზბანარ: უი ეიწყ იკოუ წარა აზყი

მისი ასავალ-დასავალი. მთელი ქალაქი გადავატრიალეთ. იმედს არ ვინყვეტდით, რადგანაც: სადღაც ვილაცა მსგავს ადამიანს ყოველთვის ნახავს ხოლმე.

ბოლოს იმედი გაგვინყდა. ვიფიქრეთ, რომ ზღვაში დაიხრჩო. პირადად გადავუხადე მოსახსენიებელი სუფრა. ყველანი ვიყავით, ვინც ამ ღვთის გლახას იცნობდა. მოვისხსენიეთ თვალზე ცრემლით და პირზე ღიმილით. მერე ნელ-ნელა შევეჩვიეთ უმისობას. დროს, როგორც ზღვას, ყველაფრის შთანთქვა სჩვევია. ომმა ხომ საერთოდ ამოგვავდო დედაბუდიანად...

ბევრი გაჭირვებისა და ხეტიალის შემდეგ, განგების ნებით, ოჯახთან ერთად სოჭში აღმოვჩნდი. ერთადერთი ნათესავი გვყავდა იქ და იმან მოგვიხმო.

იმ პერიოდში იქაც ძალიან ჭირდა. სამუშაო არ იმოვებოდა. იძულებული გავხდი, მეთევზეობისთვის მიმეყო ხელი. ყოველდღე ზღვაში გავდიოდი და რამდენიმე კილო თევზს ვიჭერდი. იყო ხელმოცარული დღეებიც. დაჭერილ თევზს ბაზარში ვყიდდი და ასე ვმოულობდი ოჯახისთვის პურის ფულს. ძლივსძლივობით გვყოფნიდა...

ერთ დღეს ზღვა საკმაოდ ძლიერ ღელავდა. ცოლმა მითხრა, იქნებ, დღეს მაინც დაინდო თავი და ზღვაში არ გახვიდეთ.

– რას ამბობ, ქალო, ჯიბეში მხოლოდ ხურდა მიყრია, ორ პურსაც არ ეყოფა, როგორ არ გავიდე-მეთქი!

ნაპირზე ნავთან რომ მივედი, მზემ გამონათა... სოხუმი გამახსენდა, ჩემი ძვირფასი დაკარგული მეგობრები, ჩვენი შეხვედრები „ბირჟაზე“... რატომღაც ტალღებში ცურვა მომინდა, გადმობრუნებულ ნავზე გადავფინე ტანსაცმელი და ზედ ქვები დავანყვე, ქარს რომ არ წაელო. მივცურავდი და ვფიქრობდი, მივცურავდი და უკან დაბრუნება აღარ მინდოდა. ტალღები სახეში მიბათქუნებდა, მე კი სულ წინ და წინ მივიწევდი. ბოლოს დავიქანცე. ოჯახი გამახსენდა და ნაპირისკენ მოვტრიალდი.

დიმბარ კალომტ. Аха башан.

Атыхәтәаны хгәыңра хцәызит, амшын дагыит хәа ихазбит. Сара схата уи ихье зала аишәа кәстит, дахгәалахаршәит. Абри анцәа иишаз арыцха дыздыруз зеггы хаizeит. Дахгәалахаршәит хабла алаңырз хыжжыла, аха хақышә аччара ыкәны. Нас хәчы'хәчы уи икәмзаара х ашыцылеит. Аамта, амшын еиңш, зеггы рылбаадара алшоит. Аибашьра зынза х дацкәа инаркны хакәнахит...

Ауадаәра рацәеи, агәндеиреи раамые шытахь, анцәа иңшьарала стаацәеи, сае реи Шәача хнанагит. Уака хауак дыкан, уи хидикылеит.

Ускантәи аамтазы уакагы даараза иуадаәран. Аусура узыңшаауамт... Аңсыз акра салагар акухеит. Ессымша амшын ахь сцон кылаала аңсыз скуан, акгы ансымкуазгы ыкан, искиз аңе сыз аңырмакы акны истиуан убас аңе ара ңшааны стаацәа збон, уи амла ханае ркумт...

Әнак зны амшын акыр ицәгәырҗон. Сыңшәма исалхәит икалозар иахья амшын ухымлан хәа.

– Ибхәо закуи бара, ибхәо закуи, сц ыба аңырга мацара таңсоуп, ҭчакгы ирызхом, амшын сызбахымлари схәит!

Акәара акны анышьа ахь саннеи, амра аакылхңеит... Акәа сгәалашәит, ицәызыз сәызацәа гәакыкәа, хара х аиңыларакәа “абиржа” акны ...иззаку сыздыраам аха ацәгәырҗакәа ркны азсра стаххит, тқала иаархәны ишьтаз анышьа акны сымаҗәа нышьтастцан ахахә акәстит аңша иамгарц азы. Сызсуан, схәыцуан, сызсуан шытахька ахынхәра стахымт. Ацәгәырҗа сәасуан, сара ңхьяка ацара сафын. Атыхәтәаны сааңсеит, стаацәа сгәалашәан акәара ахь сгыжыит.

Мап, икалом исцәеилагар !!! ари агага! даараза исзааигәоу издыруа ауп, иикәеи, икостиуми иахәтагәало, абас агыла азы затцәык иакун изылшоз! Марадонааа !!! Марадонааа !! Оо уара - ирхәыз агыгшәыг еиңш акаара салагит ...

– Марадона! Уабаказ! Уабахцәызи?! Уңсы тоума уара? Амшын ацәгәырҗа

არა, არ შეიძლება მეშვებოდეს!!! ეს სილუეტი! საოცრად ახლობელი და ნაცნობი, ფართხუნა შარვალ-კოსტიუმი, ასეთი მიმოხრა მხოლოდ ერთ ადამიანს ჰქონდა!

– მარადონაა! მარადონა, ბიჭო! – დაჭრილი მხეცივით დავინყე ღრიალი!

– მარადონა! სად იყავი, სად დაგვეკარგე? ცოცხალი ხარ, ბიჭო?! – ზღვის ტალღამ შემანყვეტინა ყვირილი...

მარადონა ნავთან იდგა და ჩემკენ იყურებოდა. ალბათ, იღიმოდა. მე კი ვყვიროდი, ვღრიალებდი – სიხარულით, მონატრებით, ტკივილით! ერთხანს ასე იდგა მარადონა, მერე ჩემი შარვლისკენ წაიღო ხელი.

ადამიანური სისუსტე მომეძალა, ერთი წამით: – მარადონა! არ ქნა, ბიჭო! ბავშვების პურის ფული მაქვს მხოლოდ დარჩენილი-მეთქი! – დავიღრიალე. მყისიერვე შემრცხვა ჩემი სისუსტის და თვალცრემლიანმა ყვირილი განვაგრძე:

– მარადონა! აილე ყველაფერი! აილე, ოლონდ არ ნახვიდე, ჩემო ძვირფასო, ჩემო ძმაო!!!

ზღვის ხმაურის გამო ჩემი ყვირილი, ალბათ, ნაპირამდე არ აღწევდა. ნავიდა მარადონა – გაქრა სამუდამოდ...

ძლივძლივობით გავედი ნაპირზე. ერთხანს ქანცგანყვეტილი ვეგდე, მერე ნავთან მივლასლასდი, შარვალს მოვკიდე ხელი და ჯიბეები გავუსინჯე. მოულოდნელობისგან არანორმალური, გაბმული ღრიალი აღმომხდა. მერე არაფერი მახსოვს. რამდენიმე ხანს ქვიშაზე ვეგდე ასე, უგონოდ.

გახუნებული შარვლის ჯიბეში მარადონას შვიდასი დოლარი ჩაედო...

თარგმნა  
ირმა ოსიამ

сыбжыы ҧнатәеит....

Марадона анышыа акны дгылан сәе ра дсыхәаҧшуан. Дыччозар қаларын. Сара скаауан, ҧыстуан – сгәырҧыаны, гәхәагарала, хәаала, зны ус дгылан Марадонна, нас иара длақәын сикәа ахь инапы ирхейт.

Ауады иҧсыҧера аасылалит азнык азы



– Марадона! Иқамтдан, уара ! Ахәықкәа рча ахә мацара ауҧ исзаанхаз хәа ! – ... Сыџкәааит. Иара уацәкәа иҧхасшьейт сара сыҧсыҧера, сыбла алаҧыырҧ хыҧжыло ақыҧра насыҧзейт..

– Марадона! Игы зегьы! Игы зегьы аха цьарҧгы умцан, сылашара, сара сашьа !!!

Амшын абжыы амшала сара сыхәаара, акәара акнынза имнеиуазар қаларын. Марадона дцейт,- зынза дызит...

Изулагь акәара ахь стытцит, зны акы сылымшо скажыын, нас анышыа ахь снейт, сикәа ааныскылан аҧыбақәа гәәстит. Сгәы сәанымкәа, инеимыҧжны акаара салагит. Нас акҧы сгәалашәом. Акыр аамта аҧслымҧ сылаҧжыын, сыҧсы мацаханы.

Зыҧштәы цахьаз сикәа аҧыба Мае радона быҧжшәы доллар деицит....

Енталҧейт  
Ирма Осиа'ҧха



### თოჯინების ოსტატი

სომხური ეპარქიის სამოციქულო ტაძართან არსებულ კულტურის ცენტრში ჩვენი თანამემამულის, არმენ ჰოვანესიანის გამოფენა – „თოჯინების სამყარო“ გაიმართა. ავტორის შთაგონების უპირველესი წყარო ძველი თბილისის თავისი კოლორიტით, მულტიკულტურული ეთნოგრაფიითა და ისტორიით. ასევე ქმნის მითოლოგიური პერსონაჟების, ცნობი-

ლი კინოფილმების გმირების, კლასიკოსი მწერლებისა და მხატვრების თოჯინებს.

გამოფენაზე ვრცელი რეტროსპექტივა დაეთმო ძველი თბილისის თემას: კინტოები, ხელოსნები, ძველი თბილისის სომხური და ქართული ოჯახები. ერთი სიტყვით, ძველი თბილისელები; მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საათნოვას და ფიროსმანის სახეები. თო-



ჯინაშია გაცოცხლებული ფიროსმანის მეეზოვე, ფუფალა – სევდიანი, სათნო და მეოცნებე, ფარაჯანოვი ცნობილ „ნახტომში“ (მეჩითოვის ფოტოდან), საკულტო ფილმის „მიმინოს“ გმირები, მითოსის, ზღაპრებისა და მსოფლიო კლასიკის პერსონაჟები და თვით შექსპირიც.

მხატვრის თოჯინების სამყარო მრავალაფეროვანი და საინტერესოა. ყველა თოჯინას თავისი ხასიათი, ემოცია და ესთეტიკა აქვს. უფრო მეტიც, რალაც ჯადოსნობით ავტორმა თავის ქმნილებებს თითქოს სულიც ჩაუდგა და მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობითა და

ამავე დროს მენტალობითაც გამოარჩია, რაც მარტო ჩაცმულობაში კი არა, მზერაში ჩანს. დასავლური კულტურის მატარებელი თოჯინების მზერა განსხვავდება სომხურისა და ქართულისაგან და ამ ნიუანსში იკვეთება მხატვრის მართლაც დიდი ნიჭი. მინდა აქვე ხაზგასმით აღვნიშნო ექსპონატი გენოციდის თემაზე, სამფიგურიანი კომპოზიცია – დედა შვილებით ხელში. შეუძლებელია ამ ექსპონატს გულგრილად ჩაუარო. ავტორმა სომხეთის ისტორიის ავბედითი პერიოდი საკაცობრიო ტრაგედიის არქეტიპად აქცია.

თოჯინების ოსტატი არმენ ჰოვანესიანი ოცდარვა წლისაა, პროფესიით მხატვარია, წერს ლექსებს. დაიბადა და გაიზარდა სოფელ შაუმიანში. დაამთავრა მესროპ მაშტოცის უნივერსიტეტი ერევანში, მხატვარ-დიზაინერის განხრით, და ისევ თავის სოფელს დაუბრუნდა. ხატავს ბავშვობიდან და ბავშვობიდანვე აკეთებს თოჯინებსაც.

**– არმენ, პირველ რიგში მინდა გკითხო, საქართველოში რატომ დაბრუნდი, ხომ შეგეძლო, ერევანში გაგეკეთებინა კარიერა?**

– როდესაც სომხეთში ვარ, საქართველო მენატრება, აქ დავიბადე და გავიზარდე. ჩემი წინაპრები უკვე ორ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ცხოვრობენ. დედა ამბობს, როგორც კი ხელში ფანქარი აიღე მაშინვე ხატვა დაიწყეო. რაც თავი მახსოვს, ვხატავ. ვხატავდი ყველაფერზე – კედლებზეც. იყო დრო – უკვე მოზრდილი ვიყავი – საღებავებისა და ფუნჯების შეძენა უჭირდათ მშობლებს და მე თვითონ ვაკეთებდი საღებავებს, ვაღქიმიკოსობდი. აი, ფუნჯები კი არ ვიცოდი, როგორ გამეკეთებინა და დედამ თმა შეიჭრა, დედის თმისაგან ვაკეთებდი ფუნ-

ჯებს და ვხატავდი. მყავს ძმა, რუსეთშია, თავისი ბიზნესი აქვს. მამას გარდაცვალების შემდეგ დედა მარტო დარჩა და გადავწყვიტე, დავბრუნებულიყავი. საქართველოში დაბრუნება ისედაც მინდოდა და უკვე ამისათვის სერიოზული მიზეზიც მქონდა. დავბრუნდი და სომხური თეატრის ბაზაზე არსებული სამსახიობო სტუდიაც დავამთავრე.

**– თოჯინები, როგორც წესი, ბავშვობას უკავშირდება და, როგორც შენი სიტყვებიდან ჩანს, დედა მუდამ გვერდში გედგა. დედის ამ თანადგომამ ხომ არ განაპირობა, თოჯინების ოსტატი გამხდარიყავი?**

– თოჯინებს დიდი ხანია ვაკეთებ, ბავშვობიდან და დედა მენმარებოდა ხოლმე ტანსაცმლის შეკერვაში. ახლაც მეხმარება, მაგალითად, ფუფალას დედამ შეუკერა სამოსი.



სერიოზულად ამ საქმეს რამდენიმე წლის წინათ მოვიკიდე ხელი. ძველი თბილისის პერსონაჟები, თბილისური სიუჟეტები, საინტერესო სახეები... ძალიან ახლოსაა ჩემთან თბილისელი სომხების თემატიკა. მალეღვებს და კოლექციაც ამიტომ შევქმენი. ჩემი კოლექციიდან რამდენიმე თოჯინას დედას თმები აქვს.

თვითონ თოჯინის კეთების პროცესი მრავლის მომცველია: მხატვარიც ხარ – სახე უნდა დაუხატო; მოქანდაკეც ხარ – უნდა გამოძერწო. თოჯინების სხეულებს თიხისაგან ვძერწავ. დიზაინერიც ხარ, მკერავიც, პარიკმახერიც და მენალეც. თოჯინების კეთების დროს მთელი ჩემი შემოქმედებითი ენერჯია იხარჯება და ხელოვანისათვის ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი თავი ამ საქმეში ვიპოვე და, რა თქმა უნდა, დედას დიდი დამსახურება აქვს ამაში.

**– არ შემიძლია არ გკითხო, შენთვის**



**თოჯინა გასულიერებული ნივთია თუ არტობიექტი, რომელსაც ქმნი?**

- როდესაც თოჯინას სახეს ვძერწავ, თითქოს მეუბნება: დამეხმარე, რომ გავცოცხლდე... და მაშინ ჩემი სულის ნაწილს ვაძლევ მას. არასოდეს არ მაქვს ზუსტი გზა ესკიზიდან თოჯინის შექმნამდე. რაღაც ეტაპზე თოჯინა თვითონ იწყებს შენს მართვას, როგორც პერსონაჟი; როგორც ჩანს, იმ მომენტში ხდება, როდესაც მასში თოჯინის „სული სახლდება“. მას „არ უნდა“ ეს ფერი, უნდა სხვა ფასონი, უნდა სხვა მხრიდან მოტრიალდეს და ცვლი კომპოზიციას. თოჯინებს რომ გავაკეთებ, დასრულებულ სახეს რომ მივცემ, ისინი მართლაც იწყებენ თავისი ცხოვრებით ცოვრებას.

**- როდესაც შენს კოლექციას ვათვალიერებდი, შევამჩნიე, რომ სომეხ თოჯინებს რაღაც სხვანაირი თვალები აქვს, სხვა მზერა აქვს, როგორ ან რატომ აკეთებ ამას?**

- დიას, სწორად შენიშნეთ. არ ვიცი, როგორ გამომდის, ალბათ, თავისით, სომეხ თოჯინებს სევდიანი მზერა აქვთ. ეს ალბათ, ჩვენი ერის სულში ჩაბუდებული სევდაა, ჩვენი ტრაგიკული ისტორიის გამო, და ბუნებრივად გამოდის ასე. ინგლისელ თოჯინას კი სულ სხვა გამოხედვა აქვს, ეს არის ხელოვნება და აქ არ არსებობს ეროვნება. ყველა თოჯინა ერთნაირად მიყვარს. თუ პერსონაჟი არ მიყვარს, ვერ გავაკეთებ

**- რამდენადაც ვიცი, 2008 წლის ომის შემდეგ დევნილი ოჯახები ჩაასახლეს თქვენს სოფელში. სწორედ ამ დროს სამხატვრო სტუდია დააარსეთ, სადაც ბავშვებს ხატვას ასწავლიდით.**

- დიას, სტუდია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თაოსნობით გაკეთდა და ბავშვებს ხატვას ვასწავლიდი. ბავშვებთან მუშაობა ძალიან საინტერესოა - ისეთ კითხვებს მისვამდნენ, რომ ბევრი ახალი იდეა გამიჩნდა. მე ვასწავლიდი მათ თუ ისინი მე, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

**- და კიდევ, გამოფენაზე ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გენოციდის თემაზე შექმნილმა ექსპონატმა. თოჯინებით ასეთი ტრაგიზმის გადმოცემა როგორ შეძელი?**

- სომხურ ეკლესიას გენოციდთან და-

კავშირებით ღონისძიება უნდა ჩატარებინა და შემომთავაზეს, ამ თემაზე სურათი დამეხატა. როცა ვუთხარი, თოჯინებს გავაკეთებ-მეთქი რამდენიმე გააკეთეო მთხოვეს, მაგრამ მარტო ერთი გავაკეთე, რადგან ძალიან მიმიძიდა ამ თემაზე მუშაობა.

**- პროფესიონალი ხელოვანი თავის ნამუშევრებს ყიდის. შენ?**

- კი, რა თქმა უნდა, ვყიდი, აბა, სხვაგვარად როგორ?! მაგრამ ერთი მომენტია: როდესაც თოჯინას ვაკეთებ, ვეუბნები - მე შენ გაგყიდი, და „ვამზადებ“ ამისათვის. ამ კოლექციიდან, რომელიც გამოფენაზე იყო, ვერც ერთ თოჯინას ვერ გაგყიდი - არ „მომიმზადებია“ ამისათვის.

**- დარწმუნებული ვარ, ვინც შენს თოჯინას ყიდულობს, კარგ ადგილს მიუჩენს და მოუვლის კიდევ.**

- მეც ასე ვფიქრობ. ან იმას აჩუქებს, ვინც უყვარს...

**P.S.** აღსანიშნავია, რომ დღეს, ცივილურ მსოფლიოში, საავტორო მხატვრული თოჯინების კეთება, ხელოვნების ახალ მიმართულებად ითვლება და საკმაოდ ბევრი დამფასებელი ჰყავს. ევროპის ცნობილი გალერეები კარს უღებენ თოჯინების ოსტატებს და შთამბეჭდავ გამოფენებს აწყობენ. გამოფენები საინტერესოა, არა მარტო ექსპონატების მრავალფეროვნებით, არამედ ფინანსური ინვესტიციებითაც, რადგან სახელოვნებო ბაზარზე საავტორო მხატვრულ თოჯინაზე დიდი მოთხოვნილებაა.

თანამედროვე მხატვრები კი აქტიურად ავითარებენ ამ ახალ მიმართულებას - ეს არის ფერწერის, ქანდაკების, დიზაინის, კოსტიუმების ერთობლიობა და სხვადასხვა კულტურების სინთეზი. საავტორო მხატვრულ თოჯინებზე გამოდის წიგნები და ჟურნალები, იმართება აუქციონები და შესაბამისად იზრდება კოლექციონერთა რიცხვიც. თოჯინური ხელოვნების ექსპერტები სრული სერიოზულობით აცხადებენ - თოჯინა უკვე აღარ არის სათამაშო, თოჯინა ელევანტური საჩუქარია.

მარიკა კახაძე




ფესტივალი „საჩუქარი“ – 2015

GIFT-ის დღიური

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ – GIFT, რამდენიმეწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, შარშან და წელსაც წარმატებით ჩატარდა. 17

წლები დაჯილდოვდნენ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრიზით. მჯერა, რომ წლევეანდელი ფესტივალი, რომელიც „ქებათა ქებით“ გაიხსნა და „კარმენით“ დაიხურა, დიდხანს დაგვრჩება მეხსიერება-



ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე წარმოდგენები გაიმართა რუსთაველის, გრიბოედოვისა და თუმანიშვილის სახელობის თეატრებში, მოენყო გამოფენები, ლექციები, გენერალური რეპეტიცია და ა. შ. ქართული და უცხოური სცენის მოღვა-

ში და ბევრი ჩვენგანისთვის შთაგონების წყაროდ იქცევა. ამჯერად GIFT-ის დღიურის რამდენიმე გვერდს გთავაზობთ, ხოლო ჟურნალის შემდეგ ნომერში იხილავთ ვრცელ წერილს ცნობილი ლიტველი თეატრალური რეჟისორის, რიმას

ტუმინასისა და ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები მისი ორი ნამუშევრის შესახებ.

18, 19 ოქტომბერი – „ქებათა ქება“

**„ხომ არ გინახავთ ჩემი სულის შეყვარებული?“**

ქებათა ქება სოლომონისა

18 ოქტომბრის საღამო... თუმანიშვილის თეატრის დარბაზი... სანკტ-პეტერბურგის თოჯინების დიდი თეატრის, ე. წ. БТК-ის დასი სოლომონ მეფის „ქებათა ქებას“ წარმოადგენს. თეატრის დირექტორმა, ალექსანდრე კალინინმა გაგვანდო, რომ მათი საქართველოში ჩამოსვლა კერძო შემონირობებით შეგროვილი თანხის შედეგად მოხერხდა. მან თავისი შესავალი სიტყვა დაასრულა ფრაზით მარკ ზახაროვის ფილმიდან „ჩვეულებრივი სასწაული“: „მე მინდა დაგელაპარაკოთ სიყვარულზე“. შემდეგ, როგორც რიგითი მაყურებელი, სავსე დარბაზში დაბრუნდა და ჩემ უკან, ბოლო რიგის კიდეში მოკალათდა.

სცენაზე სასწაულები ხდებოდა. თოჯინები მხოლოდ ერთადერთ სცენაშია გამოყენებული. მთელ სპექტაკლს მსახიობები თამაშობენ. რამდენიმე წუთში დროისა და სივრცის საზღვრები ნაიშალა და ჩვენ თვალწინ ბიბლიური ამბავი გაცოცხლდა: ბრძენი სოლომონი და მშვენიერი სულამითი – სიყვარულის უკვდავი ქებათა ქება. ძველი აღთქმის ამ წინააღმდეგობებით აღსავსე, ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ და პოეტურ წიგნს ქრისტიანი თეოლოგები სხვადასხვაგვარ ახსნა-განმარტებას აძლევენ. ამბობ, რომ ის უნდა აღნიშნავდეს ღმერთის სიყვარულს ადამიანის სულისადმი, ქრისტესა და ეკლესიის კავშირს და სხვ. მაგრამ, როგორც მე-10 საუკუნის ებრაელი მეცნიერი და ღვთისმეტყველი საადია გვეუბნება, „ქებათა ქება“ იმ ბოქლომს ჰგავს, რომლის გასაღებიც დაკარგულია“. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ებრაული ტრადიციით, ამ ტექსტის ნაკითხვა ოცდაათ წლამდე აკრძალული იყო.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი თეოლოგები „ქებათა ქებას“ დრამას უწოდებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მასში ძე-

ლია მთავარი გმირების გამოყოფა და თანმიმდევრული თხრობა საერთოდ არ არის. მე-19 და თვით მე-20 საუკუნეშიც კი კამათობდნენ იმაზე, შეიძლებოდა თუ არა ამ კანონიკური წიგნის სცენაზე დადგმა. ამაში ეჭვი ეპარებოდა რუსლან კუდაშოვსაც, БТК-ის მთავარ რეჟისორს, რომელიც ცნობილია თავისი ორიგინალურობითა და ფილოსოფიური აზროვნებისაკენ მიდრეკილებით. სპექტაკლზე მუშაობამ ნახევარ წელიწადზე მეტხანს გასტანა და რალაც გარკვეულ ეტაპზე დამდგმელმა რეჟისორმა კინალამ გადაიფიქრა საქმის ბოლომდე მიყვანა.

კუდაშოვის ნამუშევარი შორსაა სიუჟეტის თეატრალიზირებული ასახვისაგან: „ჩვენ არ ვიძლევიტ „ქებათა ქების“ რაიმე ახალ ინტერპრეტაციას. ჩვენი ნაშრომი მხოლოდ სიყვარულს ეძღვნება, ამ ჯადოსნური ნაწარმოების სცენისათვის „თარგმნა“ კი ჩვენი ძიების ამოცანად იქცა“. თეატრალური კრიტიკოსი პაველ ჩერნიდცევი მართებულად აღნიშნავს, რომ ეს დადგმა „ილუსტრაციაა, უფრო სწორად, ცოცხალი ნახატებია. სპექტაკლის შეგრძნება ცხოვრების აღქმას, ჯადოსნობას, სიბრძნესა და უკვდავებას უტოლდება“. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გრძნობის ყველა ორგანო ღიაა ახალი შთაბეჭდილებებისთვის, როდესაც გონებით უნდა იგრძნო და გულით შეიმეცნო, უბრალოდ, მიენდო საკუთარ ალლოს...



თითქმის ორსაათიანი წარმოდგენის განმავლობაში მსახიობები ერთმანეთს არ ელაპარაკებიან – შესტების, სიმბოლოებისა და ფერების ენა ისედაც ზედმინწვნით გადმოსცემს სათქმელს. ადამიანები დუმან – სიყვარული მეტყველებს. მისი ენა ზოგადსაკაცობრიოა და საუბრის გარეშეც იოლად აღსაქმელი, თუმცა, დროგამოშვებით, სიტყვები მაინც ჩნდება სცენაზე, ოღონდ „გარედან“: ორი მოხეტიალე მკითხველი ერთად, მედავითნებისთვის დამახასიათებელი გამოთქმითა და ექსპრესიით წარმოთქვამს ნაწყვეტებს ბიბლიური ტექსტიდან. ხმა და მისი ექოკრებითობის, მრავლობითობის, გუნდის

იდეას გამოხატავს და ეს სიტყვებიც ხან ლოცვასავით, ხან გლოვასავით და ხანაც სიმღერასავით ჩაგესმის ყურში. სპექტაკლის მუსიკალური გამფორმებელი ალნიშნავს, რომ ის ჰანგები, რომლებიც ასე ხშირად უღერს წარმოდგენის მანძილზე, არ არის მკვეთრად გამოხატული, უფრო ფაქტურული ხასიათისაა, რაღაც ხმებს წააგავს. „ამ სპექტაკლის ენა შესტებითა და სიმბოლოებით ლაპარაკს მოითხოვს“. ორი შრე: პლასტიკური და ვერბალური ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს და მხოლოდ იშვიათად კვეთს ერთმანეთს.

... მაყურებელი ფეხზე იდგა და დიდხანს, დიდხანს უკრავდა ტაშს... ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სიყვარული გადამისხნეს ვენაში – სისხლი – ბრონეულის წვენი, რომელიც სპექტაკლის მანძილზე ბლომად დაიღვარა სცენაზე... ბრონეულის ნაყოფი და ყვავილი ფარაჯანოვის შედეგით შთაგონების შედეგია. ჩვენ ვნახეთ ყველა დროისა და ქვეყნის სატრფო და მეტრფე, თვით ბიბლიური ევა და ადამი, რომეო და ჯულიეტა, ნესტანი და ტარიელი, პიერო და კოლომბინა... რუსლან კუდაშოვისა და მისი გუნდის მიერ შექმნილი „ქებათა ქება“, როგორც ამბობენ, „სიყვარულის მეტაფიზიკის გამოკვლევა“, სადაც „ერთადერთი სწორი – ინტუიციური მეთოდია“, რომელიც ორი შეყვარებულის დიალოგითა და ბედით ინტერესდება. „ღმერთების მსგავსად, ისინი თითქოსდა, ქმნიან ერთმანეთს – ხან განუყრელნი არიან, ხანაც მარტოსულები, ხან ცდუნებების ტყვეობაში იმყოფებიან, ხან კიდევ ნებაყოფლობით სურთ, გამოსცადონ მათი კავშირის სიმტკიცე, რომ საბოლოოდ დაუბრუნდნენ დაკარგულ პირველქმნილობას“ ღმერთს, კოსმოსს. სიყვარული წარმოდგენილია მთელი თავისი მრავალნახნაგოვნებით, რაც ტანჯვიდან ნეტარებამდე გრძნობათა და აზრთა სრულ სპექტრს მოიცავს. ვისაც ტრფობის ცეცხლი არა სწავდა და არც მისით გამოწვეული ტანჯვა უგემია, სრულად ვერასოდეს შეიცნობს ნეტარებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ „ქებათა ქება“ ძირითადად ძველი ალთქმის ტექსტს ეყ-

რდნობა, მასში შევხვდებით პარალელებს ბერძნულ მითოლოგიასთან და თვით ახალ ალთქმასთანაც. მაგალითად, სპექტაკლის ერთ-ერთი ულამაზესი სცენა – ფეხმძიმე ქალი მენამულისფერ სამოსში, ძლივს რომ ზიდავს ნაყოფს, აშკარა მინიშნებაა ღვთისმშობელზე.

წარმოდგენის დასასრულს გამიმართლა და რუსლან კუდაშოვთან გასაუბრება მოვახერხე. ერთადერთი კითხვით მივმართე: საიდან და რატომ მოვიდა ამ სპექტაკლის შექმნის იდეა? პასუხი ამომწურავი იყო.

რუსლან კუდაშოვი: „იმ დროს ცხოვრებისეული და შემოქმედებითი კრიზისი მქონდა. გამიჩნდა გრძნობა, რომ შეიძლება ყველაფერი მალე დამთავრდეს. ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლეა. როდესაც ადამიანი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგას, მაშინ ახსენდება მარადიული თემები: ღმერთი, სიყვარული... იმ დროს ჩემზე ძალიან იმოქმედა ამერიკელი მოაზროვნის, პიტერ კრიფტის შეხედულებებმა, რომელიც გონივრულად, შეგნებულად საუბრობს ცხოვრების აუცილებლობაზე და სიცოცხლის აზრის სამ გაგებას გამოყოფს, ბიბლიის მიხედვით. ესაა ეკლესიასტე, „ქებათა ქება“ სოლომონისა და წიგნი იობისა. ამ საკითხმა სერიოზულად დამაინტერესა. მერაბ მამარდაშვილი ამბობს: „ცხოვრება არის ძალისხმევა დროში“. კიდევ ერთხელ დაფიქრდი სიცოცხლეზე, სიკვდილსა და იმაზე, რა საშინელია ცოცხლად კვდომა. ასე რომ, ჩემ მიერ ბიბლიური ციკლის შექმნა მხოლოდ სურვილი კი არაა, შინაგანი აუცილებლობა, სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე იყო.

სამივე დადგმა ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ გამომსახველობით საშუალებას მივანიჭეთ უპირატესობა: „ეკლესიასტე“ პლასტიკური წარმოდგენაა, რომელიც ქორეოგრაფთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. „იობი“ ძირითადად ტექსტური სპექტაკლია, სადაც უმთავრესია სიტყვა, საუბარი. „ქებათა ქება“ დაიბადა მსახიობთა თამაშით, ეტიუდებით, იმპროვიზაციით. შემთხვევითი არაა, რომ მას მივანიჭეთ უპირატესობა – სიყვარუ-

ლი ხომ ამქვეყნად ყველაზე მთავარია. სრულიად მოულოდნელად, შემთხვევით ჩნდება, ჩვენზე როდია დამოკიდებული. ხომ გაგიგიათ ინგლისურ ენაში არსებული გამოთქმა: To fall in love, რაც შეყვარებას ნიშნავს, სიტყვა სიტყვით კი სიყვარულში ჩავარდნას.

არსებობს რალაც, რაც ადამიანზე მაღლა დგას. ესაა ჩვენი „ქებათა ქების“ ძირითადი პათოსი. ისევ პიტერ კრიფტს დავესესხები: თანამედროვე ყოფა სასტიკად უსწორდება სიყვარულს, ხდება მისი ვულგარიზაცია. ეს მშვენიერი გრძნობა ქრება ჩვენი ცხოვრებიდან, იცვლება რალაც სუროგატული ფორმებით. იგი უკვე ძალიან მომხმარებლურად აღიქმება, მისი ღვთაებრივი ბუნება უარყოფილია და შედეგად სიყვარული ვნების, ფიზიკური მოთხოვნილებების სინონიმად იქცევა.“

რუსლან კუდაშოვის დიდებული ნამუშევარი მისი სიტყვების საქმით გამყარებაა და იმ სპექტაკლების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც დაგლის გრძნობათა სისავსით, რადგან მაყურებლად ყოფნაც შრომაა... დარბაზს ტოვებ სინანულით და იმის იმედით, რომ „სიყვარული ალგვამალღებს“ – სიყვარულის გზა სრულყოფილებისკენ მიმავალი გზაა.

ალექსანდრე კალინინმა ჩემთან საუბარში თქვა: „რას იზამთ, ხანდახან, ალბათ, ძველი გრძნობა უნდა მოკვდეს, რომ ახალი დაიბადოს...“ დიას, ადამიანები სუსტები ვართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს, თუმცა... გავიხსენოთ პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ: „სიყვარული არასოდეს არ გადავა, თუმცადა წინასწარმეტყველებანი განქარდებიან, ენები დადუმდებიან და უქმი გახდება ცოდნა“. 13,8. ჭეშმარიტი, სულიერი სიყვარული არასოდეს მთავრდება და თუ დამთავრდა, გამოდის, არც არასოდეს ყოფილა...

„ხომ არ გინახავთ ჩემი სულის შეყვარებული?“...

სიყვარული და სიკვდილი, ვნება და სიმღევე, განცხრომა და კაეშანი, თავგანწირვა და თანაღმობა; სისხლით დანერილი წერილები, წითელი ლაქა მკერდის მარცხენა მხარეს; ბედნიერების ღიმილი და ცრემლები; სიყვარული, რომელიც

კლავს და სიყვარული, რომელიც აცოცხლებს. დიდება სიყვარულს!

27, 28 ოქტომბერი

„დღიური I, რვას აკლია ოცი წუთი“

თანამედროვე ყოფის აბსურდულობისა და სულიერებას მოკლებული ურთიერთობების საილუსტრაციოდ, პირველ ყოვლისა, ალბათ, ნოვატორული ხელოვნების გამორჩეული წარმომადგენლის, საშა ვალცის ქორეოგრაფიულ დადგმას გავიხსენებ, რომელიც Gift-ის ფარგლებში რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში ვიხილეთ. „დღიური I რვას აკლია ოცი წუთი“ უკვე 22 წლის გახდა, მაგრამ აქტუალობა არ დაუკარგავს. ეს იყო პირველი დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელიც ყოფილმა მოცეკვავემ ბერლინში დაფუძნებისთანავე შექმნა, ნაცნობი მხატვრების, მუსიკოსებისა და მოცეკვავეების ჯგუფთან ერთად. მანამდე, 80-იანი წლების ბოლოდან, საშა ვალცი ნიუ-იორკში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, პროფესიას კი ამსტერდამში დაეუფლა.

ქორეოგრაფს ინტერნაციონალურ კოლექტივებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ამ შემთხვევაში მისთვის მნიშვნელოვანია, არა მარტო ამ ხელოვანთა პროფესიონალიზმი, არამედ ისიც, თუ როგორ ამდიდრებენ სხვადასხვა მენტალობის ადამიანები საერთო საქმეს. მისი „დღიური“ მუდმივად იცვლება, მდიდრდება და ის მსახიობები, რომლებიც მას ახლა წარმოადგენენ, შემსრულებელთა უკვე მეორე თაობას ეკუთვნიან. ამ პიესაში სხვადასხვა ეროვნებისა და რასის მოცეკვავეები თამაშობენ მეზობლებს, რომლებიც ერთ ბინაში ცხოვრობენ, საერთო სამზარეულოში ხვდებიან ერთმანეთს დილა-საღამოს. სულ ხუთნი არიან: სამი ქალი და ორი მამაკაცი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი გლობალიზაციით სახეცვლილი კაცობრიობის ერთ ცალკეულ მოდელს განასახიერებენ. ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას საშა ვალცმა თქვა: „მე დიდხანს ვაკვირდებოდი ადამიანებს, ჩვენს გარემომცველ სამყაროს. ამ სპექტაკლით შევეცადე, ამეხსნა ურთიერთობის პრობლემა, მეჩვენებინა, როგორ იყოფენ ადამიანები სივრცეს,

როდესაც მათ ერთ ჭერქვეშ უნევთ ყოფნა. ეს პატარა საზოგადოების ერთგვარი პორტრეტია, ცოტა არ იყოს, სიურეალისტური. ჩემს სპექტაკლს ყველა ეროვნების ადამიანი გაიგებს, რადგან ჩვენი განსხვავებების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ყველგან ერთნაირად გვიყვარს და გვძულს, ვხარობთ და ვიტანჯებით“.

საშა ვალცის დადგმა, ერთ-ერთი შეფასების მიხედვით, „ვნებიანი და უხეშია, მტკივნეული და უცნაური, აგრესიული და ირონიული, აბსურდიზმებითა და სექსუალური ელემენტებით დატვირთული“. თავად ქორეოგრაფი საკუთარი შემოქმედების შესახებ წერს, რომ მისი ენა ექსპრესიულია და ემოციური, მაგრამ მონათხრობში მაინც რჩება თავისუფალი სივრცე აბსტრაქციისთვის. კომიკური ფორმით გადმოცემული ჩვეულებრივი მოვლენები ყოველდღიური ცხოვრებიდან კონტრასტს ქმნის წარმოდგენის დრამატულ ნაწილებთან. კლიშე და სტერეოტიპი გმირებს საკუთარი თავის კარიკატურებად აქცევს. მისი წარმოდგენების შექმნის მამოძრავებელი ძალაა მუსიკა. მართლაც, მოვლენებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას ავტორი უმთავრესად მუსიკის, რიტმის საშუალებით გამოხატავს.

„მან 1970 და 80-იან წლებში თითქოს ისესხა გენიალური პინა ბაუშის და მისი კოლეგების მიერ შემუშავებული საცეკვაო თეატრის ჟანრი, რაზეც შეიძლება მეტყველებდეს ცეკვით გადმოცემული მამაკაცისა და ქალის ურთიერთობების დრამატული დეტალები, ყოველდღიური მოვლენები თუ სიუჟეტის არანრფივი განვითარება, მაგრამ ქალბატონი ვალცის თაობა გაცილებით უფრო დაინტერესებულია მოძრაობის სპეციფიკითა და ფორმით.“

... როდესაც, ცეკვის მეშვეობით, ამბის თხრობას გადავწყვეტთ, ძალაუნებურად, ადამიანის პრეისტორიულ წარსულს ვუბრუნდებით და აღმოვაჩინებთ, რომ ის პლასტიკური ელემენტები – ჟესტები და მოძრაობები, რომლებსაც ამა თუ იმ მოვლენისა თუ გრძნობის გადმოსაცემად ვიყენებთ, სინამდვილეში უფრო ბუნებრივად გვახსიათებს, ვიდრე, თუნდაც,

მეტყველების უნარი, ოღონდ სხეულის ენას ცივილიზებული საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში შეგნებულად „ივინყებდა“, რადგან ველურ ტომებთან მსგავსებას ერიდებოდა. უმთავრესი აკრძალვა რელიგიის სფეროდან მოდიოდა, მაგალითად, მართლმადიდებლობა ე. წ. როკვას (რასაც, წესით, ექსტაზური მდგომარეობა მოჰყვება) დღესაც ცოდვად აცხადებს მისი თავდაპირველი, მაგიური და რიტუალური დანიშნულების გამო. თანამედროვე ქორეოგრაფიამ სხეული გაათავისუფლა აკრძალვების ტვირთისგან, მის ენას ცენზურა თითქმის აღარ ზღუდავს და შედეგად ისეთი ნაწარმოებები იქმნება, როგორცაა, თუნდაც საშა ვალცის „დღიური I“.

სპექტაკლის ყოველი ცალკეული სცენა რამდენიმე დეტალის გარშემო იგება. თემის გაშლისას ამ დეტალებზე მოდის მთავრი აქცენტი. ისინი ზოგჯერ რეფრენივით გასდევს მთელ მოქმედებას, ტემპის მეტ-ნაკლები ცვალებადობით, ზოგჯერ კი, ერთჯერადად გამოყენებულ, თხრობის საკვანძო ელემენტებს წარმოადგენს. „ჩვენი აწვნილ-დაწვნილი დროის სურათის გადმოცემისას, ძირითადად დეტალების, ჟესტებისა და ქმედებების დახვეწაზე ვამახვილებდი ყურადღებას“, – წერს ავტორი.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ჯგუფური პორტრეტები, ექსპრესია, რომელიც მოქმედი გმირების შინაგანი სამყაროს დასახასიათებლად არის გამოყენებული, როგორც მოქმედებენ და ურთიერთქმედებენ ისინი – ხანდახან კი ავტორის ხელში უსულო თოჯინებად იქცევიან და გაზეპირებულ მოძრაობებს უსასრულოდ იმეორებენ, მაგრამ „რვას აკლია ოცი წუთის“ ასეთი უზადო ტექნიკური გამართულობა ვერ ანაზღაურებს ჩვენს გაცრუებულ მოლოდინს – პაროდიის ტრაგედიად ქცევისა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლმა ვერ შეძრა მაყურებლის სული. ამგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა წამოგვყვა წარმოდგენის შემდეგ, მიუხედავად, კვლავ ვიმეორებ, ქორეოგრაფიის უზადო ტექნიკური გამართულობისა.

15 ნოემბერი – „ტრამვაი-სურვილი“

90-იანი წლების დასაწყისში რუსთაველის თეატრში ქართველი დრამატურგის „ბედნიერი ბილეთი“ მაქვს ნანახი. რამდენადაც მახსოვს, სპექტაკლი ე. წ. დაკარგულ თაობას – იმ ახალგაზრდებს ეხება, რომლებმაც ქვეყანაში მოულოდნელად დამდგარი ცვლილებების ფონზე, იმედებისა და ყმანვილურ ზრახვათა მსხვრევას ვერ გაუძლეს და ნარკოტიკსა თუ სასმელს მიძალბებულნი, ფუჭად ფლანგავენ ცხოვრების მშვენიერ დღეებს. მათ მეგობარ გოგონათა შორის არის ერთი სრულიად უცნაური არსება – სულელი, რომელსაც სჯერა, რომ ერთხელაც იპოვის ტრამვაის (თუ ავტობუსის?) ბედნიერ ბილეთს, სურვილს ჩაიფიქრებს და აუსრულდება...

ტენესი უილიამსის კლასიკური პიესა „ტრამვაი-სურვილი“ თუმანიშვილის თეატრში რეჟისორმა ქეთი დოლიძემ დადგა. ჩინებულია! – ძალიან ქართული ნამუშევარი გამოვიდა. სცენის საერთო ატმოსფერო, გემოვნებით შექმნილი დეკორაცია, მუსიკალური გაფორმება თუ განათება – ყველაფერი ერთად, გამიზნულად ქმნის იდუმალი და დამთრგუნველი ადგილის სურათს, მომავლის შიშს აჩენს. ტყუილად კი არ ახსენებს პიესის მთავარი გმირი ედგარ პოს!..

საერთო ჯამში მსახიობები კარგად გაუმკლავდნენ ამ „დიდ გამოწვევას“. ცალკე თემაა მთავარი პერსონაჟის, ბლანშის სახე, რომელსაც ნინელი ჭანკვეტაძე ვირტუოზულად, ლალად, ფსიქოლოგიური ნვდომით „ხატავდა“ თუ „ძერწავდა“ ჩვენ თვალწინ, მოულოდნელი რაკურსებითა და ნიუანსებით ავსებდა. დაუვინყარია მისი სევდანარევი ღიმილი და კეთილშობილი მანერები. სიმშვიდისა და ღირსების შენარჩუნება თვით ყველაზე ამაზრზენ სიტუაციაშიც კი – ესაა ჭეშმარიტი ლედის საქციელი, ამას ეწოდება არისტოკრატიზმი!

ბლანშის ფაქიზი, მგრძობიარე ნატურა ვერ უმკლავდება ცხოვრების დაუნდობელ სინამდვილეს, მშობლების ავადმყოფობასა და გარდაცვალებას; მატერიალური სიდუხჭირის შედეგად სოცია-

ლურ კიბეზე თავქვე ეშვება; ნამდვილი სიყვარულის ძიება საბოლოოდ, მსუბუქი ყოფაქცევის ქალად აქცევს. მას შემდეგ, რაც სამარცხვინოდ გამოაგდებენ სკოლიდან, საკუთარ ქალაქშიც აღარ დაედგომება და მისი ერთადერთი იმედი უმცროსი და სტელაა, რომელიც მეუღლესთან ერთად პატარა ქალაქის გარეუბანში ცხოვრობს. და, აი, ტრამვაი-„სურვილი“, შემდეგ კი ტრამვაი „სასაფლაო“ – მას საბედისწერო გაჩერებამდე მიიყვანს.

ქეთი დოლიძე: „ტენესი უილიამსის ამ ფსიქოლოგიურმა „შლიაგერმა“ ჩემი ყურადღება მიიპყრო მისი სრულყოფილების გამო. ეს არის შეუძლებელი სიყვარულის ისტორია, შეუძლებელისა, სხვადასხვა ადამიანების ბედის და მათი ტემპერამენტის სრული შეუსაბამობის გამო. იმის გამოც, რომ გადაულახავი ზღვარია პლებურ, უხამსობაში გადასულ არსებობასა და ფაქიზ, დახვეწილ, ფანტაზიებით აღსავსე ცხოვრებას შორის. ამ ნაწარმოებში ყველა გრძნობა გამიშვლებულია. მას შეიძლება „ოცნებების სასაფლაო“ ვუნოდოთ. ქალაქი, საზოგადოება, რომელიც ანადგურებს ინდივიდს და სასოწარკვეთილებამდე მისული ეს ადამიანი სხვა განზომილებაში გადადის, არარეალურ ყოფაში ეფლობა“.

„When the gods wish to punish us they answer our prayers“ – „როდესაც ღმერთებს ჩვენი დასჯა სურთ, თხოვნებს გვისრულებენ“, – ამბობს ოსკარ უაილდი. ჭეშმარიტებაა. ბლანში სწორედ ტრამვაი-„სურვილმა“ მიიყვანა იმ ღმერთისგან მოძულებულ ადგილას, მაგრამ ჩვენი სასტიკი ცხოვრება განა უფრო აუტანელი არ იქნებოდა, რომ მასში ოცნების, იმედის, სიყვარულის სანთლები არ ბჟუტავდეს? ყველა ნატვრას ასრულება არ უწერია? მით უკეთესი! რა საჭიროა? სიცოცხლეს ერთბაშად დაეკარგებოდა ხიბლი...

„ნუ მოკლავთ მეოცნებე ადამიანებს!“ – ეს არის ჩვენი სათქმელი“ (ქეთი დოლიძე). ბოლოს და ბოლოს, ოცნება ხომ არც ისეთი დიდი ცოდვაა. ნაცრისფერი ყოველდღიურობისგან გადაღლილებს, ნუთუ არასოდეს გიფიქრიათ აქედან გაღწევაზე, სულ ერთია, როგორ – ბედნიერი

ბილეთისა თუ ტრამვაი-„სურვილის“ მემკვიდრით?

### 16, 17 ნოემბერი – „კარმენი“

რატომაც არა? ასე ვფიქრობდი გალაკტიონის დაბადების დღეს გრიბოდოვის თეატრის სავსე დარბაზში, რალაც სასწაულის ძალით სავარძელში მჯდარი. აფრიკელი კარმენი, შავგვრემანი კი არაა, შავკანიანი, ბოშათა ჰანგების ნაცვლად ტამტამის ხმაზე მოცეკვავე...

ბიზეს უკვდავი ოპერით შთაგონებულ მრავალრიცხოვან დადგმათა შორის, შესაძლოა, ყველაზე ორიგინალური „კარმენი“ ჩამოვიდა ძალიან შორიდან, კერძოდ კი, იოჰანესბურგიდან. მისი ავტორი 25 წლისაა! დადა მაზილო – სამხრეთ აფრიკის საცეკვაო ხელოვნების ნამდვილი სენსაცია, რომელიც ბოლო წლებში ცნობილი გახდა არა მხოლოდ როგორც ვირტუოზი მოცეკვავე, არამედ ნოვატორი ქორეოგრაფის სახელიც მოიპოვა. „სცენაზე ელვისებური სისწრაფითა და თვალმისაცემი სიმსუბუქით მოძრავი“ მაზილო იმასაც ახერხებს, რომ საკუთარი როლი ახლებური ინტერპრეტაციით დატვირთოს. ამას გარდა, ის ძალიან თამამი დამდგმელი რეჟისორი აღმოჩნდა და აი, რატომ: „კარმენის“ სიუჟეტის აფრიკის კონტინენტზე გადატანა, იქაური კონტექსტისათვის მისადაგება იმდენად დამაჯერებელია, რომ აღარაფერი გვიკვირს: მერე რა მოხდა, თუ სპექტაკლის მხოლოდ ერთი-ორი მონაწილეა თეთრკანიანი, კერძოდ კი კაპიტანის როლის შემსრულებელი, რომელიც პირადად მე – უცხოს, უცხოელის, დამპყრობლის განსახიერებად მესახება; არც ისაა უბედურება, თუ გრიბოდოვის თეატრიდან „მისი უდიდებულესობა – მაყურებელი“ უეცრად აღმოჩნდება სადმე სამხრეთ აფრიკაში, სადაც ქალაქის ხმაურიან მცხოვრებლებს გართობისა თუ ჩხუბის მიზეზი არ ელევათ! კიდევ ერთი შეხსენება იმ ანბანური ჭეშმარიტების, რომ მარადიული

თემები როდი თავსდება დროისა და სივრცის ერთხელ მოცემულ ჩარჩოებში და უსასრულოდ გამეორება „უნერია“. ჰოდა, ალბათ, თავის დროზე, დადა მაზილომაც ასე იფიქრა: „რატომაც არა?“ და იმდენად გაკადნიერდა, რომ სავსებით შეცვალა ნაწარმოების ტრაგიკული ფინალი – კაპიტანი არ კლავს ბოშა ქალს, თავად კვდება, შურისმაძიებელი ტორეროს ხელით!

დადა მაზილო: „მინდოდა კარმენის იმ ხატს გავცდენოდი, რომელსაც, ჩვეულებრივ, ბალეტებსა და ოპერებში გვთავაზობენ ხოლმე; უფრო ღრმად მინდოდა, ჩამეხედა ამ პერსონაჟში და ის დაუცველობა დამენახა, რომელიც მისი გარეგნული შეუვალობისა და უგულობის მიღმა არსებობს. ძიების პროცესში მივხვდი, რომ კიდევ უამრავი რამის აღმოჩენა და წარმოჩენა შეიძლებოდა, როგორც მუსიკაში, ისე არსებულ მოარულ სიუჟეტებში. ასე რომ, ბოლოს ისეთი ამბავი მოვიგონე, რაც საშუალებას აძლევს შემსრულებლებსაც და მეც, ის ვაკეთოთ, რაც ყველაზე მეტად გვიყვარს – ვიცეკვოთ“.

ჰოდა, ისინიც ცეკვავენ – გასაოცრად, თავდავინყებით. ისინი ძალიან გულწრფელნი არიან სინაზისა თუ მრისხანების, ეჭვიანობისა თუ გულცივობის გამოხატვისას. ყველაფერს უშუალოდ, ბუნებრივად „ცეკვავენ“ – მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი პლასტიკითა და მოქნილობით. სასიყვარულო სცენები ნამდვილ აფრიკულ ხვატშია გახვეული და მოცეკვავეებმა თბილისური თეატრის სცენაზე ისეთი ვნების ცეცხლი გააჩაღეს, თავად ბოშებსაც რომ გაუკვირდებოდათ! ეს მაშინ, როცა ჩვენს სმენას ატკობს როდიონ შჩედრინისა და არვო პარტის მუსიკა, როდესაც წარმოდგენას – დასაწყისიდან დასასრულამდე – რეფრენად გასდევს ნაწყვეტები ბიზეს „კარმენიდან“ და თვით კარმენის მოფრიალე, ცეცხლივით ნითელი კაბა.

**ალინა ქადაგიშვილი**